

976/4



ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

3

1976



პნეთობი

საქართველოს
საბჭოთაო
კავშირების
კავშირების

ქუველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი

წელიწადი 52-ე

№ 3

მარტი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ზნან გვინათობს პარტიკა	3
მორის ფოცხიშვილი — ითხოვს საფსოვლო. ლექსი	9
რამაჯ კობიძე — გვიგრიის ფოთლები. რომანი. გაგრძელება	11
თიმიფრაჯ ჯანაფალაშვილი — ლექსები	30
ვახა ხორნაული — ლექსები	33
მიხეილ ზემელნიშვილი — ენოთერობები	34
მარი აბრამიშვილი — ლექსები	44
რათა ბარბაქაძე — ლექსები	46
თამარ ფაუშვილი — ლექსები	48
ლია სვანიძე — ლექსები	49
ნიკოლოზ გაბაიანი — აივნიანი ძაღლები. რომანი. გაგრძელება	50
ვიტორი ავალიანი — საბარბაქო. მოთხრობა. დასასრული	89
თანამედროვე ბალერუსული კომპილიანი. თარგმანი ვ. ქავთახიძისა	116

ნარკვევები ზუთშლადის დღეებზე

აკაკი შუმიაძე — ვიფოლაღის დღიერი	120
----------------------------------	-----

კრიტიკა და კუბლიცხისტიკა

დავით ჩხიკვიშვილი — ა. სომხათაშვილი პაროკიულ-რომანტიკულ რომანში	132
ვიტორი ჯიბლაძე — ზალვა ფაღიანის საბალეტოლი	153
ვლადიმერ მახარაძე — დონტოვსკი და თანამედროვე ადამიანი	155
ვინოკა კავთიაშვილი — პირენის პირი და თანამედროვე ტაქტული კრიტიკა	160
ვიტორი ჯიბლაძე — უველა თავეისთვის მარტო არ კვდება	166



ქიზნების მიმოხილვა

ა. ვაჟა-ფშაველას — მომონტაჟი ნაწარმი ქართული ლექსების საბითუმო

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ბ. აბაშიძე, რ. ანაბერძენი (პ/მე მდიანი), ხ. ბერუაშვილი, თ. გიგინეიშვილი, მ. ლაბაძე, ნ. მარაგაძე, ვ. ქადაგი, ბ. სულბერიძე, ა. ქადაგიანი, ხ. შანგიანი, დ. შანგიანი, ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, თ. შილაძე, ბ. ხარაძე, რ. ჯანაშია, ვ. ჯიხაძე.

ტექნიკური რ. ნაპოვაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 93-55-11. პ/მე, მდიანის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 2/111-76 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 18/111-76 წ. ასაწყობის ზომა 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,58

უც 00011. ტირაჟი 13.000. შეჯ. № 870. საქ. კ. ც-ის გამოცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

გზას გვინათებს პარტია

„ჩვენი ლენინური პარტიის ისტორია ურილობათა შესანიშნავი პლედით აღინიშნა. ყოველი მათგანი დიდწინაშეწვლადი ნიშანსტეტი იყო პარტიის და ქვეყნის ცხოვრებაში. და უძველესი, ამხანაგებო, რომ XXV ურილობა თავის განსაკუთრებულ, განუმეორებელ ადგილს დაიკავებს მათ შორის — როგორც დიდ მიღწევათა ურილობა, რომელმაც ჩაიარა რეალიზებისა და საქმიანი სულსკვეთების, თავისი ძალების გულდაქერებული რწმენის, კომუნიზმის მშენებლობის დიდი საქმის ახალ გამარჯვებათა რწმენის, ქვეყნად მტკიცე, სამართლიანი მშვიდობისათვის ჩვენი ბრძოლის ნიშნით“, — სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ღეონიდ ილიას ძე ბრეტენევის ამ სიტყვებში, რომლებიც შან სკკ XXV ურილობის დაბრუნების წარმოსთქვა, ამომწურავი სიზუსტით არის განსაზღვრული ამ ურილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა; სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მობხენებაში, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეტენევმა ურილობის გახსნის დღეს წაიკითხა, მოცემულია პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, განვითარებული სოციალიზმის დიდი მონაპირების, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების უკველმწარავი, ღრმა მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, კომუნისტური მშენებლობის მთამაკონცხელი პერსპექტივები, რომლებიც ანდიდრებენ პარტიის თეორიულ არსებობას, წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის რევოლუციურ-გარდაქმნული საქმიანობის კონკრეტულ პროგრამას.

ურილობაზე მთელი მსოფლიოს დასახადა, ყველა დედაგატის, ყველა სტუმრის გამოვლანში ნათლად გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდად აფასებს პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა ღეონიდ ილიას ძე ბრეტენევის, როგორც ჩვენი დროის გამოჩენილ პოლიტიკურ და საბელმწიფო მოღვაწეს, მტკიცე მარქსისტ-ლენინელს, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულს, შესანიშნავ ორგანიზატორს, რომელმაც ახასიათებს უმრეტო ენერჯია, უნარი შეაკავშიროს ადამიანები, დასახული ამოცანების შესასრულებლად წარმართოს მათი ანდ-ღონე, მათი ენერჯია; დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო ამხანაგმა ლ. ი. ბრეტენევმა ჩვენს ანდენტაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს. და ეს შესაძლებელი გახდა სწორედ ამის გამო, რომ პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განუბრტლად ახორციელებენ მშვიდობის ღენინურ კურსს, მშვიდობიანი თანარსებობის ღენინურ პოლიტიკას. ამ მრავალწლიანმა შემოქმედებამა მუშაობამ უკვე მრავალი სიკეთე მიუტანა კაცობრიობას, და კიდევ მრავალი ახარულს მოუტანს ჩვენს ანდენტას, რომელიც იმედის თვალით შესცქერის ხვალისდღელ უღეს.



კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები მუდამ იდგა პარტიის უფრადღების ცენტრში; ეს თვით ჩვენმა დრომ მოითხოვა, ეს მოითხოვა თვით კულტურის ცნების ღენინურმა გაგებამ. ახალი სოციალისტური კულტურა მოიცავს მთელს ჩვენს ცხოვრებას, ვინაიდან ჩვენს დროში, ისტორიაში პირველად, კულტურა შეიქმნა ადამიანის შრომითი საქმიანობის ყველა სფეროში, ის ამოიზარდა ხალხის წიაღიდან და დაუბრუნდა მასვე. ჩვენს დროში პირველად გაჩნდა ცნება — ესთეტიკა წარმოებდაში, ფაბრიკაში ინჟინერის გვერდით დაუდგა მხატვარი, რომელიც თანაბრად აკებს პასუხს პროდუქციის ხარისხზე, ვინაიდან კარგი და მაღალხარისხისთვის თავისთავად გულისხმობს ღამაზსაც. ამ გზით ესთეტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა და გადაეწნა წარმოებას. ამას განსაკუთრებული უფრადღება მიეძღვნა მეთექვსე მეთათ ხუთწლედში, რომელმაც პარტიამ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედით უწოდა.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიამაუთ იმით, რომ საბჭოთა ხალხმა შექმნა მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნება, დაუფლებული ღენინიზმის პრინციპებზე, ღენინურ მოდ-

ვრებაზე ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ. ამ ხელოვნებას წამყვან პოეტიკადა ზალხორცა უდევს როგორც თავისი შინაარსის გამო, იმის გამო, რომ მისში ახალულია ხალხის სული, მისი შინაარსებანი, ასევე თავისი ფართოდ გაერთილებული თულანარბა-სით. იგი როდია აკეტელი წიგნებში, სამხატვრო გალერეებზე, საკონცერტო დარბაზებში, არამედ ჩანს, მოქმედებს ყველგან — ქალაქად, სოფლად, შუშის, ვლენის, ინტელიგენტიის ოქახში, ჩანს იმაში, თუ როგორ მუშაობს ჩარხისმჭერი თუ მექანიკოსი, როგორ ისვენებს, რას კითხულობს... ხელოვნება და ლიტერატურა შევიდა ხალხის ყოფაში, მის სულში, ჩვეულებებში, პირველ მოხოვნეილებებში; ჩვენს სოფლებს აღარ შეუძლიათ იცხოვრონ კულტურის სახლებისა და სახალხების გარეშე, რომელთაგან ზოგი მონყობილია ისე, რომ აკადემიური თეატრის სექტაჟლის მსვლელობას ტექნიკურად არაფერი შეუშლის ხელს. სოფელი დღეს წარმოუდგენელია ტელევიზორის გარეშე, რომელიც ნამდვილად გახდა ფართო ფანჯარა, საიდანაც შევიძლია ვახედო მთელ მსოფლიოს, იქნე სადღაც, მთაში და, იმავე დროს, უცქირო სექტაჟლს მოსკოვისა თუ პარიზის სცენაზე. შუშის შექივით მოყვინა კულტურა მთასაც და ბარსაც, ყველგან შეიხედა, ყველა სოფელში, ყველა ხეობაში, ყველა მთასა და მინდორში. ის სახალხო გახდა, საყოველთაო გახდა. სწორედ ეს არის ბრწყინვალე დადასტურება ლენინური წინაწარდასახულობისა — ხელოვნება ზოგს უნდა ეყოფნოდეს.

ყოველივე ეს განაპირობა პარტიის განუწყვეტელმა მზარუნელობამ მწერლობის და ხელოვნების მიმართ, ყოველივე ეს განაპირობა იმან, რომ თავის მხრივ მხატვრულმა ინტელიგენციამ ლენინური მოძღვრება ლიტერატურასა და ხელოვნებაზე აქცია თავისი შთაგონების გზის მაჩვენებლად, წინ გამძღოლ შეუქარად.

ამხანაგ ლ. ა. ბრეჟნევის მოხსენებაში, იმ ქვეთავში, სადაც იგი ეხება ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებს, მოცემულია ბრძნული ლენინური ანალიზი საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი ვითარებისა და დასახულია მისი წინსვლის წითელი პერსპექტივა. ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენებაში არა მარტო ხერით ვეზია ნაჩვენები, არამედ დასაბუღებულია კონკრეტული თემებიც, რომლებმაც განსაკუთრებული ეპოქალური მნიშვნელობა შეიძინეს, რომლებიც წინა პლანზე წამოსწია თვით კაცობრიობის ისტორიის დღევანდელმა ეტაპმა, ამ თემებს შორის; ცხადია, პირველ ადგილზეა შრომა ადამიანებისა, ვისც თავისი ხელით აგებს კომუნისმის დიად შენობას. „ავილოთ, მაგალითად, ის, რასაც წინათ მშრალად უწოდებდენ „საწარმოო თემას“, — კვათხულობთ ლ. ა. ბრეჟნევის მოხსენებაში — ახლა ამ თემამ წამდვილი მხატვრული ფორმა შეიძინა. ლიტერატურულ თუ სცენურ გზარებთან ერთად განვიცდით, ვეღვავთ მეფოლადების თუ საფოქრო ფაბრიკის დირექტორის, ინჟინრისა თუ პარტიული მუშაის წარმატებებისათვის, და ერთი შეხედვით, ისეთი კერძო შემთხვევაც კი, როგორცაა მშენებელთა პრივაილიზაციის პრემიის საკითხი, ფართო საზოგადოებრივ ელერალობას იძენს, ცხოველი დესკუსიების საგანი ხდება“.

აქ, უკვე არსებითი ვითარების განსოგადების საფოქველზე, დასახულია მწერლის წინაშე მხატვრული ამოცანა, ნაჩვენებია ის მთავარი, ძირითადი, რითაც ქვეყანა ცხოვრობს, რაც საბჭოთა ადამიანის პირადი ბედის ნაწილიც გახდა და, იმავე დროს, ჩვენი საშოშობლს დღევანდელი და ზეღინდელი დღეც. როცა აქ კვათხულობთ — იმან, რასაც წინათ საწარმოო თემას ეძახდენ, ახლა ნამდვილი მხატვრული ფორმა შეიძინაო, — ჩვენს ხსოვნაში გაივლებს უწარმზარბი ცოლი ნაწარმოებებისა, მოთხრობებისა, რომანებისა, რომლებიც ამ ბოლოს წლებში მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში დაიწერა და რომელთა ავტორებმა. იმის გამო, რომ ღრმად ჩაიხედეს ცხოვრებაში, ისეთი საინტერესო, მდელყარე, ცნობილი ამბები დაინახეს და მადლმხატვრულად გამოხატეს, რომ უკვე აქ გამოიყო თავისი ფორმა, მასალამ, ნამდვილი ფორმა მოძებნა და მათსადამე, მისი შრალი სახელწოდება — „საწარმოო თემა“ — აღარაფერს არ გამოხატავს; თურმე ის მარტო საწარმოო კი არ არის, სულის ამაღელვებელიც არის; აქ შეიძლება ფსიქოლოგიურა საშუარო ვადიშალობა, აქ ჩანს კაცის გიბრობა, მადლი ადამიანობობა, პრინციპულობა; აქ ჩანს, თუ რაოდენ ღრმად შევიდა ჩვენი მწერლობა ცხოვრების შუა მორევიში, სადაც ყველაფერი დღეს და ბრუნავს; სწორედ აქეთ მოუწოდებს პარტია მწერალს, და ხაზიდა, დღევანდელ ვითარებაში ახალი ძალით და სიმამტრონი წამოიჭრება ჩვენს წინაშე ხელოვნების და სინამდვილის ურთიერთობის პრობლემა; აუცილებელია ხდება მწერალი უფრო გახედულად, უფრო აქტიურად ჩაერთოს ცხოვრებაში, პირდაპირ თქვას თავისი სიტყვა მტკივნეულზე, უკვედელიფურზე, ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო საკითხებზე, ყველაფერი რაც ხდება ჩვენს ცხოვრებაში, უშუალოდ ეხება მწერალს, ყველაფერი, იგი იქნება თუ კარგი, მისი საქმეც არის, მის სახლში ხდება, მის კერაზე.

პარტიამ ნათლად გვიჩვენა საით უზღა წარვმართოთ ქმედობი ძალი მხატვრული სიტყვისა, რათა მან წარმატებით შეასრულოს თავისი როლი — დამარაზმედლის, ხალხის, ახალგაზრდობის აღმწარდელის როლი საერთოდაც და დღევანდელ ვითარებაშიც, IX საუკუნის მიწუ-

რულშიც და უახლოესი წლების მანძილზეც, მეთუ ზოგჯერ წლებში, როცა დაიწყო და წარმატებითაც მიდის ძალთა დიდი მოზილიზაცია ეკონომიურ, მორალურ და დსქოლუფაციურ პრობლემათა გადასაჭრელად. მთელი ჩვენი ხალხი ახლა ამით არის დასაქმებული. ამის გარდა, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს მწერლის როლი აქ ერთგვარად განსაზღვრული და ვიწროდ შემოფარგლულია, თითქოს აქ დაღებულა მიზნა — „აქედან აქამდეო“. ამა რა უნდა მოუხერხოს მწერალმა ეკონომიკის ურთულეს პრობლემებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მწერლობას აქვს ამ პრობლემებთან მისახველელი გზაც, ძალიან ფაროვ გზაც — მწერლობის, საერთოდ ხელოვნების მდგომარეობასა და ვითარებაზე დიდად არას დაშოკებულნი, თუ როგორი იქნება მორალური ატმოსფერო; მწერლობა ამ ატმოსფეროს მართლ ბარომეტრი კი არ არის, არამედ მოწვევრივებელიც, ზოლო იდეური და მორალური ფაქტორები უზარმაზარ როლს ასრულებენ საერთო და საქვეყნო ამოცანების თუნდაც იმავე საწარმოო საკითხების გადაჭრის დროს.

აქვე, ზღვებრივად, ჩვენს წინაშე წამოჭრება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეთიკური ასპექტების საკითხი. XXV ყროლობაზე წაყიხულ მოხსენებაში ამხანაგმა ბრენდევამ აღნიშნა:

„ჩვენ, კომუნისტები, ვხელობდვანელობთ იმით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მხოლოდ სოციალიზმის პარობებში იქნეს წვორ მიმართულებას, რომელიც შეესაბამება ადამიანსა და საზოგადოების ინტერესებს. თავის მხარე, მართლ მეცნიერებინა და ტექნიკის დაწარბებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაიჭრას სოციალური რევოლუცია საბოლოო ამოცანები — აშენდეს კომუნისტური საზოგადოება“.

მხატვრული მწერლობა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია... მხატვარი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წინაშე... რა მოტანა ამ ახალმა რევოლუციამ ლირიკას, პროზას რა შემება პროზის თემატიკურ არსენალს, რა ზეგავლენა მოახდინა ადამიანის ხულიერ საშუაროზე და როგორი გამოხატვა ეს ლიტერატურამ — აი, ის საკითხები, რომლებიც ახლა უკვალოდ მტად ადელეგებს საბჭოთა ლიტერატურის მკვლევარსაც, შემფასებელსაც და ცხადია, უშუალოდ თვით შემოქმედსაც. ეს უკვე იქცა უმძლავრე მწვევე პრობლემად, მის განსახილველად, და გადასაჭრელად ეწეობა შემოქმედებითი ორგანიზაციების კლენუმები, ამართება საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო, ჩადდება დისკუსიები... ასეთი დიდი ინტერესი ამ პრობლემადმი — ადელი ვახაგებია. ეს თვით მთელი ჩვენი ცხოვრების მიერ არის ნაქარნახევი. თვით XXIV ყროლობას, რომელმაც წარმართა მთელი გზა საბჭოთა ქვეყნის განვითარებისა, მხარად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყროლობას უწოდებენ. ასევე XXV ყროლობამ დიდი ურადლება მიაკცია ამ საკითხის განხილვას.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მთელს ჩვენს ცხოვრებაში — ახალი დიდი შემობრუნების ნიშნავეტად იქცა. ეს არის გადატრიალება, დავაშობრებული კაბერნეტისა და ბიონიკსთან, რომელმაც თვით მეცნიერება უნდა აქციოს უშუალო საწარმოო ძალად, ესაა ექვთა ავტომატიზაციისა, რომელიც გამოახილსა პოლუმის და თავის ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიურ, იდეოლოგიაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, სოციალურ სფეროზე; ამასთან, ვახაგებია ისიც, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას სრულიად განსხვავებული შედეგები მოხდევს მობირდაპირე სოციალურ სისტემებში, მთლიანად სხვადსხვანაირია მისი შედეგები, ერთა მხრივ, სოციალიზმისა და, მეორე მხრივ, კაპიტალიზმის პარობებში.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ უკვე ჰქოვა თავისი გამოახილი საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში, დაიწერა მართალია არც ისე ბევრი, მაგრამ საფულისხმო ნაწარმოებები, რომელთა ავტორებმა გააკეთეს ერთგვარი ცდა ამოცნოთ ძვრები, სოციალურ ცხოვრებაში რომ შეაქვს ამ გადატრიალებას. მაგრამ, როგორც ეს სჩევია საერთოდ უკვლა მძაფრ ეპოქალურ გარდატეხას, ბევრი აქაც ვერ ასცდა გადაჭარბებას. ეს თქმის როგორც პროზაიკოსებზე, ისე კრიტიკოსებზე. ცალკეული მწერლები ძალიან აჩქარდნენ. მათ მექანიკურად გადააქვთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ტენსები სრულიად საპირისპირო სფეროში — ადამიანის ხულში. მოჰყავთ, მავალდებო. ის ამბავი, რომ ახლა მსოფლიოს ერთა ქალაქედან მეორემდე გადაფრენას 2-3 ან 4-5 საათი სჭირდება, წინათ კი მთელი კვირა, უფრო ადრე ბთელი წელი უნდა ვემზავარო. მერე? რა შეცვალა ამ ამბავში, ვთქვათ, ქალ-ვათის სიუვარულში, ევზიანობაში, სიძულვილში; ოდნავ მაინც გამოცვალა ამან გრძნობა მოძმისა და მეგობრისადმი სიუვარულსა და მტრისადმი სიძულვილისა? ხული — ტექნიკის სფეროში არ არის. წარმოების მართვის მეთოდებს საუვარულში ვერ გადაიტან. აკად. ა. დროიდელიცანმა ვამოიანგარიშა, რომ ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, წარმოების მართვის ადრინდელი ფორმებითა და მეთოდებით რომ ვიმუშაოთ, არამომენტრებისა და თვით კლავიშაინი ელექტრომაქინების გამოყენებითაც უი, ერთი მილიარდი კაცი დავკვირდება

მართლ მთელი სახალანსო ურთიერთობის დასაფენად, რომ აღარაფერი ვთქვათ, შეუძლებელ დაკუმენტებზე. მაშასადამე, ასეთ პირობებში, შეწინააწრებელი სახალხო სამეურნეო გეგმის შედგენა შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან ეს აღმშობება ადამიანთა საზრგავრებისს რგებულ შესაძლებლობებს. ამიტომ რევოლუციან საჭირო, და მოხდა კიდევ — მის შეწინააღმდეგებელი რევოლუციან ეწოდება. იწყება ასეთი ძირფესვიანი გარდატეხები სულს სფეროში? არ ეტყობა.

ამ ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვინშოთ. რომ შეცნობულ-ტექნიკური რევოლუციანსა და ადამიანის სულიერი სამყაროს ურთიერთობის საკითხს ქართულ ლიტერატურულ პარსაში ჭერ ისევ 1970 წელს აღიძრა და სავსებით სწორი თვალსაზრისით გააღიპრა კიდევ 1970 წელს „მერანმა“ გამოსცა ერთდროული გაზეთი „მოფრის დღე“, რომელშიც აღნიშნული იყო: „რატომ ცოცხლობს ლექსი? იმიტომ, რომ ადამიანებს მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. უოველი ადამიანი თავის გრწნობით სამყაროში როგორღაც გაივლის ზოლზე კაცობრიობის მიერ განვლილ გზას. უოველი ადამიანისათვის პირველი სიუჟარული აბსოლუტურად თვითმყოფადი, თავისუფალი, ერთადერთი, განუმეორებელია. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ოდესღაც რომელიმე და ჭულიტას, ან ტარიელსა და წესტანს ერთმანეთი რა ვითარებაში უუფარდათ... „ღუნა-16“-ის მოგზაურობა მთვარეზე, ის, რომ ადამიანმა ფეხი შედგა იქ, უველადერი ეს ხომ შეცნიერების, ტექნიკის დიდი გამარჯვება იყო. შეარყია განა ამ ფაქტებმა ადამიანის სულიერი სამყაროს ის უზნები, რომელთა ასახვას ლექსი ემსახურებაო? ასე გვგონია, არც ატომის ენერგიის დაუფლებას, არც კოსმოსში გასვლას ამ მხრივ არაფერი შეუძლია. წინააღმდეგ, მან ახალი სტიმული მისცა პოეტებს. მანქანა ლექსს ვერ მოკლავს. თუ მან არ განადგურა ადამიანი, თუ ადამიანი განადგურდა, განადგურდება მანქანაც, მანქანური ცივილიზაციაც“.

ცხადია, ეს თვალსაზრისი ოდნევეც არ უპირისპირდება იმ უზარმაზარი და კეთილისმყოფელი როლის აღიარებას, რომელსაც შეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციან ასრულებს.



„სამატერული შემოქმედების მეორე დიდიმნიშვნელოვანი თემა, რომელსაც უკანასკნელი წლების მანძილზე მიეძღვნა მართალი, შთამბეჭდავი ნაწარმოებები, საბჭოთა ხალხის გმირობა დიდ სამშულო ომში; რომანების, მოთხრობების, ფილების, სპექტაკლების გმირებთან ერთად ომის მონაწილენი თითქოს კვლავ მიაბიებდნენ საფროტო გზების ცხელ თოვლში, კვლავ და კვლავ ქედს იხრან თავიანთ ცოცხალი და დაღუპული თანამებრძოლების სულიერი ძალის წინაშე. ახალგაზრდა თაობა კი ხელოვნების სასწაულებრივი მოქმედებით ხდება თავიანთი მამების, ან იმ ჭერ კიდევ ახალგაზრდა ქალების გმირობით თანამონაწილედ. რომლებისთვისაც წუნარი გარიტრებები სამშობლოს თავისუფლებისათვის მათი უცვლადი გმირობის ფაი ვახდა. ასეთთა კემმარტივი ხელოვნება. აცოცხლებს რა წარსულს, იგი ზრდის საბჭოთა პატრიოტს, ინტერნაციონალისტს“.

ამრიგად, როგორც აშხანავი ბრეჟნევი აღნიშნავს, მწერალი ომის თემაზე წერს ადამიანის აღზრდისა და სულიერი ამაღლების მიზნით, რა გვიჩვენა ომმა? თურმე რა ჭლეტამოხილი უოფლია ადამიანი, რამდენი შესაძლებია, რა სული მქონია, როგორ განუტრებალ უოფლია დაკე-შიტირებული მისი პირადი ბედი ქვეყნის ბედთან; თეორიულად, გონივრულად, ეს რა თქმა უნდა, მუდამ ვიცოდით, მაგრამ როგორ ცოცხლად, როგორ ხელშეხანებად დავინახეთ ეს ფროტზეც და ზურგშიც. მაშასადამე, ომის თემა ურთულეს მორალურ პირობებსაც მოიცავს. ეს არის ვითარება, როცა მწერალი სინჯავს და გამოცდას უწყობს თავის პერსონაჟს — ადამიანს — როგორი ხარ შენ უველადე რთულ, უველადე დრამატულ და ტრაგიკულ ვითარებაში, ისეთ ვითარებაში, სადაც სული ადამიანისა გამოცდება დამდაფრების უველადე უკანასკნელ მიგნებაზე. ასე იქცევა თემა ომისა ადამიანის სულში მორალური სტოიციზმის აღზრდის თემაზე.

ამ სტოიციზმის, ამ პერიკლეული ნაწიხის გარეშე ცხოვრება წინ ვერ წავა, უამისოდ კეთილი ვერ გაიმარჯვებს პირობებზე... ჩვენ მიჩვეული ვართ რა შრომით ხასწაულებს ახდენენ მუშება, კოლმეურნეები, ინტელექციანთა... აბა ომის წლები გაიხსენოთ, ფრონტი კი არა, ზურგი, მასზე ბევრი არაფერი დაწერილა... ეს კი საჭიროა, უამისოდ ჩვენ ჩვენს ხალხს ვერ გავიცნობთ და ახალგაზრდობას მის დეაწლსა და გმირულ სულს ვერ გავცნობთ. თურმე რა არ შესაძლებია მშრომელი კაცისა და ქალის მარჯვენას; მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ მილიონზე მეტი კაცი საქართველომ ფრონტზე გაგზავნა. მარტო ეროვნული ქართული დივიზია ცხრა თოო, და აშას გარდა, რამდენ დივიზიაში, რომელ ფრონტზე არ გაიგონებდით ქართულ სახელებსა და ვკარებსს და აი შინდარჩენილმა, ქალებმა მოზარდებმა არაფერი არ მოკლეს

ჩვენს არმიას. იმ დროს გაჩნდნენ შრავალაზგოსნები, იმ დროს გაჩნდა პროფესიების შეთავსება, საქართველო აშაღებდა და ფრონტს აწვიდა პირველბარისხოვან გამანადგურებელ თვითფრანავებს — „ლაგებს“, ტუვიმფრკვევებს, საარტილერიო უშუბარებს, ტანკანინადმდეგო ნაღმებს და კიდევ ვინ მოსთვლის! საქართველოს მარტო მსუბუქმა მრეწველობამ ფრონტს გაუგზავნა ტანკაციმლი და ფეხსაცმელი, რომელიც საქმარისა იყო 105 დივიზიის, ე. ი. მლიონიანზე მეტი არმიის შესამოსავად.

მეტყვიან, მწერლისათვის, პირველ რიგში, ადამიანის სული, მისი შინაგანი ფსიქოლოგიური სამუაროა საინტერესო. კეთილი და პატიოსანი — ამა მაშ ჩაიხედეთ იმ კოლმეურნის სულში, რომელიც იმ ვაჭარებისა და შიშხილის დროს, საკუთარი ფულით უდიდობდა ტარქს, თვითფრანავს და წააღვესა ნავსაც კი, რომელსაც ნაფი ჰქვია სახელად, თორემ ვეება გენა, თავისი საბარძოლო ვარდნისით! ძალიან მდიდრები ვიყუეთ ჩვენ მაშინ, საკუთარ თვითფრანავებსა და ვეშებს ვაღფლობდით, ვეშოვდა და მაინც ვყოფლობდით; თვით მუდამ მდიდარი და ბარქიან შირაქში, მინდორში ქაღებს შიშხილით გული უწუხდებოდათ და მაწაზე ცეცხლოდნენ, შობარუნებდნენ და ისევ მუშაობდნენ... რა აძლედა მათ ძალას? რა უჭირს, რა სუეარული, რა ტყვილი? არ უნდა ამის შესწავლა, გამოკვლევა, ასახვა და დახატვა? და განა ეს ნახატ, ეს ნაწარმოები არ იქნება საუკეთესო სკოლა ახალგაზრდობის აღსაზრდელად და იმის საჩვენებლად, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სუეარული, რას ნიშნავს მისი პირადი პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე? იმ რში ჩვენ შევიცანით ჩვენი თავი და გავივთ როგორა უოფლა ჩვენი ხალხი, მისი სულის ხიდრმები შევიცანთ. არ შეიძლება იმ სულის სიდიდის, იმ შეშართების დაიწყება. მაშასადამე, წიგნი, რომელსაც ახლა მწერალი ომზე წერს, უნდა იყოს ერთი თაობის გადაძახილი მეორე თაობისადმი, ეს უნდა იყოს წიგნი, რომელიც დანახევებს ახალგაზრდა მკითხველს თუ როგორი განსურვლია შენი ბედი ქვეყნის ბედისაგან. დააფიქრებს ამაზე და ეს უჭირს სჭირდებოდა მშვიდობასაც, მინდორსა და ქარხანას, სჭირდებოდა მეთაფ მუოწმედს.

როგორც საქართოდ მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის, ისე კერძოდ ქართული საბჭოთა მწერლობისათვის შთაბავონებელია პერსპექტივა, თუ როგორ დავეშაროთ პარტიას, ბელი შეუწუოთ მას ურთულესი ამოცანის — ახალი ადამიანის, კომუნისმის აქტიური მშენებლის აღზრდაში. ჩვენ უყოველდღიურად მოწმენი ვხდებით და უყოველ ნაბიჯზე ვხედავთ როგორი ფაქიში მწარუნელობით ეტყობა პარტია მწერლობას, დეიქლ საქმედ მაინია იგი, ძირითას სავანძურად, დიდ სულიერ სიმდიდრედ, „ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა“, განაცხადა აშხანავმა ბრეტენემა XXV ყრალისაზე. ჩვენი ხალხი ამუოებს საბჭოთა მწერლობის წარმატებები; მას გული სტყვია, როცა ესა თუ ის მწერალი მარცხს განიცდის, კარგად და სრულყოფილად ვერ ხატავს იმას, რასაც ხალხი და ქვეყანა შეტრთვის, ამუნებს, აკუთებს; უყოველი კარგი, ახალი, მაღალიდურთი და მაღალმატარული დექსი, მოთხრობა და რომანი უძვირფასესი საწუქარია მკითხველისათვის.

მწერალი ახლა მოვალეა უფრო ღრმად შეიჭრას ცხოვრების შეგაუღში, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა. ახლა უფრო მეტად გავართოვდა მისი სარბიელი, მისი პასუხისმგებლობა, მისთვის ჩაბარებული უბანი და მწერალიც უფრო შორს იხედება. ქართული საბჭოთა მწერლობა წარმატებით იბრძვის ამ ამოცანების გადასაქრელად. იგი ნერგავს მკითხველთა შეგნებაში საბჭოთა პარტიოტრისისა და ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ იდეალებს.

საქართველოს კომუნისტების XXV პირილობაზე აღინიშნა, რომ ლიტერატურის პარტიულობის და ხალხურობის დენინირა არნიციბის თანამედვერულად განსორციელების შედეგად „გამოცდებულა შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა... რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაში უყელაზე მნიშვნელოვანია მისი განუზომლად გარდელი აქტივობა, არა მარტო შემოქმედებითი, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი, პოლიტიკური აქტივობა. ახლა მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი არა მარტო უოფა-ცხოვრების აღმწერელია, არა მარტო ჩვენი დროის უყელა გმირული საქმის მომღერალია, არამედ ამასთან ერთად უყელა იმ შესამნიევი ცვალებების მოწაწილედ და შემოქმედად, რომლებიც ხდება რესპუბლიკის ეკონომიკის და კულტურის უყელა სფეროში“.

ამასთან ერთად, ურალითაზე ისიც აღინიშნა, რომ „ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრავს ქართული კულტურის საერთო დონესა და მის განვითარების მთავარ მიმართულებას, ჭერ კიდევ გამოდის ბევრი უფერული, საშუალო ნაშუევიარი, რომლებიც არ შეესაბამება თანამედვერე მხატვრული შემოქმედების იდეურ-ესთეტიკურ კრიტერიუმებს, მწარმოელთა გარდელი მოთხოვნილებებს, ვერ ასახავს დღევაღელ ცხოვრებას“.

და შემდეგ:

„არ შეიძლება ქვეშარბიტი ხელოვანი, თუ იგი ნამდვილად ნიჭიერია, არ გრძნობდეს დრო-

ის მაჯისცემას, განე უღვებოდეს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, მთავარი გზის ნაცვლად ვიწრო ორღობებში დადიოდეს“.

ჩვენი სიტყვის ოსტატების წინაშე სდგას უველაზე მთავარი და არსებითი ამოცანა: ახალ ქართულ რომანებსა და მოთხრობებში უნდა გამოჩნდეს ჩვენი დროის მთავარი გმირი, ი. ვინც განახლებებს დღევანდელ საქართველოს; აქ ლაპარაკია დიდ განზოგადებებზე, ადამიანებზე, ვისაც დღეს, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა საქართველოს მიწა ახარია და ყველა მათგანს აქვს მიწა, კესელასავით აქეთ-იქით კი არ დაფარუტებს; არამედ ადუღებებს აწმყოსა და მომავლის ფუძეებსა და კერებს. ამ ადამიანებს თავიანთ თავში განუზოციდებიან თავისი ერის სული, გონება, სინდის-ნაშუსი და კეთილშობილება უველგან, ვინას შიშ, ქარხანაში, და როცა ომი იყო, ომშიც. აქ არის ბევრი სიძნელეც, არის მშაფრად და დრამატული კონფლიქტები, უველაფერი ის, რაც ჰუმანიტატი ლიტერატურისათვის სასიცოცხლო პერიოდით აუცილებელია.

წერალი უნდა დაეხმაროს პარტიას ამ დიდ ბრძოლაში ადამიანის სულის განსხტაკე-ბისათვის, თაობების კომუნისტურად აღზრდისათვის. მან უნდა წინა პლანზე წამოსწიოს ეს კრიტიკივით სუფთა, მამაცი და გაბეჯული ადამიანები, შეეყარებულნი თავის შრომაზე და თავის სამშობლოზე, მუდამ მაძიებლნი და მუდამ დაუკმაყოფილებლნი, ის ადამიანები, ვისაც აწვადები წყურტილი და სურტილი იმისა უველაფერა სრულყოფილი იყოს, როგორც მათს სულში, ისე მათს ირგვლივ, მათს გარემოში, მათს უბანზე, მათს ქუჩაზე. სად არ შეხვდებიან ანთ რომანტიკოსებს, მოუსვენრებს, მაძიებლებს — ენგურმშენზე თუ რუსთავის მტებლურ გრულ ქარხანაში, მინდორში თუ სამეცნიერო ლაბორატორიაში... კონფლიქტები თუ გნებავთ აქ არის, ვინაიდან, ეს ახლის ძიება და, მამახადამე, რაღაცის უარყოფა, რააც სჭირდება მთელი შინაგანი ძალების მობილიზება დამახულობის ბოლო ზღვრამდე, ბოლო მიჯნამდე და სწორედ ეს განწყობა და შემართება პანადებს უველაფერს ლამაზს და დიადს ამ ქვეყანაზე.



ითხოვს საგოგბლო

იჭვი ჭირჭილით კვლავ არ იღლება,
სითხითებს წამი დრომოწამლული:
— არის საჭირო ახლა სიმღერა?
— არის საჭირო! —

იტყვის მამული.

ქარი ბალახით ბილიკს გადაშლის,
არ ებუება წლების სიფიცხეს:
— არის საჭირო ლექსი ყანაში?
— არის საჭირო! —

სალხი მიმტკიცებს.

მიწა ისეა, როგორც ლადარი,
გვალვამ ო, ქუდზე კაცი შეჰყარა:
— არის საჭირო ზვრებში მხატვარი?
— არის საჭირო! —

ითხოვს ქვეყანა.

არის საჭირო, ჰყავდეს ბუნებას
ჭირისუფალი, ძიძა, პატრონი, —
ჩვენ გულგრილობის არ გვაქვს უფლება,
უფლება არ გვაქვს

განზე გადგომის!

ბრძოლა! თვალი როგორ ვადვენოთ?!
აღსდგე, მამაცთა გზნებით ალევზნე, —
ბარიკადებზე! ძმებო მხატვრებო!
სინდის-ნამუსის

ბარიკადებზე!

ო, სულო ჩემო, ცხადზე ცხადია,
შური შენ მაინც არ შევიბრალებს.

პირველი შეხვედი პირველ განთიადს,
 პირველ წვიმას და
 პირველ გრიგალებს!

ერკონული
 ზიზღიონთქა

შენ უნდა იყო ყოელისმზილველი,
 საწერ მაგიდას ხშირად წყდებოდე,
 და გაზაფხულის ცეცხლი პირველი
 სწორედ შენ უნდა

გვკიდებოდეს!

ღეშო, ჯამტოვე და გზას ვწიე,
 ფიქრის ზაპერწყალს შუქად სხლტებოდე,
 გლეხკაცს,

მებაღეს,

მწყემსს და

მეცნიერს,

ღმერთმა ნუ ქენას რომ

არ სჭირდებოდე!

უნდა იხილო თესლი დედანში,
 უნდა იარო ძმათა მხარდამხარ...

— არის საჭირო ჩანგი ვენახში?

— არის საჭირო! —

ვამბობ ხმამალა-

ვინ დაგვაშორა, ვინ დაგვაშოროს

დროშას, რომელმაც ერთად შეგვყარა.

— ისევ მხარდამხარ! — ითხოვს სამშობლო.

— ისევ მხარდამხარ! —

ითხოვს ქვეყანა.



გვიმრის ფოთლები

რომანი

წიგნი პირველი

ნაწილი მეორე

• • •

იმ დღეს ბესარიონ მაგრაქველიძემ „ინტურისტში“ შესვლა აიჩემა, სულ ფუნქციონორზე და ქალაქგარეთ ხომ არ უნდა ვიაროთ, აქაური მზარეული მამაჩემის ძმაკაცია და რაც არ უნდა უკირდეს, მაინც რამეს მოგვიხერხებსო. მეგობრები დაეთანხმნენ. კაცმა რომ თქვას, იმათთვის სულ ერთი იყო, „ინტურისტში“ იქეიფებდნენ, თუ სხვაგან, ყველანი შავ „ვოლგაში“ ჩასხდნენ და ნათიას სახლისკენ წავიდნენ. რაღაც იღბლად, ქუჩაზე შეუხვიეს თუ არა, ნათია დაირახეს — ალბათ, საიდანღაც ბრუნდებოდა და თავისი სახლისკენ მიმავალ აღმართს წელა მიჰყვებოდა. „ვოლგით“ წამოეწივნენ. ბესარიონი მანქანიდან გადახტა და ნათიას წინაშე ჭედი მოიხარა:

— ქალბატონ ნათიას ეახლავართ!

— ოჰ, ბესარიონ! — ნათიას დაღლილი სახე ჰქონდა.

— როგორ ვიკითხოთ?

— გმადლობთ! შენ?

— მე... — ბესარიონმა მხრები აიჩეჩა და ხელები ფართოდ გაშალა, ვითომდა, მე როგორცა ვარ, ეგ შენზე უკეთ ვის ეცოდინებო.

ნათიამ შავი „ვოლგისკენ“ გაიხედა და შიგ მსხდომებს ღიმილით თავი დაუქნია. მაგრამ მის სახეს დაღლილი და მოწყენილი გამომეტყველება მაინც არ მოშორებია.

ბესარიონი და მისი ამხანაგები ნათიას ახლა სწორედ აქ და ამ დროს რომ არ დახვედროდნენ, იქნებ, ნათია მათ აღარსად წაჰყოლოდა, მაგრამ ახლა სახლში შესვლა სიკვდილივით არ უნდოდა. ნათია ხედებოდა, რომ დედამისსა და ანდროს მისთვის სამსახურის შოვნა უკირდათ; მაგრამ ამის ვერც უმხელდნენ. ამიტომ ნათია იძულებული იყო, სახლში ყოფნისას გამოუსვლელად თავის ოთახში მჯდარიყო, და ან წიგნები ეკითხა (რომლებიც ახლა სრულიად არ აინტერესებდა), ან მეზობელი ოთახებიდან ნინოსი და ანდროს

ფეხაკრეფით სიარული და ჩურჩულით ლაპარაკი ესმინა (რაც ნერვებს უშლიდა). ბესარიონისა და მისი ამქრის დანახვაზე უეცრად გადაწყვიტა, ამით კი სწორედ აღარსად გავყვებით, მეტო მართლაც აღარ შემიძლია და ეს უხეირო თამაში ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გათავდესო, მაგრამ მერე ასევე უეცრად გადაწყვიტა რაც იქნება, იქნება, ამ ერთხელაც წაყვები და სწორედ იქ, სუფრაზე ვაგრძნობინებ, რომ დროა, თავი დამანებონო.

ნათია „ვოლგაში“ თითქმის შეუპატიებლად ჩაჯდა. ვოლგა „ინტურისტისკენ“ გაჰქანდა. რა იცოდა ნათიამ, რომ იმ საღამოს **მისი ცხოვრება** ახალი გზით უნდა წასულიყო.

* * *

„ინტურისტში“ შევიდნენ და კუთხრას მაგიდა დაიკავეს. ბესარიონი სამზარეულოში შევიდა და შეფ-მზარეული იხმო. წითური, ხმაჩახლეჩილი დომენტი კალისტრატე მაგრაქველიძის ვაჟი-შვილს მაშინვე ეახლა, მაგრამ საიდუმლოდ უთხრა, დღეს აქ წყალბურთელების ბანკეტია და რაც კი ხეირიანი რამ მოგვეძევა, მათ სუფრაზე მიღისო.

— ვინ წყალბურთელებიაო?!

— რა გითხრა, ჩემო ბესარიონ, თბილისის წყალბურთელებს არ ვიცი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა აუღიათ, არ ვიცი მეორე თუ მესამე ადგილი და ახლა შეხვედრას უწყობენ. ჩამოვწყდით დილას აქეთაი. მაგათი გულისთვის ცალკე მეცნიერების აკადემია მოვიმდურეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, — ვილაც სტუმრების ჰოყვანა უნდოდათ, — ცალკე ფიზიკის ინსტიტუტი. იმათაც საბანკეტო დარბაზი გვთხოვეს. გელაპარაკები, ა, ფეხზე ძლივს ედგევარ. აბა!...

მართლაც, დარბაზის მეორე მხარეს მაგიდები ერთმანეთზე მიეწყობო და თრასამდე კაცისთვის სანაქებო სუფრა

გაეწყობო. მაგიდების გარშემო რევიციანტები ახლაც ფუსფუსებდნენ და ხელს, ყვავილებს, და პატარა პატარა დროშებს დგამდნენ. ღია კარებიდან მოჩანდა, რომ უფრო მორჩილი სუფრა საბანკეტო დარბაზშიც გაეშალათ.

— ჩვენ სულ ხუთი თუ ექვსნი ვართ, დომენტი.

— ჰმ!

— არც იმდენი საქმელი დაგვიკრძალავს, პატარას წავივანებებთ და ეგ იქნება.

— აჰ, ეგ-ღა მაკლია, მამაშენის შვილი აქედან უქმელი გაგიშვა? საღამო ჩიხართ?

— ეგერ, ე, კუთხეში.

— წადი. მანოველას ჯამოგიგზავნი, რაღაცას რაღა არ მოგიხერხებთ.

ლიმონივით ყვითელმა, უკისრო და გაუცინარმა მანოველამ საქაოდ მიღებული სუფრა გააწყობ. ის იყო, ჭიჭიე-ზე შეავსეს და ბესარიონს თამადა უნდა დაესახელებინა, რომ რესტორნის შემოსასვლელ კარებთან ჩონჩოლი, სირბილი, ალიაქოთი ატყდა. გაისმა მზიარული შეძახილები, სიცილი, ტაშისცემა. ტაშისცემა და შეძახილები იმ მაგიდებიდანაც მოისმა, სადაც საზეიმო სუფრა იყო გაშლილი. იმ მაგიდებთან მსხდარი — ბარე ასიოდე კაცი თუ ქალი — ყველანი წამოიშალნენ და მზიარულად მომღიმარი, სახეგაბრწყინებულნი, ტაშის ცემით დაიძრნენ შემოსასვლელი კარებისაკენ. კარებიდან ამოტყენ ასევე სახეგაბრწყინებული, მზიარულად და ბედნიერად მომღიმარი ხალხის ბრბო შემოიჭრა. ისინი ტაშის ცემითა და ხმამაღალი, ომბიანი შეძახილებით მოაცილებდნენ თხუთმეტოდე მზემოკიდებულ, ისევე სახეგაბრწყინებულ და ბედნიერად მომღიმარ ახალგაზრდას. რესტორნის დარბაზი ტაშის გრიალით, სიცილით. შეძახილებით გაივსო. მზემოკიდებული ჰაბუყები ღიმილით თავებს იქნევდნენ და შემოჯარულ აღტაცებულ ხალხში ძლივს მიიკვლევდნენ გზას საზეიმო მაგიდებისაკენ. სწორედ ესენი იყვნენ თბი-

ლისელი წყალბურთელები. ტაშის გრი-
ალმა და ომახიანმა შეძახილებმა იმა-
ტა. დამხედურებს ახლა მთელი დარ-
ბაში შეუერთდა. ტაშს ისინიც კი უკ-
რადნენ, ვინც არაფერი იცოდა იმის
შესახებ, თუ ან ის კობტად, მოდურად
ჩაცმული, მზემოკიდებული, ამაყად
მომღიმარე ქაბუტები ვინ იყვნენ, ან
ამდენ ხალხს რა უხაროდა და ტაშს
რატომ უკრავდა. ყველა ფეხზე წამომ-
დგარიყო. ესტრადისაგან მარცხნივ,
კუთხის მაგიდას ცოტა უცნაური წყვი-
ლი უჭდა — სამოცდაათიოდე წლის,
სახე და ხელებდამქნარი, მელოტი,
კარაქისფერი ჩესტისის კოსტუმში გა-
მოწყობილი და შავი ბანტით ყელდამ-
შვენებული ბერიკაცი და თმაქალაჩა,
მწვანეკაბიანი დედაკაცი ესეც ბარე
სამოცისა იქნებოდა. სანამ დარბაზში
ეს ამბავი ატყდებოდა, ბერიკაცი თან
„წინანდალს“ წრუბავდა და თან რალა-
ცას გაცხარებით, ხელების ქნევით უმ-
ტვიცებდა თანამეინახეს. ღვინით საეცე
ჭიქა წინ ქალსაც ედგა, ქალი ღვინოს
არ ეკარებოდა, მაგრამ ლოყები მაინც
აწითლებოდა. ქალი გულიანად იცინო-
და, მაგრამ ბერიკაცს რაც არ უნდა
ეკითხა, პასუხად თავს უჩარის ნიშნად
ქნევდა. როცა დარბაზს ტაშის გრია-
ლი და ომახიანი შეძახილები მოედო,
ბერიკაცმა მიიხედ-მოიხედა და წამოდ-
გა. წამოდგომა ქალმაც მოინდომა, მაგ-
რამ ბერიკაცმა ხელი თავაზიანად დაადო
მხარზე, იჭექო. ქალი იმით დაკმაყოფი-
ლდა, რომ დარბაზისკენ სახე მოაბრუნა
ბერიკაცი კი კარგა ხანს მისჩერებოდა
ალტაცებულ, აყვირებულ, მოხეიძე
ბრბოს: ვერაფერი გაიგო. მაგრამ ყო-
ველი შემთხვევისათვის ტაში რამდენ-
ჯერმე მაინც დაატყაბუნა, მხრები აი-
ჩეჩა და დაჭდა.

ამასობაში მოზეიმე, ალტაცებულა
გულშემატკივრებით გარსშემორტყმუ-
ლი მზემოკიდებული ქაბუტები რის
ვიევაგლახით მოიწევდნენ სადღესას-
წაულო მაგიდებისაკენ. ამ ქაბუტებს
წინ ახოვანი, მხარბუქიანი, კობტად
თმაგადავარცხნილი და ამაყად მომლი-

მარე, გემოვნებით ჩაცმული ახალგაზ-
რდა მიუძღოდა. ამას დამხედურნი გან-
საკუთრებული ალტაცებით და ტაშის
ევრით ეგებებოდნენ. პასუხად ახოვანი
თავს თავაზიანად ხრიდა და ამოდ
ცდილობდა, სახიდან ამაყი, გამარჯვე-
ბული კაცის ღიმილი ჩამოეცილებინა.
როგორც იქნა, მზემოკიდებულებმა
სახეიმო მაგიდებს მიადწიეს. შემოუა-
რეს, ჩამწკრივდნენ, ახმაურებულ დარ-
ბაზს გამოჰხედეს და საპასუხო ტაში
დაუერეს. დარბაზში ტაშისცემა ქარიშ-
ხლისებურ ოვაციად გადაქცა.

— ვაშა სახელოვან ვაეკაცებს! — ის-
მოდა აქეთ-იქიდან თავდავიწყებული
შეძახილები.

— გამარჯვებულ სპორტამენებს ჩვე-
ნი მხურვალე სალაში!...

ეს შეძახილები და ტაშის გრიალი
კარგა ხანს გაგრძელდა. იფიქრებდით,
ალარც გათავდებოდა ცოტათი მისუს-
ტდებოდა თუ არა, ვილაცა ისევ შეს-
ძახებდა რალაცას და ისევ დაიწყებოდა
ტაშის გრიალი, ყვირილი და შეძახილე-
ბი.

ბოლოს აურზაური თანდათან მიწყ-
ნარდა. წყალბურთელებმა და სხვებმა
მაგიდებთან დასხდომა დაიწყეს. ტაშის
და შეძახილების ნაცვლად ახლა სკამე-
ბის ხრიგინი და მხიარული გადალაპა-
რაკება ისმოდა.

— ნომალი დიხამინჯია — უმისამა-
რთოდ წარმოთქვა თენგიზ ჯაველიძემ.

— ვინაო? — ჰკითხა ბესარიონმა.

— ის, მაღალი, კაპიტანი.

— ერთი მაგის!... — შეუყურთხა ბე-
სარიონმა. იგი რატომღაც უგუნებოდ
შექნლიყო. — დიდი ვინმეც მაგი მიგ-
ღია. კაპიტანი!

— ო-პო-პო-პო, რას ხედებიანი! —
თაზო ბულესკირიამ თანამეინახეებს
შუბლქვეშიდან გამოჰხედა და ბორო-
ტად ჩაიღიმა. — ამერიკაში ასე მთვა-
რიდან დაბრუნებულ კოსმონავტებს არ
შეხედრიან.

— ჩვენებურების ამბავი არ იცი? —
ბესარიონი უკვე აშკარად იღრინებო-

და — ჩვენისთანა ხმაურის მოყვარე ხალხი მეორე არ არის ამ ქვეყანაზე.

— ყველაფერში გადაჭარბება ვიცით. — დარბაისლურად დაუდასტურა მირზა ჭირაქაძემ.

— ან მაგ ბანკეტის ფული საიდან იღეს? — თაზო ბულესკირიამ ისევ ბოროტად დაკვესა შავი თვალები. — მე შენ გუებნები, სულ მშროაელი ხალხის კაპიებია.

— რა თქმა უნდა!

— ნამდვილად. — ისევ დარბაისლურად დაუდასტურა ჭირაქაძემ — ზუსტად ასეა.

ბულესკირიას არაფერი უთქვამს. მაგრამ ძარღვებდაბერილ ზეზღზე და ავი თვალების ბრიალზე აშკარად ეტყობოდა, რომ მზად იყო, ამ წყალბურთელების სისხლი დაეღია, რომელსაც მისი თანდასწრებით ასეთი ამბით შეხვდნენ, მაშინ, როცა თვითონ მისთვის არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

ანზორ კუპატაძე გასუსული იჭდა და აქეთ-იქით რატომღაც შემკრთალი იყურებოდა.

— ვითომ მართლა მსაქა? — ნათიამ ლარნაკიდან ვარდი ამოიღო და ტუჩებთან მიიტანა. — განა ჩვენი მეცნიერებს პატივს არ სცემენ და არ აჯილდოებენ? ან ხელოვნების ხალხს?

— ეჰჰ!.. — ბესარიონმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია, — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ნათია!.. მე ყველაფერს ხაზს კი არ ვუსვამ. აი, ამ კერძო შემთხვევაზე ვლაპარაკობ, რაღა შორს მივდივართ. ამ სუფრას სულ ახალგაზრდები არ ვუსხედვართ? ჰოდა, ა, ბატონო: თაზო, გინდა შენ წყალბურთელობა? გინდა, რომ წყალბურთელი იყო და სამაგიეროდ ასეთ ბანკეტებს გიწყობდნენ? შენს ახალგაზრდობას ამისთვის გაიმეტებ?

არა, თაზო ბულესკირიას თავისი ახალგაზრდობა საამისოდ არ ემეტებოდა და მხრების ზიზლიანი აჩეჩვით გახახატა.

— მირზა, თქვენ? ჭირაქაძეს ბესარიონმა რატომღაც „თქვენობით“ მიმმართა.

— როგორ გეკადრებათ! — მირზან მოწყალედ გაიღიმა.

— თენგიზ, შენ რას იტყვი?

— ჯერ ერთი, მე რასაკვირველია. ცურვა არც კი ვიცი, ეს ერთი, და მეორეც — წყალბურთელობა ისეთი რა არის? ფეხბურთი ან ჩოგბურთი კიდევ ჰო, ისიც სანამ ახალგაზრდა ხარ. მე რე კი... ეჰ! — ჯაველიძემ ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

— ანზორ, შენი აზრიც მოგვახსენე. არა. ანზორ კუპატაძეს წყალბურთელობა სიკვდილივით არ უნდოდა.

— ვინ-ლა დარჩა? არავენ. ხედავთ, ქალბატონო ნათია, აი, ამ სუფრაზე, ამდენ ხალხში არავენ იცის რა გზას დაადგეს. — დაასკვნა ბესარიონ მაგრაქველიძემ.

ნათიამ მასთან შეკამათება ზედმეტად ჩათვალა. იგი მშვენივრად ხედავდა, თუ რა აშმაგებდა მის თანამეინახეებს.

— მაგრამ იმედია, თავის დროზე ყველაფერს მოველემა — რიხით განაცხადა ბესარიონმა, — ახლა კი, მეგობრებო, ქალბატონო ნათია, ჩვენს საქმეს ვეწიოთ. მივხედოთ, რასაკვირველია, ამ ჩვენს პატარა მაგიდას. ქართული წესისამებრ, ხელმძღვანელი გვესაუბრობდა. და მე ვიტყოდი, რომ, როგორც ყოველთვის, ჩვენი მირზა...

— არაფრის გულისთვის! — მტკიცედ იუარა ჭირაქაძემ. მან კარგად დაინახა, რომ ბესარიონი თამალობას ცალყბად თავაზობდა.

— რატომ?

— აჰ! არაფრის გულისათვის! — ჭირაქაძე მართლაც მტკიცე უარზე იდგა. ეს ბესარიონმაც დაინახა.

— რას იზამ!... ეს კი იცოდე, ჩემო მირზა, რომ პატარა გული სუფრის დასაწყისშივე დაგვეწყვიტე. მაგრამ არაფერია. იმედია, არაერთხელ შევხვდებით და შენ კიდევ ბევრჯერ გვიხელ-

მძღვანელებ. აბა, მეგობრებო! თამადა გვეპირდება. თამადის მეტი აღარაფერი გვეყოლია, აბა! აბა!

ყველამ იგრძნო, რომ თამადობა თაზო ბულესკირიას არ ასცდებოდა. თენგიზ ჭაველიძე და ანზორ კუპატაძე საამისოდ არ ვარგოდნენ, თვითონ ბესარიონი კი თამადობას არც კადრულობდა და ყოველ სუფრაზე მაინც პირველობდა. და ის იყო. ბესარიონმა ჭიქა აიღო და თაზო ბულესკირიას შეპხედა, რომ ნათიამ მოულოდნელად მშვიდი კილოთი წარმოთქვა:

— სხვათა შორის, მაგ... ნომალი დიხამინჯიაზე ამბობენ, ძალიან ნაკითხი და განათლებული ბიჭიო.

ბესარიონი აიღეწა. თავი ძლივს შეიკავა, რომ ჭიქა მაგიდაზე არ დაეხეთქებინა. ნათიას თვალებში შეპხედა დეჭიქურ ჰკითხა:

— რა ბრძანეთ?

— არაფერი. ამბობენ, წესიერი და ნაკითხი ბიჭიო. — ნათიამ ვარდს ერთი ფურცელი ააცალა და თითებით დასრისა. არა, აშკარა იყო, რომ თანამეინახეების დამცირება ან გამოჯაერება მას ფიქრადაც კი არ მოსვლია. უბრალოდ, თქვა ის, რაც გავგონა და იქნებ, კიდევ სჯეროდა. მეტი არაფერი. მაგრამ ოთხი წყვილი თვალი ქალიშვილს მაინც მტრულად მიაჩერდა.

— ნაკითხი... — ბესარიონმა ჭიქა მაგიდაზე დადგა და მერე გვერდზე გასწია. — რა აზრი აქვს მაგის ნაკითხობას? რომელი ნიუტონის ბინომი, მაგან დაამტკიცა?

ბულესკირიამ და ჭაველიძემ ხმაშლილი გადაიხარხარეს. მირზა ჭირაქაძემ სარკასტულად ჩაიღიმა. გატრუნული მხოლოდ ანზორ კუპატაძე იჯდა და არ იცოდა, ვის მიმხრობოდა. არა, ისე მასაც გავგონა, დიხამინჯია უნივერსიტეტში კარგად სწავლობდა და ალბათ, ასპირანტურაში დატოვებენო, მაგრამ ამის თქმას ანზორი ბესარიონს ხომ არ შეუბედავდა?

— ვიცით, ქალბატონო ნათია, ვიცით ჩვენ მაგ სპორტსმენი ხალხის ნაკითხო-

ბის ამბავი. — ბესარიონმა მოწყალედ გაიღიმა. — თვითონ ეგენი უნივერსიტეტში არც დადიან, მაგათემატრუნილები მწვრთნელებს დაქვეთ ლექტორებთან და ნიშნებს აწერიანებენ. ეს ეინ არ იცის. მაგრამ... — ბესარიონმა ნათიას თვალებში მრავალმნიშვნელოვნად შეპხედა. — იქნებ, თქვენ იმ მაგიდასთან ჯდომა გირჩევნიათ? თუ ასეა, პირდაპირ გვიბრძანეთ.

— ეს რა შუაშია?! — იფეთქა ნათიამ.

— რას ლაპარაკობ, ბესარიონ! — ახმაურდნენ სხვებიც.

— ქალბატონმა ნათიამ ბრძანა ის, რაც გაუგონია.

— ეს რა დანაშაულია!...

— ბოდიში! დიდი ბოდიში! — ბესარიონი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუუვდა. — ათასი ბოდიში! უბრალოდ, ამ უსამართლობამ ამაღლევა და... დეე, მეპატიოს! სუფრა, რაქვია, მიდღემჩი არ ამირეგია და არც დღეს ავურევა. აპ! აბა, მეგობრებო! — ბესარიონმა ჭიქა აიღო — მოდით, ვთხოვთ ჩვენს საყვარელ თაზოს, ამ დღევანდელ სუფრას უხელმძღვანელოს, ა?

— ვთხოვთ, ვთხოვთ!

— აბა, ჩემო თაზო! შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!

ბესარიონ მაგრატველიძე დარწმუნებული იყო, რომ, მირზა ჭირაქაძისაგან განსხვავებით, თაზო ბულესკირიას ნათია ავალიშვილი ისევე აინტერესებდა, როგორც შარშანდელი თოვლი. ამიტომ ბულესკირიას თამადობა მით უფრო მოინდომა ამ სუფრაზე, რომელიც ასე უხეიროდ დაიწყო. თამადის სადღეგრძელო ბესარიონმა ბოლომდე დაცალა, დაცლილი ჭიქა ბულესკირიას დანახა და ხელით კოცნაც გაუგზავნა. ბულესკირიამ თავისებურად, უხმოდ ჩაიღიმა და წამოდგა.

ყველანი გაჩუმდნენ.

ბულესკირიამ ჭიქა ასწია და მეგობრობის სადღეგრძელო შესვა.

— სადაც არ უნდა ვიყოთ, — თქვა მან, — ცხოვრებამ როგორი განსაცდელიც არ უნდა გამოგვიგზავნოს, ჩვე-

ნი მეგობრობა ურყევი იქნება. ჩვენ ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს, ვერც ფიზიკურად და ვერც სულიერად... ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — შეეხმარუნენ აქეთ-იქიდან.

ბესარიონმა კიკა ბოლომდე დასცა-ლა, ტუჩები ცხვირსახოცით შეიწმინდა და ნათიას სალათა მიაწოდა.

— მიირთვიო, ქალბატონო ნათია. მგონი, კარგი უნდა იყოს. მკოდნოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ქვეყანა სპორტსმენების იქნებოდა, მაშინ... რა-ღაცა მეც შემეძლო ბავშვობაში. ფეხბურთს ვთამაშობდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მიზანში ვისროდი. რა ვიცი... საქართველოში ხომ ბავშვი არ დარბის, რაიმე მონაცემი რომ არ ქონდეს. ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ. მაგრამ კიდევ კარგი, რომ მთელი ქვეყანა სპორტსმენებად არ იქცა და აქა-იქ ნამდვილი საქმის გამკეთებლებიც მოიტებნებიან.

„მაგალითად, შენ და მამაშენი“, — გესლიანად გაიფიქრა ნათიამ.

— ბესარიონი მართალს ამბობს. — ბრძნულად, საკუთარი ღირსების დაცვით შენიშნა მირზა კირაქაძემ, — ყველაფერში ზომაა საჭირო. ჩვენ ამდენი სპორტსმენი ნამდვილად არ გვესაჭიროება. ჩვენ არაფერში ზომა არ ვიცით.

— ისე შემოვიდნენ, თითქოს ქვეყანა მაგათი იყოს. — ჩაიხიბითთა თენგიზ ჯაველიძემაც. — რა მოხდა? ბურთი მაგათ ხუთჯერ შეუგდეს. თვითონ მაგათ კი ექვსჯერ შეაგდეს, მოვრჩით?

— სპორტსმენების დათვლა როგორ შეიძლება? — ნათიამ წარბები ასწია, — მირზა რომ ამბობს, ამდენი სპორტსმენი არ გვესაჭიროებო... სპორტსმენი ყველა უნდა იყოს.

— ქალბატონო ნათია... — ბესარიონი ისე დაიჭლანა, თითქოს კბილს აძრობენო, — სწორია, ყველა უნდა იყოს, მაგრამ ამდენი საზეიმო და ვაი-უშველებელი რა ამბავია? ხომ უნდა იყოს განსხვავება სპორტსმენსა და,

ეთქვათ, მეცნიერს შორის? ეთქვათ, რომელიმე მეცნიერმა ჩვეულებრივ ეთქვათ ეინშტეინმა ხელს კიბოს უწამალოდ მოეგონა! იმას რაღა ვუყოთ? იმასაც ტაშით შეგხვდეთ? ესე იგი, ამათაც და იმათაც — ტაშით? — ბესარიონს თავისი შედარება გამოუთქმელად მოეწონა — და ამაცად მიმოიხედა.

— ნამდვილად, ნამდვილად შეუფერებელია. — დაუდასტურა კირაქაძემ.

— „ვიცი, ჩემო კარგო, დღეს მეცნიერება რამაც შეგაყვარა“, — ნათიამ შეკამათება საჭიროდ აღარ დაინახა და წიწილის ფრთა გადაიღო.

— თქვენ კარგად უნდა გავგიგოთ, ქალბატონო ნათია. ჩვენ, კი არ გვშურს და ერთი-მეორე, რატომ უნდა მშურდეს, თბილისელი ბიჭები არიან, იყვნენ და გაიხარონ, მაგრამ, ერის ინტერესები არ უნდა შეიღახოს. აი, ჩვენ რას ვლაპარაკობთ.

— ნამდვილად, ნამდვილად. — დაუდასტურეს ბესარიონს მეინახებებმა.

რესტორანში ხმაური ნატულობდა. წყალბურთელების სუფრაზე და საბანკეტო დარბაზში მქუხარე სადღეგრძელოები და სიმღერები ისმოდა. დარბოვდნენ, ფაქტობრივდნენ და ერთმანეთს ეხლებოდნენ დაქანცული, ოფლში გახვითქული ოფიციალტები.

თაზო ბულესკირია წამოდგა, თავი რჩოლია ხარივით ჩაღუნა, კიკა შეავსო და მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად მოემზადა. თანამესუფრენი მიხვდნენ, თამადა ახლა ან საქართველოს ადღეგრძელებს, ან ნათიასო. მშობლების სადღეგრძელოს ბულესკირია ხომ არასოდეს სვამდა. სანამ თაზო ახალ სადღეგრძელოს წამოიწყებდა, გაუღიმარმა მანოველამ ხვნეშით მოიტანა ვებერთელა ლანგარი, რომელზეც ათიოდე ბოთლი „გურჯაანი“, სამი შამპანური, შოკოლადები, ხილი და ყვავილები ეწყო. ყველამ იფიქრა, ვიღაცა ჩვეულებისამებრ მოსაყითხს გვიგზავნისო. ბესარიონმა თავი ანაცად ასწია და დარბაზი არწივივით მოათვალიერა, რათა გაეგო, მადლობა ვისთვის უნდა

ედგენა. მაგრამ მანოველამ ლანგარი მაგიდაზე დადგა თუ არა, შეოფლილი სახე იდაყვით შეიწმინდა და თავისებურად უგულოდ, მაგრამ ნაძალადევი რიხით განაცხადა:

— ქალბატონ ნათიას მიესალმებიან გამარჯვებული სპორტსმენები!

ყველანი დაიბნენ და ნათიას მიაშტერდნენ. ბესარიონს თვალები გაუფართოვდა და ენა ჩაუვარდა. ნათიაც დაიბნა, აირია და... ყაყაოსავით გაწითლდა.

იმ წუთში ნათიასათვის რომ გეკითხათ, რატომ დაიბნენი, ან რატომ გაწითლდით, ნამდვილად ვერაფერს გიპასუხებდათ. არც ნომალი დიხამინჯიას, არც რომელიმე სხვა წყალბურთელს ნათია პირადად არ იცნობდა და არასოდეს მათთან არავითარი საქმე არ ჰქონია. გაწითლებით, ალბათ, უფრო იმიტომ გაწითლდა, რომ წელან დიხამინჯია შეაქო და ახლა იფიქრა, ეს ჩემი თანამესუფრენი იფიქრებენ, თითქოს იმ ახალგაზრდას ვიცნობდე და წელან შეგნებულად შევაქეო. დაკვირვებული და გულისხმიერი კაცი ამას ადვილად მიხვდებოდა. მაგრამ ნათიას სუფრაზე არც დაკვირვებული და არც გულისხმიერი არავინ იჯდა. ბესარიონიც, ბუღესკირიაც და, ასე გასინჯეთ, მუდამ მშვიდი და აუღელვებელი ჰირაქაძეც კი თვალებს ისე ბორბოტად აბრიალებდნენ, რომ იფიქრებდი, ამ დაბნეულ, სახეწითლებულ და წელში უმწეოდ მოხრილ ქალიშვილს ცოცხლად შეკამენო.

მანოველა მიხვდა, ამ ხალხს არც თუ დიდად ვასიამოვნეო, და სხამაოულეზლად გაიძურწა.

— ეს კი მართლა თავხედობაა! — თავი გამოიღო ანზორ კუპატაძემ.

— გვადროვე, შენი ჰირაქაძე! — გესლიანად მიუგო მას ბესარიონმა და ნათიას მიუბრუნდა. — თქვენ მაგათ იცნობთ?

— არა. — ნათიამ მხრები აიჩეჩა. წყალბურთელების საქციელი მას სულ 2. „მნათობი“. № 3.

უფრო და უფრო აღარ მოსწონდა. რა წესია უცნობი ქალიშვილებს მთელი საკითხის გაგზავნა?

— კმ!

ბესარიონ მაგრაქველიძემ იმდენი ცველარ მოახერხა, რომ ეს მოულოდნელი წყენა დაემალა. ოხრავდა, აქეთ-იქით იყურებოდა (ოღონდ არა წყალბურთელების მაგიდებისკენ) და დანაჩანგალს ხელში უაზროდ ატრიალებდა. არც იმდენი ვაქეაცობა ჰქონდა, რომ წყალბურთელებს მივარდნოდა და თავხედობისთვის პასუხი მოეთხოვა, და ველარც აწეწილ ნერვებს იმორჩილებდა.

პირველი კვანტი მირზა ჰირაქაძემ ბესარიონს სწორედ ასე გამოსდო:

— მე მგონია, მეგობრებო, ქალბატონი ნათია აქ არაფერ შეაშია, და ეს ამბავი არც აღელვებდა ღირს, ქალბატონ ნათიას მთელი თბილისი იცნობს, როგორც... ერთი სიტყვით. ეს ყველამ ვიცით. იმ ბიჭებმა მოისურვეს ქალბატონი ნათიასათვის და ჩვენთვისაც პატივი ეცათ. ასაღელვებელი ამბავი არაფერია. დღეს იმ ხალხის ზეიმი და ისინი თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. ან როგორ უნდა აუკრძალოთ?

— არა, კი, მესმის, რასაცევირველია... კი, კი, ნამდვილად, ა? — ბესარიონმა მოისაზრა, მირზა ჰირაქაძემ წყალი საკუთარ წისქვილს გადაუგდოო, და დაფაცურდა — დამშვიდდით, ქალბატონო ნათია. ისეთი მართლაც არაფერი მომხდარა.

— მე ძალიან მშვიდადა ვარ. — ნათიამ ისევ მხრები აიჩეჩა.

— რაზე შიროთვით, ძალიან ვთხოვთ.

ნათიამ ბესარიონი აღარ გააწმილა და მწვადის ნაჭერი გადაიღო.

თაზო ბუღესკირია მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისებურად თავჩაღუნული და შუბლზე ძარღვებდაბერილი იდგა. ახლა მისთვის სრულიად აშკარა შეიქნა ის, რაშიც აქამდე ეჭვი ეპარებოდა. მან ჰირაქაძის კვანტიც გამოიცნო და ბესარიონის დაფაცურებაც დაინახა. კეთილი და პატიოსანი! ესე იგი,

მირზა ჰირაქაძე გულში დარწმუნებული ყოფილა, ბესარიონი ტყუილად ჩაღიზობს და ნათია ბოლოს მე დამრჩებაო. კი ნამდვილად დარწმუნებულია, ჰოდა, იყოს. თვითონ თაზო ბუღესკირიას ნათია სულაც არ აინტერესებს და საერთოდ, საკუთარი უზნეო ღედის გადამკიდეს, მთელი საქალგოთი თვალთ დასანახავად სძულს, მაგრამ საინტერესოა, ან ჰირაქაძე, ან თვითონ ბესარიონი რატომ ერთხელაც არ იფიქრებენ, რომ, ბოლოსდაბოლოს, ძარღვებში თაზოსაც ვაქცაცის სისხლი უღუღს და... თუმცა არა! რა დროს ამაზე ფიქრია. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ისე კი, თუ სიმართლე გინდათ, თაზოს არც ის სჯერა, რომ ნათია ცოლად ბესარიონს გადაყვება, და არც ის, რომ თავის საწადელს მირზა ჰირაქაძე მიალწევს. ისე კი — ორივეს ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ბუღესკირიამ საესე ჰიქა აიღო და ნათიას საღღერძელო წამოიწყო:

— ქალბატონო ნათია, თქვენი საღღერძელო ჩვენ ბევრჯერ დაგვიღევია და სათქმელი არასოდეს შემოგვღევია. აი, ღღეს კი ახალი სათქმელი გავიჩინდა. ყველამ დავინახეთ, როგორ შემოგზარაინ თქვენ ის ამხანაგებიც კი, რომლებიც სხვა სუფრას უსხედან და თავიანთ გამარჯვებას ზეიმობენ. თქვენ ისინი ამ წუთებშიც კი ვერ გივიწყებენ. იცოცხლეთ და გავიმარჯოთ!

ბესარიონ მაგრაქველიძემ ახლა-ღა მოისაზრა, რომ მისი დაბნევაც და გაბრაზებაც უადგილო იყო. მისმა ამხანაგებმა სულ სხვა ტონი აიღეს. მიხვდა, რომ ისინი უკეთ — უფრო სულგრძელად და ვაქცაცურად იქცეოდნენ. მაგრამ ნათიას საღღერძელო მას ჯერ მოფიქრებული არ ჰქონდა და იძულებული გახდა, ჯერი ჰირაქაძისთვის დაეთმო.

— ქალბატონო ნათია! — მირზამ საესე ჰიქა დაღდა და ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო, — ეს წუთია, ჩვენ მოწამენი გავხდით იმისა, თუ თბილისელ ახალგაზრდობას როგორ ღრმად

აქვს ჩამარხული თავის გულში თქვენ-ღამი პატივისცემა და სიყვარული. დიახ, მე არ მეშინია ამ სიტყვების სწორედ თქვენი პატივისცემა და სიყვარული. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იმ მაგიდებს ახლა გამარჯვებული, მოზენიე ახალგაზრდები უსხედან. ისინი ახლა თავისი ბრძოლის, თავისი ვაქცაცური შემართების ნაყოფს იმკიან და, თითქოს, სხვის პატივსაცემად არც კი უნდა ეცალოთ. მაგრამ ისინი რაინდები აღმოჩნდნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ ქედი მოიხარეს თქვენს წინაშე, მომზობლავი ქართველი ქალიშვილის წინაშე. და რაღა თქმა უნდა, მით უფრო ბედნიერნი ვართ ჩვენ, აი, ეს თქვენი თანამესუფრენი იცოცხლეთ და გავიმარჯოთ!

„რა მოზერბებულად მღერის“ — გაიფიქრა ბესარიონმა და ამოიხვნეშა.

სიტყვის თქმა თენგიზ ჯაველიძემაც ისურვა:

— მე, რასაკვირველია, ორატორი არ გახლავართ. მე უბრალოდ მინდა შევესვა, როგორც აქ ამხანაგებმა ისურვეს, პირადად თქვენი საღღერძელო. ბევრჯერ დაგვიღევია და... ალბათ, ყველასთვის ეს საღღერძელო არის კარგი და მისასალმებელი. იცოცხლეთ!

ანზორ კუპატაძემ ჰიქა უხმოდ ასწია და ნათიას საღღერძელობა თვალებით უსურვა.

დაღდა ბესარიონის ჯერიც:

— მე ჩემო მეგობრებო... რაქვია... მე ასე ვიტყვოდი: მართლაც რომ ბედნიერია ის ერი, რომლის ვაჟიშვილებმა და ქალიშვილებმა იციან ერთმანეთის უსათუოდ სიყვარული და დაფასება. დიახ! რა დავინახეთ ახლა ჩვენ იმაში, რომ აქ ამხანაგებმა ეს ღვინო, ეს ხილი, ეს ერთი და მეორე, რასაკვირველია, მოგვიკითხესა და შენ ხარ ჩემი ბატონი... იის... საქმე აქ მოსაკითხში და ამისთანაობაში არ არის... არა! აქ ნამდვილად მთავარია ერთმანეთის, ამ შემთხვევაში ჩვენი ქალბატონი ნათიას უსათუოდ სიყვარული და პატივისცემა...

ღიას! იცოცხლეთ, ქალბატონო ნათია, და იღღეგრძელებით!

ინცინდენტი თითქოს ამით ამოიწურა და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. ნათიას, ცოტა არ იყოს, კიდევ შეეცოდნენ თანამეინახეები, რომელთაც ვიღაც წყალბურთელებმა რამდენიმე მეტად უსიამოვნო წუთი განაცდევინეს. მაგრამ ღმერთი, რჯული — თვითონ ნათია არაფერ შეუაში იყო.

ნათიამ თავისი საღღეგრძელოსთვის ყველას გულითადი მადლობა მოახსენა და ჭიჭიდან ცოტა ღვინოც კი მოსვა, რაც არასოდეს უქნია.

წყალბურთელების მაგიდებიდან კი გაუთავებელი, სულ უფრო და უფრო ხმამაღალი და უთავებოლო ხმაური, სიცილ-ხარხარი, შეძახილები და არეული სიმღერები ისმოდა. ძალიან ჰკავდა, რომ იქ მსხდომთაგანს ვინმეს აღარც ნათია ახსოვდა და აღარც მისი თანამესუფრენი. ბესარიონის ამქარს შეეძლო, მშვიდად გავგრძელებინა ქეიფი. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა თვითონ ნათიას, მაგრამ მალე გამოიჩვენა, რომ ნათია ცდებოდა.

* * *

სალამოს ათი საათი იქნებოდა, როცა წყალბურთელების მაგიდებიდან ხალხმა აღგომა დაიწყო. ფიზიკური აღარავის ეთქმოდა. ერთი ვიღაც ზონზროხა, პალსტუხმოღელილი კაცი მაჯაგანით გააქანეს საპირფარეოსკენ. ბესარიონსა და მის ამხანაგებზე წყალბურთელების სუფრის აშლა სულის სიღრმეში ძალიანაც უხაროდათ — უიმთოდ თავს ამ რესტორანში უფრო ხალვათად და თავისუფლად იგრძნობდნენ, მაგრამ მათ სურვილს ასრულება არ ეწერა.

თერთმეტ საათს აღარაფერი უკლდა, როცა ბესარიონის სუფრასთან ვიღაც შავკოსტუმიანი, მელოტი. დაბალშუბლიანი და ყბებგანიერი კაცი მიმარბაცდა. მელოტი უსაშველოდ მთვრალი იყო და ნახშირივით შავ თვალებს შესლილივით ქაჩავდა. ბესარიონმა და მისმა მეგობრებმა სიმთვრალეში გა-

კირვეულებული კაცის პორქულემა კარგად იცოდნენ და, აღბაძონ, მან დაბალშუბლიანი მელოტსაც მალე — მოსუნანსად — დანებდნენ გზას, მაგრამ იმავე წუთში გამოიჩვენა, რომ მელოტი მართო არ იყო. მის უკან რამდენიმე მშვიდად, თავაზიანად მომდიმარე წყალბურთელი მოდიოდა, რომელთა შორისაც თვალი მაშინვე გამოარჩევდა ახოვან. მხარბეჭიან და აშკარად გოლიათური ღონის პატრონს, მაგრამ ისევე მშვიდად და თავაზიანად მომდიმარე ნომალი ღიხამინჯიას.

— თბილისელი ახალგაზრდების შუშესსანიშნავ სუფრას ჩვენი უმდაბლესი სალამი! — მელოტი მაგიდასთან გაჩერდა და ორივე ხელს მკერდზე მიიღო. — ნება მომეცით, ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის და, უპირველეს ყოვლისა, წყალბურთის რრრესსპუბლიკური ფედერაციის სახელით მხურრავალედ მოგესალმოთ თქვენ, შესანიშნავ ქართველ ახალგაზრდებს და, უპირველეს ყოვლისა, უშუშესსანიშნავებს ქართველ გოგონას! — მელოტი წელში ორად მოიხარა და მარჯვენა ხელი რატომღაც იატაკამდე ჩაჰკიდა, ისე, როგორც ამას რუსული ხალხური ცეკვების შემსრულებელნი შვრებიან ზოლმე. — პირველ რიგში კი მოგესალმებით თქვენ, მშვენიერო ქალიშვილო, ვინაიდან ჩვენ, სპორტსმენებს, ჩვენი გამარჯვებები ყოველ ფრონტზე იმისთვის გვინდა, რომ მოგიძღვნათ თქვენ, ჩვენი მიწაწყლის დამამშვენებლებს!

ნომალი ღიხამინჯია ღიხარა — იგი მელოტზე მთელი თავით მაღალი იყო, — და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— ღიახხხ! — მელოტმა საჩვენებელი თითი მაღლა აიშვირა, — ღიახხხ! მესმის... და მე ახლა გთხოვთ მთელ კომპანიას, ქალბატონი ნათიას მეთაურობით, წამობრძანდეთ ჩვენთან და

ჩვენთან ერთად იდღესასწაულოთ სახელოვანი ქართველი წყალბურთელების გამარჯვება სსსკავშირო შეჯიბრებაში. და ნურაინ იფიქრებს, საზეიმო სუფრა აიშალოს. წავიდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც სმა არ შეუძლია ჩვენ კი, ნამდვილი ვაჟკაცები, დავრჩით. ჩვენ არ გვაინტერესებს რაღაც აქაური შინაგანაწესები. ჩვენ აქ ვიქნებით და ქალბატონ... ქალბატონ ნათიასთან ერთად სულით და გულით ვიზიემებთ სახელოვან გამარჯვებას თუნდაც... თუნდაც გათენებამდე! დი.ახხ!

მელოტი ნათიასთან მივიდა, თავაზიანად მოიხარა და მოხრილი მკლავი გაუწოდა. ბესარიონი და მისი ამხანაგები დაზაფრულნი და ვნახავარდნილნი ისხდნენ, მაგრამ მელოტის უკან მოჭარული მზენაკრავი, კოხტად ჩაცმული წყალბურთელები ისე მშვიდად, თავაზიანად, და ამავე დროს ისე თავდაჭერებულად ილიმებოდნენ, რომ საშველი აღარ იყო. ნათია ისევე წამოწითლდა სახეზე, მაგრამ ადგა და მელოტს ხელი გაუყარა. დიხამინჯიამ და მისმა ამხანაგებმა ბესარიონსა და მის ამხანაგებს ჭხმოდ, თავების თავაზიანი დახრით ანიშნეს, მობრძანდითო. ამათაც მეტი აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ნეფე-დედოფალივით წინ მიმავალ მელოტსა და ნათიას უკან დადევნებოდნენ. შემდეგ კი მშვიდად დაიძრნენ მზენაკრავი წყალბურთელებიც. ისინი ასე უდრტიკინველად ილიმებოდნენ და გზადაგზა ისეთი უნაკლო თავაზიანობით ექცეოდნენ ერთმანეთსაც და გარშემო მოფუსფუსე ხალხსაც, რომ იფიქრებდით, არც ერთ მათგანს ამ საღამოს ერთი წვეთი ღვინოც კი არ დაუღვევიაო. და ეს, ალბათ, მართლაც ასე იყო.

საბანკეტო მაგიდა უღმერთოდ არეულ-დარეული დახვდათ. სუფრის ბოლოში ოფიციატებმა სასწრაფოდ გააწყვეს სუფთა ჭურჭელი ახალი სტუმრებისათვის. დასაჯდომ ადგილებს კი ძებნა არ უნდოდა — სუფრას სულ

შვიდიოდე კაცი შემორჩენოდა. თამადის ადგილზე მელოტი კიტურტმანდა. რაღაც ვეებერთელა მძრავლის თასი დაითრია და მუქი ქარვისფერი „ტიბანით“ პირთამდე გაავსო. როცა ყველანი დალაგდნენ, მელოტმა ის ბროლის თასი ორივე ხელით ასწია და გულთან მიიტანა:

— ძვირფასო და... უძაძვირფასესო მეგობრებო! დღეს მთელი თბილისი ზეიმობს ჩვენი სახელოვან წყალბურთელების უმაგალითო გამარჯვებას. ამიტომ მოგიტეკონ ჩვენმა ახალმა მეგობრებმა, თუ ჩვენ მათი მყუდრო შინაურული, მე ვიტყვოდი, მათი ინტიმური დროსტარება დავარღვიეთ და ისინი ჩვენთან მოვიყვანეთ. ახლა ჩვენთან არის აგრეთვე შესანიშნავი ქართველი ქალიშვილი ნათია. მივესალმეთ მათ და გაუმარჯოს ჩვენს ერთობლივ დროსტარებას!

წყალბურთელებმა ჭიქები აიღეს, სტუმრებს თავები ღიმილით, ამხანაგურად დაუტრეს და ოდნავ მოსვეს. ჭიქა ბოლომდე არც ერთს არ დაუცლია. და საერთოდ ისე იქცეოდნენ, როგორც გაწვრთნილი, გამოცდილი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ყველა წესის ვარგად მცოდნე, მაგრამ რატომღაც ძვირფას კოსტუმებში გამოწყობილი და ჭრელი ჰალსტუხებით ყელდამშვენებელი ჯარისკაცები. და ისე მოხდა, რომ მათ ღვინო პატარა ჭიქებიდან უკვე მოსვეს და ჭიქები დადგეს, მელოტი კი ღვინოს ისევ იმ უშველებელი ბროლის ჭურჭელს ეძიძვილავებოდა. როცა, როგორც იქნა, ის ჭურჭელი დაცალა, დადგა, ამოიხვნეშა და მიიხედ-მოიხედა, ყველანი მას მისჩერებოდნენ და, ალბათ, უკვე მორიგ წადღეგრძელოს ელოდებოდნენ.

— ეეე... ეს რა გამოდის? წყალბურთის გუნდის გამარჯვება მარბრტო მე მიხარია? უკაცურავად! ნურას უკაცურავად! ნომალი, მე შენ გთხოვ...

აბა, აბა. ეგენი არ იყოს... ნომალი!

— ბატონო სიმონ... — დიხამინჯიამ

გაიღიმა და ხელი გოლიათურ მკერდზე მიიდო.

— არა! რევიმი ახლა მორჩა. რევიმი არა. ნომალი, ძალიან ვთხოვ!...

— ბატონო სიმონ... — დიხამინჯიამ დაღლილად ამოიხვნეშა. მას მართლაც ეტყობოდა, რომ ღვინის დაღვევა არ უნდოდა.

და აქ მოულოდნელი რამ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, მოულოდნელი ბესარიონისა და მისი ამხანაგებისათვის: მათ სუფრაზე ნათია ხომ არასოდეს წამომდგარა და სადღეგრძელო არ დაუღვევია; აქ კი წამოდგა, სავსე ჭიქა აიღო და სიმონს მოლოდინით მიაჩერდა. სიმონი უგონო მთვრალი იყო. მაგრამ ის მაინც მოისაზრა, სტუმარ ქალიშვილს რაღაცის თქმა უნდაო და ხელები აიჭნია:

— ყმაწვილებო, სიჩუმე! სიწყნარე! ლაპარაკობს... ეე... ლაპარაკობს ნათია! ნათია ისევ ოდნავ წამოწითლდა სახეზე, ზედა კბილები ქვედა ტუჩს და-

აკირა და უხერხული ღიმილის შეკავება სცადა. მერე აღელვებულად უხმით წარმოთქვა:

— არა, მე სიტყვას კი არ... ერთი სიტყვით, ბატონო მასპინძლებო, მართლაც სულთია და ვუღიოთ გილოცავთ დიდ გამარჯვებას. მუღამ... ასე გამარჯვებულნი გვენახოთ. და გმადლობთ! ახლა კი... დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ...

ნათიამ ჭიქა დადგა, სიმონს თავი ერთხელაც დაუჭნია და გამოტრიალდა.

სტუმრები წყალბურთელებმა ისეთივე ჯარისკაცური წესრიგის დაცვით გამოაცილეს რესტორნის კარებამდე. როცა ბესარიონმა თავისი დანახარჯის გადახდა დააპირა, დიხამინჯიამ მზარზე სელი მოხვია და ჩუმად უთხრა, უკვე გადახდილიაო. გარეთ წყალბურთელებს ხუთი თუ ექვსი ახალთახალი, კრიალა „ვოლგა“ უედიდა. წყალბურთელებმა სტუმრები ჩაისვეს, თავთავიანთ სახლებში ჩამოარაკეს და თავაზიანად დაემშვიდობნენ.

თ ა ვ ი XIII

ირინე და ჯიბრაილი ქუთაისში გათენებისას ჩავიდნენ. ტაქსი დაიქირავეს და პირდაპირ თავისიანებს მიაშურეს. ირინე ისე მხიარულად იყო, თითქოს ჯიბრაილს ატესტატი უკვე ჯიბეში სდებოდეს. შოფრის გვერდით მჯდომი გოგუტუნაც შეუსვენებლად ტიკტიკებდა, ანცობდა და კისკისებდა. და მართო ჯიბრაილი იჭდა წარბებშეკრული და ჩაფიქრებულ.

მანქანამ მარჯვნივ გადაუხვია და გრძელ, უსამველო აღმართს შეუდგა. ირინემ ყურადღებით ჩაახვდა ჯიბრაილს თვალებში და თბილი, რბილი ხელი ხელში ჩაუდო.

— რა დაგემართა, ჯიბრაილო? ეს დაბალი ხმით ნათქვამი არც შოფერს გაუგონია და არც გოგუტუნას.

— არაფერი.

— მოიხედე.

— არაფერი, ღმერთმანი!

— კარგი. — ირინემ იყუჩა. მერე შოფერს სწრაფი, ნაძალევი მზერა შეაელო და ჯიბრაილს ყურთან უხმოდ აეოცა.

მანქანამ აღმართი აათავა, ისევ მარჯვნივ მოუხვია, მოუკირწყლავ ქვებით სავსე გზაზე ასიოდე ნაბიჯი ილაცლაცა და თეთრი თლილი ქვით ნაგებ, ვეებერთელა ხეებში ჩაფლულ, ერთსართულიან სახლთან გაჩერდა. მრიცხველზე მანეთი და ჩვიდმეტეი კაპიკი ეწერა. ირინემ შოფერს სამმანეთიანი გადააწოდა და ჯიბრაილს ხელით ანიშნა, გადადი, ხურდა არ გინდაო. ერთა წუთის შემდეგ დარეჯან და ქაიხოსრო ქარცივაძეები გოგუტუნას ერთი მეო-

რეს ხელიდან გლეჯდნენ და კოცნით ახრჩობდნენ.

ნასაუზმევს ირინე და დარეჯანი ქურჭლის გასარეცხად და სადილისთვის თადარიგის დასაპერად გავიდნენ, ქაიხოსრო კი ტახტზე ჩამოჯდა და ჯიბრაილს, მამაშვილურად შეჰხვდა თვალეზში.

— შენ ეს რა გვიქვნი, სიძე-კაცო ჯიბრაილ, ა? ეს უმაღლესდამთავრებული ქალი მოგვტაცე და თვითონ ათწლედიც კი არ დაგიმთავრებია? ა-ჰა-ჰა-ჰა! კარგი, კაცო, კარგი... რა წარბი შეგიკრავს, აღამიანო! თვითონ მე რომელი პროფესორი მნახე? ვარ აგერ, ოჯახიც მაქვს და... რა ვიცე, მგონი კაცადაც ვითვლები. ამ კანონებს და ხალხის უფელმართობას რა ეუთხრა, თორემ შენისთანა ვაეკაცს რა ატესტატები და ქალაღები უნდა გკირდე-ბოდეს? არ ვარჯიხარ, ვერ მუშაობ, მუშებს ვერ უძღვები, ქვეყანა არ გიცნობს და არ გაფასებს, თუ რა? რატომ წინათ არ გვთხოვდნენ დოპლომებს და ატესტატებს? თორმეტი წლის ბიჭი ვიყავი, გელათის სატყეოში რომ მოვედი. იქ მაშინ უფროსად აბესალომ ყაჭვიშვილი იყო. მოვედი, ოთახში შესვლა ვერ გავებდე და აივანზე გავჩერდი. ვდგავარ ჩემთვის და ვარ. აბესალომმა საქმეები მოათავა, მომსვლელები გარისტუმრა და დამინახა. — შენ აქ რას უდგებარ, ბიჭო? ვისი ხარ? — მოვახსენე, ესა და ეს ვარ, თქვენთან პარმენ ჩავლენიშვილმა გამომგზავნა-მეთქი. — ოჰ, შენ ბრძანდები ის ვაეკაცი? კეთილი და პატიოსანი! ცხენზე ჯდომა იცი? — არა, ბატონო, ჯერ არ შემხვედრია. — არა უშავს, დიდი-დიდი, ძირს ვაღმობავადოს. შენც ადექი და ისევე შემოახტი. ჰო, დედაშენს უთხარი, ორი კადი და ერთი წველა ყველი გამოგატანოს, საგზალი დაგკირდება. ფეხშიშველაც არ მოხვიდე, რამე ჩაიცვი. და ხეალ დილას უთენია აქ იყავი. მოვედი, შენ ხარ ჩემი ბატონი უთენია, ცხელი კადი ილღის მწვავდა... ერთი რაღაც ბებერი ფაშატი გამომიყვანეს. შემსვეს

და ეს ერთიცილა ბიჭი ბაღდათის სატყეოში გამგზავნეს რაღაც ამბებისა და ქალაღების ჩამოსატანად. წავედი, შენ ხარ ჩემი ბატონი. ჩამოვიტანე და — მას აქეთ აი, ორმოცი წელიწადია, სატყეოში ვმუშაობ. როდესმე არც დიპლომი უთხოვია ვინმეს, არც ატესტატი და არც ახნოურშვილობის სიგელ-გუჯარი. მაგრამ ეგ არაფერია, ჩემო ჯიბრაილ! გული არ დაიღარდიანო. მე აქ ერთ ჰკვიან კაცს უკვე ველაპარაკე მაგ საქმეზე და დამპირდა ყველაფერს გაგაკეთებო. შე კაცო, ათწლეულის ატესტატს თითო ცილა ბაღენებს ურიგებენ, ჯერ დედის კალთას რომ არ მოშორებიან, და შენ დაგიკაცებენ? ეგ ერთი წუთითაც არ იფიქრო! ა? რა თქვი?

— იმ ბავშვებს დღე და ღამე წიგნი უჭირავთ ხელში, ბიძია ქაიხოსრო.

— მერე რა! შენც დაიკავე. თუ, მე შენ გეტყვი, სხვაზე ნაკლებად აითვისებ. სულაც თავი დაანებე იმ სამსახურს. აგერ ვიყოთ. ჯერ აიღე ის რაღაც ატესტატი თუ რაღაც დარღუბა. სამსახურს და ვაიუშველელებს მერეც მოესწრები.

„ირინეს არ შემოუთვლია, რომ თანამდებობიდან მომხსნეს. — ამ ფიქრმა უსიამოდ გაკენწლა ჯიბრაილი. — ვითომ, ასე სჯობია?“

— არაფერი იდარდო, ჯიბრაილ! ჯერ დაისვენე, ამ ქუთაისში გაიარ-გამოიარე, თვალს წყალი დააღვინე. რაღაც რაღაცა გასართობები იქაც მოიძებნება. დღეს კარგი სადილი ეკამოთ. სულ მომღერალ და მოცეკვავე გოგო-ბიჭებს დაგიპატიებებ. მაგ საქმეზე კი მერე, ხეალ და ზეგ ვილაპარაკოთ. შვებულეებაში ხომ ხარ?

— კი... შახტში განცხადება დავტოვე. — ჯიბრაილმა ქაიხოსროს მხერა არიდა.

— ჰოდა, შენ კარგად იყავი! ახლა როგორც გერჩიოს: გინდა წამოწეკი და თვალი მოატყუილე, რაც არ უნდა იყოს, წუხანდელი ნამგზავრი ხარ, არადა, გინდა ბაღში გავიაროთ. ხილი, ხე-

ებზე გვიღებდა, თქვე კაიამიშვილებო, ცოდვა-მადლი აღარა გაქვთ, ჩვენსკენ აღარ უნდა გამოიხედოთ?

— ბიძა ქაიხოსრო, წამოწოლა მირჩევნია.

— კი, ბატონო! სწორია. ი ბალი და ხეები არსად გაგვემცევა, აბა, წამოკოტრიალდი.

ცოდვა გატეხილი სჯობია, დარეჯან და ქაიხოსრო ქარცივაძეები ერთხელაც კი არ დაფიქრებულან იმაზე, რომ ოცდათხუთმეტს გადამცდარი ჯიბრაილისთვის შეტად ძნელი იყო თითისტოლა ბავშვებში გარევა და ატესტატის ასაღებად ჩალიჩი. და უფრო ძნელი, სრულიად შეუძლებელი — ამ ატესტატის უპატიოსნო გზებით ძიება. პატიოსან და ალაღმართალ ჯიბრაილს იმისი დაჯერებაც კი გაუქირდებოდა. რომ უპატიოსნო გზები, ქრთამი, კომბინაციები და სხვა ასეთები სწავლა-განათლების საქმეებშიც კრიდა. ხოლო თვითონ ჯიბრაილსაც რომ ამ გზებით უნდა ევლო? არა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

ქაიხოსრომ გოგუტუნა აიტაცა და ბაღში გავიდა, დარეჯანი და ირინე კი სამზარეულოში სადილს აკეთებდნენ. ირინემ საკუთარ თავს ერთხელაც შეჰფიცა, რაც არ უნდა მოხდეს, არასგზით არ წამომცდება, რომ ჯიბრაილს თანამდებობა წაართვისო, და დარეჯანს სიტყვა ქუთათურ ამბებზე ჩამოუგდო.

— ეჰ, ქუთაისში რა უნდა ხდებოდეს, შეილო... ვართ, ვკამთ წიწილა-ხაჭაპურებს და მეტი არაფერი. ღმერთმანი, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ნეტავი, ასე ყელამდე საგსე არ ვიყოთ და ლუკმაპური საძებარი გვექონდეს, იქნება, მაშინ უფრო ხალისიანად ვყოფილიყავით-თქვა. მაგრამ ეს გააგონე მამაშენს... ისე კი — რა გვიქირს... ვართ... ერთი იმედი-ღა მაქვს, გოგუტუნა სკოლაში წასასვლელი რომ შეიქნება, ჩვენ გამოგვიგზავნიან-მეთქი. ამას არ იზამ? იქ ასწავლი?

— უსათუოდ, უსათუოდ აქ გამოგვზავნი.

— ჰოდა, შენ გაიხარე! იმ თქვენი საქმის კი... იყო მამაშენი ერთ გოგონიან კაცთან, იმას შენც უნდა კიდევ მოიწერე. იყო პაპუკუნასთან, იყო. დაპირდა და დღეს სადილადაც მოველით. თუ მოინდომა, ქუთაისში ისეთი საქმე არაფერი იქნება, იმან რომ არ გააკეთოს. დიდი ღვთის პირისაგან ამოგდებული და შეჩვენებული კაცია. ქაიხოსროს მაინც დამაინც არც კი უყვარს, მაგრამ როცა გვექირდება, რას იზამ? ა, ამ წიწილებს იმისთვის ვებუტავ, ისრიმ-მაყვალში ჩადებული უყვარს. ხაჭაპურებს შენ დაუტრიალდი და — ასე... იქნება, თავი ათამდე კაცმაც მოიყაროს.

— ათამდე?! — რა ამბავია?

— რავე?

— ამდენ ხალხში... იმ საქმეზე ლაპარაკი?...

— რა უქირს? რავე, უქირს რამე?

— აჰ, აჰ! ჯიბრაილს არ ეამება. ან რა იმათი საქმეა?

— ჰოო! ჰოო! კი, კი... ეგ აღარ ვიფიქრე. კი ბატონო, სუფრაზე იმ საქმეს ნურც ვახსენებთ, ჩვენი ნება არ არის. მერე ქაიხოსრო პაპუკუნას დამართობელებს და...

— კი, კი... ეგრე აჯობებს.

— კი, შემოგველე! მაგ რა სადავიდარბოთა. აგრე აჯობებს და აგრე ექნათ, რა... აბა, შეხტენი ერთი ამ სკამზე და ის ხალამი ჩამოიღე, რაც კარგი სახაჭაპურე ყველი მაქვს, სულ მაგაშია და თქვენ გინახავდით. აბა, მამაშენს ყოველდღე ქეიფი და პარიარალო აქვს და... ამდენი კარგი ყველი ქვე სადაა... აბა, ჰე! ეიწიე, ეიწიე!...

ოთხი საათისათვის დარეჯანმა და ირინემ სანაჭებო სუფრა გაშალეს: ხაჭაპურებით და ჭადებიო, ვადახელილი ყველიო და ნაღულიო, ქათმის კუჭბაჭი და მყვლიანი წიწილებიო, საცივიო და ფხალუელიო... ქაიხოსრომ ქუთაისიდან ფერსათის ღვინო ამოიღო და ლომკაციას მოსაყვანად წავიდა. ბაღში მუზობელი ქალ-ვაჭანი ისხდნენ და გიტარას დაბალი ხმით აეღარუნებდნენ.

ერთიანად მოხუხნული გოგუტუნა მაყვლიან ქათამს ათაებდა და თან თვალი ბალისკენ, საამოდ მოლიღინე ახალგაზრდებისკენ ეჭირა. ირინე კმაყოფილი და მზიარული იყო. ოღონდ არ იქნა და ჯიბრაილმა წარბი არ გახსნა. უკანა ოთახში იჯდა და პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა.

ირინემ ხელები შეიწმინდა, მოლიღინე ახალგაზრდებს აივნიდან გაუღიმა, და ქმართან შევიდა.

— ჯიბრაილ, ასე მოღრუბლული უნდა იჯდე?

— არა, მე არაფერი მიშავს...

— რაღა არ გიშავს, შიშით ვეღარ დაგლაპარაკებიათ. ის ვაგო-ბიჭები მამაჩემმა შენ დაგიპატიეთ. ვადი, იმ ხალხს ერთი სიტყვა მაინც უთხარი...

— კი, კი, გავალ...

— მაინც, რა გაწუხებს?

— არაფერი.

— ჯიბრაილ!

— ამდენი ხალხი რა საჭირო იყო?

— რა? გიშლიან?

— მე რა უნდა დამიშალონ, მაგრამ...

— წესია, საპატივეცემულო სტუმარს მომღერლები და მომლხენები უნდა დაუბატიეო. იმ საქმეზე კი... მოიხედე: იმ საქმეზე მაგათთან სიტყვაც არავის წამოსდებდა. მე დედაჩემს უკვე მოველაპარაკე.

— მამაშენი სადღაა?

— ლომკაცია ბიძიას მოსაყვანად წავიდა.

— ლომკაცია? ეგ ვინღაა?

— ის... ვინც შენ საქმე უნდა გაგიკეთოს.

— საქმე როგორ უნდა გამიკეთოს?

— ეგ თვითონ იცის. კიდევ რა გინდა?

— ასეთი საჩუმათო რა გვჭირს?

— საჩუმათო არაფერი, მაგრამ...

აბა, გამოვდგეთ და ქვეყანას გავაგებინოთ, საშუალო ატესტატი გვჭირდება, აგვალებინეთო?

— ეჰ!

— დაწყნარდი.

— ხომ მაინც ყველა გაიგებს. ხომ

უნდა ვისწავლო. გამოცდები უნდა ჩაებარო?

გაქვინებულნი

— მოიცა, ნუ გეჩქარებთ დაწყნარდით და ვადი, იმ ახალგაზრდებს გაელაპარაკე. თან ვითომ ლიღინებენ და თან დაქვევებზე არიან. რაც მოვიდნენ, კაცი-შვილს მაგათთვის ხმა არ გაუცია. და თან ალბათ იმასაც ფიქრობენ, ეს კაცი ასე რატომ გვიბღვერსო.

— ეჰ! — ჯიბრაილი ამოხენწვთი წამოდგა და ბაღში გავიდა. ირინე მხოლოდ მაშინ შებრუნდა საშხარეულოში, როცა დაინახა, რომ ჯიბრაილმა ღიმილით რაღაც ჰკითხა ახალგაზრდებს და იმათაც ღიმილითვე უპასუხეს.

ექვსის ნახევარზე ჰიშკართან „ვოლგა“ მოსრიალდა და თითქმის იმავე წუთში ლომკაციას შეძახილიც მოისმა:

— ამას ვის ვხედავ? ამას ვის ვხედავ! დედა, დედა, ამისთანა კარგი გოგონა ნეტავი ვისია? ნეტავი, ეს გოგონა ახლა კისერზე ვის შეახტება და ვის აკოცებს? აბა, ვნახოთ! აბა, ვნახოთ!

ეს შეძახილები გოგუტუნასთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ გოგუტუნა ლომკაციას არ იცნობდა და ამიტომ მის კისერზე შეხტომა და ჩაკოცნა ფიქრად არ მოსვლია. ბავშვი ლეღვის ხის ძირში იდგა და მისკენ ხელგაშლით მიმავალ ბიძიას ფრიად გულგრილად მისჩერებოდა.

— ახლა მე ამას რა ვუყო? ახლა მე ამას რა ვუყო? ასევე შეეხარამუნო. თუ საქმაზი რამე შევყაოლო. აბა, ერთი ნიგოზი მომიტანეთ. ნიგოზიანად უფრო გემრიელი იქნება. — ლომკაცია ამ სიტყვებით მიუახლოვდა ბავშვს, აიტაცა და სახე დაუკოცნა. მაგრამ მაინცდამაინც ბევრი არ უკოცნია. მალე ჩამოსვა და ბალისკენ მიბრუნდა, — ის სად არის, ჩვენი სიძე-კაცი? ერთი დამანახეთ! ოჰ, აგერ არ ყოფილხარ! გამარჯობა, ჯიბრაილ ჩემო, გამარჯობა! როგორ გიკითხო? კარგად გამოიყურები, ლმერთმანი! რაო. ახალგაზრდობის შეცდომები ახლა უნდა გამოვესწოროთ? შეიძლება, რატომაც არა... ადა-

მიანმა თუ მოინდომა, ყველაფერი შეუძლია.

ამის გამგონე ირინეს ლოყები შეეფაკლა. დარეჯანსაც თვალები გაუფართოვდა და ლოყაზე ხელი ჩამოისვა, მაგრამ-რალა დროს? ქარხალივით გაწითლებული ჯიბრაილი მიწას დასჩერებოდა და ლომკაცის ყბედობას ისე ისმენდა. დარეჯანი ოთახში შევარდა და ქაიხოსროს ეცა:

— ვერ გააფრთხილე, ადამიანო?

— ვინ?!

— ვინ და ეგ ოხერი!

— რაზე უნდა გამეფრთხილებინა?! — ქაიხოსროს ვერაფერი გაეგო.

— აბა, მთელ ქვეყანას უნდა გააგებინოს ჩვენი ვასაჰირი?

— ჰოო... მერე, ვერ მითხარით?

— შენ თვითონ ვერაფერი უნდა მოისაზრო?

— კარგი, მადროვეთ.

„ახალგაზრდობის შეცდომების“ გაგონებაზე მომღერალმა ქალ-ვაეებმა ყურები კეციტეს. მაგრამ რაკი ლომკაცამ ამ შეცდომებზე მეტი არაფერი თქვა, მაშინვე გადაივიწყეს. ქაიხოსრომ მოახერხა, მაგიდასთან დაჯდომამდე ლომკაცია დაიმარტოხელა და თხოვა, თუ ხატრი გაქვს, იმ საქმეზე სუფრასთან ნუ ილაპარაკებო.

— რატომ?

— არ სიამოვნებს. ეუხერხულება.

— ჰო... თქვენი ნებაა.

თამაღობა თვითონ ქაიხოსრომ იკისრა. იგი გამოცდილი, ენაწყლიანი და სულგრძელი თამადა იყო. ამ დღეს განსაკუთრებით ცდილობდა. მოწვეული ახალგაზრდები მშვენივრად მღეროდნენ. ლომკაცია გემრიელ საჭმელებს ეტანებოდა და თან გაუთავებლივ იმეორებდა, ეს რა მიქენით, ამ ანგელოზივით ბავშვთან ასე ხელკარიელი როგორ მომიყვანეთო... მაგრამ ჯიბრაილის გამზიარულებას არ იქნა და საშველი არ დაადგა. ცდილობდა, ღვინოსაც ეტანებოდა, მაგრამ გამზიარულების ნაცვლად უგუნებობა სულ უფრო და უფრო ეძალებოდა. ბოლოსდაბოლოს,

ეს ყველამ შეამჩნია. და მოპატიებელი ახალგაზრდები უფრო ადრე აიშალნენ, ვიდრე ეს ქაიხოსროს ჰქონდა ნაეარაუდევი.

— მომღერლები გავკეცენ? — ლომკაცამ საცივიანი თითები ჯერ გაილოკა და მერე ხელსაცოთ შეიწმინდა, — ეგ მე ხომ არ დამბრალდება?

— როგორ გეკადრება, ლომკაცია!

— არა, წელან მგონი ცოტა ზედმეტი წამომცდა. მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, არ გაგიფრთხილებივართ. ისე კი, ამისთანა საქმეში საიდუმლოების თამაში და ამისთანობა ნამდვილად არ გამოდგება. ვის ან სადამდე უნდა ემალო? ასე არ არის, ჯიბრაილ?

— მართალი ბრძანებაა. — ჯიბრაილმა ამის თქმა-ლა მოახერხა.

— კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო... მაგრამ ჭირი და ამისთანობა იქით იყოს. თქვენ ისეთი არაფერი დაგმართათ და არც დაგმართებთ. ოღონდ...!

„ოღონდო“ — ამ სიტყვის გაგონებაზე ირინე დაჯდა, ნიკაპი მუშტს დააყრდნო და ლომკაცის მოლოდინით მიაჩერდა.

— არ დაგიმალავთ, ჩემო ძვირფასებო და საყვარლებო, ცოტა საეგგზიო და იმნიერი საქმეა. აგერ, პირდაპირ და გულახდილად ვილაპარაკოთ. ჩვენი-თანა ხალხმა თუ ერთმანეთს არ გაუკეთა და ერთმანეთს მხარში არ ამოვუდევით, სხვა ვინ დაგვეხმარება?... უი, ამას ვის ვხედავ, ამას ვის ვხედავ ასე კარგსა და ასე გულის გამხარებელს! — ლომკაცის ეს ბოლო სიტყვები ოთახში შემოვარდნილ გოგუტუნასთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ ბავშვმა ლომკაცის ყურადღება არც ახლა მიაქცია. არა, შეხედვით კი შეხედა და მზერა აღარც მოუშორებია; მაგრამ თვითონ დედასთან მიიბრინა. კალთაზე აუფორთხდა და თავი მკერდზე მიადო. ირინემ გოგუტუნას რაღაც ჩასჩურჩულა, ლოყაზე აკოცა და ხელი თავზე დაადო.

— არ გინდია, ხომ? ბიძია ლომ-

კაცისთან არ მოდიხარ, ხომ? კარგი! ბიძია ლომკაცია რომ კაი-კაი კაკებს მოგიტანს და შენ რომ შეგრცხვება, რატომ აქამდე არ ველაპარაკებოდიო, მაშინ? აი, დამაცადე, რაფარი კარგი კაკები მოგიტანო. დამაცადე! ჰო! ახლა ასე... ერთი სიტყვით, ველაპარაკოთ და... მე ყარამანს კი გადავუყარი სიტყვა იმ დღეს, მაგრამ როცა ჩამეძია, ვინ, და რატომ, და რანაირადო, აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა და გავჩუმდი. ვინ იცის, იმ ღვთისნიერმა აღამიანმა რა იფიქრა. მაგრამ ეს არაფერია, მე და ყარამანი ერთმანეთს. მე მგონია, არ ავეშლებით... გუშინ და გუშინწინ არ ვიცნობთ ერთმანეთს. ჰო! აბა? — ლომკაცია სავარძელზე ნებიერად გადაწვა, გულხელი დაიკრიათა — ისეთი თეთრი, ფაფუკი მოვლილი ხელები ჰქონდა, რომ იფიქრებდით, ამ აღამიანს თავისი ხელების მოვლის მეტი ამ ქვეყნად არაფერი საქმე აქვსო, — და თვალები სანახევროდ დახუჭა: ვისმენ, ჩემო ჯიბრაილ. ქაიხოსროს დღეს მართლა საქეფოდ და დროსატარებლად ხომ არ დავუძახებოდათ. დღეს საქმეზე შეგვეყარა. ქეიფი და დროსატარება მერე იქნება. აბა!

მაგრამ ჯიბრაილი დაბნეული და ნირწამხდარი იჯდა და არ იცოდა, ლაპარაკი საიდან დაეწყო. ქაიხოსროს და დარეჯანი გვერდზე იდგნენ, და, როგორც ეტყობოდათ, ლაპარაკში ჩარევას, ჯერჯერობით მაინც, არ აპირებდნენ. ამიტომ ისევ ირინემ წამოიწყო.

— ჯიბრაილს, აგერ, ლომკაცია ბიძია... ატესტატის აღება უნდა.

— ეგ ვიცი, მაგრამ... ატესტატი ბევრნაირია.

— ათწლეულის ატესტატის.

— აბა! ახლა ვასაგებია. ესე იგი, ჯიბრაილს ათწლეულის ატესტატის აღება უნდა. მერე, ჩემო ძვირფასებო?

— მერე და... — ირინე შეცბა და გოგუტუნა ძირს ჩამოსვა. — თქვენ თუ დაგვეხმარებით...

ამის გაგონებაზე ჯიბრაილი ისევ უღმერთოდ გაწითლდა. სახე შეუთოფ-

ლიანდა კიდევ. მაგრამ რას იზამდა. ოთახიდან ხომ არ გაიქცეოდა. პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, მაგრაღ მოჭაჩა და უხერხული, დაბნეული ლიმილის დამალვას შეეცადა.

— კი, მაგრამ... მე რა შემძლია — ლომკაციამ ეს ისეთი გულგრილი და გულუბრყვილო კილოთი იკითხა, რომ იფიქრებდით, ამ საქმეზე პირველად ელაპარაკებიან და საერთოდ ასეთი რამ პირველად ესმისო.

— თქვენ... რა ვიცი... — ახლა ირინეს გაწითლების ჯერი დადგა, მანაც უხერხულობა იგრძნო. სწრაფად დაიხარა და გოგუტუნას რაღაც ჩასჩურჩულა, მაგრამ ბავშვმა თავი ჯიუტად გადააქნია და დედას ისევ კალთაზე ააფორთხდა. ირინემ ბავშვს ხელი თავზე დაადო, და ლომკაციას კითხვითა და რაღაცნაირი გაუბედავი მოლოდინით მიაჩერდა.

— ჩემო კარგებო და ძვირფასებო, ჩვენ რომ ახლა ერთმანეთს არაფერი ვკითხოთ და ყველაფერს დავეპირდეთ, ივარგებს? არ ივარგებს. ასე ერთმანეთის მტრები იქცევიან, მოყვრები კი არა. მოყვარეს სხვანაირი საქციელი შეეფერება. ოღონდ მანამდე ერთი სათხოვარი მაქვს: ჯიბრაილ, ჩემო კარგო და ჩემო საყვარელო, თუ ჩემო იოტისოდენა ხათრი მაინც გაქვს, ჩემთან პაპიროსს ნუ მოწევ. აი, ქაიხოსრო აგერ არის, ამ ხნის კაცი ვარ და ჩემთან ჯერ პაპიროსი არავის მოუწევია. ოღონდ არ მიწყინო კი! თუ საწყენად დაგრჩება, მაშინ... ა? გეწყინება?

— როგორ გეკადრებათ — ჯიბრაილმა პაპიროსის სასწრაფოდ ჩააქრო საფერფლეში და მიიხედ-მოიხედა: ფანჯარას ეძებდა, მაგრამ დარეჯანმა დაასწრო: წამოდგა და გვერდითი ფანჯარა ბოლომდე გამოიღო.

— არ უყვარს, ლომკაციას პაპიროსი ნამდვილად არ უყვარს: — დაუყოვნებლივ დაუდასტურა ქაიხოსრომაც.

— ეს არაფერი, ეს არაფერი... ლომკაციამ თეთრი, ფაფუკი ხელი აიქნია და ბოლი მოიშორა. — მერე, ჩემო

კარგო? — და ისევ ჯიბრაილს მიაჩერდა.

ჯიბრაილი ოფლში გახვიათქული იქდა. ლომკაცისა მზერა აარიდა და მზრები ისევ ხმამოუღებლად აიჩეხა.

კარგა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ქაიხოსროს და დარეჯანს უკვე სული უწუხდათ და საცა იყო, ჩაერეოდნენ, მაგრამ მათ რა უნდა ეთქვათ? მათ ამ წუთებში მოისაზრეს, რომ ხეირიანად არც კი იცოდნენ, ჯიბრაილს რა ცოდნა ჰქონდა, რა აკლდა და რას ეძიებდა.

— მამამ მომწერა, ლომკაცია ბიძიას უკვე ველაპარაკეო. — ირინემ ლომკაცის პირდაპირ თვალებში შეჰხედა. ქაიხოსრო და დარეჯანი მაშინვე მიხედნენ, რომ თუ ლომკაცია ამას იქით თავისებურ იკლიკანტობას გააგრძელებდა, ირინე მას მოურიდებლად გამოლანძღავდა და ოთახიდან გავარდებოდა. არადა, ამ მელაკედამ მართლაც რა გააპირა საქმე? ვითომ ამისთანა საქმეს პირველად აკეთებდეს.

— შენ თვითონ უთხარი, ჯიბრაილ — უთხრა ქაიხოსრომ.

— ჰო, მითხარი, ადამიანო! თუ მენდობი, მითხარი და... არ მენდობი, მაშინ... ა?

— მე სულ რვა კლასის ცოდნა მაქვს. — ჯიბრაილს ამის თქმას სიკვდილი ერჩივნა.

— ჰმ! რვა კლასის... — ლომკაციამ ჯიბრაილს თვალებში შეჰხედა და ღრმავაროვნად ჩაფიქრდა. — ჰმ!

ქაიხოსრომ და დარეჯანმა ერთმანეთს გადახედეს. ეჰ! რაღა დასამალია, იყო დრო, როცა მათ თავიანთი სიძე ინეინერი თუ არა, ტექნიკოსი მაინც ეგონათ. კი არა, ამაზე არც კი დაფიქრებულან, მაგრამ... ახლა რაღა დროის ამაზე ლაპარაკია?

— ჰმ! — ლომკაციამ ბელი ორკეც დაბაბზე მოისვა. — რვა კლასის... რომ გითხრა, ჩემო, მაინცდამაინც ბევრი ეგ არ არის. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც ისე ცოტაა. ა? რამე ვახსოვს?

— ძალიან ცოტა. — ჯიბრაილს დიდი

ბედნიერება არც ამ სიტყვების წარმოთქმისას უგრძენია.

— გასაგებია, რა თქმს უნდა... არა, ეგ არაფერი, რვა კლასის ცოდნა სახუმარო საქმე არ არის, კი, სამსახური გაქვს?

— კი, ბატონო. — ამ კითხვაზე ჯიბრაილის მაგიერ ირინემ უპასუხა.

— ო, ეგეც კარგია. ძალიან კარგი. ა?

— ჩემო ლომკაცია! — ქაიხოსრომ გადაწყვიტა, ახლა კი დროა, რომ ჩავერიოო. — რაღა დაგიმალოთ და ამ საქმეში შენა ხარ ჩვენი ერთადერთი იმედი. უწინდელ დროში, მოგხსენება, ამისთანა ქალაქებს ყურადღებასაც არ ვაქცევდით, მაგრამ ახლა... აგეო, მთელი ჩვენი ოჯახი გთხოვს, გაგვიწიე შემწეობა. ამ პატივისცემას, რა ვიცი, ღმერთი ისე როგორ გაგვიწყობდა...

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! რა პატივისცემაზე მელაპარაკებ? მე რომ შენთან მოვიდე და ერთი ძირი ხე მოგთხოვო, რა, სამაგიერო პატივისცემას მომთხოვ? ჰოდა აბა, მე რა შენზე ნაკლები ვაქვაცი მნახე? აღარ გამაგონო! მაგრამ... ისა... რომ გკითხავენ. ჩემო ჯიბრაილ, ამ მოწიფულ ვაქვაცს ათწლედის ატესტატი რაღა ახლა გაგახსენდაო, ამაზე რა ვუპასუხოთ?

არა, რაც გინდათ, თქვით და-მაინც ძალიან ბოროტი კაცი იყო ეს ლომკაცია ჯიზიაშვილი. აი, ხომ ხედავდა, რომ ჯიბრაილი უხერხულ მღგომარეობაში იყო და დანა კრიჭას არ უხსნიდა, რაღა სულ იმას ეკითხებოდა ყველაფერს? რომ ამოიჩემა, ამოიჩემა და ამოიჩემა! ჩემო ჯიბრაილ და ჩემო ჯიბრაილ, თითქოს ოთახში სხვა ადარაინ იყო. ირინე თავს უკვე ძლივს იკავებდა, სადაც იყო, ლომკაცის დაუყვირებდა, ჯიბრაილს მოეშვი და რაც გინდა, მე მკითხეო. ირინეს ირიბი თვალეზი უკვე რისხვითა და მძულვარებით უელავდა. ქაიხოსრომ ესეც შეამჩნია და ისევ სასწრაფოდ ჩაერია:

— კანონით მაგისი კითხვის უფლება არავისა აქვს. ჩვენში სწავლა სავალდებულოც კია.

— ეეჰ, ქაიხოსრო! კანონი?.. თუ კანონები გინდა, შემოიტანეთ, რასაკვირველია, განცხადება, დავნომრავთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მივცემთ მსკლელობას, და ადგეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ჩვენი ჯიბრაილი და, რომელსკოლაზეც მიამაგრებენ, ჩააბაროს იქ გამოცდები. გინდა ასე?

— არა, ასე ქაიხოსროს არ უნდოდა. ამიტომ სასწრაფოდ დაიხარა და ლომკაციას მუხლზე ხელი მოუთათუნა, აქაოდა, თი ჰო-ჰო-ჰო, რა ეჭვიანი კაცი ბრძანდები, შენა ხარ, რაცა ხარო.

ჯიბრაილი წარბშეკრული იჯდა.

— კარგი, ჩემო ბატონო! დამავალეთ, ცოტა ძნელი საქმეა. ეს წოდანაც გითხარით და ახლაც გეუბნებით არა, კი არ გამადლით, ღმერთო მომკალი, მაგრამ, თუ ყარამანი დავითანხმე, ამ საქმეში მაინც იმდენი უკანონობის გაკეთება მოგვიწევს, რომ... რა ვიცი... ეს მითხარი, ჩემო ჯიბრაილ, იმ სოფელში, სადაც შენ რვაწლელი დაამთავრე, ათწლელი არის?

— ახლა არის.

— ჰოო! ჰოოდა, კანონით შენ ატესტატი იმავე სკოლაში უნდა აიღო. გინდა? გაწყობს? შეიძლება, არც კი გაწყობდეს, კაცნი ვართ და სხვაც ერთი სიტყვით, ჩემო კარგებო და საყვარლებო, ბევრი ამისთანა მაგრამ — ენახოთ. ჭერჭერობით არც უარს გეუბნებით და არც დასტურს. ბინისტრი მე არა ვარ. თქვენ ყოველი შემთხვევისათვის მაინც საბუთები გააწზადეთ, მომიტანეთ და... ენახოთ ყარამანს მაშინ მოველაპარაკებო. ახლა შენ, შენ! ლომკაციამ გოგუტუნას თითი დაუჭნია. — გოგო, ასე უნდა გამიშვა? ლომკაცია. ბიძიას არ უნდა დაელაპარაკო? ბერკაცს არ უნდა მოესიყვარულო? მაყალე მე შენ!.. აბა, მაყალე!..

ამის შემდეგ ლომკაციამ თითქოს წასვლა დააპირა. მაგრამ დარეჯანმა და ქაიხოსრომ იცოდნენ, რომ მას ტყბილი ჩაი, მურაბები და ნამცხვრები უყვარდა, ეს ყველაფერი მომარაგებული ჰქონდათ. ლომკაციამაც ბევრი

არ ახვეწნიხა. ჩაიზე იმდენი მაინც მოახერხა, რომ გოგუტუნა მუხლებზე დაისვა და მიუალერსა. ჯიბრაილსმ დაძირინეს კი ვრცელი, მამაშვილური ნოტაცია წაუეთხა:

— სიყვარულზე აგებულ ოჯახსა და ურთიერთ სიყვარულზე დაფუძნებულ ოჯახს რაღა სჯობია, ჩემო კარგებო და ჩემო ძვირფასებო! მაგრამ ცხოვრება ყოველთვის გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მართო გრძნობებს ავყვეთა და სხვა აღარაფერი ვეძიოთ? არა, ცხოვრება ამის საშუალებას ყოველთვის არ გვაძლევს. თქვენი შეერთება მე კარგად მახსოვსა და, დასამალავი რა არის — ჩვენი ჯიბრაილი პირველი დანახვისთანავე მომეწონა, მაგრამ, ჩემო ჯიბრაილ, აბა, დავუკვირდეთ ერთი, ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენ იმისათვის, რომ ჩვენცა და ჩვენი ცოლ-შვილიც, ყველა ჩვენი მოკეთე, ყველა გულშემატიკივარი და კეთილისმსურველი მუდამ მოსვენებული და გაუჭირვებელი, მუდამ ბედნიერი ყოფილიყო? არა, შეიძლება. ზოგი რამე გასაკეთებელი დაგვჩა და სანამ იმ ზოგ რამესაც არ გავაკეთებთ, არ უნდა მოვისვენოთ, უნდა ვიბრძოლოთა და უნდა ერთი და მეორე... აბა! ცხოვრება გამძნელებულია, რაც არ უნდა კარგი ვაყვაცი და საქმის მცოდნე იყო, შენ იქნები, ჩემო ჯიბრაილ, თუ სხვა იქნება, რა დამსახურებაც არ უნდა მიგიძლოდეს. გამოგიბტება ვიღაცა ოხერი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვიღაცა მუდრეგი და ყველაფერს წყალში გადაგიყრის. აბა! რატომ? რატომ და ფორმალური ნიშნების მიხედვით. ახლა შენ ძალიან ჰკვიანურად იქცევი, ჩემო შვილო და ძმო, რომ ატესტატის აღებას ცდილობ. ვიცი შახტზე დიდი სახელი და დამსახურება გაქვს. მაგრამ ხვალ გამოგიბტება ვიღაცა, გოშარებს, გიზლადორთებს და... არა, მე იმას კი არ ვამბობ, წაგაქცევენ და მოგერევიანმეთკი... მაგრამ ცხოვრება თუ გაგიმწარეს, თუ ყოველდღე იმისი ფიჭრი გექნება, აბა, ახლა რომელი მხრიდან

მიკვანტებენო, ასეთ ცხოვრებას რაღა აზრი აქვს? ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიგიღიათ, შენცა და ამ ჩემს ირინესაც და ჩვენ, ეს უფროსი თაობის ხალხი, მოვალე ვართ. ყველაფერში გითანაგრძნოთ. და გითანაგრძნობთ კიდევ. აბა!...

თორმეტ საათს აღარაფერი უკლდა, ლომკაცია რომ გააცილეს.

ირინე ხედავდა, მისი ქმარი ვახშამზე რა უგუნებოდ იჯდა. დანა კრიჭას არ უხნიდა. მაგრამ მადლობა ღმერთს, ახლი ყველაფერი მოწესრიგდა. ამ საქმეს თვითონ ლომკაცია ბიძიამ მოჰკიდა ხელი. რადიკალირი დახლართული კაცია, მაგრამ გაუყეთებელი არაფერი რჩება. ჯიბრაილმა დღეს დიდი დამცირება გადაიტანა, რაც მართალია, მართალია, მაგრამ რას იზამ? სხვა ვხა არ იყო. სამაგიეროდ ახლა ჯიბრაილი ირინესთან მოვა, თავისებურად ხელს ხელზე რბილად დაადებს, ირინეც შეეგებება და... ღმერთო, ირინეს პატარა ოჯახს სხვა სადარდებელს ნულარ გაუჩენ.

მაგრამ გვერდითა ჩაბნელებულ ოთახიდან კიდევ დიდხანს მოჩანდა პაპიროსის ცეცხლი და თამბაქოს ბოლის სუნი შემოდოდა. იფიჭრებდით, ჯიბრაილს დამინების წინ მთელი კოლოფი სიგარეტების მოწვევა გადაუწყვეტიაო. ერთი სიგარეტი რომ გაათავა, ასანთი გაპკრა და მეორეს მოუკიდა. ირინე დიდხანს და ამაოდ ელოდა თავის ქმარს. მერე ნამგზავრსა და დაღლილს მაგრად ჩაეძინა და ჯიბრაილის დაწოლა აღარც კი გაუფიქრა.

• • •

ლომკაცია ჯიშიაშვილს არასოდეს ქრთამი არ აუღია და პატიოსანი, მო-

უსყიდველი კაცის სახელს თვალისჩინივით, პირდაპირ ისტერულად უფრთხილდებოდა. მაგრამ, ამავე დროს, მეტად მოხერხებულად სარგებლობდა იმით, რომ უამრავ ხალხს იცნობდა, ხოლო მის ნაცნობებს შორის ბევრი ისეთიც ერია, რომელთაც მთლად უცოდველი ხალხის რეპუტაცია კარგადიდი ხნის წინათ დაჰკარგეს. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ლომკაციას მაინც ადამიანც არ მოსწონდა — ამაყი, დაურიდალი და უხეში ჩანსო. მაგრამ ლომკაციას რატომ არ უნდა ესამოვნებინა ერთი მხრივ ქაიხოსროს და დარეჯანისთვის, ხოლო მეორე მხრივ იმისათვის, ვინც ამ საქმეში ხელს მოითბობდა? ამიტომ, როგორც კი დრო იხელთა, განათლების განყოფილებაში მოსამსახურე ერთ ფრიად გავლენიან პიროვნებას, ყარამან ნემსიწვერიძეს მწუხარე კილოთი შესჩივლა, ერთი სოფლელი ნათესავი მყავს, თავში არაფერი უყრია და ათწლეულის ატესტატის ალება კი უნდა, პირდაპირ არ ვიცი, რა მოეუხერხო.

— რამდენი წლისაა? — სქელულვაშებიან ყარამანს ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა.

— ჩემი ანგარიშით, ოცდაათს კარგი ხნის წინათ გადააბიჯა.

— ათწლეულის ატესტატი ახლა რაღამ გაახსენა?

— სამუშაოზე უნდა თხოვდნენ. შემოსავლიან ადგილზე მუშაობს.

— ჰჰ..

— იქნება, ხელი წაუკრა, ყარამან ჩემო! მადლია.

— ვნახოთ.

თბილისი უნივერსიტეტი

გზივარ იარა, იარა ჩვენი...

ამ ღირსსახსოვარ თებერვლის დღეებს,
 პარტიის დიდი ყრილობის დღეებს,
 მომავლის გზებზე დანთებულ მზეებს,
 ახალ სივრცეებს და სიმაღლეებს,
 უმაღლეს შუქს და ჭეშმარიტებას,
 უკვდავ სათავეს სიცოცხლის რწმენის
 ვუთხრათ მადლობა,
 ვუთხრათ დიდება
 და ერთგულება შევფიცოთ ჩვენი.
 მაშ გაუმარჯოს ჩვენს თავდადებას,
 ხმათა ახალთა აგუგუნებას,
 კომუნიზმისკენ ხიდის გადებას,
 პარტიისადმი ჩვენს ერთგულებას!
 ეს ერთგულება, პირველ ყოვლისა,
 გზაა საკუთარ თავის პოვნისა,
 საკუთარ თავის ერთგულებაა,
 საკუთარ ხალხის ერთგულებაა,
 საკუთარ კერის, ქალაქის, სოფლის,
 საკუთარ ქვეყნის — უმაღლეს მშობლის
 ერთგულებაა პირველყოვლისა!
 ერთგულებაა მთელი მსოფლიოს
 ყველა ეპოქის
 ყველა მართალი
 კაცის,
 აზრის

და საქმის წინაშე!..

მივყვეთ პარტიის ძახილს მშობლიურს, —
 გამარჯვებისკენ გვიძღვის სარდალი.
 ყველა საქმეში გამოგვიბრწყინდეს
 წამით ფიქრშიაც შეუბღალავი
 ჩვენი სინდისი.
 ჩვენი სიწმინდე

ჩვენი ხელი და გული ალალი.
 საშვილთაშვილო საქმენი ჩვენი
 ვერ ჩაუტეოს სიფრცემიც, დროშიც...
 მტკიცედ იარე,
 ამხანაგო,
 იარე რწმენით
 მარქსის,
 ენგელსის,
 ლენინის
 დროშით!
 ვემსგავსოთ ოში გასულ მეომრებს,
 ვწერდეთ სიცოცხლის წარუშლელ ბეჭდებს!
 ხუთი ხუთწლედიც და ჩვენ მეორე
 ათასწლეულის შევადებთ კარებს.
 იმ დღეთა შუქი უკვე ბრძღვიალებს
 ჩვენს სამშობლოში — მზის სამკვიდროში...
 იარე რწმენით,
 ჩემო ხალხო,
 მტკიცედ იარე
 მარქსის,
 ენგელსის,
 ლენინის
 დროშით!

რუსთაველი ნია-გრუზინსკაიაში

ნია-გრუზინსკაიას პირველ ქუჩას
 შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა

როცა ტაიგის უბეს აება
 ნია-გრუზინსკაიას ქუჩა პირველი,
 შუქად მივიდა თვით უკვდავება
 სულთა შემძვრელი,
 გულთამზილველი
 და იხილა რა დანამდვილებით
 მკლავმოუღლეღნი, საროსტანები

ტარიელები, ავთანდილები,
 თინათინები და ნესტანები;
 თქვა:
 დევგმირები ამ უკვდავ დღეთა
 მამულს უფრორე დამიმშვენიებენ!
 ...ტაიგის ქართულ ქალაქში ვხედავ
 შოთა რუსთაველს — ბამის მშენებელს.

ბარათი ბაგელებს

მტრედისფერ ნისლში სძინავთ ტაიგებს,
 გათანგულთ ყინვის არტახებითა...
 მწვანე ტოტების ტკაცუნს გაიგებთ
 ფიჭვების თეთრი წარდასებიდან;

ფეხქვეშ ყინულის სარკეს გაიგებთ,
 ჯაფშნად რომ აკრავს ქაობს და ქვიშნარს,
 წაიღებთ გულს თუ კოცონს წაიღებთ
 და თქვენც ფეხდაფეხ აპყვებით რიჟრაჟს.

აქ კი ჯერ ისევ სძინავთ ბედურებს,
 ნებვირობს ჩემი შვილიც ლოვინში,
 და მე ვკითხვობ თქვენს ნაფეხურებს
 თქვენგან წამოსულ დილის ლოვინში.
 ტოტთა ტკაცუნის ხმასაც გავიგებ
 ფიჭვების თეთრი ჩარდახებიდან,
 მტრედისფერ ნისლში ვხედავ ტაიგებს
 გათანგულთ ყინვის არტახებიტა.
 მხოლოდდა თქვენს გულს, ხელს და გონებას
 ვერ გასთანგავენ ვე არტახები,
 ელექტროხერხთა ლეგიონები
 დაბურღობენ როგორც ტახები.
 სივრცეს ქართული ყიფინაც ესმის,
 ფიცხი შეტევის გუგუნებს ზარი,
 და ოდიტგანვე გაუვალ ტვერში
 მიალაჯებენ სახლნი და გზანი.
 ბაიკალიდან გასული ბამი
 ქართულ ქალაქზეც ჩაივლის ჩქარა;
 მე მესმის ბამის ნაბიჯის ჩქამი,
 მე ვხედავ ხალხის უძლეველ ძალას.
 წუხელ მთელ ღამეს ამ ლექსთან ვენთე
 და თქვენზე ფიქრი ვერ დავასრულე
 მე თქვენ გადარებთ გულმამაც მხედრებს
 ქვეყნის ბრძანებით ომში გასულებს.
 მამულს თქვენებრი რომ ჰყავს შვილები,
 სიმტკიცეც ახლავს მარადჟამული!
 ჩემი თაობის კომკავშირელებს

ასე იწვევდა ფრონტზე მამული.
 ვაი თუ დაგებრდი...
 თქვენს ლაშქრობაში
 არ გამიწვიეს როგორც მხედარი,
 მაინც მიგულეთ თქვენს დიდ ძმობაში
 თქვენი გამირული გზის გამხედვარი.
 თქვენს შემართებას და თავდადებას,
 მე ვინ ვარ,
 ხედავს ქვეყანა მთელი,
 უკვდავ დღეებით დათავთავდება
 ეს წელიც, დიდთა საქმეთა მთვლელი.
 წელი, რომელმაც მხედრული ფიცით
 საფალავანო კალთა აკვართა,
 იყოს დამრწვევი ტაიგის ფიჭვის
 ხისგან გამოთლილ ქართულ აკვანთა.
 იყოს წასულზე უფრო მდიდარი,
 უფრო მაღალი და ხეაერიელი,
 ახალ მწვერვალთა ცად ამზიდავი,
 ამ საუკუნის შუქი ძლიერი.
 გენტოთ მამულის ცის ცხრავე თვალი,
 არც გვინატრია ამ ქვეყნად სხვა მზე,
 პქუხდეს ქართული სიმღერაც
 წყნარი
 ოკვანისკენ მიმავალ ბამზე.

2 იანვარი, 1976

ვაჟა ხორნაული

• • •

აფერადებენ ჰაერის ღიმილს
ფოთლები თეთრი,
ყვითელი, მწვანე
და ტერვებიდან მაღალი ჩრდილი
ღიღინ-ღიღინით გამოაქვთ ქარებს.

სივრცეს მოწყვეტილ ფოთლების შვავში
ლოცვად გაისმის ტერვების ჩქამი,
ვით დედის წვივებს
ტიტინა ბავშვი,
თითოეულ ხეს მოვეჭდო ლამის...

იუჩი ბაბაჩინი

თუმცა ძალიან ბევრჯერ გითხარი,
ასე მგონია:
ვერ ვთქვი ბოლომდე.
მე მქვია
შენი სიერცის სიზმარი,
არ ვიცი,
რატომ უნდა მგლოვობდე.

ვიქცევი შენი სინათლის სითბოდ
და შემისუნთქეს
შენმა ფერებმა...
და მაშინ,
როცა ჩემს ბედზე ფიქრობ,
არ ვიცი,
ცრემლი რატომ გერევა.

სახლი გზის პირას

საკვამურიდან ისე ნელ-ნელა
და ნალვლიანად
ამოდის კვამლი,
ასე მგონია:

იმ კედლებს შორის
ცხოვრობს ბებერი,
მარტოდმარტო
და მოლოდინით დადღილი ქალი.

მიხეილ მრავლიშვილი

ტიმოთას კაკლაძი

(თბილისური ნოველების წიგნიდან)

ტიმოთე მკედელს ნაჭაფი დაუნიშნეს და ზეიმით გაუშვეს. ქარხანაში გული სწყდებოდა ყველას და არც ტიმოთე იყო კარგ გუნებაზე, მაგრამ რა ექნათ ან ძველ მეგობრებს, ან შეგირდებს, ან თუ უფროსებს — ყავლი ყავლია და ოინბაზი დრო თავისას ფქვავს.

უელვაშო ყმაწვილი მოვიდა ძველ ქარხანაში, გრძელ საბძელს რომ ჰკავდა, და საბერელის ჯაჭვის მქაჩავად დანიშნეს. ქაჩავდა ტიმოთე ჯაჭვს, იბერებოდა საბერველი და ქშენით აღვივებდა ნახშირს. გაღვივებული ნახშირი წითლად ავარვარებდა რკინას, გავარვარებული ლითონის მუგუხალი ქანჩებით გადაჰქონდათ მუშებს და გრდემლზე აწვენიდნენ. მკერდზე ტყავაფარებული მკედლები უროებითა ზნექდნენ რეალს და ნაპერწყლები მამუხალებად იფინებოდა ირგვლივ.

გადიოდა დრო და ქალაქის ეს ძველი ქარხანა თანდათან იცვლიდა ფერსა და ფერს. ეხლა რო ყავლი გაუვიდა ტიმოთეს, ქარხნის ვეება საკრებულოში რო წითელი ბაირადები აფრიალდა და მიხაკის თაიგულებმა გადააწითლა მაგიდა, სადაც ყავლგასული შაჰინშაჰივით იჯდა, მოავონდა ამ საზეიმო შეკ-

რებულობის გმირს, ის ძველი საჩეხივით წამოყუდებული სამკედლო, ავადმყოფივით მქშინავი საბერველი და ჯაჭვის ქაჩვისაგან ღონემიხდილი ბაღლი და გაიფიქრა: „რა ხუთ-ათი ფერისცვალება გვინახავსო...“

მართლაც უცხო სანახავი იყო ვეება საამქროები ქარხნისა, თავისი თვითმბრუნავი ჩარხებით, სუფთად გაკრიალებული დაზგებით და სამკედლოში ჩამწყრივებული გრდემლებით, რომლებზედაც გავარვარებულ ლითონს, თვითმოქმედი უროები ყალიბში იყვანდნენ. და, აი, ამ საამქროს ყველაზე მძიმე უროს ოსტატი ტიმოთე პაპა იყო და თავის ამქარს წინ მიუძღოდა გულდაგულ.

დღეს კი, მიხაკებში ჩაფლული ტიმოთე პაპა, ნაღვლიანად უღიმოდა მოზღვავებულ ხალხს. საპატიო ნიშნებით დამშვენებულ მკერდს ხელით იფარავდა რცხენით და მიმსალმებელთა სიტყვებით გულაჩუყებული ობოლ ცრემლს მალავდა.

„დრონი მეფობენ და არა მეფენიო“ — ჭეშმარიტად უთქვამთ ძველთ. დრონი აქარწყლებენ რაობასა და არარაობას. გვირგვინოსანი მათხოვარივით წვე-

ბა მიწაში და ბელადი თანამებრძოლს ემშვენებს მხარს.

მაგრამ — „შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო“ — უთქვამს დალოცვილ შოთასა და კარგადაც უთქვამს. ტიმოთე ამ სიბრძნით იმაგრებს გულს და „დაღრეჯილობას“ არ ეძლევა. დაფუსფუსებს ტიმოთე პაპა თავის პატარა ბინაში, უვლის დავრდომილ ცოლს, ასმევს წამლებს, ამხნევებს ავადმყოფს, დადის ბაზარში, ყიდულობს სანოვავეს და ხილს, ხანდახან ყვავილებს — სწეულს გასახარებლად, უფრო კი — ომში დაღუპული ერთადერთი შვილის სურათის მოსართავად.

ტიმოთემ შვილის გმირულად დაღუპვის ცნობა რომ მიიღო, არც ცოლს და არც მეზობლებს არ გაუმხილა. გულში ჩაიკირა დარდი: „ჩემი ელო გულით ავადმყოფია და ეს ცნობა დღეს მოუსწრაფავსო,“ — გაიფიქრა მაშინ ჯერ კიდევ შუახანს მიღწეულმა ვაჟკაცმა და ცრემლი მოგუდა, რა იცოდა ტიმოთემ. რომ ლოდინი დარდის ტოლია და ხანდახან უარესიც.

დიდხანს უცადა ელომ პირმშოს, დიდხანს ულოლიავა სიზმრად ნახულ თავის ომანუტუტა ბიჭს და მოლოდინით ააწამებელი, ლოგინად ჩავარდა. ბევრი ინანა ტიმოთემ, რად არ მოვეუხსენ ჭირს პირიო, მაგრამ მაინც ვერ გაბედა სათქმელის თქმა, ისე უგონებელ მიიცვალა ელო.

პატივი სცეს მიცვალებულს და მიუსამძიმრეს ტიმოთე პაპას ნათესაებებმა შორეული სოფლიდან, უფროსებმა და ამხანაგებმა ქარხნიდან, უბნელებმა და კარის მეზობლებმა. ყვავილებით აავსეს კუბო და პატივცემული ელისაბედი, როგორ წესია, მიწას მიიბარეს.

ქელეხზე უარი ათქმევინეს კირისუფლებს ქარხნელებმა — ტიმოთე პაპა დღესაც თავისი ამქრის რჩეულთა რიგებში ირიცხება და ქელეხის აურზაური არ მოუხდებოა.

ჩამოსულმა ნათესაებებმა მაინც თავისი გაიტანეს. სუფრა გაშალეს. მეზობლები მოიპატივეს. მიცვალებულს კი-

ქა წაუტყვის, ომში დაღუპული შვილის ხსოვნის ჯამი ასწიეს, უტიფრეთ მხრე პა აღლუგრძელეს, მეზობლებს მადლობა და უთხრეს და სამგზავრო გუდა-ნაბადი აიკრეს.

დარჩა ტიმოთე პაპა მარტო და ელისაბედის ბალიში ცრემლმა დანაშა. პირველად ატირდა მოხუცი იმ დღეს და თვითონაც არ იცოდა, ვისა სტიროდა... ციე მიწას მიბარებულ ელისაბედსა თუ ომში დაღუპულ შვილს, თავის ობლობას თუ მინავლულ წლებს.

მგლოვიარემ თანჯარის დარბები ჩაგმანა. კარი ჩარახა. ერთი ლიტრა წყალი სასთუმალთან დაიდგა, დაწვა ლოგინზე და თვალი ჰკერს მიიპყრო. ვინ რა იცის, რამდენ ხანს იყო ასე. ვინ რას უწყის, რასა ფიქრობდა და რომელს ელოლიავებოდა ფიქრი: ცოლსა თუ შვილს, გმირულად ნაშრომ დღეებსა თუ თავის კაბუჯურ ნაბერველას. ადამიანის ფიქრი ზღვრასავით უღვევლია და შეუქვივით უსწრაფესი. კაცი ერთ ადგილას დგას და სამყაროს გარს უვლის.

ასე იყო თუ ისე. ტიმოთე პაპას ჩასავლიმა და თვლემამი სიზმარი ნახა.

უდაბნოდ მიდიოდა მგზავრი. მარტო იყო და მწირი. მზე აცხუნებდა ისე, რომ მიწა იწოდა. წულა-წინდა შემოსცვეთოდა მგზავრს და ტიტველი ფეხისგული ისე ევევროდა სიძს, როგორც შოთის ცომე გავარავარებულ თონეს. მწირი უცნაურად ხტოდა სიპიდან სიპზე — შორიდან მავთულზე მოცეკვავე ჯამბაზსა ჰგავდა. მგზავრს სიმწრისაგან ცრემლები ჩამოსდიოდა, სიცხისაგან — ოფლი. ბოლოს არაქათგამოცილი მიწაზე დაემხო და შებღავლა ცას: „სად არი ხსნაო!“ უეცრივ ნიავემა დაჰბერა და მწირს ჩურჩული ჩაესმა მყაფიოდ:

— ცოტაც გაუძელი, ამ ნიავეს მიჰყევი და ის თითონ მიგიყვანს პაპაშენის პაპისაგან დარგული კაკლის ჩრდილში!

გაქნევებულმა მგზავრმა ძალა მოიკრიფა, ხან ზურგზე ხოხვითა და ხან ასკინიკილა ხტომით მიჰყვა ნიავესა და ვე-

ბა კაკალს მიადგა. ცადაწვდილი კაკლის ტოტები ვრცელს მინდორს კუპრისფერი ჩრდილით ფარავდა. ფოთოლთ შრი-ალი, თან ნანას მღეროდა, თან ხუთვას აგრილებდა.

განერთხო მწირი კაკლის ჩრდილში და შვებას მიეცა. როცა მოსულიერდა, წინაპრებს თვლა დაუწყო და როცა პაპის პაპას მიადგა, გახარებულმა წამოიყვირა:

— დაილოცოს შენი სახელი, ჩემო პაპა ტიმოთე, შენ რა ხანია აღარა ხარ ამ ქვეყნად და შენი დარგული კაკლის ჩრდილი მგზავრს ახარებს და შენ სახელს უკვდავყოფს!

გამოეღვიძა ტიმოთე პაპას და ძლიერ გაიკვირვა: „რა დარდი მაქვს და ეს რა შესიზმრებაო?“

დიდხანს იჯდა გატრუნული ტიმოთე ლოგინზე და სიზმრის აზრის ამოხსნას ლამობდა: „ეს სიზმარი რაღაცის მოქმელია და ვერ მივხვდი რისაო“. ფიქრის ძაფი ხშირად წყდებოდა და აზრი ნაფიქრალში იბურდებოდა.

„დაიცადე, — ფიქრობდა ტიმოთე — იქნებ უწინარე* სიზმარმა შემოაბრუნა და იმ მწირის პაპის პაპა მე ვარო?... მაგრამ კაკლის ზის დარგვაზე არასოდეს არ მიფიქრიაო!“ — დაასვენა ბოლოს და ცხელ გულზე ლიტრიდან წყალი დალია.

ამ ნასიზმრალზე ფიქრმა ერთ ხანს თავისი მწუხარებაც კი გადაუქარვა მოხუცს. სიზმრის ამოხსნის სურვილმა ყველაფერი წალეკა ერთბაშად. კარგა ხანს უტრიალა თვლემამში ხილულ არაქს, მაგრამ გასაღები ვერ უბოვია იდუმალეზას. ბოლოს აზრმა გაკენწლა: ჩვენი სახლის მესამე სართულზე, ერთი გაბეიტრებული მეცნიერი ცხოვრობს, მართალია, ცოტა გაყვინიზებულია, ახლოს არავის იკარებს, მამალი ინდაურით გაფხორილი დადის. მაგრამ შეიძლება ჩემ ვარამს ხათრი გაუწიოს და ჩემი უცნაური სიზმრის არსი ამიხსნასო.

გამხნეებულმა ტიმოთე პაპამ შავი ხალათი გადაიცვა, ქათქათას მძაჭე ხელი გადაისვა, ცრემლმსგანს დაწმარებული თვალები სველი ხელსახოცით ამოიწმინდა და კარი გააღო.

ნადრევი შემოდგომის დილის სიო მისალბუნა მოხუცს. შუბისწვერზე შემდგარმა მზემ შესცინა ტიმოთეს; „დილაა და მეცნიერი შინ იქნებაო“, — გაიფიქრა სტუმარმა და კიბეებს აპყვა.

მეცნიერი ქანდაკად იჯდა სავარტელში, კოპებშეკრული უსმენდა ფეხზე მდგომ ტიმოთეს და ხშირად შუბლს ისარესდა. ოდეს სტუმარმა დაამთავრა თხრობა სიზმრისა, მასპინძელმა განუტევა შუბლს და მზერა ჰერს მიაპყრო. დიდხანს უცქერდა ჰერს და ბრძანა:

— გვამსა თქვენსა მიძინებულსა, ნიაფი მოჰხვედრია ცივი და სიზმარიც იმისგან არი...

— დალოცვილო, ჩასპალულ ოთახში მეძინა და ნიაფი საიდან? — გაიკვირვა სტუმარმა.

მეცნიერმა კვლავ ჰერს მიაპყრო მზერა და მერე ისევ ბრძანა:

— გვამსა თქვენსა მიძინებულსა, სიციხე მოსდებია და სიზმარიც შეხუთვისგან არის...

— დალოცვილო, მე თქვენსა გთხოვთ, თითონ შინაარსის ახსნას!

— შინაარსს რისა?... — შუბლი შეიკრა მეცნიერმა.

— რისა და სიზმრისა! — ვთქვათ რად იყო უდაბნო თონესავით ცხელი, რად იყო მწირი ამ ცხელ უდაბნოში, სად უდაბნო და სად კაკლის ზის ჩრდილი და რათა ვარ მე პაპის პაპა იმ ვილაც მგზავრისა, როცა უჭილაგოდ ვკვდები?

მეცნიერმა შუბლი შეიკრა და ბრძანა:

— ამოხსნა სიზმრისა ადვილია ჩემთვის, მაგრამ ჰირისუფალს რად გატყინო გული, გეტყვი მხოლოდ... რომ ნასიზმრალი შენი ბელზებლისა არის. უფრთხილდი ავ თვალსა და ნიაფს ცივს. მიძინების წინ შუბლზე სველი ტილო დაიდე და ფეხისგულეები ძმრით

* ამ შემთხვევაში — წარსული.

დაიზილე, იქნება გიშველოს, და ვახსოვდეს, ყველაფერი ცუდი ბელზებმლისაგან მოდის!

მოუსმინა ტიმოთემ ქანდაკად მჯდომს. არ მოეწონა გატყუარებული უბნობა მეცნიერისა მოხუცს, თავი დაუქვნია მასპინძელს ზრდილობისთვისა და წავიდა.

კიბზე ჩამავალს, კარის მეზობელი, მელანია შემოეყარა: „საიდანო?“ — ჰკითხა გაკვირვებულმა მეზობელმა. ტიმოთე კიბის საფეხურზე ჩამოჯდა, მელანია გვერდით მოისვა და ყველაფერი წვრილწვრილად უამბო. ავიწვიშდა მელანია მრეცხავი, ხელები დაიკაპიწა და დაიწყო:

— მე მაგ ბლენძია მეცნიერის არა ვიცი რა, მაგრამ სიზმრის ახსნაში ვერ მაჯობებს... რა ბელზებელი და რა ცივი ტილოებიო?... ტიმოთე პაპა, შენი სიზმარი ისეთია, უკეთესი არ შეიძლება. დამიგდე ყური რას გეტყვი, შენისთანა პირისუფალი, წესია, ორმოცამდე შინ უნდა იჯდეს, შეიძლება მიცვალებულის საფლავზე ცრემლს ღარი მისცეს, ეგ მოუხდება. ჩამოიფრქვევა ორმოციც და შემოდგომაც მოგვიკაჯუნებს. მაშინ უკვე, ტიმოთე პაპა, ჯანიანი კაკლის ნერგი უნდა იშოვნო. საინგილოს კაკალს აქებენ მცოდნე კაცები. ძალიან დიდი იზრდება და წლებსაც უძლებსო... ჰოდა, ცოტათი მოითმინე, ნერგი იშოვე, კარგი ადგილი შეურჩიე სადმე, მინდორში, გზის პირას და იქ დარგე. გაიზრდება შენი კაკლის ხე, ტოტებს აიყრის, იშრიალებს შენი სახელით. დასიციხული მგზავრი დალოცავს ტიმოთე პაპას და მის ოჯახს. მართალია, შენ იქნება ვეღარც მოესწრო შენი დარგულის ტანთაყრას, მაგრამ იცოდე, „სასიკეთო“ ნავლს არ დაიდებს არასოდეს. იმ აულაყუდას მოეშვი, მართალია, სახელი აქვს, მაგრამ სახელი ხანდახან გაფრინლ პეპელას ჰგავს, შემოგვევლება თავზე და გაგიფრინდება... ხედავ, შენთან, ისტიბარი არ ვაიტყხა... ავსულები და ციციცივი ტილოები მოიმეველია...

— რათა ჰკილავ იმ ადამიანს, რა დავიშავა?! — შეუტია ტიმოთე პაპამ.

— მეჯავრება ჰქმია კაცი და იმად ვკილავ, ჩაგივლის და სალამს არ მოგცემს. მიესალმები — ვერ შეგამჩნევს. მიდის აყვია მამალივით თავაწული, კოპშეკრული, თითქო მიღეთის ცოდვები, ჯვარზე გაკრული ქრისტესავით, ზურგზე ეკიდოს!

— ქრისტეს ზღაპრები რა შეაშია — ხმას აუმაღლა ტიმოთემ.

— სიტყვის მასალად ვიხმარე, სხვა არაფერი! ჰოდა ასე, ტიმოთე პაპა, ისე მოიქეც, როგორც გითხარ. საქმე დარდს შეგიმსუბუქებს და კეთილ სახელს გაჩუქებს.

ჰკუთაში დაუჯდა ტიმოთეს მელანიას რჩევა. სულ იმის თვლაში იყო, როდის ჩამოიცირებლბოდა ორმოცი და როდის გაუდგებოდა ტიმოთე საინგილოს გზას, თანა ჰკვირობდა: ეს რა ხერელი მისცა იმ დედაკაცმა ჩემ დარდსა და ვარამსო!..

არც თუ დარდი ანებებდა პირისუფალს თავს, არც თუ კაკლის ნერგზე ფიქრი, მაგრამ ერთიცა და მეორეც შეუშინებლად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ხან თუ გლოვის ხარი აყრუებდა სმენას, ხან ვეება კაკლის შრიალი ესალბუნებოდა იმავე სმენას.

შეიძლება გაამტყუნოს ვინმემ ტიმოთე პაპა, მაგრამ არ იქნება ის „ვინმე“ მართალი. პირისუფალს პირისთმენა უნდა, პირისთმენას — ბეწვის ხიდზე გაელა. ბეწვის ხიდი მინავლავს დარდს. ბეწვის ხიდი აშენებს საფლავებს და მარმარილოთი რთავს. მარმარილო ცივია, მაგრამ პირისუფალს ათბობს. ვინც მარმარილოს ვერა სწედება, ის ყვაილების ბუჩქებსა რგავს, ბუჩქები ეკლიანია, მაგრამ ბულებულები მაინც უგალობენ დარდს. კაკლის ნერგ ტიმოთესთვის ბეწვის ხიდი იყო და გაუდგა მოხუცი საინგილოს გზას. მიაღდა ერთ დიდ სოფელსა და პირველ მეკომურსა ჰკითხა: — ვის ექნება აქ, კაკლის ხის ნერგო.

— რამდენი გინდაო? — დაინტერესდა მეკომური.

— სამი მომეცი — თუ ერთმა არ გაიხარა, მეორე იხარებს და თუ მეორემაც მიმტყუნა, მესამე მაინც გაიხარებს.

მეკომურმა მოასვენა დაღლილი მგზავრი, მერე სოფელში წასვლა დააპირა და სტუმარს ასე დაუბარა: — შენ დაღლილი ხარ. აქ მოისვენე, რასაც მოგართმევენ—მიირთვი, მე სოფელში გავალ და ნერგებს გიშოვნიო.

სტუმარმა დაისვენა დიდი ხის ჩრდილში, მირთმეული მიირთვა: რა ნაშუქი და რა დუთმა ნესვი; მერე ფარდაზე წამოწვა და ფიქრს მიეცა.

მზის გადასვლისას დაბრუნდა მეკომური შინ და ქილოფში ფესვებშეფუთული ნერგები მიართვა სტუმარს. ტომოთემ დიდი მადლობა მოახსენა მასპინძელს, კაკლის ხის ნერგები მხარზე გაიღო და ვეზი შინისაკენ აიღო.

მეორე დღეს ტომოთე პაპა ქარხანაში წავიდა და ჩანაფიქრი მეგობრებს გაანდო. მეგობრებმა მოიწონეს მოხუცის აზრი და ყველაფერი თავაკცებს უამბებს.

თავაკცებმა ყველანი შეკრიბეს, ტომოთე პაპაც მოიწვიეს და გადაწყვიტეს: რადგან მასალაცა გვაქვს და კაციცა გვყავს, რაღა სხვაგან იღორღილოს ტომოთე პაპამ, მოდი, ჩვენ ბაღში გამოვუყუთ მიწის ნაკვეთი, იქ დარგოს მოხუცმა თავისი კაკლები და თვითონვე მოუაროსო.

ერთხმად მოიწონა ყველამ ეს აზრი და იმ დღიდან, იმ ნაკვეთს „ტიმოთესული“ შეარქვეს. ნერგებს კი, რადგან მოხუცისათვის უპრიანი იყო, „ტიმოთეს კაკლები“.

გამოკოცხლდნენ ახალგაზრდა კაკლებიც და გამოკოცხლდა ტომოთე პაპაც. დიდიდან გასულს შინ ვეღარ ნახავდა კაცი. რა ეს საქმე ჩააბარა ქარხანამ ნაჭაფს. იმ დღიდან ძალა იგრძნო მკლავში, მთელი თავისი დარდი და ვარამი შრომას ჩააქსოვა ყაითნის ზოლივით.

ფუსფუსებდა მოხუცი ტიმოთესული ში. ხან ძირებს უბარედე წყაღებდა ფრთხილად, ხან თოხნიდა და მტყუნიერებდა ბელტებს, ხან წყალს უსხამდა სათითაოდ და თან ჩურჩულებდა ტყბილად, თითქო დალადებსო ლოცვით:

— ეს შენ, თვალისჩინო ნუგზარ, გაიხარე, გაუხარებელი შევილო!

— ეს შენ, მოლოდინში მიმქრალო. ელისაბედ ქალო!

— ეს მე, თქვენსა დამტირებელსა. რად დამტოვეთ მარტო, ვინ დამიკრფის ხელებს, ვინ მადირსებს უკანასკნელ ამ ბორს!

ახლად ამოყრილი ყლორტები კი ტომოთე პაპას ჩვილი ხმით ჩასჩურჩულებდნენ: ჩვენ!

ტიმოთე იშვიათად იყო შინ. შებინდებისას მოვიდოდა, ჩუმად გაალებდა მიყრუებული ბინის ჩარახულ კარს. აანთებდა შუქს. შედგამდა ქურაზე პატარა ჩაიდანს. დანაყრდებოდა. ჩაის მიირთმევდა, გაითბობდა მოდუნებულ შიგანს, გაიშლიდა ლოგინს. სევდიანი ღიმილით შეაშტერებდა თვალს შვილისა და ელოს გადიდებულ სურათებს. ჩუმად მოიწმენდა კრემლს და ზანტად ჩაწვებოდა მარტოხელა კაცის გაუთბობ ლოგინში.

ძილის წინ ტიმოთეს ცნობის ფურცლების კითხვა უყვარდა. განსაკუთრებით ანეციფრებდა ვაჟაკების სამყაროში გაფრენა და დედაშიწის თანამგზავრის საგულდაგულო შესწავლა. ვერასგზით ვერ წარმოედგინა, სად ჰქონდა ზღვარი სამყაროს და რა იყო იქით... მერე თავისთვის დაასკვნდა: რა უნდა მიკვირდეს ვითომ, განა ცოტა რამ უჩვეულო მოხდა ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზეო?..

ერთ საღამოს მელანია ეწვია ტიმოთე პაპას. მოხუცმა სტუმარი ვახშმად მიიწვია. დაფაცურდა. ტაფაზე ერბოკვერცხი მოწვა. სავსე ჩაიდანს ქურაზე შედგა. მაგიდას სუფრა გადააფარა. სუფრაზე ჭერ პური და მარილი დასდო, მერე ცოტა რამ შემოდგომის ხილი, მწვანელი და თხლად დაქრილი ძე-

ხვეული და მელანია ტაბლასთან მიიპა-
ტიყა.

მეჭვეა სტუმარ-მასპინძელი პურობას
და ნაასს. სად იქაური და სად ქაუთრა
არ იყოლა მელანია წრეცხავმა. სად ვინ
გაათხოვე? ამ უკნოდგომაზე და სად
ვინ ვინა ჰყვარობს ჩემად. ამ უკანასკ-
ნელზე მასპინძელმა სტუმარი დაგმო-

— სად ვინ ვისა ჰყვარობს, მელანია
ქალო, ჩვენ არავინ არ გვეყვითება!

— არა, მე ისე, უბნისა ვთქვი... —
მოობოდრეშა მელანია.

— შენ ისა თქვი, როგორ მოგეწონა
ცაში ამაშხლება ჩვენი ბიჭებისა! — აზ-
რი შეუცვალა ბაასს მასპინძელმა.

— ვნახე, ჯადოსნური სარკის ფერა-
დებში ვნახე!

— ეგ ჩვენი ძლიერება არი, კაცის
გონებისა და მაჯის გამარჯვება არი!

— ჰო, ჩვენი მეცნიერიც ისე ყოყო-
ჩობდა, თითქო მას დაეპყრო ზეცა. ღე-
ლავდა და ბოლოთასა სცემდა ოთახში!

ტიმოთე პაპა ჩაფიქრდა, თვალი გაა-
ყოლა ჩაიდანის ორთქლს და მერე სტუ-
არს მიუბრუნდა:

— იმ საარაკო ხომალდის აწყობა-
შენებლობაში მიღეთი ხალხი ჯაფობ-
და. რა მეცნიერი და რა მეშა, რა განს-
წავლული მშენებელი და ფოლადის
შემდულბელი, ან ვინ მოსთელის, რამ-
ღენი სხვა. იქნება ჩვენმა მეცნიერმაც
თავისი წვლილი შეიტანა, რას ემართ-
ლები?

— ტიმოთე პაპა, გუმანით ვგრძნობ,
ეგ მეცნიერი არ არის. აბა, მითხარი —
განსწავლული ადამიანი, უცოლშვილო
და, უძირო, განა დაგითვისის ბინძურ
ცხვირასახოცებს, ანდა ღიღებს დაუთო-
ებულ პერანგზე? თუ არ შენდობი, რად
მეძახი. თუ შენდობი, რად მიკირკი-
ტებ?.. ასეთია ჩვენი წესი და ადათი.
მეცნიერი, ადამიანი უნდა იყოს უპირ-
ველესად. ოთხი შეილის დედა ვარ და
წელში ვწყდები, ერთ დღე და ღამეს
რომ ვმუშაობ ჩემ ცვლაში, სამ დღე და
ღამეს ვისვენებ, მაგრამ ეგ რა დასვენე-
ბაა, ხან იმ ავყიას ვებმარები, ხან კი-
დევ სხვას, შეიძლება ჩემ წერილფეხო-

ბას დაეჯლო და შენ არ მოგპარავ არა-
სოდეს. მეცნიერი ადამიანს ვერც უნდა
სცნობდეს?.. მაგის ხელში ვწიგნისარა,
არის, არ მინახავს. თუ შენ არი, წევს
ტახტზე და ჰერს შეჰყურებს, შეწირუ-
ლივით. ერთი სიტყვით, ტიმოთე პაპა,
შეიძლება სისულელეა ყველაფერი.
რაც აქ მოეჩმახე, მაგრამ რა ვქნა, ჩემ
აზრს შენ განდობ. სხვას არავის...

ტიმოთე პაპამ დაამშვიდა აღელვე-
ბული სტუმარი და გულითადად გაუ-
მასპინძლდა. მელანიამ მადლობა მოახ-
სენა მასპინძლობისათვის და წავიდა თა-
ვის ბალებთან.

ტიმოთე პაპამ მიამშურა თავის ციე
ლოგინს, მაგრამ კარგა ხანს იტრიალა.
ძილი თვალს არ ეკარებოდა. ფიქრი
დახტოდა ციბრუტივით. ხან მელანიას
ტუქსავდა, ხან იმ ავყია მეცნიერს. ბო-
ლოს მაინც ასე განსაჯა: „ის მეცნიერი
უნდა ვნახო, რიგიანად ველაპარაკო, რა
კაცია გამოვარკვიო და მერე სიტყვა
მელანიაზე ჩამოვუგდო, უპატრონო არ
ეგონოსო“. ამ ფიქრებში ჩაეძინა მო-
ხუცს.

ღილით ტიმოთე მეცნიერს ეწვია.
მეცნიერმა აღმაცერად გაჰხედა სტუ-
მარს და ჰკითხა:

— ისევე სიზმარმა თუ მოგიყვანა
ჩემთან?

— არა, სიზმარი მელანიამ ამოხსნა
და გულს იმედი ჩამისახა უბედობლო
მოხუცს! — უპასუხა სტუმარმა დინ-
ჯად.

ტახტზე მისვენებული მეცნიერი წა-
მოქდა, შუბლი შეიკრა და ბრძანა:

— უარყოფთა მეცნიერებისა უმეც-
რება არის!

— მეცნიერებისა ჰო, უმეცრებისა
არა, — სიტყვა მოუტრა ტიმოთემ.

— მაშ რად ინებე და რად გასცვალე
მეცნიერის სიტყვა ვილაც მელანია მრე-
ცხავის სიტყვაზე?.. — გაანჩხლდა მე-
ცნიერი ძლიერ.

— ის „ვილაც“ ოთხი შეილის დედაა
და პატივისცემა უნდა, დაყვავება უნდა
და არა ნაშრომი კაპიკების და პერანგ-
ზე დიღების თვლა! — ჩამოუთარაკა გა-

ფიორებულ მასპინძელს სტუმარმა.

— კორიკანა თქვენი მელანია და სხვა არაფერი! — შეპყვირა გააფთრებულმა მეცნიერმა.

— მეცნიერს სიღინჯე უზდება და თქვენ რათა აფთრობთ ვითამ? — დაუყვავა ტიმოთემ აღელვებულ კაცს.

— ამათა, რომ წვრილფეხანი მებლანდებიან ფეხებში, მართმევენ დროს, ვინ სიზმრებითა და ვინ ოხვრით, ვინ შურითა და ვინ ბოღმით, ვინ საზმითა და მოგვერდით. ვერ მიმხვდარან უბედურები, რომ მე ერთი ვარ მსოფლიოში ჭეშმარიტების ქურდი. ჩემი სახელი მომავალში თაობებს გადაეცემა.

ტიმოთე პაპამ შეიცოდა აღელვებული პეზობელი. წყალი მიაართვა ჭიქითა და ცხელ შებლზე ტილო დაადო. საქმიანობდა ტიმოთე და თან ფიქრობდა: „თუ მართლა მეცნიერია, რაებსა ზოდავს და თუ ბოღვა უვლის, მეცნიერებასთან რა ხელი აქვსო!“.

როცა დაშოშმინდა და თრთოლვამ გაუარა ტახტზე მისვენებულ ბნედამორეულს, ტიმოთემ პირი კარისაკენ იბრუნა და მაშინლა ჩაესმა ყურთ: უსუსური ჭიანჭველებიო!.. მოუტეცი ერთხანს შეყოვნდა და მერე ჯახით გაიხურა კარი.

გავიდა დრო და ეს ამბავი ჩაილურის წყალმა წაიღო. ტიმოთე პაპა აღარ გაკარებია იმ გიროზ მუზობელს. მელანიას ურჩია მხოლოდ: თავი დაანებე იმ შენ მეცნიერს, კაცმა საქმით უნდა განიდიდოს სახელი და არა ბოღვითო!.. სიმართლისა და ჭეშმარიტების მაძიებელი — ადამიანია, სახელის მაძიებელი — მათხოვარიო. კარგად გაწყობილ სიტყვას, თუ აზრი არა აქვს — ბოღვა და თუ აქვს — სიბრძნეო!..

ასე განუმარტა ტიმოთემ მელანიას თავისი ნაფიქრი და ისევ თავის კაციანს მიაშურა. წამოზრდილი კაცლები ჩუმად მღეროდნენ. უსმენდა ამ სიღერას ტიმოთე პაპა და იცრემლებოდა. უსმენდა ისევ და ღიბილში დნებოდა აქ იყო მოხუცისათვის იმედიც და უიმედობაც. აქა წყდებოდა გრძელი ბი-

ლიკი მშრომელი კაცის ცხოვრებისა და ერთი ამოსუნთქვა საწყურთესტრიალში.

გენგლინიონიკა

ამ ფიქრით მიიძინა ტიმოთე პაპამ კაცლის ხის ჩრდილში და ძილშივე დალია. ერთი ამოსუნთქვით, სული. ლამაზი იყო მოხუცის მისვენება კაცლის ხეების გოდებაში.

გრიგალივით მოედო ქარხანას ტიმოთე პაპის სულის განტეგება. ყველა აღელვა: აპყვა ჩურჩული საამქროებსა და უბნებს: რა ლამაზად დალია სული ტკბილმა მოხუცმაო... თავის კაკლიანში ისე მიიძინა, არავინ არ შეაწუხაო... ტიმოთეს ხელით დარგული კაცლის ხეები ალბათ ნანას უმღეროდნენო...

და ვინ მოსთვლის, რამდენი თბილი სიტყვა ითქვა ტიმოთეს მიმართ. გააცილა ტიმოთე პაპა მთელმა ქარხანამ და უბანმა. თმაგაშლილი არავინ ახლდა კუბოს და არავინ არ კიოდა. ყველა ჩუმად იცრემლებოდა და ეს იყო ნამდვილი გლოვა.

ჩქარა ტიმოთეს მეზობელი მეცნიერიც გარდაიცვალა. რა ხალხი და რა გვირგვინები!.. რა წვრილები და სიტყვები, „შეუდარებელი“. „უკვდავო“, „ნათელმოსილი“ და „შუქმფენო“. „ზეკაცო“ და „ზეძლიერებაე“ და ვინ იცის რამდენი რამ.

განსაკუთრებით ამეტყველდა საქელებოდ გაშლილი სუფრა. აქ თამადამ მშვევრმეტყველების კორიანტელი დააყენა. ერთი სიტყვით, სამგლოვიარო მაგიდა საზეიმო სუფრამ შესცვალა. სამგლოვიარო გალობა — ბოშურმა პანგმა. ბნელ კუთხეში ერთადერთი მელანია იცრემლებოდა.

გავიდა ხანი. მოვიდა ცვლა. შორს გაშალეს მძლავრი ტოტები ტიმოთე პაპას კაცლებმა. შრიალეზდნენ კაცლის ხეები. იწვევდნენ გამვლელს გრილოში. ბიჭი გოგოს ეკითხებოდა: სად დაგვლოდო. ლამაზო?.. გოგო მორცხვას უპასუხებდა: ტიმოთე პაპას კაცლებთანო. შესვენებისას ქარხნის მუშები თავისი ნაჯაფით ყიდულობდნენ: ცოტა რამ პურს, ცოტა რამ ყველს, ცოტა

მწვანის და ხელადა თავანჯარა ღვიწროს. დასხდებოდნენ კაკლების ჩრდილში, გაშლიდნენ მცირე სანოვავებს. ავესებდნენ პირველ ჭიქას და იტყოდნენ: ეს ტიმოთეს ხსოვნისა იყო.

ბოლოს ქარხნის ახალგაზრდობამ იკითხა: ვინ იყო ტიმოთე პაპა და რათა ჰქვია ამ ნაკვეთს ტიმოთე პაპას კაკლებიო?

მოხუც მუშებში მხოლოდ ერთ ნაწილს ახსოვდა, ვინ იყო ტიმოთე პაპა. მოჰყვა მოხუცი დალაგებით ამბავსა და თავგადასავალს. ძველი მჭედლის არც მარჯვენა დავეიწყნია, არც დაღუპული შვილის გლოვა, არც დაქვრივება და არც მისნური სიზმარი.

— ამ სიზმარმა შთააგონა, შეიღებო, ტიმოთე პაპას სამი კაკლის ხე დაერგო ქარხნის ეზოში და მას შემდეგ „ტიმოთეს კაკლებს“ ვუწოდებთ ამ ადგილს.

ახალგაზრდებს მოეწონათ მოხუცი მუშის ნაამბობი. გადაქექეს გავითლუ-

ბული საბუთები. იპოვეს ყველას ხურათები, მოქანდაკე მოიწვიეს და უთხარეს:

— სამი ქანდაკება გამოგვიკვეთე. ოსტატო. ერთი—ჩვენი ქარხნის შრომის გმირი მამისა, ერთი—ოქში გმირულად დაღუპული შვილისა და ერთიც შვილის მოლოდინში აცრემლებული დედისა.

დასთანხმდა მოქანდაკე თხოვნას, წაიღო სურათები და გამოკრა მარმარილოს ლოდებიდან სამივე.

ღვას ეხლა სამი კაკლის ძირში სამი ქანდაკება.

ერთი — ტიმოთე პაპა გრდემლთან. ერთი — სასიკვდილოდ დაქრილი მემიარი ერთადერთი ყუმბარით ხელში.

ერთი—სამამულო ოქში წასული შვილის მომლოდინე დედა. ცრემლითა და აფორიაქებული იმედით სავსე.

შრიალეზენ კაკლის ხეები. უმღერაან ამ ცივ ლოდებს ნანას, მაგრამ ამ სიცივეს სითბო მოაქვს მუდამ.

მ ი ა მ ი ტ ი

ეს ამბავი „არ ახალია, ძველია“ — ჩემო მკითხველო!.. გასაკვირიც არაფერია. კაცთა მოდგმა ბალოდებიდან მიხრწნილობამდე ამ ცხოვრების ერთ ანბანს გადის და ყოველთვის ერთ ასოზე უსხლტება ფეხი.

ნაცადმა იცის: გაზაფხულს ია უცონის, შემოდგომას ფოთოლთცვენა და ქარბუქი ეხმიანება. გამოცდილ-გულთმისანსა ჰგავს; გზად გასული, ტატნობს გაჰხედავს და მეზობელს შეუხშიანებს. — უსათუოდ გაავდრდებაო.

სულ სხვა არის იასამნის სუნიტ დამთვრალი ქაბუკი, ყველას უცინის და ყველაფერს ეალერსება. უსურვაზივით ჰოქნილია და მალალი. მან არ იცის, რა არის ხორკლი ცხოვრების და ვისთვის

ქა ქსოვს ობობა თავის ბადეს საბძლის კოჭებზე.

ჰოდა, ერთხელ, მე იმ ხანად ოცისა არც კი ვიქნებოდი, ერთი ვინმე მზეთუნახავი გავიცანი. ქალი იყო... კდემამოსილი ღვთისმშობელი გეგონებოდა! აი, ისეთი, წინათ მხატვრები რომ ხატავდნენ ტაძრებში და ეკლესიებში.

ერთი სიტყვით. ქალი კი არა, სანატრელი სიზმარი იყო. ამ სიზმარმა გამოუცდელი ქაბუკი დამაბა და მონად მაქცია. ის იყო ჩემთვის უწმინდესი რაღაც ნათება!...

საინტერესო ის არის, რომ არც ის ვიცოდი, ვინ იყო და არც ის, თუ საიდან იყო. ვიცოდი მხოლოდ, რომ ჩემ ნაცნობს ნათელა ერჭვა. კიდევ ვიცოდი... ჩემთან ყოფნა ეამებოდა, ჩემი

უსიტყვო აღსარება ღიმილსა ჰგვრიდა. მე ეს ღიმილი მაჯადოებდა და გოლიათის ძალას მაძლევდა. ტყუილად არ ამბობს რუსთაველი — „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკობდესო“. მეც ამ „ერთს“ ველოლიავებოდი და „ერთს“ შევხაროდი.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩემი საარაკო სიზმარი, რომ იმ ობობას ქსელში არ გავხლართულიყავი, ზევით რომ მოგახსენეთ.

ერთხელ, ღამით, შინ ვბრუნდებოდი. ქალაქს ეძინა. აქა-იქ თუ ბუტავდა შუქი ფანჯრებში. ღამის სიჩუმეს წესრიგის დამცველის სასტვენი თუ არღვევდა, სხვა არაფერი. მოსახვევში ვილაც უცნობი მოქალაქე ბოძს მიჰყრდნობოდა. ეტყობოდა. ნასვამი იყო. ფეხის გადადგმას ცდილობდა და ვერ ახერხებდა. ტორტმანებდა ახლადფეხადგმულ ბალღივით და ბოძს გარშემო უტრიალებდა. შემეცოდა. მივედი და ხელი მკლავში მაგრა ჩავაეღე, თან მიემართე გასამხნეველად:

— ბიძაჩემო, წამობრძანდით, მე გაგაცილებთ. — ვუთხარი და უცნობი ბოძს მოვაშორე.

მთვრალი ხელზე დამეყრდნო და მღვრიე თვალებით გადმომხედა. ღამიონების გაცრეცილ შუქზე შევამჩნაე, ჩოფურა და ტანწვრილი იყო. ჩია კაცს რომ უწოდებენ, აი ისეთი. ხელში რალაც ჩანთა ეჭირა და, ეტყობოდა, წონასწორობადაკარგულს, უძნელდებოდა მისი თრევა.

— მომეცით ჩანთა, წამოგილებთ, — შევთავაზე.

უცნობმა ჩანთა გადმომცა და დაეინებით ჩამაშტერდა, თითქო ცდილობსო უცნაური სიზმრის ამოხსნას.

— შენ... ვი... ვინა ხარ?... — ბორძიკით მკითხა ნასვამმა.

— ადამიანი, ძია-კაცო, — ვუპასუხე ალერსიანი კილოთი.

— ყოჩაღ!.. ადა... ადამიანი... რომ იცოდე სი... ყვა... რულია!.. — აღულულდა ჩემი უცნობი, მერე ერთბაშად

დაასვენა: — ეს ცხოვრებაც სი... ყვა... რულია. დამიჯერე, ~~ქნენული~~

ერთხანს დუმილითა და ტანტანთა მიკარღვევდი ქუჩის სიჩუმეს. ვნებაშლილი კატები თუ არღვევდნენ მყუდროებას, ანდა შორიდან მოფარფატე მანქანის შუქი თუ აფრთხობდა ხვადების გზიას.

ჩემი ნასვამი თანამგზავრი რკინის მოაჯირს აეკრო, სახით ჩემსკენ შემოტრიალდა, კიდევ ერთხელ ამხედ-დამხედა და განაგრძო უნებურად შეწყვეტილი თავისი სიტყვა:

— მე კი... აი... ბეითალი ვარ... ძროხებისა და მიმუნების ექიმი... — თქვა ესა და წელში გასწორდა.

— დიახ, — დავუდასტურე პასუხად.

— ჰოდა, მე უნდა დამიჯერო!.. — განაგრძო მან, თან ცდილობდა ეხლა უფრო დალაგებით ელაპარაკა, — კატების ამ ბაირამობას... როგორ გითხრა... დაოკების ეინი აქეზებს... ეს... ეს ბუნების ერთი მხარეა... ვთქვათ... როგორც ჰამა... როგორც ძილი... რას იკ... იკრიკებო... არა გჯერა?...

— თან ვიაროთ, — გაუბედავად ვუბრჩე მე.

— არა, მე ჩემი უნდა გითხრა!.. — გამიჯიუტდა ბეითალი. — ჯერ შენ არ იცი რა და როგორ... არ იცი, რომ ჩვენ ბუნებას თავის მეორე მხარეცა აქვს... აი... სუფთა და ანკარა... ერთხელ, ბალღო, ერთი ულაცი მოვარჩინე... ყარაბაღული ჯიშისა და მართლა ღამაში... ერთი სიტყვით... სიკვდილს ხელიდან გამოვტაცე... მერე ის ცხენი ნაგავივით კუღში დამდეკდა... უცნაური თავის კატუნით და დაბალი, ალერსიანი ხეიხეინით სიყვარულს მეფიცებოდა... არა გჯერა?... ნუ დაიჯერებ!..

— რასა ბრძანებთ, რა საბაბი მაქვს თქვენ ნაამბობს არ დავუჯერო, — დავუყვავე ნასვამ თანამგზავრს.

— ვინა ვარ მე, კაცმა რომ თქვას?... ერთი უბრალო ბეითალი... სხვა არაფერი... მაგრამ მინც თავმოყვარე კაცი ვარ და ამაყი ადამიანი! იცი, რათა?... სულ უბრალო ამოცანაა... მომისმინე...

მე ვიცი, რომ ეს ცხოვრება სიყვარულია... სი... ყვა... რუ... ლი... „სიყვარული აგვამალღებსო“, უთქვამს შოთას... მე იმის სახელს ვენაცვალე!.. ჰოდა, სწორედ მეც ეს მამალღებს... კაცადა მზდის... ოცნებასთან მალღლიავენ... განა სუყველას შეუძლია ელოლიაოს ოცნებას!... თორემ ისე... თორე ისე თავგსაც კი აქვს თავისი ბუნაგი... ჰყავს მეთლლე და შვილები... ბევრი ჩვენგანი იმ თავგსა ჰყავს...

— თან ვიბაასოთ, თან წავიდეთ, — კიდევ ვცადე შესხენება.

— დაპაცადე... აი, ეხლა... ნასვამი და ნაქეიფარი მივალ შინ და ჩემი ბუდე ფინაღაზად ვადამეშლებ... ჩემი ქალი თავის ღმიღს შექმნაგებებს... მე რომ ვვარგოდე... ესე იგი, რომ ვიცოდე ადამიანის დაფსება... ჩემ ღვთაებას, ყოველ დღით, წმინდა სანთლებს უნდა ვუნთებდე. გაიგე შენ?.. სიონში ნაყიდ წმინდა სანთლებს... მამა!.. თქვერა იცით მამლაყინებმა, ამ ცხოვრების სიტებო რა არის!... ერთიც იცოდე, ცხოვრებაში გამოგადგება, როგორ გითხრა... აი... ცოლი სხვაა... ღვთაება სხვაა... ის სუფთაა, აი ისე, როგორც კის ნამი!.. მას ჰუჭყი ვერ მიეკარება... ვერ გაბედავს... ღვთაებას თითქო უბიწობის საზღვარი აქვს... ჰოდა, აი, ამ უხილავს რჩეული თუ ვადაბიჯებს... ის მებაღე თუ დატყება ახლად ვაშლილი ვარდის კოკორის სურნელებით, რომელმაც ვარდი ახარა და სასიცოცხლო წყალი აკურა, დამიჭერე!..

— არ შეიძლება ეს უდიდესი ორი მცნება გაერთიანდეს, მეთლლეცა და სიყვარულიც? — ჩაეურთე უნებურად.

— იშვიათად ერთიანდება... არ იციან, უბედურებმა, რომ ცხოვრება სიყვარულია და გარეშე სიყვარულისა ყველაფერი არამია ამ ქვეყანაზე... აი, მიიღე ერთი უბრალო ბეითალის ეს აღსარება და, ვეკაცურად, მოდი ამითი გავათაოთ... ნასვამი ვარ და მამატიე... იქნება თავიც მოგაბეზრე ჩემი ლაქლაქით!.. — თქვა ბეითალმა, მოაჭირს ხელი შეუშვა, კიდევ ერთხელ ამხედ-

დამხედა და ბაჯბაჯით გაუღდა გზას. გვერდით მიედევდი ნასეკსედე მივერდა, სადა ჰქონდა დავტმტმულნივეს ამოდოლა გრძნობები ამ ჩია კაცს.

მოსახვევში სახლი გამოჩნდა. სართლებში ბნელოდა, გარდა პირველი სართლისა, დახურული დარბების ღრიკობიდან შექი ზოლებად წებობდა ქვაფენილის ოღროჩოღროზე.

— აი, ჩემი ედემის ბაღი! — წამოიძახა ვახარებულმა ბეითალმა და სადარბაზოს მიაშურა. მეც უკან მივეყვი მობარებული ჩანთით ხელში.

ბეითალმა ზარი დარეკა. ერთბაშად გაქრა ზოლები ქუჩის საფენზე. ბეითალმა კიდევ დარეკა და სადარბაზოს კარს მიეყრდნო ღონემიხდილი. გვერდით მდგომი, ბუნდად ვარჩევი შორეული ლამპიონის მკრთალი შუქით დაბურუსებულ ფანჯრების რიგს.

მოულოდნელად ფანჯრის რაფამ გაიქრიალა. სიჩუმე შეკრთა. ღია ფანჯრიდან ვიღაც ახმახი ვადმოხტა და მისი ლანდი უმალ ვალხვა ლამის წყვილიაღში. შესასვლელში შუქი აინთო და ფერადი მინები ააბრწყვილა.

— შენა, ოთარ? — შემოგვესმა კარსიქიდან ქალის თბილი ხმა.

— მე ვარ, კარგო, კარი გამიღე, — ჩაისლოკინა ბეითალმა.

კარი გაიღო. ვანათებულ კარის ჩარჩოში თმაგაშლილი, სადედოფლო ღამის ხალათში თავით-ფეხამდე ვახვეული, მომღიმარე ნათელა იღვა.

მოულოდნელმა შეხვედრამ ენა წამართვა. ხელის კანკალით ვავუწოდე სავსე ჩანთა არანაკლებ ვაკვირვებულ, ნირშეცვილ ქალს და ვავშორდი ჩემი საბრალო ბეითალის „ედემის ბაღს“.

მივდიოდი ფეხარეული, ციებ-ცხელებით შეპყრობილი ავადმყოფივით, მივდიოდი ბარბაციოთ და ცრემლები ჩამომდიოდა. ცალკე ჩემ თავსა ვტიროდი და ცალკე იმ საწყალ ბეითალს. ხომ დადგებოდა ოდესმე იმისთვისაც ვამოფხიზლება, და ქამანჩა სიყვარულისა, რომელსაც ის ამ ცხოვრების დვრიტადა სთვლიდა, ნაფოტებად დაეღსხვრეოდა.

ზარი აბრამიშვილი

ვინ არის იგი?

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი
თქვენს ახალ სახლში, —
ვთქვი და ვინანე,
რა მოვავლე ოთახებს თვალი.
ვიფიქრე: იქნებ
ეს კაცი ზის ყვლამდე ვალში?
ეს ყველაფერი
რალაც არ ჰგავს
შეძენილს ვალით,
ვალში თუ არის —
გასტუმრება ხომ უნდა იმ ვალს?
მართო ეს ჭალი გადასწონის
მთელ ჩემს ქონებას!
ვინ არის იგი? რით მჯობია,
ან და მე ვინ ვარ?
ვინ, ვინ ვგონივარ —

ოქრო-ვერცხლით რომ მეწონება?
ან იცის კია,
რა შეადგენს ცხოვრების მიზანს?
რით, რით იხვეჭავს უმეცარი
სახელს, დიდებას, —
ერთი პატარა ლექსი მიჯობს
სიმდიდრეს მისას,
პებელასავით
გულიდან რომ ამოფრინდება.
უნდა წავიდე...
გული ჩემი აქ ვეღარ ითმენს,
მე იგი არ ვარ —
ფუფუნებას ვინც ქედს უხრიდა, —
ვერ დაგილოცავ, შე საწყალო,
ბრჭყვიალა ნივთებს
და არც ერთ ლუკმას
არ ავიღებ შენი სუფრიდან.

• • •

შენ შენი მკლავის
გჭონდეს იმედი,
შენივე ძალის,
შენივე ღონის,
შენ მოიგონე
შენი ილეთი,
შედი და შენით
მოიგე ომი!

ზიდუ საკუთარ
ტვირთის სიმძიმე
და თუნდაც რული
მოგადგეს თვალზე,
ნუ დაიძინებ,
ნუ დაიძინებ,
სხვისი იმედის
უფონო მკლავზე.

* * *


ბტიან ოქროს წვეთები —
 წამები და წუთები,
 დღე — მცირე შენაკადი
 უსასრულო სიცოცხლის
 მიდის, მიედანება

მიდი, მიდი, შეაკვდი!
 მოგვლას —
 მიეცი ნება,
 თუკი ეს დღე
 ამ წუცის
 ბრწყინვას შეეწირება.

* * *

რად მერიდები,
 სიხარულო,
 მე ხომ ყოველი
 გავაკეთე იმისათვის,
 რომ მოსულიყავ?

ქუდბედიანთა
 კარის მტვრეველო,
 პოი, რა მორცხვად
 იჭვრიტები
 ჩემს ფანჯარაში!



რათა გარეშე

ს ი მ ლ ე რ ა

მე ამ დღეების ვარ თანამგზავრი,
მათი მზითა და მათი ქარწყვიმით...
არც თუ ტორტმანით,
არც ხმაში ბზარით
მწყობრში მივდივარ ჯარისკაცეფით.

ბუდიონური მარშის ორკესტრით
მეხალისება სრბოლა ნაბიჯთა
და სიამაყის გრძნობით ორკესტრით
დღეს შემოძლია ცაში ავიჭრა.

როცა ქვეყანას გავემეტები,
ვეღარ ვიარო თავაწეულმა,
დღე, დამაყაროს გულზე ბელტები
თითბრის საყვირთა ათასეულმა!

ს ა მ ი მ ი ა რ თ ვ ა

ჩემო ნაპირო —
გზედავ გაღმიდან
ლურჯი ტალღების აღმართ-დაღმართში.
თუ დაბრუნება ჩემი არ გინდა,
ზეარაკი ზღვისა მაინც დამარქვი.

ვარსკვლავო მნათო —
წკვარამ შუკვებში
შენი სხივები ბილიკებს ჭრიან,



ნამდვილ სითბოს რომ არ მარუქებდი,
გავიგე, მაგრამ
ძალიან გვიან.

ჩემო სიმღერავ,
ნუ დამუნჯდები —
აქვე და დაქვე გულის ქამანჩას,
რა ვუყოთ მერე, თუ ფასკუნჯებში
ბუღბუღი ლამაზ ჩიტად არა სჩანს

* * *

სვან მეგობარს

ტარიელ ჯიხვებს არ ესერის —
რისხვა იქნება ზეცისთვის...
თეთრნულდის შორი ალერსი
თვალში უცურვებს ზეთის ზილს.

გულში ამოჭრით უზრახავს,
მზერა გაურბის ჩქარ-ჩქარი,
დალა ლახვრასთან მურზაყანს
ხედავს ვერცხლისფერ ჩაჩქანით.

ტარიელ ჯიხვებს არ ერჩის —
თაფლი სწევთ სულში ცაცხვების,
დროს მოიხელთებთ, სვანეთში
წავა და
მეც თან წავყვები!



თამარ ღაუზიძე

ს ი მ ა ლ ღ ე

ამ სიმაღლისთვის ვინძლო, ვგების,
სტეფი თუ მელოცნა იქნებ თავიდან —
მოსხუტიალე აისბურგების
მარტოეული ძრწოლვა ამიტანს ...

ამ სიმაღლეზე, ვინძლო მიღიმის
უმაღლეს ძაბვის მწველი სამება:
ერთგულების და ეკლის გვირგვინი,
ტრფობის სახშილი და მოკრძალება, —

ამ სიმაღლიდან მსურდა ამეხსნა
დილის ვარსკვლავთა ფერწაულობაც,
ოცნების,
მარცხის,
ნალველის დელჯმაც
და ...
პოეტების მარტოსულობაც...

ნ ა მ ი

განეხენა ზეცა,
ხმლები სიღქვეშ
მოექცა მიწა
თითქო ვარაყი გადმოღვარა
ხელმა ყარიბმა,

თავსამკაულად
წარიტაცეს ღმერთებმა რიწა,
ანუ
პოეტმა
ნიკორწმინდა დაათარილა...



სიზგარივით ახსადღები

ნაყოფივით ავმნატდები,
ქარს გაფეხვებით გრძელფრთიანს,
სიზმარივით აცხადდები,
და თვალები შეტყვიან:
— უშენობით ვერა ვძლებო,
სად წახველო უჩემოდ?

დაკარგულო ჩემო წლებო!
გაუვლელო ქუჩებო,

დაუთვლელო ენძელებო,
გაქცეულო ტყვებო!
უთქვენობა შეძნელება,
ფრთადაღლილო ხეებო.

დაკიდულო ხიდებო და
ჩაბინდულო ხეებო!
თქვენი სხივი მიხდებოდა,
თეთრფრთიანო დღეებო!!

თოვლი მოდის

თოვლი მოდის ბეთანიას,
თოვლი, თოვლი, თოვლი...
გამოყვები ნაფეხურებს,
შენი არის, მგონი...
ბოლი ადის სახურავებს,
ბოლი... ბოლი... ბოლი...
ბიჭო, თუ ვერ შემამჩნიო,
დაგებრმაყდეს თოლი!
არ ნაბიჯზე მისაკალი

გზა-დავირჩეს შორი,
არ გვიღირსოს სიხარული
და ერთგული ცოლი,
თოვლი მოდის ბეთანიას,
თოვლი, თოვლი, თოვლი,
ველარ ვამჩნევ ნაფეხურებს,
დაკარგულან, მგონი...
შენს შავივარად თოვლი მოდის
თოვლი, თოვლი, თოვლი.

ნიკოლოზ გაბაშვილი

სივნიანი ქალაქი

რომანი

3. დამუწავებული ხაზები

განძის დამგროვებელი ზიზღით უცქერის წუთისოფლის წარმავალ ლხენას, რაღაც მარადიული განძის მოიხვევოს, რომელსაც არც ქრჩილი სქამს და არც ფანჯი და რომელიც სავსებით ზეციურია და ამავე დროს სავსებით ამქვეყნიური.

ქარლ მარქსი. „პოლიტიკონომიის კრიტიკისათვის“.

უცნაური კაცი იყო მაიკოს ქმარი ბართლომე კურტანძიძე. დინჯი, ჩუმი, მიუყარებელი. შრომა და გარჯა უყვარდა. ეს კუნძივით მავარი, ჩაფსკენილი, არაჩვეულებრივად ჯანმრთელი შუახნის მამაკაცი მთელი დღის განმავლობაში დაუზარებლად ფუსფუსებდა, მუშაობდა, აკაუუნებდა, აკეთებდა. ყველანაირი ხელობა იცოდა: კალატობა, დურგლობა, ხურობა, ზეიჯლობა.

ორსართულიანი სახლი საკუთარი ხელით ჰქონდა აშენებული. ან მუშაობდა, ან ეძინა. სხვა ვასართობი მან არ იცოდა. ღვინოს და არაყს ახლოს არ ეკარებოდა. თუთუნი ჭირივით ეკავრებოდა. მუდამ საქმით გართულს ნიჩბისოდენა წვერზე ხელის გადასმა ავიწყლებოდა. მთელი დღე გაჩუმებული იყო,

ერთ სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ მის ფიზიკურ თვალს არაფერი არ გამოეპარებოდა. სახაბაზოში პურისმცხოვრები მთელი დღე ფეხზე დგომით დახოცილი ჰყავდა. თვითონაც სულ ცხელ თონეში იყო ჩაკიდებული. თონის გარნემო ფეხშიშველა ტრიალში ჭირკვებივით გაჩაჩხულ და გირებივით დამძინებულ ფეხებს ძლივს დაათრევდა, თავს მაღლა არ იღებდა, მიწას ჩასცქეროდა და დამუნჯებული დადიოდა. მუშახელს გროშის ფასად ქირაობდა, სამაგიეროდ იმდენს ამუშავებდა, რომ დადილ-დაქანცული მუშები ფეხზე ვეღარ დგებოდნენ.

მოგებულსა და მოპოებულს თანდათან აჩენდა.

სახაბაზო ნელ-ნელა გააფართოვა. რამდენიმე წლის შემდეგ მტკვრის გაყოლებით პურის პედლები ჩაამწკრივა. ხორბალს იაფად ყიდულობდა და ძვირად ჰყიდდა. ჯარისკაცების ყაზარმებს ფქვილით ამარაგებდა, ხოლო მათ ცხენებს ქერათ და თივით.

ფულს იგებდა და მდიდრდებოდა.

ყოველთვის გაუღიმარი, მხოლოდ მოუსავლიან და შიმშილიან წლებში იყო კარგ გუნებაზე. ამ დროსაც ტუჩის ბოლოებში შეუმჩნეველი ღიმილი ენას-

კვებოდა. ეს იყო და ეს. გაცივებით კი არასოდეს არ იცივოდა. ფულის შოვნა ახარებდა, მაგრამ არ იმჩინებდა. მალე მდიდარი ალაფის სახელი გაუვარდა. მტკვარზე რამდენიმე წისქვილი შეისყიდია. ახლა თავის ხორბალს თვითონ ფქვავდა, თვითონ აცხობდა და თვითონ ჰყიდდა. ფული ავლაბრის ყაზარმებიდანაც შემოსდიოდა, წისქვილებიდანაც და სახაბაზოებიდანაც.

მიუხედავად ამისა, მაინც ხელმოკერილი იყო. ცოლ-შვილი უფრო ხშირად ხმელა პურზე ჰყავდა დამშული. თავდაც დაგლეჯილი დადიოდა და თავისიანესაც დაეკრებულ, დაბლანდულ და დაბეჭილ ფელ-ძველებში დაატარებდა. მის ერთადერთ მოახლესაც ისეთი ძონძები ეცვა, წინ მარტი უჩანდა, უკან აპრილი.

მხოლოდ მაიკო მოითხოვდა კობტად ჩაცმა-დახურვას. ნიორსა და ხაზუნეც ხელი აიღო და ნუგბარს მიეტანა, რათა მის პირისახეს რძისა და ღვინისფერი მომატებოდა და საყვარელს ლამაზი სჩვენებოდა.

მაიკოს არც დედამთილი ჰყავდა, არც მული, არც მაზლისცოლი, არც სხვა ვინმე ქმრის ნათესავი. არც ქმარი უშლიდა ხელს. მთელი დღე შინ რომ არ შესულიყო, არავინ მოიკითხავდა. ბავშვებს ოსი ძიძა უვლიდა. ძუძუს მათ ორ წლამდე აწოვებდა. ის დილაობით კლდის უბნიდან მოჰყავდათ და საღამოს უკან ისტუმრებდნენ.

სახლს კურტანიძეებს ახალგაზრდა მოახლე, თეძამოვარდნილი თვალმშვენიერისა ულაგებდა. ბაზარშიც ის დადიოდა და იშვიათად სადილსაც ის უკეთებდა. მაიკო მხოლოდ გვიან საღამოს ბრუნდებოდა გიგას დუქნიდან.

ქალბატონად გამხდარმა მაიკომ ქმარს წისქვილიდან ბრგე მეწისქვილე გააგდებინა და წისქვილებისაგან მიმავალი გზა საშუალოდ დაივიწყა, სამაგიეროდ გიგას აღარ შორდებოდა. შუათანა ბიჭი მაიკომ ფირუხას დიდის ამბით მოანათვლინა. ნათელ-შირონობამ ახალგაზრდა ზანდაროეს ბართლომე

კურტანიძის სახლის კარი გაუღო. ახლა გიგა თავისუფლად დადიოდა თავის საყვარელთან. გიგას მაიკო არც უყვარდა, არც ეჭაერებოდა, მაგრამ უიმისოდ მაინც ვერა ძლებდა. ზოგჯერ ჩხუბობდნენ კიდევ.

გიგას მაიკოს უფროსი ბიჭი ათვალწუნებული ჰყავდა. შუათანას ცნობის-მოყვარეობით უყურებდა, მაგრამ არც ის უყვარდა. უმცროსს კი ხანდახან თავზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე და თუ კარგ გუნებაზე იყო, ეთამამებოდა კიდევ. შუათანა ბიჭი ქერა იყო, ფირუხთვალემა, ცქვიტი, მოძრავი, მზიარული. ეს პირმზიარული ქერა ბიჭი ამღვრეულ გიგას რატომღაც ფირუხას იგონებდა ხოლმე. მისი დანახვა და გიგას გუნების გაფუჭება ერთი იყო. ერთხელ ვედარ მოითმინა და მაიკოს პირდაპირ უთხრა:

— მაიკოჯან, შენი შუათანა ბიჭი ძალიანა ჰყავს ფირუხას. ჰა, ბიძაშვილად ხომ არ მერგება?

მაიკო ჯერ გაშრა, პირი დააღო, მერე გაეცეცხლა, გიგას მიადგა და დედის ხსენი არ შეარჩინა.

— ეგ პირიდან როგორ ამოგივიდა? ეგ როგორა სთქვი? შენ მე მაკა ხომ არა გგონივარ ან სოვდაგრის ყვიციანა გომბიო? გენივით ქალს ისეთი რა მჭირდა, რომ ფეხმორეცილ ფირუხასთან საქმე დამეჭირა? ჩემი პირდაუბანელი და ფქვილში ამოგანგლული მეწისქვილე მირჩენია მუდამ პირგაპარსულ და გაქათათებულ ფირუხას. განა არ იცი, ვინც დასამალავ ადგილებს მალ-მალე ატიტვლებს, ზედ წყალი უნდა დაისხას, რომ გარყენილებით არ აყროლდეს. რატომ ღმერთი არ გაიციენებს, რომ მაკას ნაშეგირდალი აქეთ შედავება! ყველა ზანდაროვი ერთ ქვაბში ხართ ჩასაგდები და ერთად გასაწყვეტი. ვითომ ვინა ბრძანდებით? ზემოდან რაზე გვიყურებთ და დაგვცქერით? რაო? ფირუხას დაავიწყდა რანაირად დარბოდა სხვის ნასუფრალზე, ან თეთრმა ღიზამ დიდხანია ფეხი ტალახიდან ამოიღო, ან შენ თქვითონ დი-

დი ხანია რაც ცხვირი მოიხოცე? კარგად ვიცი ვინცა ხარ და რაცა ხარ. ისიც ვიცი, რისთვის გვირდები. შენთვის სულერთია, გინდ ჩემთან გივლია, გინდ მიიქტნების კახასთან. მე შეხვევი და ტიტლიკანა მაკა გაგონდება, მე მპროშტავ და სოვდაგრას კომშივით გაყვითლებული გოგო გელანდება. მაგას რა შეტყობა უნდა? გინდ ბართლომე მწოლია გვერდით და გინდ შენისთანა ვირგლა...

დაბნეული გიგა თავს იმართლებდა, ბუტბუტით ამბობდა:

— აბა, რა ვიცი, მაიკოჯან... მაშ, ეგ ქერა ბიჭი თავისი ფირუზი თვალებით ვისა ჰგავს?

მაიკო უარესად გაანჩხლდა. გიგას ისეთნაირი სიტყვებით ლანძღავდა, ბაზრის დედაკაცებს შეშურდებოდათ.

— შენ რომ კარგი და პატიოსანი კაცი იყო, მაგას იტყოდი? არა, არა, პატიოსანი ქალები შენი საქმე არ არის, შენთვის მაკასთანა ქალებია ზედგამოჭრილი. შენი ფანდი სოვდაგრის კურკის ოღენა გოგოა. იფ! იმათი მამა ვაცხოვნე შენი გაპატიოსნებისათვის. სირცხვილით ქალაქში როგორ დადიხარ? საყვარელმაც დაგიყენა თვალები და საცოლემაც. მეც ეგრე უნდა მოგვექცე, რომ ავი და კარგი გაარჩიო...

თავმოყვარე გიგამ შებლი უქმაყოფილად შეიკმუნხა. დაძველებული, მაგრამ ჭერაც მოუშუშებელი დარდის გახსენება გუნებას უფუქებდა. რცხვენოდა და წითლდებოდა. შეურაცხყოფილმა გააღმასებულ საყვარელს ზურგი შეაქცია და კურტანიძეების სახლიდან გაიქცა.

მაიკო ისევ გაანჩხლებული იყო, ამიტომ გიგას ვერც დაუძახა, ვერც დაედევნა. გვიან დაწყნარდა და სიბრაზემ რომ გაუარა, ტირილი წასკდა.

გიგა თავდავიწყებით უყვარდა.

მოთქვამდა და იცრემლებოდა. მაგრამ დიდიხნით არც დარდი იცოდა, არც ჭავრი და მწუხარება. მალე გამოიღარა. გასართობად მეზობლებში გადავიდა. დედაკაცებს შორის ჩაჯდა, ჭორაობდა,

ხუმრობდა, იცინოდა და თავისეულ ქაბჭახა სიცილით ყველას იცინებდა. დაბინდებისას გულმა ველარ მოუთმინა და ისევ გიგას დექანს მიაშურა.

გიგა ცხვირნამოშვებული დახვდა დახლთან. მაიკომ მას შორიდან გაუცინა, გვერდით ამოუდგა, მიეკრა და მიეცმასნა. ქალმა იცოდა, რომ ვაქს არ უყვარდა, მაგრამ რაკი სალთი იყო და სხვა ქალი არა ჰყავდა, ადვილად ურიგდებოდა იმას, ვინც მისთვის ერთადერთი დედაკაცი იყო.

მაიკომ ჭერ საყვედურით უთხრა:

— რა ვქნა, გამლანძღე და ცალი დამწამე და ეხლა შენ თვითონ იბუტები? — მერე ხმაში სითბო გაუჩნდა და თითქმის ალერსით განაგრძო — საკვირველი კაცი ხარ, გიგაჯან. შენ რა, ჩემს თაფლისფერ თვალებს და მოქერო თმებს ვერ ამჩნევ? არ იცი, რომ დედაჩემი ოსის ქალი იყო? ჩემზე უფრო ქერა იყო საწყალი. შენ თითონ კარგად იცი, მე ხომ ვიცი და ვიცი, შუათანაც და პატარაც შენები არიან. დიდზე არაფერს ვამბობ. — მაიკოს ბრვე მეწისქვილის გახსენება არ უყვარდა. — ეგეც შენი ბრალია, რაც მოხდა. დამიწუნე და რა უნდა მექნა? ბართლომეს შემყურეს სხვა რა გზა მქონდა? არც ვაგონდები, არც მეკარება, ღვთის წინაშე, არც მე ვუფრთხობ ძილსა. ჰო, იმას ვამბობდი. პატარა შენი ასლია, შუათანა დედაჩემს და იმის ნათესავეებს დაემსგავსა. გასაკვირვი აქ რა არის? ფირუზაც შენი ნათესავია, ორთავენი ხანდაროვეები ხართ, მაგრამ ერთმანეთს არაფრით არა ჰგებართ. შენ ცოტათი მოგრძო სახე გაქვს, სურათოვანი ცხვირი, დახატული თვალ-წარბი, მშვენიერი ტუჩ-ბილი, შენი ქოჩორი კნიაზებს შეშურდებათ, შენს ახოვან ტანს ყველა სიამოვნებით უცქერის. ფირუზას კი მთავარსავეით მრგვალი სახე აქვს, მოთეთრო-მოწითალო თმა ღარიბი კაცის ყანასავით დასეტყვილი, თავზე აჭა-იქ გადაგლეჯილი, გადღრენილი ცხვირი და მართლა რომ მხიარული ფირუზი თვალები. შენსავით დაკოხილი კი არ იყუ-

რება! ხანდახან ისეთაირად იცქირები, რომ ადამიანს გულს გაუხეთქავ. მერე იმის ახოვნებას არ იკითხავ? რომ მოვინდომო, ჯაბეში ჩავისევამ. შენთან ის როგორ მოვა! ჩვენს უბანში ისეთი სახელი სად არის, რომ შენ ან ფანჯრიდან გადაგაძვირინოთ, ან თახჩაში დავშალოთ? მაშ, შე-ც ზანდაროვი არა ყოფილხარ?

გიგამ ენაზე იკბინა.

მაკას ეჭვები მოაგონდა და გაფრთხილდა.

5. თვალშვანიერისა

ერთხანს, როცა სვეტონთან ერთად მარტონი ვისხელთ და ადამიანური სისუსტის გამო სივარულს უნდა დავაფებოდით, სწორედ ამ დროს ვიღოთ კარადა. რომელიც ჩემ საუბედუროდ იმ ოთახში იდგა, იქიდან ქალი გამოვიდა და მოგვძახა:

— გამარჯობათ, ჩემო მეგობრებო!

მ. ჩულკოვი, „მოხერხებული მხარეული ქალი“.

ზანდაროვების ქვემო ღუქანში თეთრი ლიზა ვაჭრობდა, ზემო ღუქანში გიგა. ფირუზა კი ქარვასლაში იყო დარკობილი.

დამეგობრებულნი თეთრი ლიზა და მაიკო კურტანიძე ერთად დადიოდნენ ეკლესიაში. წირვის შემდეგ ფირუზას ღუქანში მიდიოდნენ მასლაათით, აქ ერთმანეთს თავის დაკვრით ემშვიდობებოდნენ. თეთრი ლიზა ქმრის ღუქანში შედიოდა, მაიკო კი თავის სახლისკენ მიმავალ აღმართს მიჰყვებოდა, რათა საჩქაროდ ტანსაცმელი გამოეცვალა და გიგას ღუქანში გადასულიყო.

იმ დღეს კუსპარა დალაქმა ფირუზას წურბელები დააყარა. ხანში შესულ მოქალაქეებს წესად ჰქონდათ ყოველ გაზაფხულზე კოტომის მოკიდება. თეთრმა ლიზამ თავშეხვეული ქმარი ლოგინში ჩააწვინა, თვითონ კი ღუქანს მიხვდა და წირვაც გამოტოვა. არც მაიკო წა-

ვიდა წმ. ნიკოლოზში წირვის მოსასმენად. ეკლესიაში მარტო წასვლად დავჯარა. ცოტა ხანს თეთრ ლიზასთან ერთად რაკით გაერთო, მაგრამ მუშტარი მატულობდა და მისმა დოსტმა მისთვის ველარ მოიცალა. მაიკომ მოიწყინა, მტქნარება აუტყდა, მობეზრდა, წამოდგა, ფირუზას ღუქნიდან გამოვიდა და თავის აღმართს შეუდგა.

შინ ჩვეულებრივზე ადრე მივიდა. თავისი ოთახის კარი შეაღო და ზღურბლზე გაქავებული შედგა. მის დიდ კაკლის ტახტზე გიგა და თვალმშვენიერისა ერთად გორაობდნენ. გატიტვლებულ საყვარელს და მოახლეს გაშტერებული უყურებდა და ხმის ამოლებას ვერ ახერხებდა. მერე რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი თქვა გაკაპასებული ილანძღებოდა და იფურთხებოდა:

— იფ, იფ, იფ! რა სანახავეები ხართ, თქვენს ყურებას არაფერი სჯობიან. აბანოა თუ პატიოსანი ცოლ-ქმრის სახელი? ვერ უყურებთ ამ მაკას შეგირდს რა ყოფაშია?! იფ! იფ! იფ! ბართლომე კურტანიძის სახლი საბოზკუროდ გაუხდიათ. სირცხვილი რა უყავით? ნამუსი სად დაჰყარგეთ? არა, შენისთანა ჩასპანდს ამ თეძომოვარდნილ გომბიოსთან კოტრიალი ეკადრება? ავი და კარგი არ უნდა გაარჩიო? აი, მეხი კი დაგყარეთ ორთავეს, აჰა! — კუთხეში აედღელზე გაკრულ, სირცხვილით გათავებულ და აზღუქუნებულ თვალმშვენიერისას მიუბრუნდა და ახლა იმას შეუტია. — აიფარე, აიფარე, ეგ კურკა ჭუჭუები არავინ მოგტაცოს! თავმომწონე არავინ შემოგხედავს, ისეც ზანდაროვები თუ გეყოლება მუშტარად, ნამეტნავად ფეხებმოლრეცილი ფირუზა. თუ იმანაც დაგიწუნა, იმისი პატიოსანი ნათესავი ხომ აქ არის და აქ არის. ნუ გეშინიან, ტყუილად ნუ იწირპლები, არსად გაგექცევა, ახი არ იქნება მთელი უბანი ზედ დაგაყენოთ და ვირებზე შეგსვათ?

დარცხენილ-დაბნეული გიგა თავჩაღუნული იქდა. ამასობაში თვალმშვენიერისამ კაბის გადაცმა მოასწრო, თე-

ქო ათორია და ოთახიდან გავარდა.

მაიკო ისევ გიგას მიუბრუნდა:

— ჩემი ხომ არა გრცხვენია, გიგაჯან? ნუ მოგერიდება, ჩაიცვი, მე ფანჯრისკენ მიეტრიალდები.

როგორ ჩაიცვა ტანსაცმელი, გიგა შემდეგ ვერასგზით ვერ იგონებდა.

მაიკო ტახტზე ჩამოჯდა, საყვარელი აგღებულად შეათვალიერა და დაცინვით გადაუვლო სიტყვა:

— სად მიგეჩქარება, გიგაჯან? ცოტა დამაცადე, მაკასთან ხარფუხში წერილს გაგატან, კარგი შეგირდი გაუზრდიხარ, ბარაქლა მინდა შევეუთვლო.

შეტისმეტად ამაყი გიგა შეურაცხყოფას და დამცირებას ვერ იტანდა. დამცინავად მომღიმაჩუ ალაფის ცოლს მან ისეთნაირად გადმოხედა, რომ მაიკოს გულმა რეჩხი უყო. საყვარლის უსიტყუო გამოხედვაში ერთად ამოიკითხა ზიზლიც და სიძულვილიც. თან ამ გამოხედვამ მას უწინდელი გიგა მოაგონა, როცა უიმედოდ შეყვარებული ფირუზას დუქანში დარბოდა და თეთრ ღიზას ნაზუქებს უზიდავდა.

სერიოზულად შემფოთებულ ქალს საყვარლის დაკარგვის შიში შემოენთო, უნებლიედ მისკენ გაიწია, მაგრამ გატიტვლებული ახალგაზრდა მედუქნე და თვალმშვენიერისა რომ გაახსენდა, გაჩერდა და ბირიც წელანდელივით გაუმეხდა.

გიგა ზანდაროვმა უკან აღარ მოიხედა. გატრიალდა და გაიქცა. დერეფანი სჩქაროდ გაიარა, კიბე, რომლის ქვეშ თვალმშვენიერისა სლუკუნებდა, ბრაგა-ბრუვით ჩაირბინა, ეზო სიჩბილით გადაჭრა. მაღალი, ბართლომე კურტანიძის მიერ ნაკეთები ქიშკარი ქრიალით გაალო და ქუჩაში იმ აზრით გავიდა, რომ ამ სახლში ფეხი არასოდეს დაედგა.

მარტო დარჩენილმა მაიკომ თვალბზე ხელები აიფარა და დიდხანს იყო ასე გარინდებული. თანდათან ცრემლიც უშრებოდა და გულისტკივილიც უწყნარდებოდა. ოდნავ გონზე მოსული იმასდა ფიქრობდა, თუ როგორ დაებ-

რუნებინა უკან გიგა ზანდაროვი. უიმისოდ გაძლება მას აღარ უწყევლო.

თვალმშვენიერისა სხელი ფანჯრისკენ მოახლედ კი ერთი ისეთი მიზრწნილი დედაბერი აიყვანა, რომ ხელიდან ცოცხიც უფარდებოდა და აქანდაზიც.

ტანლერწამისას (ასე ეძახდა ახალ მოახლეს ქალბატონი) მხოლოდ ბართლომე უბღვეროდა.

6. მ ა რ ც ხ ი

— ერთის ყველით ვახახელი არ იცნობა. საზოგადოდ სხვა არის და თკითვულად სხვა.

გრიგოლ რჩეულაშვილი, „ქარიზის ლომინები“.

გიგა ზანდაროვმა კურტანიძეების სახლისაკენ მიმავალი გზა დაივიწყა. მაიკო აღარ აგონდებოდა. სამაგიეროდ არც ჩაუვლელ და არც აუვლელ ლამაზმანს ისე არ გაუშვებდა, რომ თვალი არ გაეყოლებინა. სულ აქეთ-იქით იხედებოდა. თავს იწონებდა და ფასს იღებდა. თვალბების ცეცებაში დუქანიც აეჩუყდებოდა და ეაქრობაც. ქალებს ახლა თამამად ათვალიერებდა, სწორედ ისე, როგორც ეს ფირუზამ იცოდა ხოლმე.

ქალების გამოხედვაც შეუმჩნეველი არა რჩებოდა.

ბაყლის ცოლმა დინჯად შეათვალიერა, ბაზაზის ცოლმა აიენიდან აღტაცებით გადმოხედა და ქუჩაში მიმავალს დიდხანს თვალი გააყოლა. ერთი ღოთი მოხელის კაფანდარა ცოლმა შინ შუა ქუჩაში ისე მოურიდებლად, ისე ურცხვად ჩაუკრა თვალი, რომ ჯერ ისევ მორცხვი გიგა ყაყაოსავით გაწითლდა. დიდვაჭრების ჩასუქებული ცოლები დაგმანული ფანჯრებიდან იკუიტებოდნენ და მას შორიდან უცქეროდნენ. ევროპული ყავახანების მოსამსახურე ქალები ხომ გზას აღარ აძლევდნენ. მდიდარი ოჯახების მოახლენიც მოჩრდილული ჩადრებიდან უთვალთვალდებდნენ და მის გავლა-გამოვლას გულის ფანცქალით უცდიდნენ.



ვარდისახარმა შენოსცინა, ზამბახი-
სეულმა მორცხვად გაუღიმა, მონავარ-
დისამ ზურგს უკან რაღაც ალერსიანი
სიტყვა მიამახა, მზისახარ გაეხუმრა,
მთვარისახარ კი მის დანახვასე ხან ყვი-
თლდებოდა, ხან წითლდებოდა. ვათა-
მამებელი გიგა ზოგიერთ მათგანს ხან
თაბორის ფერღობებზე იტყუებდა, ხან
ობრახევის ჩანჩქერთან და ხანაც ში-
ტატის ხევ-ხევეებში ეფიცებოდა სიყ-
ვარულს.

მან ლარიბი მეზობლების ლამაზ გო-
გობსაც დაადგა თვალი, მაგრამ როცა
იმავზე მეტი მოინდომა, რის დათმობა-
საც პატიოსანი გოგოები მხოლოდ ქორ-
იწების ღამეს აპირებდნენ, პირში ჩა-
ლაგამოვლებული დარჩა. ანასტასიამ
შეუბღვირა, თამრომ ზიზღით ზურგი
შეაქცია, ანომ ისეთნაირად გამოლანძ-
ლა და გამოთათხა, როგორც ეს ქალა-
ქელ ქალს ეხერხებოდა. მეთულუხჩის
ქალმა მართამ უარესი დამართა. როცა
ის გიგამ სახლის ბნელ იაქთალთან მი-
აგდო და საკინძე ჩამოწყვიტა, ერთი ის-
ეთი გაუშალა, რომ ჩვენს არშის ფი-
რუხას ღუქნამდე ყბა ხელით ეჭირა.
ახალგაზრდა მეღუქნე დარწმუნდა, რომ
ლარიბ და ხელმოკლე ადამიანებს პატი-
ოსნებასა და ცხოვრებაზე საკუთარი
წარმოდგენა ჰქონდათ და რომ თვითონ
ის ლარიბ ხალხს აღარ ეკუთვნოდა, მის-
გან მოკვეთილი იყო. ცხოვრებით კი
ისე უნდა ეცხოვრა, როგორც სოვდაგ-
რები და მდიდარი მეღუქნეები ცხოვ-
რობდნენ.

ერთ ღღეს დაკეტილი ღუქნის წინ
გიგას ფირუხა დაუხვდა, შორიდანვე
დაუბღვირა, თავის ქნევას და საყვე-
ღურებს მოჰყვა:

— კარგი დახლი დაგვიდგება, თუ
ღუქნას დილიდან საღამომდე კლიტე
დაადე. სადა ხარ? სად დაეთრევი? რას
აკეთებ?

— საქონელს ქარვასლებიდან მოტა-
ნა უნდა, ისე როგორ ვივაქრებ, ფირუხ-
ჯანი! — იცრუა გიგამ.

ეს მისი პირველი ტყუილი იყო. მაგ-
რამ არც შერცხვა, არც გაწითლდა.

— მეც მაგისტვისა ვარ მოსული, —
უთხრა ფირუხამ, — საქონელს უღღვა
და მოტანა უნდა. სხვანაირად ღუქნას
ვერ იხიერებს. საქონელს კი უფულოდ
ვერ არსად ჰყიდიან. ეგეთი არც ღუქანი,
არც ბაზარი, არც ქარვასლა მე არ ვი-
ცი. შენ თუ იცი, წამიყვანე, მაჩვენე, მა-
დლობას გეტყვი, — გიგას თვალებში
შეხვდა და იქედნური გაღიმიებით დას-
ძინა, — რამდენი ხანია ანგარიში არ
ჩაგიბარებია. რატომ არ მეტყვი, რა
მოიგე, რა წააგე? იქნებ იმ ქარვასლი-
დან მექთად მოგაქვს საქონელი?

გიგას მოაგონდა, რომ ქარვასლიდან
საქონლის მოსატანად ფირუხასთვის
უნდა გამოერთვა ფული. უხერხულად
შეიშფშუნა. ფირუხამ მის შეცბუნებას
არავითარი ყურადღება არ მიჰქცია,
მალა, ზეცაში აიხედა, ხელის გულით
მზე მოიჩრდილა.

— ამ მზის გულზე რათ მაჩერებ,
გინდა დამსიკცოს? — ისევ მჭირდავად
გაიღიმა და განაგრძო — ზოგისთვის ის-
ევ დილაა, გამრჯე ხალხისთვის კი დი-
ღიხანია შუადღეა! ღუქანში შევიდეთ.
დახლთან დავსხდეთ.

დახლთან ფირუხამ თავი დი-
საწყლა, აწუწუნდა. სოვდაგრებმა სხვა-
დასხვა ქვეყნიდან მოტანილი საქონე-
ლი დაადვირესო, მეღუქნეები იბუღუ-
ბული არიან ძვირად ნაყიდი იაფად გა-
ყიდონ, რომ მეშტრები არ დაეფან-
ტოთო; სახლის მდგმურები ქირის ვა-
დახდას აგვიანებენო; უბანში რამდენი-
მე ახალი ღუქანი გაჩნდა და დახლში
შემოსავალმა იკლოო, მე თვითონ გამი-
ჭირდა და აბა სხვას როგორღა დავეხმა-
რებო. ამიტომ ამიერიდან გიგა ფირუ-
ხასაგან ერთ გროშსაც ვეღარ მიიღებს,
ზემო ღუქანს თვითონ უნდა გაუძღვეს
და მოუაროს, ნავაჭრი დაზოგოს, საკუ-
თარი თანხა გაიჩინოს და ამ თანხით
ქარვასლებში იაროს. ფირუხას კი ისე-
დაც ბევრი საქმე აქვს. ნელ-ნელა ბერ-
დება. თავსაც კარვად ვერ გრძნობს. ხან
ფეხს იტკივებს, ხან ფერღს. თვალე-
ბიდანაც კარვად ვეღარ იხედება. ზოგ-
ჯერ თავიც უქმოდდება. კუსპარა დალა-

ქი გამაღიღრა წურბლების მოკიდებით, შეღავათი კი ჯერ არსადა ჩანს.

გიგა დაბნეული შესცქეროდა მაისის გარდევით გაფურჩქნელ. ლოყებ-ლაყდაცა, თეთრ-წითლად გაღვივებულ და კმაყოფილი ცხოვრებით გასისინებულ ფირუზას. სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა და გაჩუმებული იდგა.

ფირუზამ უარესად დაისაწყლა თავი, ამოიოხრა, გიგას თავი დაუტრა და თავის გზას გაუღდა.

გიგა მარტო დარჩა. დუქნის მოვლა გაუქირდა. საქონლის საყიდლად ხან ფული აკლდებოდა, ხან ფული სულ არ ჰქონდა.

ფირუზა ზემო დუქანში აღარ აღი-ოდა. ერთმანეთს შინ ან ქარვასლებში ხვდებოდნენ. ფირუზა არასდროს არ ეკითხებოდა როგორ იყო, რას აკეთებ-და, რითი ვაჭრობდა. დარბაისლურად ოხუნჯობდა ან დიდკაცურად მიძივდ ლაპარაკობდა.

დამფრთხალ გიგას წამდაუწუმ მე-დუქნე შაქრო ელანდებოდა. გაკორტე-ბის ეშინოდა და თავის დუქნის დახლში ჩამძვრალი გარშემო შიშით იცქირებო-და. მისი დუქანი სულ უფრო და უფრო ღარიბდებოდა. მუშტარიც ეფანტებო-და, რადგან გაქვსატებულს ყველანაირი საქონლის ყიდვა აღარ შეეძლო.

ამას გარდა, ჯერ ისევ შაქროს დროს მიშვებულ დუქანს შეეკეთება სკირდე-ბოდა. დუქნის სახურავზე კრამიტი დამ-ტვრეული და აყრილი იყო. წვიმის დროს ჰერიდან წყალი ჩამოდიოდა. დუქნის საშიშრად გადაწოლილ ერთ კედელს გიგას ამხანაგებმა ბოძები შეუ-ყენეს, მაგრამ სადაც იყო, გაზარულ კედელი მოირღვეოდა და დუქნის ეს მხარე მთლიანად ჩამოიქცეოდა. კედ-ლის გასამაგრებლად აკურო, ხრეში და გაჯი იყო საქირო, მაგრამ უფულოდ დუქნის შესაკეთებელ მასალას გიგა ვერსაიდან ვერ მოიტანდა.

ფირუზა ყურებს არ იბერტყავდა.

გიგას ჯეულ დოსტებს კი იმდენი არა ჰქონდათ, რომ გაუირვებაში ჩავარდნი-

ლი ამხანაგისათვის ხელი გაემართათ.

ძლივს გამოდარებულა გიგა, ესეკ ეულჩათბრობილი გახდა. მარტო მარ-ტო დარჩენილს და ჯიბეცარიელს თავუ ლაშის კედლისთვის ეხალებინა.

ამ მდგომარეობაში დახვდა თავის საყვარელ მაიკოს.

გიგას შესახებ მან ყველაფერი იყო-და, მაგრამ განგებ თავს არიდებდა. მას-თან ხელახლა შესახვედრად მარჯვე დროს უცდიდა. მაიკო გიგას დუქანში მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა, მისი აზრით, წვერგაუპარსავი მედუქნე ან ხიდიდან მტკვარში უნდა გადავარდნი-ლიყო, ან თავი ჩამოეხრჩო, ან სადმე სამუდამოდ გადაეკარგულიყო. გამოჩნდა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს გიგას სანახავად კი არ იყო მოსული, არამედ წიწკის და დარიჩინის საყიდლად. დუქნის კარებიდანვე მიამახა:

— ქა, ეგრე რამ დაგიღრიჯა სახე, გიგაჯან? ჩემი დანახვა, დავიჭეო, ეგრე გეწყინა!

გიგა კინალამ წამოხტა. არ ეგონა, თუ მაიკოს დანახვა ასე გაეხარდებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ფირუზას და თეთრი ღიზას შემდეგ მისთვის ყვე-ლაზე მახლობელი ადამიანი მაიკო იყო. თანაც ფირუზა მას აღარ სწყალობდა, თეთრი ღიზა კი ქმრის შიშით ხმას არ იღებდა. ერთხელ როგორღაც ქმარს თავიანთი გულკეთილი გიგა შეაცოდა, მაგრამ ფირუზამ შეუტია და ენა მუ-ცელში ჩააგდებინა:

— უჩვენოთ როგორ ვერ უნდა გა-ჩლოს! — ჯავრობდა ფირუზა, — ჩვენ ზომ ამ ქვეყანას არ შევებერდებით. მა-შინ რალა უნდა ქნას? დედაკაცო, ვკუთ მოიყრიფე, დაფიქრდი. მაგას ჩემი მტრობა ერჩივნოს შენს მოყვრობას. ხელი გაანძიროს, მიიხედა-მოიხელოს, ანგარიში ისწავლოს, ფულის ყადრი გა-იგოს.

თეთრი ღიზა ქმარს ეთანხმებოდა და ამართლებდა. გიგას კი ეგონა, რომ მისი ძველი ქომავი ახლა ათვალწუნე-ბით უყურებდა.

7. ზეგონება

ვაჭარმა თუ არ მოიფო, ცოდვაა.

იფიქრეთ თქვენ თავზედა. თუ არას მოიგებთ, როგორღა ევაჭრებთ, როგორღა იცხოვრებთ?!

ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაიძე მგვანაშვილი.“

დამართხლებული და გაკირვებული გიგა მაიკოს ისე მოეჭიდა, როგორც წყალწალბებულა ხავსს ეჭიდება. გულა გადაუშალა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. მაიკომაც ყურადღებით მოუსმინა, მერე მორიდებით უთხრა:

— არ გეწყინოს, გიგაჯან, მაგრამ პერდაპირ უნდა გითხრა — ვაჭრის ქუდი გხურავს; მაგრამ ეაჭარი არა ხარ. გიგამ გაკვირვებით შეხედა.

— პატიოსანი ხარ, გულკეთილი, შემბრალებ. ეს ვაჭრის თილისმები არ არის. ესენი არცერთ ბაზარზე არ იყადება. — ეუბნებოდა მაიკო გიგას და თან ცდალობდა ისეთი არაფერი წამოსკდენოდა, რომ გაებრაზებინა და ისევ ხელიდან დასხლტომოდა. — მაყვარხარ და ამიტომ ჩემსავით სხვა არავინ გიცნობს. არ გამიჯავრდე, გიგაჯან, მაგრამ მე არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ შენ წინათ სოვდაგრების ქარავნებს დასდევდა. სოვდაგრები ისე არ იქცევიან, როგორც შენ იქცევი. გინდა ვაჭრები დაგანახო? შორს წასვლა რად გვინდა! ფეხებშორეცილი ფირუზა აქ არ არის? ან თუგინდ ბართლომე კურტანიძე ავიღოთ. ყველას პატიოსანი და ზრდილობიანი კაცი ჰგონია, მაგრამ თუ დასკირდა, ვისაც გინდა ყელს გამოსჭრის. ორთავენი ჩემს თვალწინ გამდიდრდნენ. ვილას ახსოვს მეწერილმანე ფირუზა ან ხაბაზი ბართლომე კურტანიძე ერთი — მდიდარი მედუქენა, მეორე — მდიდარი ალაფი. აი, ვინ არიან ვაჭრები! შენ კი სულ სხვა ხარ. ფულის ყადრი არ იცი, არ გაგვეება. ანგარიშით არა ცხოვრობ. შენ გგონია, თუ უბნის მოახლე გოგოებს თავშალი ან საკაბე არ უყიდვ, ისე არ გაკოცნიებენ? — ვერ მოითმინა ფრთხი-

ლად მოლაპარაკე მაიკომ და გიგას მარინე უჩხვლიტა, — ამისათვის, ფრუხვლიტა იაფი, თავგების დასაყრდენი მიამარჯუნული ჰქონდა. შენი თავშლებით კი გაფუჭებული გოგოები ეუკიანზეც დადიან, კლდის უბანშიც და ციხის უბანშიც. ეგ რა არის, ეგ ვთქვით, კიდევ არაფერი. მაკას შეგირდისაგან გასაკვირველი არ არის, — ისევ უჩხვლიტა მაიკომ, — ამას წინათ დაგინახე, მათხოვარს იმდენი ფულა ჩაუყარე კალთაში, კინაღამ თვალები ამიჭრელდა. ის მათხოვარი კი შენზე ღონიერია, თუ დასკირდა, მუშტით კამერს წააქცევს. აი, ვაჭარი ვინ არის! შენ კი ყველასთან ხათრიანი ხარ. ქალს სადაც უნდა ლოგინს იქ გაგშლევინებს, თუნდაც თეძო ამოვარდნილი ჰქონდეს, — ისევ უჩხვლიტა მაიკომ, რომ ერთი ბეწოც არ გაიცინა, არც გაიღიმა, — ღარიბი გეცოდება, მოტყუებულ გლეხს ესარჩლები და იმის გულისთვის ბაზარში ჩხუბს მართავ, ყველასთან გულკეთილობ. უბანში ყველას უყვარხარ, რაც მართალია მართალია. ამაზე ვინ რას იტყვის? მაგრამ სარგებლობა სად არის? კარგი ბიჭის სახელი რათ გინდა, თუ სახრავიც არ გაიჩინე? ღარიბების სიყვარული, ერთი მიუზარი, სად ან რაში დაჭკირდება? შენ მდიდრებს უყურე. ისე მოიქეცი, როგორც ისინი იქცევიან. სახელო უკვე გაქვს, ვინ წაგართმევს, ღმერთმა მშვიდობაში მოვახმაროს, მაგრამ სახრავიც გჭირდება. ცხოვრების მთავარი ნიშანი სწორედ ეს არის, გიგაჯან!

გიგა გაკვირვებული უსმენდა მაიკოს, თუმც მის ნათქვამ-ნალაპარაკეში ბევრი რამ იყო მისთვის ნაცნობი და ვასაგები. დალაგებით მოლაპარაკე ქალი ახალს თითქმის არაფერს ეუბნებოდა. მხოლოდ ის უკვირდა, რომ მაიკოსაგან იმასვე ისმენდა, რაც დიდი ხნის წინათ ფირუზასაგან ჰქონდა გაგონილი. არც ის მოსვლია ოდესმე თავში ფიქრად, რომ ბართლომე კურტანიძის ცოლი და მისი საყვარელი ჰყვიანი ღედეკაცი იყო.

— მე პატიოსნება და გულკეთილობა ხელს არ მიშლის, მაიკოჯან, მე

უფულობა მიშლის ხელს. — მორიდებით უთხრა მას გიგამ, რადგან მის მართ თანდათან პატოვისცემით იმსჯელებოდა.

— მითხარი, გიგაჯან, პატოხნებით და გულყეთილობით ფულს სად შოულობენ? მაგისთანა დუქანი რომელ ქუჩაზეა? ეგეთი ბაზარი რომელ ქალაქშია? ან ეგეთი ქარვასლა რომელ ქვეყანაშია? რაღას ვუცდიო, წავიდეთ, იმ დუქნიდან, ბაზრიდან და ქარვასლიდან რაც გვინდა, ის მოვიტანოთ.

მაიკოს ავგვარი ლაპარაკი გიგასათვის იმდენად ნაცნობი იყო, რომ უნებურად ფიქრება აგონდებოდა. სულ უფრო და უფრო გაკვირვებით უყურებდა გამოცდილ, ცხოვრების ჯარდაგში გამოვლილ და ჰკუდიამჭდარ ალაფის ცოლს. თან სწყინდა და თავილობდა, რომ მაიკოც მიაშობ და გულუბრყვილო ადამიანად თვლიდა.

— კარგი, კარგი. ეგრეც ნუ გამატრიზავებ! — ვაჯავრდა გიგა. — ისიც შეყოფა, რაც მაგისთანებისათვის ფიქრებასაგან მხედება. უთქვენოდაც მოვირგებ ისეთ ქულს, როგორ ქვეყანაშიც ეცხოვრობ. შენ ეს მითხარი, დუქნისათვის საჭირო ფული სად ვიშოვნო?

— ჰო, ეგ სულ სხვა საქმეა. მამ, ფულზე ვილაპარაკოთ. — ფრთხილად შეუბრუნა კილო მაიკომ, რომელსაც გიგას მარტის ამინდით ცვალებდა ხასიათი ხელის გულზე ჰქონდა გადაშლილი და წინასწარ თადარიგს იჭერდა, რათა მისთვის არაფერი ეწყენინებინა, მის თავმოყვარეობას არ შეხებოდა. ამიტომ მის ნათქვამს ხელი ჩასჭიდა და სწრაფად მოჭრა:

— ფულს ადვილად მოველებ. შენ ოღონდ ვაჭრის ქული გაისწორე. ჩემი ქმრის სალარო ჩემს ხელთაა. ერთი პირობა კი არამც და არამც არ უნდა დავარდვიოთ: რასაც მოგცემ, უკანვე უნდა დამიბრუნო.

— მაგას რაღა თქმა უნდა, მაგრამ თუ ვაჭრის ქული კარგად დავიხურე, მაშინ რაღას იხამ? — გაიციინა გიგამ.

— მაგაზე არხეინად იყავი, — გაუ-

ცინა მაიკომაც, — აი, ნახავ, აქეთ შემეხვეწები.

გიგამ ვერაფერი ვაიგო. მათკამ საჩქაროდ მიახვედრა:

— შენ არ შეგიმჩნევია, გიგაჯან, რომ ჩვენი ჩხუბის შემდეგ შენი დუქნის საქმე უკან წავიდა? რაც მე აქ ალარა ეტრიალებ, ხედავ, დუქანი როგორ გაღარიბდა?

ასეთმა ფაქტმა წინათ გიგასაც გაუელვა თავში, მაგრამ მაშინ ამას თათქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცია. ახლა კი მისთვის სასესებით ცხადი ხდებოდა, რომ მაიკო მის დუქანში დახლიდარობით კარგ საქმეს უკეთებდა, რადგან დაუზარებლად შეელოდა და ეხმარებოდა. ახალგაზრდა, გამოუცდელი მედუქნე მხოლოდ ახლა ხვდებოდა და რწმუნდებოდა, თუ რას ნიშნავდა მის ცხოვრებაში მაიკო, რომელიც მას არც უყვარდა, არც ეჯავრებოდა.

8. სიხპარულის დასაწყისი

უცრად მათში დაინახე თოტკაბინი და შეხვეულად მან მიიღო ჩემი ცნობანი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ღამე უახანოდ“.

იმ დღეს გიგა ზანდაროვმა და მაიკო კურტანიძემ ერთმანეთს პირველად მიაგნეს და იპოვნეს. ბედნიერი მაიკო ნებივრად იწვა მარილის ცარიელ ტომარებზე, ალერსით დაღლილი საყვარლის შუბლზე ჩამოვარდნილი ქოჩრის კულულის თამაშით ერთობოდა. ბოლოს გაიციინა და თქვა:

— მიმციას მომციაც უნდა. ეს ჰელებმაც კარგად იცოდნენ, ახლანდღეებმაც კარგად იციან, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა იმათაც კარგად ეცოდინებათ.

გიგამ ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— შენი მიმიცია ჩემი ჰკუის დარიგებაა, ჩემი მომცია რაღა არის?

— შენ ცაკი ხარ, გიგაჯან, ამიტომ შენი მომცია უფრო ძვირად ეღირება.

— მაინც რამდენად ფასდება?



— არა, რაც შე მინდა, ის ფულით არ დაფასდება.

გიგამ ვერაფერი გაიგო. არც მაიკომ განუმარტა მაშინვე. სათქმელი თუ სათხოვარი ნელ-ნელა შეაპარა.

— მარტო ერთი სიტყვაა საჭირო.

— ეგ რა სიტყვაა, — დაინტერესდა ახალგაზრდა მედუნენი.

— გეტყვი, მაგრამ შენც კარგად დაფიქრდი, პასუხი გულდაგულ ასწონდასწონე.

გიგამ მხრები აიჩეჩა. მაიკომ სერიოზული სახე მიიღო. საყვარელს უფროა შეევედრა, ვიდრე თხოვა:

— სიტყვა მომეც, რომ სანამ მდიდარი სოედაგარი არ გახდები, ცოლს არ შეირთავ.

გიგა დაფიქრდა. პასუხი დეაგვიანა. ბოლოს გადაჭრით უთხრა:

— მაგის ასრულება, მაიკოჯან, ჩემთვის ძნელი არ არის. მაგრამ ფირუზა და თეთრი ლიზა არ იზამენ. ისინი ჩემთვის მდიდარ სარძლოს ეძებენ. მომდურებოთ კი იმათ ვერ მოვიმდურებ, წელანაც ვითხარი, ისედაც კარგი თვალთ არ მიყურებენ.

— მარტო ეგ არის მიზეზი? — ჰკითხა მაიკომ.

გიგამ თავი დაუქნია.

— ეგ იმისთანა რამ არის, რომ პირობა არ მომცე.

— შენ ფირუზა და თეთრი ლიზა არა გცნობია, იმათ სხვანაირად ვერ შეევირიგებ. ნათესავები არიან. მავათ გარდა ქვეყანაზე სხვა არაფერია მყავს.

— ვაცი, ვაცი, — შეაწუხეტიანა მაიკომ, — მაგრამ მაგასაც ადვილად მოველებ. შენ ფირუზას ოღონდ ბლომად ფული დაანახვე, როცა გინდა ფეხებში ჩაგვივარდებ. თეთრი ლიზა კი შე მომანდე. აბანოში ერთად დავდეკართ. საცოლეებს რამდენიც გინდა, იმდენს აგირჩევ, ცოლად კი არც ერთს არ შეგერთავ.

გიგა არასოდეს არ იფიქრებდა, რომ მაიკო ჰკუთთ თეთრ ლიზას აჯობებდა. ამიტომ დაუდევრად და დაუფიქრებლად მისცა საყვარელს პირობა. მაიკომ

გიგა სამჯერ დააფიცა და სამჯერ ააქმევინა, რომ სანამ მდიდარი მსოფლივარს არ გახდებოდა, ცოლს არ შეირთავდა.

ფიცზე უფრო მტკიცედ მაიკოს ის ეჩვენებოდა, რომ მისი სხვა დროს გულგრალი, ხშირად შუბლგაუხსნელი საყვარელი ახლა შეუფრთხივით შესცქეროდა გაბრწყინებული თვალებით და ვაცინებელი პირით ეხვეოდა, ეალერსებოდა, თავს ევლებოდა, ხან კისერს უკოცნიდა, ხან ზილფებს, ხან საულეაშეს, ხან ყურის ბიბიოთებს, ხან მის გრძელ საყურეებს ეთამაშებოდა, ხანაც ხუმრობათ ყელზე ფარღალის მძივებს უთელიდა. მაიკოს ერთი წამით შუბლი მოედრებლა. გიგამ შეატყო, ნიაზით ჰკითხა:

— რა დავემართა, მაიკოჯან?

— არაფერი, გიგაჯან, ეგრე ვიცი ბოლმე ქალბებმა. არა უშავს, გადამიარა. გიგამ იმწამსვე მუცელზე დახედა. მაიკომ გაიცინა, ხელები გაასავსავა:

— არა, არა, რა დროს ეგენია, ბიჭები დასაზრდელი მყავს.

— აბა, რა ვიცი, — გაიცინა გიგამაც, — ლამის ყოველ წელს თითო ბიჭი გამოავარო!

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. ყაინსალი და იმის ჯანი!

— მაშ რა მოგივიდა, მაიკოჯან?

მაიკომ სინანულით უთხრა:

— ჩემთვის ვიფიქრე, გიგაჯან, შენ რომ ყოველთვის ეგეთი მყოლოდი, მე რა მიჭირდა! მაკა წინ როგორ დამიდგებოდა.

გიგას პატარა ბიჭივით გაელიშა. მაიკომ ველარ მოითმინა და ისე აკოცა, როგორც დიდი ქალი პატარა ბიჭს ჰკოცნის ხოლმე.

როცა ისინი მარილის, სისირის და ლობიოს ცარიელი ტომრებიდან წამოდგნენ. გიგა მაიკოს ლამის კაბის გასწორებასა და დაბერტყუვაში დაეხმარა. მაიკომ კინალამ ჩაიფრუტუნა. დროზე შეიმავრა თავი. გამოცდილებით იცოდა, გიგას უგუნებობას ბევრი არაფერი ჰირდებოდა. დიდხანს, დიდ-

ხანს იხვევდა მარცხენა მკლავზე გრძელ ქალაღაისს.

საოცრად ლამაზი მამაკაცის ურეზობით ტყებოდა. ახლა ის მისი იყო, მას ეკუთვნოდა. მის თაფლისფერ თვალებში კვლავ იელვა სიყვარულისა და ვნების აღმა. ფეხის წვერებზე შედგა და ერთხელ კიდევ მისწვდა საოცრულად პირდაღებულ გიგას. თვითონ მას მკლავების გაშლა აღარ აცალა.

გაიქცა და ბავებით თან წაიღო თავისი გამოუცნობი დიმილი.

9. მსგავსება

ჭალისათვის საყვარელი მამაკაცის სახის მოჩაობა ისევე ნაცნობია, როგორც შეზღუდვა-სათვის ვაშლილი ზღვა.

იონორე დე ბალუკია, „კურტიზან ქალი“ აღწევბა და დაეცემა“.

მაიკო გიგას დუქანში დატრიალდა. ჩამოფხავებულ დუქანს მალე დაეტყო მისი დაბრუნება. თაროებზე ისევე გაჩნდა ნაირ-ნაირი საქონელი. მუშტრებიც კვლავინდებურად მომრავლდნენ. მაიკო ამის გამო არაფერს ამბობდა. სამაგიეროდ გაკვირვებული გიგა შებლს თითით ისრესდა და თავს უტყუდებოდა, რომ მაიკო კურტიანიძე მიზვედრილობით, გამჭრიახობით და მოხერხებით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ყველაზე მოხერხებულ ფირუზა ზანდაროვს.

ერთ მშვენიერ დღეს მაიკომ თავისი ქმარი ბართლომე კურტიანიძე მოიყვანა. დუქნის გადაწოლილი კედელი დანგრევიანა, აგურები მოაზიდინა და ხელახლა ააშენებინა. სხვა კედლებშიც, სადაც კი შესაძლებელი იყო, ალიზი აგურით შეაცვლევინა.

მუშაობაში ქმარს ცოლი შველოდა. მაიკო ფეხშიშველა მუშაობდა. მკლავებდაკაიწებულს კაბის ბოლოები მუხლების თავამდე ჰქონდა აწეული. აკაცილი კალთები კაბაზე ქინძისთავებით დამაგრებული. გიგა მის თეთრ მუხლებს უყურებდა და უყვირდა, რომ ტანად, ძვალმსხვილ, უფრო სქელ, ვიდრე გამხდარ ქალს კობტა ფეხები და

წერილი ფეხის კოჭები ჰქონდა. მაიკო კირს წყალში ურევდა, გაწეს ზამნაირ საცერში ცრიდა და თაბანით დაბანს ხარაჩოზე მღვარ ქმარს აწვდიდა. პირისახიდან ოფლს თავშლის ბოლოთი მალიმალ იწმენდა, მაგრამ დალლა არ ეტყობოდა. ბართლომესაც წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, რადგან მზიანი, ცხელი დღე იდგა. გიგა იმათ შორიდან უყურებდა და სიამოვნებდა, რომ მისთვის სხვები მუშაობდნენ.

მუშაობა ცოლ-ქმარმა საღამოთი დაამთავრა. ბართლომე კურტიანიძემ წინსაფარი მოიხსნა, კალატოზის, დურგლისა და მლესაგის იარაღები აკრიფა და ტყაეის თოფრაკში ჩააღაგა. ცოლმა ლიტრიდან წყალი დაუსხა და ხელ-პირი დააბანინა. სველი პირი ბართლომემ ბლდადით შეიმშრალა, ცალს თვალით გიგა ზანდაროვს ვახედა, თავი ოდნავ დაუკრა, გატრიალდა და წავიდა.

გიგამ გაკვირვებით გააყოლა თვალი, ეერ მოითმინა და მაიკოს ჰკითხა:

— ნუთუ მაგ კაცმა არაფერი იცის?

— რაც მაგ კაცმა და მე მეზნება, შენ იქ ცხვირს ნუ ჰყოფ, — უკმეხად უპასუხა საყვარელს მაიკომ, — ცოდნით კი ბართლომე კურტიანიძემ ყველაფერი იცის. ოღონდ როცა სჭირდება, ყრუც არის და მუნჯიც.

— რათ გეწყინა, მაიკოჯან? მე შენ შვილებზე გკითხე, მაგან იცის თუ არა, რომ შენი შვილები...

— ჩემი, შენი და სხვისი შვილების ნათლობის ქალაღდები ბართლომე კურტიანიძეს აბარია. ყველანი კურტიანიძეები არიან. სხვა საბუთებს ეგ არ თხოვლობს. რასაც ყურში ჩასძახიან, ის ბართლომეს არ ესმის.

— ბარაქალა, მაგარი კაცი ყოფილა.

— არცა სტყუიხარ. მაგარი კაცია. ვაჭრის ქული თავიდან არ გადმოუვარდება. მაგრად ჰტრავს, — გაბრაზებით დაუბრუნა მაიკომ, რადგან საყვარელს აგდებული კილო შეამჩნია, — არა, შენ ეგარი რათ იხერხები? მადლობის მაგიერია?!

გიგა შეიშმუშნა, ვერაფერი თქვა. მაიკოს კი ბრაზი უფრო შემოენთო. ყველგან და ყველასთან ის ერთნაირად ეფაფრებოდა ქმარს, შვილებს და საყვარელს. ამიტომ გიგას ჩამოკრულად ნათქვამი არ შეარჩინა და არ დაინდო, დამცინავად აათვლიერა, საჩხუბრად მოეშადა.

— ჩემ ქმარს რაზე ღაცინი⁹ იქნებ გიკვირს, რომ აქ მოვიყვანე და შენი დანგრეული ღუქანი გავაკეთებინე? ეს ჩემი თოლისმაა და ამას ვერავინ წამართმევს, ვერც ქმარი, ვერც საყვარელი. ვერც ღოზანა და ვერც დარღუბაღა. შენ ჩემ ქმარს თავი გაანებებ, თორემ თუ გამოვიფარე, მაგ ლამაზ თვალებს დაგათხრევიწებ და ნატისუსალზე დაგსვამ. ჩემი ქმარი რა მასხარად ასაგდებია? ახალგაზრდა ხარ და უკვე ჰგებხარ ბართლომე კურტანიძეს, ცოტაც მოვიცადოთ და სულ მთლად დაემსგავსები. პირწაქარდნილი ბართლომე გახდები.

გიგა გაოცდა. პირი დააღო. ერთბაშად დაძონძილი ბართლომე კურტანიძე რომ წარმოიდგინა. აიღანძა, იუკადრისა. დაბლვერილმა კბილებს შორის გამოსცრა:

— ეგ საიდან მოიტანე?

მაიკოს თაფლისფერ თვალებში ისევ გაურკვეველი ღიმილი აუციმციმდა, მაგრამ გამომწვევი გამოხედვა დრო⁹ აღაგმა. დაღლილი იყო, გიგასთან ჩხუბის თავი არა ჰქონდა. ორი თითის⁹ საყვარლის ნიკაჲს სათუთად მოჰკიდა ხელი, იმის ტუჩებს საკოცნელად მისწვდა. შეურაცხყოფილი გიგა არ მოეშვა:

— მაინც რითი ვგვევარ ბართლომე კურტანიძეს?

მაიკომ გაიცინა.

— არც ვარგნობით, არც ხასიათით არა ჰგებხარ. ღმერთმა ნუ ქნას იმასავით ძილი შეგიყვარდეს და კედლისაკენ გადაბრუნებას დაეჩვიო. მაშინ ხიდთან უნდა მივიდე და წყალში გადავვარდე.

წელანდელი ნათქვამის ზემორობაში ნა-

ტარება მაიკოს არ გამოუვიდა. გიგა არ ეშვებოდა. თავის კონტრესტულად იმეორებდა. მაიკო გაბრაზებდას ნანობდა, თვალი გასაქცევად ეკირა.

— კარგი. გეყოფა, თავი გამანებე. დაღლილი ვარ, შენი თავი არა მაქვს. რა ვქნა, ეგრე რათ ამიხირდი?

— სანამ არ მეტყვი, აქედან ფეხს არ მოგაცვლევიწებ.

— ნეტავი ენა მომტეხოდა და მე ეგ არ მეთქვა. რითი ჰგებხარ ბართლომე კურტანიძეს, ეს გინდა გაიგო? სულ უბრალო რამ არის. რაკი გამიცანი, ვეღარ დამთობ, სანამ ჩემზე უკეთეს არ აღმოაჩენ. ეს არის და ეს. ამის მეტს აღარ გეტყვი, ჩემი ქმარის აშენებულ კედელზე თოკითაც რომ დამკიდო.

გიგამ ვერაფერი გაიგო, ვერაფერი მოისაზრა. არც იყო გასაკვირი, ვაჭრის ქული თავზე ჯერ კარგად არ ეხურა. ცხვირი ჩამოუშვა, გაიბუტა. ვანზე გადაგა.

მაიკომ ყურადღება არ მიაქცია. დამშვიდებული იყო. ლაპარაკი არ უნდოდა: ახლა იგი გიგა ზანდაროვისათვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც ბართლომე კურტანიძისათვის.

თავის გზას არხეინად გაუდგა.

გაბრაზებული გიგა თავის ღუქანს გარშემო უღლიდა, მაიკოს თეთრი მუხლები ელანდებოდა, მის გაშვებას ნანობდა.

იმ ღამეს ძილი არ გაეკარა.

გათენებას მოუთმენლად მოელოდა, რათა დილით თავის საყვარელს ისევ შეხვედროდა.

10. სალთი კაცის ღიასახლისი

ესე არს: გეტრფი და გეტრფი, თუ ვულოც არ მომყოლობს.

„ღუქსანდრე ჰაკვაძე, „მე შენ არ ვაბა““.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა საქონელი გიგას ღუქანში. მოგებაც შესაბამისად იზრდებოდა. დახლის უჯრები ფულით ივსებოდა. მაიკო დაუზარებლად დახლიდარო-

ბდა. მოსწრებული სიტყვა-პასუხით და მხიარული სალამ-ქალამით ახალგაზრდა მედუქნეს მეშტარს უმრავლებდა. ზოგიერთს მასზე თვალცი ეჭირა კადეც. რადგან მაიკოს თვალის აციმცამებაც უყვარდა და არშეიხობაც.

ხელახლად ყურებად შეყვარებული გიგა მის ვინმე ჩასპანდთან ხანგრძლივ და გამბულ საუბარს ვერ იტანდა, ბუზღუნებდა, ცხვირჩამოშვებული დადიოდა, ჩხუბის გუნებაზე დგებოდა. ხან მაიკოს დოინჯით დგომა აღიზიანებდა, ხან იმის გამო უბრაზდებოდა, რომ მრეცხავი დედაკაცივით ბოლოებს დაუდევრად მალლა იწევდა და ერთი წამით თავის ლამაზ წვივებს აჩენდა. ხან იმას უსაყვედურებდა, რომ დახლზე დაყრდნობილი, მამაკაცებს გაუთავებლად ელაპარაკებოდა. ერთი სიტყვით, საყვარლის მამაკაცებთან კეკლუცობა ცუდ გუნებაზე აყენებდა. წინათ ბრვე მეწისქვილე არასდროს არ აკონდებოდა, ახლა წარამარა საყვედურით ახსენებდა მის სახელს მაიკოსთან ჩხუბის დროს. ალაფის ცოლს მისი ეჭვიანობა სიამოვნებას ჰგვრიდა, რადგან ნამდვილი სიყვარულის გამოხატულება სწორედ ეს იყო, მაგრამ განგებ გაჭაერებული ეუბნებოდა:

— არ ვიცი, მაგას ცხვირში რათ მიბოლებ? მე რას მპარალებ, შენ თავს დააბრალებ. როცა შენ მაკასთან დარბოდი, მე წუმს ხომ არ შევინახავდი? მამ, მარტო ბართლომეს დავაჯიჯინებდი თავსა?

გიგა არ უთმობდა, ახალ შარს დებდა:

— ახალგაზრდა კაცები ჩემს დუქანში რათ მორბიან? ან შენ ყველას რათ უკრავ თავსა, პირში რათ უტინი? სამი შვილის დედა ხარ და კაცებთან მაგნაირად ლაციცი არ გისდება.

მაიკოს გუნებაში ეტინებოდა, მაგრამ საყვარელს სერიოზულად ეუბნებოდა:

— რომ არ ვიცი რა გინდა? ახალგაზრდა კაცები დავითხოვო დუქნი-

დან? ბებრების და დედაბრების სიბრულოთ რა დახლი დაგვეტყვი?

გიგა მაინც არ ეშვებოდა, თანხასა გაიძახოდა:

— კაცებს ცხვირი ცხვირზე რომ არ მიადო და ისე არ ელაპარაკო, დავიჯერო. არ იქნება!

მაიკო უფრო აღიზიანებდა, უფრო აბრაზებდა:

— რა ჩემი ბრალია, რომ ყველას ჩემზე რჩება თვალი? ყველა შენსავით ხომ არ დაბრმავდება. იქნებ კიდევ დაბრმავდე, მამ, თადარიგი არ დავიჭირო!

მაიკოს ტრახბი არ სჭირდებოდა. მართალს ამბობდა. რაც მაკა კუკიის უბაში აღარ ცხოვრობდა, მაიკოს მაზანდა გაიზარდა. თუმცა მისი წარმატების მიზეზი მარტო ეს არ იყო: დაქალდა და დამშვენდა. ჩაცმა-დახურვას და მიხვრა-მოხვრას მეტი ყურადღება მოაქცია. იმისავით კოპჩიად ქალაქიას მკლავზე ვერაინ გადაიგდებდა. ვერც მასავით კეკლუცად გაივლიდა ქუჩაში. ეკლესიაში და აბანოში ყველა მას უყურებდა. ქალები შური იხერხებოდნენ, მამაკაცები თვალს დიდხანს აყოლებდნენ. გიგაც მას სხვა ქალებისაგან არჩევდა და ანსხვავებდა მასთან შედარებით არაფრად მიიჩნდა: ნიბლიასავით განაბული ნათია, სანდომიანი და კახტა. მაგრამ მოლეული და პირვეთელი შუშანიკი, ლამაზი და ლოყებხალიანი, მაგრამ პირხმელი მაკა. თავისი ჩალურჯებული თვალის უბეებით და გაცრეცილი საფეთქლებით პირმყყაზარ, ქერთმიან, თავლისფერ თვალზე მაიკოს ნატიფ აღნაგობას რადაცნაირი შუქი ეფინებოდა, ქათქათებდა და ბრწყინავდა. მისი ახლანდელი დედოფლური გარეგნობა გიგას უნებლოედ აგონებდა წინანდელ, ახლად შეღერებულ მაიკოს, რომელიც ხან ყვითელი და ხანაც წითელი ფოსტლებით მორბოდა ფირუზას დუქანში. ხელში ნაზუქები ეჭირა და გიგას გაფაციცებით (შბოლოდ ახლა ახსენდებოდა ეს მას) დაეძებდა. მას შემდეგ



მაიკომ ტანი აიყარა, ხორცი ჩამოჰყარა, გახდა და ისეთნაირად ჩამოინაცვთა, რომ არც ერთ მამაკაცს მისთვის გულგრილად ყურება არ შეეძლო. გიგა მხოლოდ თავისი საყვარლის გარეგნობით არ იყო მოხიბლული და აღტაცებული. მაიკოს ყველაფერში ამჩნევდა, რომ მას იგი გულწრფელად, გატაცებით, თავდავიწყებით უყვარდა. მხოლოდ ამით ჰგავდა მაიკო ნათიას, რომელიც გიგას ისევე ჰყავდა დაევიწყებული, როგორც ფანდურაანთ იოსების სახელი.

მაიკოს სიყვარული მას უფრო თამამს, ამყსა და თავმოქმედონეს ხდიდა. ძალსა და მხნეობას მატებდა. მიუსაფრობისა და მარტოობის გრძნობას (უწინ განუშორებლად აღევნებული ყველგან თან რომ დასდევდა) ავიწყებინებდა, სიციცხლის წყურვილს უღვივებდა და ცხოვრებაში გზის გაგნებას რწმენას უმტკიცებდა. ამიტომ უყვარდა გიგა ზანდაროვს მაიკო კურტანიძე.

გიგასთან ჩხუბი მაიკოს დიდხანს არ შეეძლო. გამოდარებული და გამხიარულებული ელაციცებოდა, პირს უკოცნიდა და სიყვარულით ეუბნებოდა:

— იფ! იფ! იფ! რა ლამაზი რამა მყებარ, გიგაჯან. ნეტავი შეშეძლოს არც ქუჩაში გაგიშვა, არც ბაზარში, არც ქარვასლაში.

მაიკოს ჭახჭახა სიცილი (როცა თავისი ღრჯოლები ავიწყდებოდა) გადამდები იყო. გიგაც უცინოდა და ეხუმრებოდა. მხოლოდ მაიკომ გაახსენებინა მას მუდამ დაკოხილი შუბლი და ისეთნაირად გამოცვალა, რომ ფირუზას ყოფილ დახლიდარში ვერაფერ ვერ აღმოაჩენდა თავჩაღუნულ, დაღვრემილ, მორიდებულ და რაღაცით დამფრთხალ და შეშინებულ ყმაწვილ კაცს.

გახურებულ ვაჭრობაში ჩათრეული ახალგაზრდა მდელქნე მაიკოს თავს ევლებოდა. მის დარიგებას ყურადღებით იმშენდა, მის სიტყვას ანგარიშს უწევდა. უღვაშებში ჩემ-ჩემად ეცინებოდა, როდესაც უაღრესად თავაზიანი მაიკო მუშტარს მარჯვედ ატყუებდა და

თან პარკს ისე ფაქიზად უჭრავდა პირს, რომ მოხაბლულ მყიდველს მისი მხევენიერ ხელებზე რჩებოდა თვალი. ამდროს მას რატომღაც ფირუზა აგონდებოდა. მისი საზრიანობა აოცებდა და მხოლოდ ახლა ხვდებოდა, თუ რატომ უფრთხილდებოდა თავის ცოლს ბართლომე კურტანიძე.

1. შპარის ქული

ქალი ისევე აწარმოებს საყვარელი მამაკაცის დაეთიხვას, როგორც მსაჩული დამანათისას.

ონორე დე ბალზაკი, „კურტიზან ქალთა აღწევნა და დაცემა“.

დუქნისათვის მაიკო გიგას იმდენ ფულს აძლევდა სესხად, რამდენიც მას ჭირდებოდა. სარგებელს არასოდეს არ იღებდა, არც მოგებაში იღებდა წილს, სამაგიეროდ თავნის ერთ გრომსაც არ დააკლებდა. გიგამ ერთხელ დახლზე მას სესხის საკმაოდ მოზრდილი თანხა გადაუთვალა, ხურდა ფული კი დაუდევრად ხელით სასწორისკენ მიწწია. მაიკომ ხურდა ფული მუჭით მოხვეტა, დახლიდან კალთაში ჩაიყარა, თითო-თითოდ ჩაავლო გახსნილ ქისაში, პირი თასმით წაუტკრა და ქისა უბეში ჩაიგდო. მერე საყვარელს მიუბრუნდა:

— შენ რა, ჩემი მოტყუება გინდა? მე შენ როდის ვითხარო, მოტყუება ჩემზე ისწავლე-მეთქი! თუ შენო გაქვს, შენ სხვები მოატყუე, — ისეთნაირად მოიღუშა, რომ გაოცებული გიგა ვერც მის საერთოდ მხიარული სახის გამომეტყველებას ცნობდა, ვერც მის თაფლისფერ თვალებს, რომელთაც ახლა ბრინჯაოს ფერი გადაჰკრავდა. ფირუზასაც სწორედ ასეთი მოღუშული სახე ჰქონდა, როცა ატყუებდნენ ან ტყუვდებოდა.

— მაიკოჯან, შენ რომ გიყურებდი, პირწავარდნილი ფირუზა შეგონე! — სიცილით უთხრა გიგამ, როცა მაიკოს თვალეები ისე მოესარკა და ტუჩებზე ჰირველმა ლიმილმა გადაუბრინა.

— მე თუ, შენი თქმით, ცოტათი ბართლომე კურტანიძეს ვგვიკარ, — გყ...

მოაჯერა გიგამ, — შენც ცოტათი ფირუზა ზანდაროვს ჰგებხარ. ის კი არ ვიცო, ეგ კაცი რათ გეჯავრებდა?

მაიკომ ისევ წარბი შეიყრა, საყვარელს უხალისოდ დაუბრუნდა:

— არც შემცდარხარ, რომ ეგ ჩემთვის შეგიტყვი. ოღონდ მაგას თავისი მიზეზები აქვს. მაგ კაცის დანახვაზე ქორივითა ვტრიალებ, მეშინიან არსიდან მოგვიდგეს, არ გვიმტროს. არ გახსოვს შენი მაკას ქმარი? — დრო უხელთა თუ არა, ისევ უჩხვლიტა მაიკომ გიგას, — მედღუქნე შაქრო რანაირად გააბა მახეში? ის მედღუქნე არც პირველია და არც უკანასკნელი.

ამ განმარტების შემდეგ ახალგაზრდა მედღუქნე დაფიქრებული დადიოდა.

ერთხელ, როცა მაიკო ძალიან კარგ გუნებაზე იყო, გიგამ ფრთხილად ფულის სიყვარული უსაყვედურა. გიგა მაიკოსთვის გადაშლილი წიგნი იყო, ამიტომ პასუხი არ დაუგვიანა.

— შენ არ გამოგიცდია, ღმერთმა ნურც გამოგაცდევინოს, რა მწარეა დამადლებული პურის კამა. ობლობითა ვარ გაზრდილი და ეს მე კარგად ვიცი. ადამიანი სულ იმას უნდა ცდილობდეს, სხვისი ხელის. შემეყურე არ იყოს. სხვას ხელი სამოწყალოდ არ გაუშვიროს, სხვას თვალეში არ უყუროს. საკუთარ პურს რომ გასტეხ, სამჯერ პირჯვარი ვადაიწერე, ღმერთს მადლი შესწირე. ჰოდა, როცა ფულის პატრონი ხარ, გულიც საგულესაა, ღონიერიცა ხარ, სხვებს ისე ათამაშებ, როგორც ჩვენი მასხარები სუფსარქისობას გამძულ თოკზე თამაშობენ.

გიგა, როგორც ყოველთვის, ყურადღებით უსმენდა.

მაიკომ განაგრძო:

— მამა აღრე გარდამეცვალა, დედა რომ მომიკვდა, სულ პატარა ვიყავი. სამადლოდ ვიზრდებოდი. ბოლოს ნათესავეებმა ვადმოკარგულ ბართლომე კურტანიძეს ჰაიარად მიმარჩიეს. ობობაზერი თავიდან მომიშორეს. იმათი ფქრითაც და ჩემი ფიქრითაც, ეს სიკეთე იყო. უპატრონოს და უშვითოს

სხვა ვინ შემირთავდა? რომ არ გავთხოვილიყავი, ეხლა ვარდისხანა მითვალმშენიერისა მერქმეოდა; მაგრამ გიგაჯან, ზოგიერთივით თემო ამოვარდნილი არ მექნებოდა, — ისევ უჩხვლიტა გიგას მაიკომ, მაგრამ არ გაიცინა, ისევ სევდიანად განაგრძო, — შენ გგონია დაყრუებულ და დამუხვებულ ქმართან ცხოვრება ადვილი არის? ჩემისთანა ქალს ქმრად ბართლომე კურტანიძე უნდა მყოლოდა? ამიტომაც არის, რომ არც მამარჩემის და არც დედაჩემის ნათესავეებს სახლში ფეხს არ ვადგმევინებ.

დაფიქრდა და მაშინვე დასძინა:

— ბართლომე კურტანიძე ოჯახში ცუდი კაცი არ არის, მაგრამ გარეთ ნამდვილი მგელიგლეჯია. რა ქნას საწყალმა? გამოქცეული გლეხია, მგლების მეტი ცხოვრებაში სხვა არაფერი უნახია. ცხოვრებაში მარტო ერთი კანონი აქვს: თუ თვითონ არ დაჩაგრა, სხვები დაჩაგრავენ.

გიგა მხოლოდ ახლა გებულობდა, რომ ბართლომე კურტანიძე იმერეთიდან გამოქცეული გლეხი იყო. მაიკოს ქმრის წარსული ცხოვრება და თავგადასავალი ისეთივე იყო, როგორც მისი საკუთარი წარსული და თავგადასავალი.

თავისი ლაპარაკი გიგასთან მაიკომ, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, მზიარული სიცილით დაასრულა:

— ფრთხილად იყავი, გიგაჯან, თავიდან ვაჭრის ქუდი არ ვადმოგივარდეს!

ფირუზა დიდი ხნის შემდეგ ავიდა ზემო დუქანში. მაიკომ ის შორიდან დაინახა და შორიდანვე დიდის ამბით მოიკითხა:

— რისგან არის, ფირუზჯან! მობრძანდი, გიგა დუქანშია. თეთრი ლიზროგორ არის?

დილით მაიკოს თეთრ ლიზასთან ერთად მოესმინა წირვა ეკლესიაში. მაგრამ მისი მოკითხვა მაინც თავის მოვალეობად ჩათვალა. სიტყვის მასალის ფასი კარგად იცოდა.

ფირუზამ ყველაფერი გულდასმით

დათვალეირა. არაფერი თქვა. კმაყოფილება და სიამოვნება არ შეიძინია. მხოლოდ მისი ცუდლექტურად მომღიმარე ფირუზი თვალეები ამკლავებდნენ ხარბი კაცის სიხარულს. ცოტახანს იმსალათა. ბაზრისა და ქარვასლების ამბებს ძუნწად მოჰყვა. მაიკოს თეთრი ლიხას დანაბარები გადასცა, სადილადაც დაპატიჟა. გიგას ამხანაგების მოკითხვა უთხრა. წამოდგა. ორთავეს თავი დაუჭრა, გატრიალდა და თავის ღუქნისაკენ თავდაღმართში დაეშვა. გიგამ მხრები აჩიჩა.

— მაიკოჯან, შენ არ შეამჩნიე, რომ ფირუზა ბოლო ხანებში ცოტას ლაპარაკობს? წინათ კი ლაპარაკს არავის აცლიდა.

მაიკომ გაიცინა. გიგას ვანუშარტა: — ქორვაჭრის ხასიათი ხელს აღარ მისცემს. ქორვაჭრები ყაყანიო და აურხაურით იკლებენ ბაზარს. დარბაისელი ვაჭრები დინჯები არიან, ყველაფერს ტკუით ზომავენ. ცოტას ლაპარაკობენ და ბევრს ისმენენ. ბართლომე ქურტანიძეც იმიტომ დაურუგდა და დამუნჯდა. ახალგაზრდობაში კი მაგის იმერულით ყველას გული ჰქონია გაწყალბებული. მართლა, გიგაჯან, შენ იცი, რომ წინათ ბართლომე ქურტა-

ნიძე ქარქვეტით ვაჭრობდა? კინტროსავით თურმე თაბახი ედგათაყვეს. გიგას თეთრი ლიხასი ნანახობაში მოაგონდა.

— ფირუზასაც მაგით დაუწყია, ეხლა კი ყველგან თავს უჭრავენ.

— ვიცი, ვიცი, მეც ვაივინია. საწყალი დედაჩემის ნათქვამია. ორთავენი შორს წავიდნენ, ფირუზაცა და ბართლომეც. ვაჭრის ქულის ტარებაც სწორედ ეს არის! მაგრამ ჯერ სადა ხარ! ვინ იცის, კიდევ რა საქმეებს დაატრიალებენ. ფეხებიდან მოცვეთილა ფირუზა კიდევ ბევრ ვინმეს გააბამს ბადეში. საწყალი შაქრო, შენი მაკას ქმარი, — ერთხელ კიდევ უჩხელიტა თავის საყვარელს მაიკომ, — ბუზი იყო, ეხლა ეგ ხარაბუხებზე ინადირებს. ქარვასლებში ტყუილად კი არ დაეთრევა, ტყუილად კი არ უტრიალებს მდიდარ სოფდაგარებს. ეჰ, რაც მართალია, მართალია! შენმა ცილის ოდენა საცოლემ კარგი საქმე ჩაგიშალათ.

ყურადღებად გადაქცეული გიგასულგანაბული უსმენდა.

თვალშიანი მაიკო თავისი ორი გრძელი თითით ზარის საყურეს ეთამაშებოდა და პირზე სიცილი ეფცნებოდა.

პარი მარაბე

1. ოჩხუბი

დავიწვრეთ ამხანაგობისა და პირობის წიგნი. ხათრიჯამი ბანადებოლდეთ.

თბილისური დოკუმენტებიდან.

ქარვასლებში ფირუზას დღენიადაც გიგას ქება ესმოდა. ვაჭრობის საზრიანობას და მარიფათს უქებდნენ. ფირუზა სმას არ იღებდა. თავისთვის გუნებაში ელიმებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ სარიტიანი და მოსაზრებული ახალგაზრდა მდღუქნის უკან მაიკო ქურტანის „მნათობი“, № 3.

ტანიძე იღვა. თვითონ აღარსად აქებდა თავის ყოფილ დახლიდას, სხვების ქებას უფრო მეტ ფასს ღებდა.

საქმე ისეთნაირად შეტრიალდა, რომ თავის იოყსულებს ფირუზა ბაზრის დახლზე არაყს აღარ უდგაჟდა. სამაგიეროდ ქარვასლებში ვანც საამისოდ გამოსადეგი იყო, იმისთვის არც ახალი ბაღდადი და არც ბუზრის ქუდი არ ენანებოდა.

მელქო ფერშანგოვი გიგა ზანდაროვს ისე არ დაინახავდა, რომ მჭიმედ არ ამოეოხრა. თვალში მოსდარდა თვალ-

ტანადი, მხარბეკიანი, ლაზთიანი, შინაინად ჩაცმული და ვაჭრობაში უკვე კარგად გაწაფული ყოფილი სასიძო. მაგრამ რაღას იზამდა? თავის გზით დაფიქრებული მიდიოდა და უკვირდა, რომ სულ აღარ აგონდებოდა სახლიდან გაქცეული ქალი.

ამ დღეს გადაუღებლად წვიმდა. წვიმით თავმოებზრებული სოვდაგრები ქარვასლის სართულებზე დაბორილობდნენ და თავშესაქცევად ერთმანეთში მასლაათობდნენ.

ერთ-ერთი მღაზიის წინ მელქო ფერ-შანგოვმა ფირუზა ზანდაროვი გააჩერა. ჯერ თეთრი ლიზა მოიკითხა, მერე იმ თვისა და ამ თვისა თქვა, წვიმიან ამინდზეც რაღაც წაიდუღუნა და ბოლოს სათქმელი უთხრა:

— ვებრძობი, ფირუზჩან. ავადმყოფობამაც ხელი დამრიდა. სადღა შემძლია მაშრიყის ქალაქებში სიარული. ახალგაზრდა, გამოცდილი შექარავენე მჭირდება. თქვენ გიგაზე გამოგონია, რომ წინათ სოვდაგრის ქარავენებს დასდევდა თურმე, მაშრიყას ქალაქები და ქვეყნები მოუვლია. იმაზე კარგს მე სად ვიშოვნი? მოელაპარაკე, თუ ჭკუაში დაუჯდება, ძველ ხელობას მოჰკიდოს ხელი.

ფირუზა ყურადღებით უსმენდა სოვდაგარს. მის ნათქვამში ერთ სიტყვასაც არ კარგავდა, თან თვალები უბრწყინავდა.

სოვდაგარი პასუხს უცუდიდა. ფირუზამ უარის ნიშნად თავი გაიქნია. სოვდაგარს გაუკვირდა.

— მე გიგა ზანდაროვისთვის სიკეთე მინდა, შენ ფინანს რამე არ იფიქრო.

ფირუზამ ლაქუციით შეაწვეტიტინა სიტყვა.

— ეგ რა საკადრებელია, მელქოჯან. შენი გულკეთილობის ამბავი მთელმა ქალაქმა იცის, მაგრამ! მაგარი სწორედ ის არის, რომ გრიგოლ ზანდაროვმა (ფირუზამ პირველად უწოდა მედუქნეს სოვდაგრის შესაფერისი სახელი) ქარავენის უფროსის შეგირდობა დიდი ხანია

დამთავრა. ახალგაზრდაა, მაგრამ შეძლებული მედუქნეა.

— დიდ ჯამაგირს დავუნიშნავ.

— შემოსავალი კარგი გვაქვს, შენ იმდენი რა უნდა მისცე?

ფერშანგოვი მიხვდა, რომ ფირუზა ვაჭრობას იწყებდა.

— მაშ თქვენი პირობა რა არის?

— ოჩხუბობა. — ფრთხილად ჩაავლო სიტყვა საუბარში ფირუზამ და თან დაკვირვებით შეხედა სოვდაგარს, რათა მისი სახის მოძრაობა არ გამოპარვოდა.

სოვდაგარს გაკვირვების ნატამალიც არ დაეტყო სახეზე. ლოყაზე ხელი მოისვია, ცალი უღვაშის ბოლო ორი თითით დაიჭირა, ჩაფიქრდა და თანამოსაუბრეს დააშტერდა. გაკვირვება დიდხნის შემდეგ გამოესახა სახეზე, ნაწყენმა მედუქნეს ქედმალღურად გადმოუგდო სიტყვა:

— ვაჰ, მდიდარი სოვდაგრის ოჩხუბალ მედუქნეები?! სად გაგონილა!

ფირუზამ დაუყოვნებლივ მიაგება პასუხი:

— განა უწინ შენ თათონ მედუქნე არ იყავი, მელქოჯან!

— ვიყავი, როგორ არ ვიყავი, უარს ვინ ამბობს. მაგრამ იცი რაბდენი ფული დავაგროვე, სანამ აქლემის ზურგზე დავჯდებოდი? ეგრე მალლა ასელა ჯერ თქვენთვის ადრეა. მართალია, მონათლული სომეხი ხარ, მაგრამ წინათ ხომ ქართველი იყავი. ქართველი და სოვდაგარი? ფიე, მე არსად გამოგონია.

ფირუზამ მოაგონა.

— განა ჭულაბაანთ და ფორაქაანთ დავთარი არ ექირათ, არ სოვდაგრობდნენ? ან ზუბალაშვილი და სარაჯიშვილი რათ გავიწყდება, მელქოჯან, განა ისინი მდიდარი ვაჭრები არ არიან? განა ვაჭრობით არ გამდიდრდნენ სააკაშვილი, ხარაზიშვილი, ქარაგელიშვილი, ნიკოლაძე? ან ჩვენი იმერელი ბართლომე კურტანიძე ავიღოთ. მდიდარი ალაფია, დაფასებული კაცია. ხელმწიფისაგან მედალიც მოუვიდა. ჭარისკაცებ პურს ის აქმევს, იმათ ცხენებსაც იმის ქერს აქმევს, ყაზარმებსაც ის ინახავს.

იმისთანათ ქალაქში ფულს ეხლა არავინ მოულობს. კიდევ ვითხრა? ქალაქში და ქარვასლაში ყველას ვიცნობ.

ამერლის ხსენებაზე მელქო ფერშან-გომა ერთი წამით შუბლი შექმუხნა. მერე ისევ ფირუზას მიაშტერდა. მეღუ-ქნე რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა. სოვდაგარსაც სწორედ ეს აინტერესებ-და.

ფირუზამ ყურთმაჯა გაისწორა. ახლა მან აიღო საუბრის სადავე ხელში;

— დროება იცვლება, მელქოჯან, ეხ-ლა სულ სხვა დრო არის. ვიგას მაშრიყ-ში ვერ გავგზავნი. თავს რათ აქნევ? მათქმეინე. ჯერ ხომ არაფერი მითქვია. ჰო, იმას ვამბობდი. უბრალო ანგარიშია. ქალაქში ყველაზე მეტად ეხლა მადრიბ-ბული საქონელი სალდება. ოსეფა ყო-რღანაშვილი, შენც კარგად იცი და მეც კარგად მახსოვს, აყროლებული პირით დადიოდა, მაგრამ ის სულაღალი მეფის ცოლს ჰყვარობდა. ეხლა კი ყველანი პირებს იხეხავენ, პეწენიკობენ, ღრან-ტუზობენ. ვერ უყურებ, ქალაქში რამ-ღენი ჩინოვნიკია, რამდენი ნასწავლი ხალხია, რამდენი ბობოლა, სუღია და პოლიციელი? ისინი და იმათი ცოლ-შვილი, ჩემსავით და შენსავით, ან ჩე-ენი ცოლებივით და ქალებივით ხომ არ ჩაიცვამენ? იმათ მადრიბული თავსაც-მელი, ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი სჭირდებათ, მადრიბული ავეჯი და სამ-კაულები. რაღა შორს მიედივართ, ვანა შენ თვითონ სახლში მადრიბული სარ-კები და სკამები არ გიდგას? ან ეს ჩემი დიდი ვერცხლის საათი მადრიბული არ არის? თუ გავგზავნა, ვიგა მადრიბის ქვეყნებში უნდა გავგზავნოთ. მაშინ ნახე, მეცა და ჩემს ნათესავსაც რა მო-გება გვექნება. ეხლაც იტყვი, რომ ჩვენი მალა ასვლა ადრეა?

ყურადღებად გადაქციული სოვდაგა-რი ფირუზას ნიახით უსმენდა, მაგრამ თვითონ არაფერი უთხრა. ფანჯრებისკენ გაიხედა.

— კაცო, ეს რანაირად წვიმს. ლამის ქარვასლის კედლები ჩამორეცხოს! კარ-გად იყავი, ფირუზჯან.

— მშვიდობით ბრძანდებოდე, მელ-ქოჯან.

ფირუზას ხელში შერჩა გულსაჩქარ-ბის ვერცხლის დიდი საათი. მიმავალ ფერშანგოვს დიდხანს ცოტა დაბნეუ-ლი უყურებდა. ვერ მიმხვდარიყო. თანამოსაუბრე სოვდაგარს რა მოეღან-და, რაზე შეწყვიტა მასთან ლაპარაკი. გაღებულ საათს დახედა, ხუფი ბრაზიან-ნი ტკაცუნით დახურა და საათი ისევ გულისჯიბეში ჩაიღო. ქარვასლის კიბე-ებს ხელის თითების ვაკვირებული გაშლა-გამოშლით დაჰყვა. უცებ შუა კიბეზე ისე შედგა, თითქოს რაღაც მო-ავონდაო. ხელი შუბლზე შემოირტყა, ფირუზი თვალები გაუბრწყინდა, თავის თავს სხაბასხუბით მიაყარა:

— დაბრუნდება, უქვეყლად დაბრუნ-დება. ამას რათ უნდა ლაპარაკი. მექა-რავნე განგებ მოიგონა. ნამდვილად ოჩ-ხუბობა უნდა. აი, შე ბემურვათო, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო, პატიო-სანი სოვდაგრების ამომგდებო, სიძენ-წით და სიხარბით გამდიდრებულო. არა, მეც როგორ გავშტერდი! დაბერდი, ფირუზჯან? სოვდაგრული ლაპარაკი და-გავიწყდა? არა, მაინც რანაირად ამხედ-დამხედა, რანაირად დამატატანა, რანა-ირად შორს დაიჭირა! რას ვიფიქრებ-დი! — გახარებული ფირუზა ქარვასლის კიბეზე თვალით ეძებდა ფერშანგოვს და ვერ პოულობდა, — შორიდან გინ-და მომიარო? ვერ მოგართვი გეტყობა ფირუზა ზანდაროვს ჯერ კარგად არ იცნობ.

ქარვასლის სპარსულ ალაყაფთან, გა-დმოხურულ ფოლორცზე, გაშლილი ქოლგის ქვეშ სოვდაგარი მელქო ფერ-შანგოვი წვიმის ვადიდებას უცდიდა და თავისთვის ფიქრობდა:

— არა, რა კარგად, რა დალაგებით, რა ჰკვიანურად ლაპარაკობდა. ოჩხუ-ბად სწორედ რომ სანატრელი კაცია. მაგრამ მე თვითონ რა ღმერთი გამიწ-ყრა? რატომ მე თვითონ ვერ მივხვდი? ეხლა სიმდიდრე მართლაც მადრიბიდან მოდის. მადრიბული საქონელი მატუ-ლობს, მაშრიყული კლებულობს. ამას

რა მიხვედრა უნდა? გამოშტერდი, მელქოჯან, ნამდვილად გამოშტერდი. ქალის სახლიდან გაქცევამ კუთხე დაგიფანტა, გზა-კვალი ავირია. გულში კი ამბობ, აღარ ვდარდობო. აი, თუ არა დარდობ! განთქმულ სოვდაგარს შედუქნებებმა გაჯობეს. წინათ კი შენ ყოველთვის კარგად იცოდი როდის საიდან რა ქარი უბერავდა. ხან ამტრახანს, უყურებდა, ხან ისტაჰანს, ხან სტამბოლს. ეხლა გენეტრიესკენაც გაიხედე. რა მოხდება? შენს წინაპრებს იქით წინათაც ზომ უწელიათ! რა იქნება შენც კაბელო? ფირუზა მართალს ამბობს, დროებაც ეხლა სულ სხვა არის. თეირანიც და სტამბოლიც მოსკოვსა და ანგლიას თავს უკრავენ, ძალა აღარა აქვთ, ფრანციაც ხელებს იქნევს, მამრისეში ქეც შუაში ჩაბსეითო, თორემ საქონელი დამიღებათ. განა სოვდაგრები, როცა სადილად სხედან, სულ ამაზე არ ლაპარაკობენ? განა ეს გუშინდელი ამბავია? ამ ქალაქში ჩემს თვალწინ რამდენმა ფრანცუზმა გაიარა, რამდენი საქონელ-ვატარეს და წაიღეს სპარსეთისკენ. შენ სად იყავი, მელქოჯან, გეძინა თუ რა იყო? მარტო გილანურ მარგალიტზე და ქირმანშალზე რათ გეჭირა თვალი? რატომ მამრისე არ ეშვებოდა? არა, ფირუზა ზანდაროვი ნამდვილად კვიანი კაცია. წინათაც ვამბობდი, ეხლაც ვამბობ. ეხლა ამ საქმეს დიდი ჩიჩინი აღარ უნდა. ხელი ხელზე უნდა დაეკრათ.

წვიმის გადაღება დაფიქრებულმა სოვდაგარმა ვერ შეამჩნია ისევ გაშლილი ქოლგის ქვეშ იდგა ქარვასლის სპარსული ალაყაფის გადმოხტრულ ფოლორცხე.

შინ სადილზეც, მათლაფაში, გაშტერებულ იყურებოდა, კოვზი ხელში უჩერდებოდა და ზანდაროვებზე ფიქრობდა. მთელი საღამო თავის დიდ ფრანგულ სავარძელში გაუნძრევლად იჯდა და ფირუზას ნათქვამს სწონიდა, ანგარიშობდა.

ლამე ფიქრებში შემოათენდა. გამტკნარებულ ანუშას ასე ეგონა, მისი ჩაფიქრებული ქმარი სახლიდან

გაქცეულ ქალს იგონებდა და დარდობდა.

გაქცეული
ნიკოლოზი

2. გარიბეზა

მაშინ ხელი-ხელს დაკრეს და გაშორდნენ. ლავრენტი არღაზიანი, „სოლომონ ისაკ მეჭანუაშვილი.“

მეორე დღეს მელქო ფერშანგოვი და ფირუზა ზანდაროვი ქარვასლაში ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, სხვა სოვდაგრების ლაპარაკს ყურა უგდებდნენ, რვითონ ხმას არ იღებდნენ, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ორივე ერთსა და იმავე საქმეზე ფიქრობდა.

შუადღისას ერთმანეთს თავი დაუკრეს:

— კარგად იყავი, ფირუზჯან.

— მშვიდობით ბრძანდებოდე, მელქოჯან.

ერთი კვირის შემდეგ მელქო ფერშანგოვი ისევ შეხვდა ფირუზა ზანდაროვს. ცოტა გამხდარი ჩანდა. ფიქრით და ანგარიშით თავი ქქონდა ჩამძიმებული, პირქუში სახე კიდევ უფრო მეტად დაღვრემილი.

ფირუზა განუვ გაიყვანა და უთხრა:

— მოვილაპარაკოთ, ფირუზჯან.

ფირუზამ გამარჯვება არ შეიმჩნია. სერიოზული სახე მიიღო. თვითონაც მოკლედ მოსპრა:

— ამ ქარვასლის თაღებს ქვეშ რა უნდა გადავწყვიტოთ, მელქოჯან. ლაპარაკით დავილაღეთ. ეხლა საბუთებით უნდა ვილაპარაკოთ. საღამოთი ჩვენსა მობრძანდი. ჩემი ანგარიშას ნუსხები და დავთრები ვნახოთ. იქ გავაგოთ, ოჩხუბად გამოვდგები თუ არა. გიგაც შინ იქნება.

ფერშანგოვი უყოყმანოდ დაეთანხმა, წინადადება მოეწონა.

საღამო ხანზე ზანდაროვებს ეწვია. თეთრი ლიზა პატრივისციკით მიესალმა. ძვირ სტუმარს მიელაქუცა, ფიანდაზად გაეშალა. ფერშანგოვს ესიაშგონა, ყურთმაჯა თავმომწონედ გაასწორა.

გიგა ზანდაროვი ისევ იმ კუთხეზე

იჭდა, იმ დღეს თავჩაქინდრული ხელში ბეჭედს რომ ატრიალებდა და პირისახე ჩამოსტიროდა.

სრულიად გამოცვალა იყო. უფრო გალამაზებული და დამშვენებული გამოიყურებოდა. სადღა იყო მისი დალო-ნებული, ჩაფიქრებული და უძილობით გამხდარი სახე. მელქოს თავის დარდით გათავებული ცოლი გაახსენდა. ამოიოხრა. ზანდაროვებმა შეაპწინეს, მაგრამ არაფერი თქვეს. ახლა არც ფერშანგოვს ჰქირდებოდა ნუგეში.

მაგიდაზე დალაგებულ თევშებზე ხმელი ხილი იყო დაყრალი. დოქით შარბათი იდგა. ბოთლებით წითელი ღვინო. მწვანელებს შორის პატარა პურები ეყარა. იქვე ელაგა ჯამები წვნიანით, ნიორწყალში მოხარშული დედალი, შემწვარი ცხვრის ზორცი, ფიხ-ხული და ხრამული.

მამაკაცები მაგიდას შეიკლესდნენ. თეთრი ღიზა ფეხაქრეთით ოთახიდან გავიდა. ვაჭრები საქმიანი ლაპარაკისა და ანგარიშის დროს ქალებს არ ისწრებდნენ.

ღვინო მოსინჯეს. ერთმანეთი დალოცეს საქმელი გაიწყინეს და ოჩხუბობის საქმეზე ლაპარაკი დაიწყეს.

ფერშანგოვმა ქალაღი და საწერკალამი მოითხოვა. ფირუზას და გიგაა ყურებზე დამაგრებული სათვალებები-ღან გადმოხედა:

— ყველაფერი ქალაღზე უნდა ექნათ.

— ყურბანოღლემ, მელქოჯანი ყველაფერი ქალაღზე ჩამოგწეროთ.

— ნაღდი ფული რამდენი გექნებათ? — იკითხა ფერშანგოვმა.

ფირუზამ პასუხი არ დაუგვიანა:

— შენზე ლარიბი ვარ, მაგრამ სოვდაგარ სარდაროვზე მდიდარი.

ფირუზამ გიგას გადახედა, ანგარიშია ნუსხები და დაფორები მოაჩანინა.

დიდხანს ილაპარაკეს. გაცხარდნენ და დაწყნარდნენ. გაფიცდნენ და დამშვიდდნენ. შუბლის კოპები შეკრეს და ისევ გახსნეს. ბევრი ქათანაური თქვეს და ლაპარაკში მწარტე ვაჭრის. იბუ-

ღუნეს და ილაქუტეს. პირობის ქალაღ-დი მხოლოდ რამდენიმე სანაღის შემდგურ დაწერეს. მაგრამ ისევ აღმზარაყდნენ და აყაყანდნენ. ბოლოს, როგორც იყო, პირჯვარი გადააწერეს, ქალაღს თავიანთი სახელი და გვარი წააწერეს და მოწმეების ხელის ჩასართველად ადგილები დატოვეს. მეორე დღეს ეკლესიაში მღვდელს ოჩხუბობის პირობის და „მხანაგობის წიგნის“ გარიგებას წააკითხებდნენ და ხელის ჩართვას თხოვდნენ, შემდეგ ქარვასლაში განთქმულ სოვდაგრებს დაუვლიდნენ და ისინიც ხელს ჩაურთავდნენ.

ამით დასრულდებოდა ფერშანგოვის და ზანდაროვების გარიგება.

ვახშამს კმაყოფილი ზიუბრუნდნენ. ბლომად დალიეს. ყბება აღარ გააჩერეს. სულმოუთქმელად გამოძდნენ. ხმელ ხილს კბილი გაკრეს და ისევ მასლაათს შეუღდნენ. იბუბრეს და ბეცრი იციინეს.

კაცებს არც თეთრი ღიზა ჩამორჩა. ლაზათიანად გამოიძენდა და გამოიბრუქა. ენად ვაიკრიფა. მოსწრებულად ხუმრობდა და კაცებს აციინებდა. დაღინჯებული ფირუზა თავშეკავებულად ხითხითებდა. გიგა გულიანად იციინოდა. ფერშანგოვს სცილი არ გამოსდიოდა და ცხენით ხვისვიინებდა.

ყველანი ერთად თეთრ ღიზას აქეზებდნენ და მის ყოველ პილილიან სიტყვას „აჯანი! აჯანი!“ აყოლებდნენ.

ღვინომოკიდებულ დედაკაცს ერთი ორჯერ ბილწი სიტყვაც წამოსცდა და საერთო ხარხარი გამოიწვია.

მელქო პირდაღებული შესცქეროდა.

— დედამთილობის მეზინიან, — ამბობდა წითელი ღვინით ნაკაღაწინწყლული თეთრი ღიზა, — აი, ნახეთ თუ რძალმა მეც ვირზე არ შემსვას!

— მოვიხდება, თერძის ქალო! — მიიძახა გაზადრულმა ფირუზან.

თეთრმა ღიზამ ფერშანგოვს გაცეეთილი კბილები გაუკრიჭა.

— არ იცი, ავლაპარში რა მოხდა, მელქოჯანი?

— არ ვიცი, ლიზაჯან! — ალერსიანადვე დაუბრუნა მეღჭომ.

— ერთ რძალს თურმე შიგ შუა ოთახში დიდი მუგუზალი დაუდგია. ქმარს გაკვირვებია, უკითხნია: „ეგ რა არისო? ეგ რათ ვინდაო?“ — „არ მოკწონს, მიტოვან?“ — უთქვია იმის ცოლს. „დედაცო, ეგ მუგუზალი შუა ოთახში ვის მოეწონებაო?“. „პოდა, — მაშინვე უბასუხნია ეხლანდელ რძალს, — მეც დედაშენი ეგრე არ მომწონსო, ეგეც მუგუზალივით არის ჩვენს სახლშიო, როცა დედაშენს გააგდებ, მეც მუგუზალს გადავფუტებო“. მამ! ეგრე ჯი ყოფილა!

— შენ მოკვდი, ლიზაჯან, აჰა, შენ მოკვდი! — რობროხებდა ფერშანგოვი. თეთრმა ლიზამ უარესები მოაყოლა. ყველანი სიცილით დახოცა. ბოლოს მთქნარება აუტყდა. პირჯვრის გადაწყვერა გადააფიწყდა, თავის საყვარელ აღჯანაბადისაყენ წაუფიდა ხელა, პირი გაივსო და თელეები ჩაბლიტა.

ოჩხუბები სუფრიდან ნაშუალამევს წამოიშალნენ.

მ. დადარდინებული მაიკო

ამ კითხვას მარკოზა ისე უტრიალებდა გარშემო, როგორც ბედუინი მდიდარ ქართვეანს უტრიალებს.

ონორე დე ბალზაკი, „პრინცივა კადინიანის სიღუფლეობანი“.

ფირუზა ზანდაროვმა კარგა დიდ მანძილზე გააცოცა გაბღენძილო, კმაყოფილებით და ღვინით ცოტათი ატორტმანებული, მაგრამ მაინც მედიდურად წინ მიმავალი ფერშანგოვი. ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილი ფირუზა გვერდში მოწიწებით მისდევდა, ერთგან ხელიც მიასველა, რათა წაფორზილებული სოვდაგარი წვიმის ტლაპოში არ დაცემულიყო.

გზად მიმავალნიც ვაჭრობასა და სოვდაგრობაზე ლაპარაკობდნენ.

ფირუზამ თავისი ოჩხუბი სახლამდე მშვიდობიანად მიაცილა და უკან გამობრუნდა. სახლის კარი ღლინით და ხე-

ლების ფშენეტით შეაღო.

— ყეყეჩი ყოფილა, ^{მეზობელი} ფირუზა ფერშანგოვზე, ^{მეზობელი} ნეყეჩია, მამ რა არის? სოვდაგარს ოჩხუბად მედუქნე რათ უნდა? საქმეს თავი და ბოლო არ უნდა გაუსინჯოს?

გივა გაკვირვებით მიჩერდა. ფირუზამ შუა ოთახში ბუქნასაყთ შემოუარა და გახარებულმა დაიძახა:

— ქალის გაქცევა დასტყობია, ჩვენც ეს გვინდა! თქვენ რა, მდიდარი სოვდაგრის ქონებას ეხუმრებით?

ამ დროს კედლის საათიდან გუგულა გამოხტა და მხიარულად შემოსძახა თავისი „კუ... კუ...“

— ხედავთ, გუგულმა დაგვიმოწმა. — აღტაცებით წამოიძახა ფირუზამ და ტაში შემოაჭრა.

ღილით თეთრი ლიზა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაიქცა სანთლის დასანთებად.

გივამ სოვდაგარ ფერშანგოვთან ოჩხუბობის ამბავი მაიკო კურტანიძეს შეატყობინა. მაიკომ ჭერ მჭირდავად გაიღიმა, მერე მოიღრუბლა, დაღონდა. მისთვის მიცემული პირობა ვახსენდა, თავისთავს ნაღვლიანად ჩაულაპარაკა:

— ბერყენა სოვდაგარა ხდებია! — ამ უსიამოვნო ფიქრს შიშნარევი წინათგრძნობა დაადევნა, — ან ფირუზა ზანდაროვს დაემგვანება, ან ბართლომე კურტანიძეს. უიმე, უწინ დღეც გამქრობია!

თითზე კბენა გვიანლა იყო. ეს გულმართალი და მიამიტი ყმაწვილი თვითონაც ჰყავდა დაყენებული ფირუზა ზანდაროვის და ბართლომე კურტანიძის გზაზე. თუმცა მისთვის თავზე ვაჭრის ქუდი რომ არ გაემავრებინა (ესეც კარგად იცოდა გარეგნულად შატაბუტა მაიკომ), მას ქალაქში არ ედგომებოდა, დაიკარგებოდა და დაეკარგებოდა.

თავისი აბრიალებული სიყვარულის ასეთი დასასრულის არც ტანის, არც გაძლებს თავი არა ჰქონდა. ახლა სხვა მხრიდან უფლიდა საფრთხე მის თავდავიწყებულ სიყვარულს.

ცხოვრების ქირვარამში, გამოვლილი

მაიკო კურტანიძე სულ ჰუდამ თადარიგს იჭერდა და ახლაც თადარიგის დაჭერას შეუდგა.

4. მტკვრის გაღმა გამოღმა

რამდენჯერ ეს მტკვარი ამ ადგილას, სადაც ეხლა ჩვენ ვლხინობთ, იყო მოწავე იმათი სიუვარულისა.

დანიელ კონჯაძე, „სურამის ციხე“.

ცოტა ხნის შემდეგ ფირუზამ ზემო დუქანი გაუიდა, რადგან მედუქნეობა აღარ ჰირდებოდა. მტკვრის გაღმა გასვლას აპირებდა. დროებით ქვემო დუქანი დაიტოვა. ისიც იმითომ, რომ თეთრი ლიზა უსაქმოდ არ ყოფილიყო. სიმდიდრისა და შემოსავლის მიუხედავად, ფირუზას კანონად ჰქონდა დადებული: მუქთად პური არავისთვის ეჭმია.

ახლა ფირუზა და გიგა ზანდაროვები მტკვრის გაღმა ქარვასლაში საქმობდნენ, თეთრი ლიზა მტკვრის გამოღმა, ძველ დუქანში ვაჭრობდა.

მაიკო დანაღვლიანდა. თავის საყვარელს იშვიათად ხვდებოდა.

გიგა მთელ დღეს ქარვასლაში ატარებდა. საღამომობით კი ბართლომე კურტანიძე ყოველთვის შინ იჭდა. პავლმანი შეუძლებელი იყო.

ათასში ერთხელ, ისიც კვირაძალზე, გიგა მაინც ახერხებდა კურტანიძეებთან ასვლას.

ლამფით განათებულ დიდ მაგიდასთან მხოლოდ ორნი ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ბართლომე ლაპარაკში არ ერეოდა. დამინებამდე ნავშვებისათვის სათამაშოებს აკეთებდა. მაიკოს ბიჭებს — აღმასხანას, სპირიდონას და ალფეზას ძილი ეკიდებოდათ, თავებჩამოკანტურებულნი საცოდავად მიმსხდარიყვნენ კუთხეში და თელმდნენ.

დედას შვილები არ აგონდებოდა.

ჩაის დალევის შემდეგ გიგას მაიკო ფირუზას დუქანმდის აცალებდა. გზად ბნელი ხეების ქვეშ ჩერდებოდნენ, სახლების იაქთალებს ეფარებოდნენ, სადაც მოახლებდნენ, იქ კოცნაობდნენ. მაიკოს კარიც ავიწყდებოდა და სახლიც. ზოგჯერ სიცილით ამბობდა:

— ქა, პატარა გოგოდ და ბიჭად გადავიქციეთ. ასეთი აცუნდრუება აღარც შენ გიხდება, აღარც მე. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ უკვე ვბერდებით.

„დაბერებულ“ მაიკოს ოცდასამი წელი უსრულდებოდა, ხოლო გიგას — ოცდაოთხი წელი.

კარი მცხრა

1. ფილიპე მამრახის ოჯახი

გაპირება გვიახლოვდება.

ონორე დე ბალზაკი, „ფაინო კანე“

სოფლაგრობაში გიგა ზანდაროვმა ისეთი ფხა გამოიჩინა და ქარვასლაში ისეთნაირად დატრიალდა, რომ შის შემყურე ფერშანგოვს გული ბოლმით ევსებოდა. იმ საათს წყევლიდა, რა საათსაც მან იმერელი ფილიპე მამრახე თავის მალაზიაში ნოჭრად აიყვანა. „ას ცუდლუტა იმერელი რომ არ გამოჩენილიყო, წინ რა დაუდგებოდა, ჩემი ქალი გრიგოლ

ზანდაროვის ცოლი გახდებოდა, შუშანიკიც ბედნიერი იქნებოდა, ჩემი ცოლიც და მეც ბედნიერი ვიქნებოდით“ — სინანულით ფიქრობდა ვულგაბოროტებული სოფლაგარი.

ფილიპეს ფერშანგოვი ყველგან სდევნიდა, არ ახარებდა. სადაც ფილიპემ სავაჭრო ფარდული გახსნა, იქ ფერშანგოვმა გამართული დუქანი წამოჭიმა. საქონელს ჩალის ფასად ჰყიდდა და უარყოფილ სიმეს ადვილად აკოტრებდა.

ფილიპემ თავზე თაბახი შეიდგა, ქარ-

ქვეტით ვაპრობა დაიწყო. ხალისიანი და მხიარული, იმედს არ კარგავდა. ფულის მოგება სჭეროდა, გამდიდრებაზე ოცნებობდა.

სოვდაგარ ფერშანგოვის სახლს წინ გაუვლიდა ხოლმე და გაბმული ხმით ყვიროდა:

ქარქვეტა, ქარქვეტა,
თქვენი გვარის ვაწყვეტა.

სახლს გასცდებოდა თუ არა, ახლა კინტოსავით დაიძახებდა:

ქარქვეტა, ქარქვეტა,
აბა, კარგი ქარქვეტა.

ვინც სოვდაგარისა და იმის ნოქრის ამბავი იცოდა, ერთობოდა და იცინოდა. გაკინტოებული იმერლის მოსწრებული სიტყვა მოსწონდათ. ქვეანნი, გამოცდილი და წინდახედული სომეხი ვაპრები თავის ქნევით აღნიშნავდნენ:

— ეგ სიმღერა ცუდი ადამიანების გამოგონილია. ქართულები და სომეხები ყოველთვის ტკბილად ვცხოვრობდით. ეხლა კი ნელ-ნელა წარბს ვუწვევთ ერთმანეთს. მაშ რთვორ ღინდათ? ქალაქში გამოქცეულმა ქართველებმა ან ვაპრობას უნდა მოჰკიდონ ჭელი, ან ხელობას. ნამეტნავად იმერლებმა. მეტოქეობა საქმეს აგვირევეს.

გაბრაზებულმა ფერშანგოვმა ფილიპეს დაქორავებული ავარება დაადევნა. ავარებმა გულდამდობილი იმერელი სახლის იაქთაღთან მიიმწყვდევს, მაგრად მიბეგვეს და დაემუქრნენ:

— თუ მაგ სიმღერას არ მოიშლი, იცოდე, თაბახს თავზე უაგამტვრევთ.

თაბახი თავდაღმართში დაუგორეს, ქარქვეტა ფეხებით დაუსრირეს. მასხარად აიგდეს, დასცინეს დიდხანს ატრიალეს, აბუქნავეს, ბოლოს პანდური ამოჰკრეს, წინ გაიგდეს და იქამდე სდიეს, სანამ ცემით დაღურჯებული ფილიპე მოისახრებდა და უკანმოუხედავად მოჰაჟრცხლავდა.

ფილიპემ ვაპრობაში წელი ვეღარ აითრია. გული გაუტყდა. კურები ჩამოჰყარა. ჭავრისაგან ლოთობა დაიწყო.

ცოლს აყვედრიდა, ზოგჯერ სცემდა კიდევ. მის მშობლებს უწმაწურად ლანძღავდა და კინტოსავით ეგვიტობდა. გალოთებული და გაავეებული ფილიპე სოვდაგარ ფერშანგოვის ჭავრს უდანაშაულო ცოლ-შვილზე იყრიდა.

ოდესღაც ლამაზი და ეშხიანი შუშანიკი ვაპროვებამ და დარდმა მოიღწო. გახდა, ლოყები ჩაუცივდა. ისედაც პატარა, კიდევ უფრო დაპატარავდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ მის ნაცნობებს, როცა მდიდარი სოვდაგარის მობუზულ და წელში ვაწყვეტილ ქალს უყურებდნენ. მის ოჯახში წიწვილი აბეზარი სტუმარივით ჩასახლდა და იქიდან ფეხი აღარ მოიცივალა. ცხოვრებაზე გულადრენილი ფილიპე ან ლოთობდა, ან ტახტზე ეგდო და ეძინა. ხანდახან თითო ლუქმას მიუვდებდა ხოლმე ცოლსა და შვილებს, შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

შიმშილით, სიცივით და სიტტიტელით დატანჯულ შუშანიკს ორი წლის ბიჭუნა კალთას აგლეჯდა, ტიროდა და პურს თხოვდა. აკვანში ძუძუწოვარა გოგო იჭაქებოდა, მაგრამ გაძეძავებულ დედას მისი გაჩერება არ შეეძლო, მშვიერს რძე დაშვრალი ჰქონდა.

შუშანიკი თავისი მამის იქითბაშია ბურნეთოვის სახლის ბნელ სარდაფში ცხოვრობდა. საწყალ ქალს შხის სინათლე ენატრებოდა. ნესტის სუნი პირველად გულს ურევდა, მერე ამასაც მიეჩვია, თითქოს შიმშილისაც იტანდა, რადგან მხოლოდ შვილებზე ფიქრობდა და როგორც შეეძლო თავას ქორფებს ისე უვლიდა. ცხოვრება უფრო უღმობელი აღმოჩნდა, ვიდრე დასაწყისში ფიქრობდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა მისი მდგომარეობა. ფილიპე ხშირად თელი დღეებით იკარგებოდა და შუშანიკის გამოკითხავს არავეს იყო. მშვიერსა და დაღლილ-დაქანცულს აკვნის დარწმუნის თავიც აღარა ჰქონდა. აკვნის გამტერებელი რწყევა და ღინჭილების სუსტი ჩხაკუნი უძუძოდ გაშვებულ ქორფას ძილს არა ჰგვრიდა, პირიქით, უარესად ქირ-

ვეულობდა. ზოგჯერ ცემლმუშრობელ ქალს აკენის დარწმუნებაც ავიწყდებოდა. ბავშვების ტირილი აღარ ესმოდა. გაოგნებული უაზროდ იყურებოდა. გამოფხიზლებულს კი მთვრალი ჭმრის გამოჩენა თავზარსა სცემდა.

შინ გვიან დაბრუნებული, ღვინოთ გაღეშილი ფილიპე ცოლს მუშტებს გამეტებით ურტყამდა, გაბოროტებული არც ორი წლის ბიჭუნას ინდობდა, თავზე, ლოყებზე სილას უღაწუნებდა და აღრიალებდა. ხმაურზე აკვანში გამოღვიძებული გოგო თავის ყურისწამლებ ტირილს ძმის ტირილს უერთებდა. ცემისაგან სახე დალილავეებული შუშანიკი ქმარს ხელეში უვარდებოდა, რათა შვილებს გადათარეზოდა და ლოთის მუშტები მხოლოდ მას მოხვედროდა. ცხოვრების ფსკერზე დაშვებულ უპატრონო და უნათესაო ფილიპეს არაფრად არ მიჩნდა ასევე მიუსაფარი და უპატრონო ქალის ცეკა-ტყეპა. დიდხანს ბორგავდა და ბოზოქრობდა. მერე ტახტზე გაუხდელად ევდო და ხვრინავდა. აკვანზე გადათაფრებული შუშანიკი სულს ძლივს იბრუნებდა და იმ წამს წყველიდა, რა წამსაც მათი კედლის საათიდან გუგული გამოხტა და მას საბედისწერო ნიშანი მისცა.

ასე ცხოვრობდა მდიდარი სოცდაგრის ქალი, რომელსაც წინათ მშობლები ცივი ნიავს არ აკარებდნენ.

ერთ დღეს ფილიპე სულ არ გამოჩნდა. იმ დღეს შუშანიკი შვილებთან ერთად შიმშილობდა. გაათენდა. დილას შუადღე მოჰყვა. შუადღეს საღამო. დღამდა. შუალამეც მოატანა, მაგრამ ფილიპე არსად ჩანდა. ასე გვიარა ორმა თუ სამმა დღემ. მალე კვირაც მიიწურა. შუშანიკი შეფიქრიანდა. შეშინდა: „ვინ მე მოკლავდა მთვრალუბას ჩხუბში ან პოლიცია დაიჭერდაო“. ღამე ძლივს გაათენა. უთენია ადგა. წარებზე დაკლებილი შალი მოასხა. ბავშვები მეზობლის პატარა გოგოს დაუტოვა, თვითონ დაკარგული ჭმრის საქებნელად წავიდა. აშაბხანებსა და სამიკიტნოებში დადიოდა. ლოთებს შორის და ყველას ჭმრის

ამბავს ეკითხებოდა. არაფერ არაფერი იცოდა. პოლიციაშიც ყვრათერი უთბრეს. ფილიპე ცამ ჩაყლაპა არასოდეს გამოჩენილა.

გამოუცდელი და მარტოხელა შუშანიკი დაიბნა. ძრწოლამ შეიპყრო. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რა გზას დადგომოდა, რით ერჩინა თავისი ქულფათები. თავის მოკვლასაც და წყალში გადავარდნასაც ფიქრობდა, მაგრამ შვილები ეცოდებოდა. საბრალო ქალს დარიბი მეზობლები, ბურნეთოვის სახლის მდგმურები, პირველ ხანებში თითო ლუკმას აწვდიდნენ, მაგრამ მალე მობერდათ. თვითონაც წყლებზე ფეხს იდგამდნენ და გაჭირვებით ცხოვრობდნენ. შუშანიკი მიხვდა, რომ ნაწყალობეუ ნამცეცებზე ხელი უნდა აედო და საკუთარი შრომით ეცხოვრა.

2. პარდისმონას გამოჩენა

არაფერი ისე საშინელი არ არის, როგორც სინამდვილე.

ონორე დე ბალზაკი, „ონორინა“.

სოცდაგრის ქალმა მრეცხაობა დაიწყო.

სარდაფის ქვის იატაკზე ცეცხლი ენთო, ზედ დიდი ქვაბი იდგა. ცეცხლის ბოლისა და ქვაბიდან ამოდენილი სქელი, ცხელი ორთქლის გამო მთელ სარდაფში განუჭვრეტტი, მოწითანო ნისლა იყო მოდებული. ადამიანს სუნთქვა უჭირდა. შავად შებოლილა, გამურული კედლები საზარლად ატურებოდნენ. ყველგან, სარდაფის ყოველ კუთხეში, შემამრწუნებელი სიღარიბე და უილაჯობა იყო დასადგურებული.

პირგამურული, ფეხშიშველა ბიჭუნა, რომელსაც თავზე დიდი კაცის დაფხრეწილი ქუდი ეხურა, დის აკვანს არწევდა და თავის დიდრონი, ნალვლიანი თვალებით უყურებდა საბეჭარხლებულ დედას, რომელიც სუსტი, გამხდარი ხელებით სარეცხის გობში კვნესით წურავდა მდიდრების თეთრეულს. გარეცხილი პერანგები და ქვედა საცვლები შუშანიკს დიდი კალათით ეზოში მიბ-

ქონდა და გარდი-გარდმოდ გაბმულ თოკებზე გასაშრობად ფენდა. პატარა ბიჭი თავისი პაწაწინა ხელებით ეპოტინებოდა კალათას, მაგრამ დედას უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე შველოდა. მერე ისევე სარდაფში, როცა ცაცხლი უკვე ჩამქარალი იყო, უთოს ფიცარზე მოხრილი, სიცხისაგან ოფლში გაწურული შუშანიკი წელმოწყვეტალ: აუთოებდა გამშრალ საცელებს. პირმოკემული, ჯანგატეხილი და გულჯაყრიანი ქალი გრძნობდა, რომ მეტს ვეღარ აიტანდა და უდანაშაულო შვილები: ღვთის ანაბარად დარჩებოდა.

კეთილმა ადამიანებმა შუშანიკის გაქირვებული ცხოვრების აპბავი მელქო ფერშანგოვის შეატყობინეს. სოვდაგარი შეყოყმანდა. ლაპარაკმა ფირუზა ხანდაროვი ჩაერია, ოჩხუბს ურჩია:

— ნუ აჩქარდები, დამიჭერე. ცოტაც იწვნიოს, მოუხდება, ქუჩას ისწავლის. მერე სახლში მოიყვანე. მამ რას იზამ? შენი ქალია, ღვიძლი შვალი, ცის ქვეშ ხომ არ გაუშვებ!

სოვდაგარი თავის მრჩეველს დაეთანხმა, რადგან მის სიტყვას აფასებდა და ჰკვიან კაცადაც თვლიდა.

ფერშანგოვის ნაცნობი ვაჭრები თავის ქნევით უყურებდნენ გაცრეცილ და გაძვალტყავებულ შუშანიკს, რომელსაც ქუჩაში მხარზე შედგმულა სარეცხის ვეებერთელა კალათა მიჰქონდა.

გუნებაში კი ფიქრობდნენ, რომ ისინიც ისე მოიქცეოდნენ, როგორც მელქო ფერშანგოვი სახლიდან გაქცეულ ქალს მოექცა.

როცა ერთხელ შუშანიკი ხენეშით, ოხვრით და ხველებით აღიოდა ერთი თავადის ბრწყინვალე კიბეზე, წინ მოულოდნელად ვარდისმონა შეეფეთა. ვარდისმონამ თვალს არ დაუჭერა, პირველად ასე ეგონა ვტყუდებიო, მაგრამ ჩამოშხმარ და ჩამოძონძილ ქალში თავისი საშინლად გამოცვლილი ქალბატონი რომ აღმოაჩინა, თავში ხელება წაიშინა, ლოყა ჩამოიკაწრა, მიეშველა, მისი პატარა, სუსტი მხრიდან სარეცხის მძიმე კალათა გადმოიღო, გადაეხვია და

გადაეცინა. ძველმა მეგობრებმა ერთმანეთს შესტირეს და იქვე, უხებლსაფეხურზე ტირილით ჩამთხდნენსაგან კენიანა წამოაღგათ.

— ეს რა ამბავია? ეს რა ტირილია? — გაოცებული კითხულობდა ვარდისმონას ახალი ქალბატონი.

მოახლემ კენიანას დაწერალებით უამბო შუშანიკის თავგადასაცალი. ამ ამბის მოსმენით განცვიფრებულ კენიანას სხვებთან გულმოდგინედ დამალული სიმართლე წამოსცდა:

— აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მრეცხავი იმ მდიდარი სოვდაგარის ქალი იყო, რომლის ვალებიდან ჩემი ოჯახი ვერ ამოვიდა და, ალბათ, ვერც ვერასოდეს ამოვა. მეცა და ჩემი ქმარ-შვილიც იმის ხელთა ვართ. ჩემო კარგო, მამაშენი ძალზე მდიდარი ვაჭარია. წადი, ფეხებში ჩაუვარდი, პატიება თხოვე.

— წადი, გენაცვალე, ჩემი ქალბატონი მართალს გუებნება, შენთვის სიკეთე უნდა, — დაყვავებო და აღერსით ეუბნებოდა ვარდისმონაც, — წადი, მამაშენს თავი შეაცოდე, შენი შვილებიც დაანახვე. მამა არის, მოგხედავს და შეგივრდომებს. დედაშენიც, ამას რაღა ლაპარაკი უნდა, განა მე კი კარგად არ ვიცნობ ანუშას! ხელს დაგდებს და მოგივლის. შენ უფრო დედის იმედი უნდა გქონდეს. იპ, დედის გულს სულ სხვაა!

შუშანიკმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. მამასთან შეხვედრას ეშინოდა. წასასვლელად მოეშხადა. ვარდისმონამ თავისი ყოფილი ქალბატონი მარტო აღარ გაუშვა, ბურნუთოვის სახლამდის მიაცილა. კენიანამაც ნება დართო.

გზაში შუშანიკს გაოცებით უყურებდა და წამდაუწუმ ვიშვირით იძახდა: „შენ მოგივლეს ვარდისმონა! გოგო, ეგრე რამ გამოგვალა?“. ოდესღაც კობტა და კეკელუცი შუშანიკი ამ სიტყვებზე საწყლად იღიმებოდა.

8. სარდაფი

— ეტყობა ძალიან ღირბი იყო, რაკი სარდაფის კუთხეში ცხოვრობდა.

თ. დოსტოვეჰი, „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი.“

როცა ვარდისმონა ბნელი და დანგრეული კიბით ბურნუთოვის სახლის იმ სარდაფში აღმოჩნდა, სადაც შუშანიკი თავისი შვილებით ცხოვრობდა, კინაღამ შეჰკივლა; ისევ ხელები გაშალა და ლოყები ჩამოიკაწრა. გულს ამოუჭდა და ისე აქვითინდა, თითქოს სარდაფში მიცვალებული ყოფილიყო — დასვენებულნი. ტირილით დაოსებული უყურებდა შუშანიკის გამხდარ, ნაწიწილებს, გაყვითლებულ შვილებს და უარესად იმდღურებოდა. მერე ხან პაწაწინა ქრისტინეს კოცნიდა, ხან პატარა კოსტას, რომელსაც სალოკი თითი პირში ჩადო და ცნობისმოყვარეობით შეყურებდა უცხო დედაკაცს. ტირილი რომ მოათავა და ცრემლები ფართოდ გაშლილი ქალაღიას ბოლოთი მოიწმინდა, ვარდისმონა შუშანიკს მიუბრუნდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მისი ყოფილი ქალბატონი გაუფაცქნელ მთელ-მთელ კარტოფილს ხარშავდა ზედადგარზე მოდგმულ პატარა ქვებში. ისევ ვიწვიშა და ურვას მოჰყვა, მაგრამ თანდათან ხმაში სიმტკიცე დაეტყო.

— ნახეთ, რანაირად ვკატრილებს წუთისოფელი, ნახეთ, სოფდაგრის ქალები რა დღეში ვართ ჩავარდნილი! მაგრამ არა უშავს, ღმერთი მოწყალეა. დღეიდან, რაცა მაქვს ან რასაც ვიშოვნე, თქვენთან მოვიტან. პური და ყველა ყოველთვის გექნებათ, ნანდახან ცხელ კერძსაც მოვახერხებთ. მაგრამ, შუშანიკ, ყური დამიგდე, გოგო! მაშინდელივით არ მოვტყუვდეთ. მამაშენს პატიება თხოვე. ჩემი ქალბატონი, კნენა, მართალს გეუბნებოდა. ჰკვიანი დედაკაცია, გულკეთილი, ცხოვრებაში ჩახედული.

შუშანიკმა თავი გაიქნია.

— ვერ წავალ, ვარდისმონავ, რა პირობით უნდა შევხედო მამაჩემს? —
 — რაც მოხდა, იმას რაღა ვშვეკლებას ეხლა ხვალინდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ. შენს პატარა შვილებს პატრონობა უნდა.

ვარდისმონა დიდხანს ელაპარაკებოდა და არიგებდა შუშანიკს, მაგრამ მისი თანხმობა მაინც ვერაგზიო. ვერ მიიღო.

მეორე დღეს, როცა ვარდისმონამ კნენას სახლი მიულაგ-მოულაგა, ყველაფერი დაურეცხა და დაუსუფთავა, ისევ ბურნუთოვის სახლისკენ შუშანიკთან გაიქცა. თან პატარა კალათით სურსათ-სანოვავე, თავადის ოჯახის ნასუფრალი წაუღო. გზად დუქანშიც შეიარა და ბავშვებს ტყბილული უყიდა.

— არ ვიცი, მეჩვენება თუ რა არი, მაგრამ დღეს უკეთესად გამოიყურები, შუშანიკჯან! — მისვლისთანავე ატიტინდა ვარდისმონა, როცა თავისი ყოფილი ქალბატონი დაკვირვებით და გულდასმით შეათვალიერა.

— არც არის გასაკვარი, — მიუგო შუშანიკმა, — რაკი ჩემს ღრეჭია ვარდისმონას მოვავონდი, აღარაფერი მიკირს, აღარ დავიკარგები.

ვარდისმონამ მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინა, გაიღრქვა.

— იპ, ნეტავი შენა, ვარდისმონას ქათინაურები რათ სჭირდება!

შუშანიკს გადაეხვია, სიყვარულით უთხრა:

— მოგონებით როგორ არ მაგონდებოდი, მაგრამ რას ვიფიქრებდი? ქალაქში არ შეგულებოდი. ვიცოდა, რომ მელქო აქ არ დაგაყენებდათ. იმ ცულლუტმა ფილიპემ მარტო ვაჭრობა იცოდა, სხვა რა ხელობა ჰქონდა? მეც ვიფიქრე იქ წავედნ, სადაც ფერშანგოვის კაცები წინ არ დახვდებოთ-მეთქი.

შუშანიკი დაფიქრებული უსმენდა.

— რათ დაფიქრდი, გენაცვალე?

— ეგრეც მოხდა, როგორც შენ ვიფიქრია. ოღონდ სხვაგან არ წავსულვართ. ნეტავი მართლა სადმე წავსულიყავით. ფილიპე სულ იმას ამბობდა ყველა აქ მორბის, აქედან სად უნდა

წავიდეთ? საიდან არ მოგვიდგა მამა-ჩემი, რა არ გვიყო, რანაირად არ გვიმტრო. ვინ იტყვის? ვინ ზოჯლის? იქნებ ფილიპე მართლა ცუდლუკი იყო, მაგრამ ფუქსავატი არ ყოფილა. ცხოვრება უნდოდა, ირჯებოდა კიდევ პირველად, არა უშავდა, როგორც მეგვეძლო, ისე ეცხოვრობდით. ორიოდ გროშს ფილიპეს შოულობდა. ალბათ მალე ფეხზეც დადგებოდით. მამაჩემმა ცხოვრების საშუალება არ მოგვცა. მეც გამაუბედურა, ფილიპეც და ჩემი შვილებიც, — შეშანიკმა თვალზე მომდგარი ცრემლი თავშლის ბოლოთი ისე მოიწმინდა, როგორც ამას მოახლე ქალები აკეთებდნენ, არავინ იცის სად აოის, სად გადაიკარგა ის ჩემი და ჩემი შვილების უბედურების მიზეზი.

ვარდისმონა თავის ქნევით უსმენდა, თან ორივე ხელით ქალაღიას გაშლილი ბოლო ეჭირა ცრემლების დასაგუბებლად, მაგრამ აღარ ატირდა, პირიქით, მზიარულად წამოიძახა:

— ქა, დიდების ლაპარაკი ამით რაში აინტერესებთ! თქვენ შემოგვევლოთ ვარდისმონა, მოდი ერთხელ კიდევ დაგიკოცნოთ ეგ ლამაზი პირები.

ბავშვებს კამფეტები დაურიგა, თან აღურსით ეუბნებოდა:

— მიირთვით, ისიამოვნეთ, გაიხარეთ. იქნებ არც იცით, რომ ამ ნუგბარს კამფეტი ჰქვია, მდიდარი სოფდაგარის შვილიშვილებო?! იპ, სოფდაგარები ჭირსაც წაუღია. ბებერი ქალის რატრატს რა ყურს უგდებთ! პირი ჩატკებარუნეთ, ღმერთმა შეგარგოთ, ჩემო მტრედებო, ჩემო გვრიტებო, ჩემო კუდრაპებო.

კოსტას და ქრისტინეს კამფეტი მართლაც არასოდეს ენახათ. გემო რომ გაუსინჯეს, ვარდისმონას შესცინეს, გაუშინაურდნენ. პატარა კოსტა კალთებს აგლეჯდა, პაწაწინა ქრისტინე ლამის დედის მკლავიდან გადმოვარდნილიყო. ვარდისმონას თავისი პაწაწინა ხელეებით ეპოტინებოდა და მისკენ მიიწევდა. იაფფასიანი კამფეტის საღებავით ტუჩები და ლოყები ორივეს წითლად

და მწვანედ ჰქონდათ წოთხუნული. ვარდისმონა სიცილით აეფეჭქეფებოდა:

სარდაფის კიბის თავზე უფრო მაღალ რანჭული დედაკაცი გამოჩნდა, სარეცხის კალათით ხელში. ვარდისმონამ დაბლა ჩამოსვლა არ დააცალა, ქვემოდან ასძახა:

— მრეცხავი ბურნუთოვის სახლში აღარა ცხოვრობს, გატრიალდი, ჭანუმ, შენი სარეცხის კალათა უკან წაიღე.

ქალი გაშტერებული ჩუქურბდა.

— ხომ არ გაგიყებულხარ, დედაკაცო? მრეცხავი შენს გვერდით არა დგას თავისი პატარა გოგოთი? რას მამარმავებ რომ არ ვიცი?

— რა ვქნა, გუუბნები და არა გჯერა. ვისაც შენ ეძებ, ის სოფდაგარ ფერშანგოვის სახლში გადავიდა. მე კი არ გამარმავებ, შენ გეშლები, დედიქანი!

ქალი გაბრაზდა.

— ქა, დედაშენი ვინ არის, მე თვითონ შევილად გერგები.

— მაშ თუ დედაჩემოზა არ გინდა, დედაჩემი იყავი, ჭანი ვავარდნი. თუ ესეც არ გაწყობს, მაშიდაჩემი, თუ ამასაც დამიწუნებ, თავში ქაა გიხლია, ძალუაჩემი იყავი. იმასაც შენსავით ფერუმარილი ჰქონდა ლოყებზე წაცხებული და თავი ახალგაზრდად მოჰქონდა.

შეშანიკი ჩუმ-ჩუმად იცინოდა. სარეცხით მოსული ქალი გაცეცხლდა, გაკაპასდა.

— ქა, ვის დასცინით, თქვენი მასხარად ასაგდები ვინ არის? დასაცინი საკუთარი თავი გაქვთ! არა, მუშტარს ასეთნაირად უნდა დახვედრა? ამის იქით ჩემი ფეხი აქ აღარ იქნება, აღარც მეზობლის ქალები მოვლენ სარეცხით. შიმშილით სული ამოგძვრებათ, ისედაც ნატისუსალი ავლით. აი, მაშინ კი დავიდგებათ თვალები!

— ბებიჩემიც სწორედ ეგრე იწყებლებოდა. აქი ამტკიცებდა, ახალგაზრდა ვარო, ვითომ შევილდაც გერგებოდი. გეგონა ფერუმარილი გიშველიდა! დალალებს დამიხედეთ, თქვენი ჭირამეთ, მაგისტანა დალალები ყველა დალაქთან

იყიდება. ვერც ეგ გიშველის. შენი ბე-
ბიობა წყველამ გამოაჩინა.

ქაღმა კალათას ხელი დასტაცა და
სარდაფიდან გველნაკბენივით გავარდა.
ვარდისმონამ გადაიხარხარა. შუშანიკ-
მაც თავი კოსტა შეიმავრა და სიცილო
აუტყდა. კოსტაც, თუმცა დედაკაცების
ჩხუბის არაფერი ესმოდა, დედას აწყვა.
ქრისტინესაც სახე უცინოდა, პირს სუ-
ლელურად აღებდა და ზელებს აქეთ-
იქით აქნევდა.

შუშანიკმა თითქმის შურით წამოი-
ძახა:

— ნეტავი შენა, ვარდისმონავ, რომ
დარდი არ იცი!

— გოგო, დარდის მეტა რა მინახავს
ცხოვრებაში? ქაღობა და კაცობა სწო-
რედ ის არის, რომ დარდმა შენ კი არ
გაჯობოს, დარდს შენ აჯობო.

— ეგ რა კარგა სიტყვა, ვარდისმონავ!
სად ისწავლე? ვინ გასწავლა? — ეკით-
ხებოდა ამ სიტყვებით გამხნეებული
შუშანიკი თავის ყოფილ მოახლეს. ვარ-
დისმონამ პასუხი მცირე ხანს დაუგვიან-
ა, სანამ შებლზე ერთა წაწით გამოჩე-
ნილი ნაოჭი გაუჭრებოდა. სიცილნარე-
ვი ამოიხვრიტ უპასუხა:

— ჩემმა უბედურმა ცხოვრებამ!

ორივენი გაჩუმდნენ.

— ეგ ქალი, — დარდლია დუმილი
შუშანიკმა, — შეძლებული მედუქნის
ცოლია. მაგისთანა კოპწიად ჩვენს ქუჩა-
ზე ქალი არ დადის.

— ვინც უნდა ის იყოს. მე რა შესაქ-
მება. ბართლომე კურტიანიძის ცოლი
ხომ არ არის!

მაიკო კურტიანიძის ვინაობა შუშანიკ-
მა არ იცოდა, არც აინტერესებდა. თა-
ვის ყოფილ მოახლეს მორიდებით საყ-
ვედური ძლივს გაუბედა:

— ნუ ჭავრობ, ვარდისმონავ, გასაჯავ-
რებელი მე მაქვს. არ გეწყონოს, მაგრამ
მუშტარი დამიფრთხე. მე მხოლოდ
მრეცხაობით შემიძლია ცხოვრება.

— არ მოგბერდა, რომ სულ ერთსა
და იმავეს იძახი? — ისევ შეუტია მოუ-
რიდებლად ვარდისმონამ, — გაიგე, გო-
გო, დედ-მამასთან უნდა გადახვიდე.

შენი პატარა შეილებით სოკოდაგარ ფერ-
შანგოვის სახლში უნდა იცხოვრდე.
შუშანიკმა ხელები უმწეოდ გაასწავ-
სავა.

— მე მისაყვედურებ და შენ თვითონ
სულ ერთსა და იმავეს ჩაძახი, ვარდის-
მონავ! მამაჩემზე ლაპარაკით ერთმა-
ნეთს გული გაუწყალეთ. რამდენჯერ
გითხარი, მამიჩემის სახლში მიხსვლელა
ალარ ვარ-მეთქი?

ვარდისმონამ სიტყვა ბანზე აუგდო:

— გული თუ ვინმეს გაუწყალდა,
ისევ ამ პატარა გვრიტებს. შუაღლე გა-
დასულა, პური მოშვიდებოდათ. სადი-
ლად უნდა დავსხდეთ, ჭანუმი!

ვარდისმონა დაფაცურდა. კალათიდან
საქმელები ამოალაგა. დაწვრივულ ტაბ-
ტზე დიდი, ძველი ბაღდადი გადაფინა,
ზედ კენინას სუფრიდან გადაარჩინილი
ქათმის და ძროხის ხორცის ნაჭრები
დაალაგა. თონის პური კადამტურ-გად-
მოამტურია და ბაღდადზე მიჰყარ-მოჰ-
ყარა. ბოთლიდან ქრისტინეს თიხის
ჯამში აღუღებული რძე ჩაუტახა, შიკ
პური ჩაუფშენა, თავის ხელით დააღუ-
ვინა; რძეში ჩაფშენილ პურის პატარ-
პატარა ლუკმებს პირში თითებით უდე-
ბდა, თან ესიყვარლებოდა და ტიტო-
ნით პაწაწას ვითომ მადას უღვიძებდა.
მაგრამ დამშეულ ბავშვს წაქეზება არ
სჭირდებოდა. კოსტა უკვე ტახტზე
იჯდა და მადიანად ილუკებოდა. სულ
ბოლოს დიდებუცი მიუხსდნენ ღარიბულ
სუფრას.

ვარდისმონამ მეორე პოთლიდან პა-
ტარა ჭიქებში წითელი ღვინო დაასხა.
ერთი ჭიქა შუშანიკს მისცა, მეორე თვი-
თონ დაიჭირა ხელში, თავისი ალერსი-
ანი ხმით წარმოთქვა:

— ჩვენი ხალხი პურმა და ღვინომ
შეინახა. დალიე, შუშანიკავ, მოვიხდე-
ბა, ფერზე მოხვალ. — ბარჯვარი ვადა-
ნიჭერა და ქამას შეუდგა. საშემეს ისეთ-
ნაირად გაუსვა თავისი წახილი, თეთრი
კბილები, ისეთნაირად აღმურძლებოდა,
რომ ყოველთვის ცოტას მჭამელი შუ-
შანიკი, მამის სახლში საცოდავად რომ
იკიკნებოდა ხოლმე, მას დამშეული გლე-

ხის დედაქაცოვით აპყვა და რაც კი ხელში მოხვდა, ყველაფერი გადაზურთა.

4. გურნუთოვის სახლის მღვთვარეები

მაშ, ვარჯნა, სხვათა შორის, ისიც უნდა გითხრათ, რომ უსასაძაღლესი დედაქაცო ჩვენი სახლის პატრონი, ამასთან ნამდვილი აღმაჭიარა!

თ. დოხოვეჯი, „საწყალი ადამიანები“.

ნასადილევს ვარდისმონა ისევ შუშანიკს მიუბრუნდა:

— თავიც რომ მომპრა, მაინც უნდა გითხრა, ამ საქმეზე ხელს არ ავიღებ, შუშანიკ. შენს გაუბედურებაში მეცა მაქვს ბრალი. სანამ კარგად არა გნახავთ შენცა და შენ შვილებსაც, ვეღარ მოვისვენებ. თქვენს გაჭირვებას რომ ვუყურებ, თქვენმა სიცოცხლემ, ლამის თავი ქვეს ვახალო.

შუშანიკი ერთხანს დაფიქრებული იჯდა. მერე ვარდისმონას შეხედა, სევდიანად გაუღიმა და უთხრა:

— შენ გაგივირდება, ვარდისმონავ, მაგრამ ზოგჯერ არცა ვნანობ, რაც მოხდა. გაჭირვებამ ცხოვრება და ადამიანები ახლოს გაშალა. სწორედ გაჭირვებამ მაჩვენა ნამდვილი ცხოვრებაც და ადამიანების ნამდვილი მოქმედებაც. ბევრი რამ ვნახე, ბევრაც მე თვითონ გამოვიცადე. რაც წინათ, მდიდარი სოფლაგრის სახლში არ ვიცოდი. ეხლა ვიცი. ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, შენ არ დაიჯერებ, მაგრამ სიმართლეს გეუბნები, შენთან დასაშალი რა მაქვს? არ ვიცოდი, რომ ქვეყანაზე დატაკნიც, გაჭირვებულნიც, შშიერნიც, მწყურვალნიც, შიშველ-ტიტველნიც და უსახლკარონიც იყვნენ. ან საიდან შეცოდინებოდა? მეგონა, რომ ყველანი ჩემსავით ცხოვრობდნენ. ისიც გავიგე, რომ ქვეყანაზე დაგრდომილნიც, ზეიბრებიც და ავადმყოფნიც ყოფილან. ესეც საიდან შეცოდინებოდა? ჩვენს სახლში ავად არავინ არასდროს არ გამოდარა. სნეულის ოხვრა, კვნესა, ტკივილებისაგან ტანჯვა, ოფლში ცურაობა, წუხილი და გოდება არ მენახა და ყველაფერი ვნა-

ხე. ისეთებიც შემხვედრია, რომელთაც წყლის მიმწოდებელიც ვერაწყვედათ ავადმყოფობის დროს. შორსსაც შიშველი უფრო ადრე უღებდა ბოლოს, ვიდრე სნეულება. ბურნუთოვის სახლის რომელ სართულზეც, რომელ ოთახშიც გინდა, იქ ნახავ, რაც მე ცხოვრებაში ვნახე. ჩვენ ზეით, პაწაწინტელა და ქუქყიან ოთახებში მხოლოდ ღარიბნი და დატაკნი ცხოვრობენ; ხელოსნები, რომელთაც დუქნის იჯარას ფული არა აქვთ და, ქალაქში ახლად მოსულნი, ამქარში ვერ მოხვედრილან: ახალგაზრდა, უცოლშვილო ქარგლები, რომლებიც უფულობის გამო ვერც ოსტატებად გამხდარან და ვერც ცოლები შეერთავეთ; მოხუცებული შშობლები, რომელთაც ხელზე მოსამსახურე ბიჭებად და გოგოებად გამხდარი შვილები ძლივს ინახავენ; დღიური მუშეები, მხერხავეები, მეურთენები, ქურდები და ჯიბგირები. ეხლა ვიცი, რომ ქურდობა და ჯიბგირობა მართო გარყვნილება არ არის, გაჭირვება უფრო დიდი მიზეზია, ვიდრე ბუნებითი გარყვნილება. ჩემი მეზობელი ქურდი და ჯიბგირი ისეთ სალამს მოგცემს, გაგივირდება. სულაც არა მწყინს, როცა ჩემს კოსტას ქუჩის პირზე ეთამაშებიან და შშიერს პურს აჭმევენ. თავს რათ აქნეე? კოსტა ჯერ ოთხი წლისაც არ არის, მოსარიდებელი რა მაქვს? როცა გაიზრდება, სახლიდან ფეხს არ გადავადგმევიწნებ. ჰო, იმას ვამბობდი — მამაჩემის სახლში ქუჩის ქალი არ ვიცოდი რა იყო და ვინ იყო. ვინ ახსენებდა? ცხოვრებამ ეგეც გამაგებინა. ჩემს გვერდით ერთი ახალგაზრდა ქალი ცხოვრობს, მარჯალატა. ძალზე გულკეთილია. მე რომ სიციხიანი ავადმყოფი ვიყავი, თავზე მადგა და მივლიდა. ჰოდა საწყალი მარჯალიტა მეძავობით თავსაც ინახავს და მოხუცებულ დედასაც. ეხლა ისეთი აღარ არის, როგორც წინათ ყოფილა. ავადმყოფობს, ჩემზე უარესად ახველებს და კინტოების სათრეველად არის გამხდარი. ღარიბი ადამიანი, ვარდისმონავ, თუ ცხოვრებაში ფეხი მაგრად არ უდგას,

სულ შიშში არის, სულ აქეთ-იქით იყუ-
რება, არ იცის ჭირი როდის საიდან გა-
მოუვარდება. სხვების მაგალითებიც
ვიცი და ჩემს თავზეც გამოვცადე. ფი-
ლიპემ რომ ლოთობა დაიწყო და ძალი-
ან გაგვიჭირდა, ერთი თათრის დედაკა-
ცი, ქართულად შენსავით და ჩემსავით
ლაპარაკობს, მერიამ ბეგუმი ჰქვია, მო-
ვიდა, რა არა სთქვა, საიდან რა არ დაი-
წყო, რა არ მითხრა და პოლს პირდა-
პირ გამიხილა: „ეჭ ეშხიანი, ლამაზი
პირისახე ლოთი ქმრის ხელში რათ უნ-
და გაიფუტო? ამბობენ, ქძარი შიშში-
ლით გლავს, აფსუს ტურფავ? კარგი
ყმაწვილი ქალი ხარ, წამოწყვეცი, ზრდი-
ლობიან და ფულიან კაცებს შეგახვედ-
რებ მევან-მავანი სახლის ოთახში, ისე
შეგიყვანო და გამოგიყვანო, რომ ვერც
ქმარმა დაგინახოს და ვერც მეზობელ-
მა. სხვადასხვა ხალხისთვის სხვადასხვა
სახლებში მაქვს ოთახებიო“. ისე გავხ-
დი, ხმა ვეღარ ამოვიღე. გონს რომ მო-
ვედი, შეუბღვირე, მაგრამდეც გამოვ-
ლანძღე. მაგრამ მაინც არ მომეშვა. მა-
გისტანა დედაკაცებს ხომ არაფრისა
რტყვენიათ? ლაფიც რომ დაასხა თავზე,
წარბსაც არ შეიხრიაან. პაზეზი არ ელე-
ოდა. რა საბაბით მოდიოდა, ხან რა მიზე-
ზით. სულ თავზე დამტრიალებდა და არ
მშორდებოდა. ერთხელ მარგალიტამაც
დაიფრინა, მაგრამ იმას რომ გაიფულე-
და, ისევე ჩემთან შორბოდა, ისევე იპნაი-
რის დაშაქრულის ენით მელაპარაკებო-
და. თავი მხოლოდ მაშინ დამანება,
როცა ფილიპეს ლოთობაჲ. ცემა-ტყე-
პამ, შიშშილმა და გაჭირებამ სახის ფე-
რი დამაკარგვინა, დამაბერა და დამაქ-
კნო. ამან მიშველა, თორემ ფილიპე რომ
დაიკარგა და ორ შეილთან ერთად სულ
მარტო დავრჩი, ვინ იცის მეც მარგა-
ლიტასავით გავმხდარიყავი, ამასთან ერ-
თად ქუჩა-ქუჩა მეველო, ჩერ აფიცრებ-
სა და მოქვიფე ახალგაზრდა ვაჭრებში,
მერე კინტობთან. რათ მიყურებ, ვარ-
დისმონავ, ეგრე შეშინებულნი? ვისაც
მოხუცებული და დავრდომილი დედ-
მამა და პატარა შეილები ჰყავთ შესა-
ნაბი, თავის მოკვლაზე არა ფიქრობენ.

თვითონ ცხოვრება გააქეთებინებს იმას,
რაც გეზიზღება და გულს გირყვას. მხლ-
ის აღარა ვარ და არც არასოდეს ვეჭე-
ნები, შენ რომ ჭიანჭურით და სიმღერე-
ბის დაკერით ართობდა. ადამიანების
საქციელმა და დუხჭირმა ცხოვრებაჲ
თვალეში ამიხილა. ისიც ვიცი, რომ
ქვეყანაზე სამართალს ვდიდრები აწე-
სებენ, მაგრამ ღარიბებს ამით რა შე-
ლავათი აქვთ? ბურნუთოვს სახლის
მდგმურები იმდენ ქირას ეძლევეთ, რომ
ლუკმა-პურისთვის თითქმის აღარაფე-
რი გვჩნება. ის კი სულ ურთსა და იმა-
ვეს გაიძახის: „ცოტას მაძლევეთ, მოუ-
მატეთ და მოიტათო“. მამაჩემის იქით-
ბაში ყოფილა, ამბობენ ამც მღაზიებ-
შიც ბლომად ფულს იგებსო, მაგრამ მე
პატივისცემით არ მექცევა, პირიქით,
სახლს ქირას ერთ დღესაც არ გადა-
მიცდენს. სიშუქნისაგან ბურთივით არ-
ის დამრგვალებული, უშვილოა; ცოლიც
თავისავით ხარბი და მსუნაგი ჰყავს,
იმდენსა სჭამს, რომ ტანს ვეღარ დაათ-
რევს, ეზოში და ქუჩაში ჩამოსვლა
უჭირს, მდგმურებს აივნადან ეჩხუბება,
გადაცდენილ ქირას თხოულობს, პოლი-
ციით იმუქრება. ოჲ, ვარდისმონავ, რომ
იცოდე როგორ შემყავრდნენ მდიდრე-
ბი ვინ იცის, მამაჩემიც ბურნუთოვი-
ვით ექცევა საწყალ ხალხს! მდიდარი
სოვდაგრის სახლში ცხოვრებაზე იმდე-
ნი ვიცოდი, რამდენიც ჩემმა საცოდფე-
მა დედაჩემმა იცის. როცა შენს ჭიანჭ-
რსა და სიმღერებს ყურს ვუგდებდი,
სე მეგონა ადამიანებს მხოლოდ ერთ-
მანეთი უყვართ და არა სძულთ-მეთქი.
სულ სხვა ვნახე, სულ სხვა რამ განვი-
ცადე.

ვარდისმონა ყურს უგდებდა შემე-
ნიც და თავისი საკუთარი თავგადასა-
ვალი აგონდებოდა. არ უყვირდა, რომ
წინათ გამოუცდელი და გულუბრყვი-
ლო სოვდაგრის გოგო ეხლა ცხოვრების
ჭირ-ვარაშში გამოვლილი დედაკაცივით
ლაპარაკობდა. ის მიაშრტი, ზოგჯერ
ცელქი და მხიარული გოგო გაზრდი-
ლიყო, დაქალბუღლიყო და თითქოს ნა-
ადრევედ დამბერებულყო კიდევ. თმებ

ში თუთი ძაფები შეამჩნია, თვალბთან ნაოქის ხაზები, გული მოუკვდა და ვიშვიმით წარმოთქვა:

— შენ მოგიკვდეს ვარდისმონა! ეგ რა დღეში ჩავარდნილხარ? ეგ რა დღეები გამოგივლია, გოგო?!

— ჰო, ჩემო საყვარელო ვარდისმონა, — გაუღიმა შებლაჩრდილულმა შუშანიკმა, — ბევრი მწარე ვნახე, ბევრი გაქირეება გამოვცადე, მაგრამ გული არ გამქვევებია, პირიქით, აღამიანი უფრო მეტად შემიყვარდა დაწიხლულის და დაჩაგრულის ღირსება ის არის, რომ სიბრაულოც ემატება და ნუგეშის ცემაც უფრო მეტად ეხერხება, ვიდრე მდიდარსა და ნებიერსა ღმერთმანი, ფული რომ მქონდეს, ღარიბებსა და გაქირებულებს დავერიგებდი.

გულაჩუყებული ვარდისმონა შუშანიკს გადაეხვია, თვალუც დაუკონა. იქ ველარ გაძლო, ქვითინი ყელში ებჯინებოდა და არ უნდოდა ბეშვებთან ხელახლა ატირებულყო. სარდაფის კიბის საფეხურები აირბინა, კარს ხელაპკრა და გარეთ გაეარდა. ქუჩაში გასულს ტირილი წასკდა. კედელს მიეყუდა, მაგრამ გული ველარ მოიბრუნა. გამწარებული ტირილით თავს იკლავდა. ერთი ორი დედაკაცი მის ახლოს გაჩერდა, სხვებიც მიუახლოვდნენ. დედაკაციები მის გარშემო ვროვდებოდნენ და ტირილის მიზეზს ეკითხებოდნენ. აზლუქუნებულმა ვარდისმონამ ირგვლივ შემოხვეული დედაკაციების წრე გაარღვია და ქუჩას სწრაფი ნაბიჯით გაპყვა, თითქმის მირბოდა. იქიდან პირდაპირ ეკლესიაში გაიქცა, ხატების წინ დაიჩოქა და წმინდანებს შეპლაღადა:

— დედაო ღვთისაო, ესო ქრისტიე მაცხოვარო, ღმერთო ძლიერო, მუხლმოდრეკილი გვედრებით, ნუ გადაახდევინებთ სოცდაგარ მეღქო ფერშანგოვის ცოდვას მის უდანაშაულო ქალა და იმის პატარა შვილებსა. კოსტას და ქრისტიანეს, გვედრებით, და აღთქმასა: ვსდებ ფეხშიშველამ ვიარო ქალაქელუბის ყველა სალოცავში, ყველა ობაში.

ხატების წინ დაჩოქილი ვარდისმონა:

ღიღბანს ლოცულობდა. მუხლის ჩოქვით უვლიდა ყველა მუხლანს და ყველას სანთელს უნთებდა. ხელემაპრობილი შუშანიკს და იმის შვილებს ღმერთს ავედრებდა, რადვან სჭეროდა. რომ ყოვლისმხილველი ღმერთი მისი მამის მკვლელს და მის ოჯახს სამაგიეროს უხდიდა.

5. რჩივბა და გადაწყვეტილება

რალა ვიხბრა, ნუთუ ეხლაც ვერ მიხვდი, რა ძვილი შეენი ღვთაპერისა?

გრიგოლ იორბელანა, „მუშა ბოქუღაძე“.

ვარდისმონა ყოველდღე მირბოდა შუშანიკთან. ბერნუოიკის საბლის სარდაფში ჩარაოდა და თავის ყოფილ ქალბატონს ერთსა და იმავეს ეუბნებოდა „მამაშენთან წაღა, შვილებიც თან წაიყვანე, პატიება სთხოვეო“. შუშანიკი აღარაფერს ეუბნებოდა, უარის ნიშნად მხოლოდ თავს აქნევდა და მობებრებუოი ხელებს უქმყოფილოა შლიდა.

ვარდისმონა გაჯავრდა. რაკა დაყვებით და ტყბილ, სარტყვი, ვეოაფერს ვიხბდა, თავის ყოფილ ქალბატონს სულ უღარ მოერიდა და ვაბრაშებში დაუტატანა:

— თუ შენი თავი არ გეცოდება, ეს ანგელაშები მაინც შეიბრალო! მამიშენის კონება მასხარა ფირღხას და იმის კოპწია ნათესავს რათ უნდა დარჩეს?

ამ აღამიანებს შუშანიკი არ იცნობდა საერთოდ არ იცოდა, რა ხდებოდა ცნობლების სახლში, რას აკეთებდნენ და როგორ ცხოვრობდნენ იმის მახლობლები. მხოლოდ დედის ამბის გაგება სწყუროდა. დედის ნახვა ენატრებოდა. ერთხელ როგორღაც წამოსცდა:

— ოჰ, ნეტავი დედაჩემი ერთხელ კიდევ მაჩვენა. ერთხელ კიდევ მოვეხვიო და პირისახე დაუკოცნო. მე რე თუნდ მოკვდე, არ ვინაღვლებ.

ვარდისმონა მყისვე მიხვდა, თუ საიდან შეეძლო მოველო სოცდაგარის გაქიუტებული ქალისთვის და უარი გადაეთქმევიინებინა. მან ფერშანგოვების მუზობლებიდან ანუშას ლოკანად ჩავარდ-

ნის ამბავი იცოდა, მაგრამ შუშანიკს უმაღლავდა, არ უმხელდა, რათა დარდით და მძიმე შრომით ჩამოკნინარი და გასავათებული ქალი კიდევ უფრო მეტად არ შეწყუბუხულიყო. ახლაც ფრთხილად შორიდან მოუარა.

— დედის სანახავად მაინც წადი, როცა მამაშენი ქარვასლაში იქნება.

— არა, არა! მამაჩემი გაიგებს და ჯერს დედაჩემზე იყრის.

ვარდისმონა აღარ მოუყვა.

— ეგრე როგორ იქნება? წადი, წადი. იქნება დედაშენი გკითხულობს, იქნება შენი ნახვა იმასაც ენატრება. იქნება აეთ არის და შენი და შენი შეილუბის ნახვით მომჯობინდეს.

შუშანიკმა დაკვირვებით შეხედა თვლებში ვარდისმონას, შეუფოთდა, აღელდა, მუდარით შესთხოვა ერთგულ მეგობარს:

— რამეს ხომ არ მიმაღავ, ვარდისმონა? დედაჩემი როგორ არის? ავად ხომ არ არის?

— იმის ავადმყოფობა მე არ გამიგია, — დაამშვიდა აღელვებული შუშანიკი ვარდისმონამ, — მაგრამ დედაშენი, შენც ვარვად იცი, უშეშობას ვერ აიტანდა. ჯერჯერ და დარდი დარევდა ხელს. უნდა მიხვიდე, გენაცვალე, თავი უნდა დაანახო. გული უნდა გაუმთელო, ანუ გეშო. ქა, შენა, ჩემი ვინა ჰყავს ხაწყალ ანუ ზას!

— ხვალე წავალ ერთ დღესაც აღარ გადავაცდენ. მამაჩემმა რამეებითაც რომ დამიაროს, მაინც წავალ. — მტკიცე გადაწყვეტილებით წარმოთქვა შუშანიკმა.

ვარდისმონას სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა კეთილ სახეზე თქმით კი არაფერი თქვა ახლა მის სატყვავზე ძლიერი სოვდაგრის ქალის მტკიცე გადაწყვეტილება იყო.

მეორე დღეს ვარდისმონა დილიდანვე დაეთხოვა კნენას, რაოა შუშანიკი და მისი შეილები ფერშანკოვებთან წასასვლელად მოემზადებინა. ჯერ სარდაფის კიბის საფეხურებზე არ იყო ჩასული, შორიდანვე დაიძახა:

— არ დაგავიწყდეს, შუშანიკან, მამაშენს ფეხებში ჩაუვარდეს, უმჯობესად სთხოვე.

შეზღუდული

შუშანიკი მისკენ ისე მოტრიალდა, თითქოს სახეში რაღაც მაგარი რამ დაჰკრესო. სულშეგუბებულს ხმა ჩაეხლიჩა, ძლივძლივობით ამოთქვა:

— არასოდეს... არასოდეს... ფერშანკოვს და ბურნუთოვს უმჯობესად არა ვთხოვ, არც თავს შევებრალე. რისთვის უნდა ვთხოვო პატრებს? იმისათვის, რომ მეცა და ჩემი საცოდავი ქმარშვილი უბედური გავვხადო? — ჩახლენილი ხმა თანდათან უსწორდებოდა და გულისწყრომით განათებულ თვალებში ზიზღი ემატებოდა. — არა, არა! მე მაგის გამკეთებელი არა ვარ. ან იქნებ გკონია ფერშანკოვებმა და ბურნუთოვებმა აღამაინის სიბრაღელი იცოდნენ?

ვარდისმონა უხერხულად გაიუმდა. მის წინ ისევ გაყვრებული შუშანიკი იდგა. თან ამ დასუსტებული და დასწეულებული ქალის ხმაში ფოლადის ისეთი სიმტკიცე აღმოაჩინა, რომ შეეშინდა ხელახლად უარზე არ დაშვარყო.

კოსტას და ქრისტიანეს კვარდა. ერთს კაბის ძონჭები აუკრიფა, მეორეს ქუდი გაუსწორა. ამასობაში შუშანიკიც დაწყნარდა და დაშვიდდა. ცალ ხელში ქრისტიანი აიყვანა, მეორე ხელი კოსტას ჩასჭიდა და მამის სახლისკენ გაემართა ვარდისმონა მათ შორიხლოდან აედევნა. შუშანიკზე უფრო მეტად ის დელავდა.

შუშანიკიც აღელვებული იყო. მაგრამ როგორც უძილობით დამენათევი ვარდისმონა მოელოდა, არც კანკალებდა და არც ფერი-ფური მისდიოდა. მას იგი ახლაც ისევე საშინლად გაოცებული უყურებდა, როგორც წელან. როცა გაკერებული სოვდაგრის ქალი უცებ მის წინ აელვარებული, გამგმარავი თვალებით აღიშარათა. ახლანდელ შუშანიკს ძველი შუშანიკის ნიშანწყალიც არ ეცხო.

თამამად მიდიოდა იქ, სადაც თვითონაც არ იცოდა როგორ დახედებოდნენ და როგორ მიიღებდნენ. მხოლოდ მა-

შინ, როცა ფართო მოედანს გასცდა, ნაცნობი ქუჩაზე შეუხვია და შორიდან ნაცნობი დიდი სახლი დაინახა, ნებისყოფამ უმტყუნა, ანზღად ძალა გამოეცალა, მეტისმეტად აღელდა, ცახცახმა აიტანა, გაჩერდა და რომ არ წაქცეულიყო, იქვე მდგარ თელს ხეს მიეყუდა. თავისი მშობლების დიდ სახლს თვალცრემლიანი უყურებდა და იქ ტკბილად და უდარდელად გატარებული დღეები აგონდებოდა. მერე ძალღონე მოიკრიბა, ქუჩა გადასჭრა, ფერშანგოვის სახლის სადარბაზო კართან მივიდა და ზარის ტარს ჩამოსწია.

6. მამასთან შეხვედრა

— ოჰ, მოიღეთ მოწყალეა, მამაჩემო... ნუ მეპყრობით ვერ... მე უკვე ისედაც უხედავ ვარ!

მეფე სიუ, „პარისის საიდუმლოებანი“.

კარი მსახურმა გაუღო. გაკვირვებით შეხედა ღარიბულად ჩაცმულ ქალს და იმის ბავშვებს, რომელთაც ათასნაირად დაკერებული ტანსაცმელი ეცვათ.

— მე დედაჩემი მინდა ვნახო. — უთხრა მსახურს შეშანიკმა.

მსახური მიხვდა. სოცდაგრის ქალის თავგადასავალი ქალაქში ყველამ იცოდა. შეყოყმანდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ფიქრობდა და ცხვირს იფხანდა. ბოლოს თავისი ბატონის ქალი შეიღებინა სადარბაზო კარში შეიყვანა და უთხრა: „აქ მოიკადრო“. მსახური ფრთხილობდა, რადგან სახლიდან გაქცეულ ქალს მშობლები ახლოს არ იყარებდნენ.

სარდაფში დაბადებულ და აღზრდილ კოსტას თვალის მოსჭრა მდიდრული სახლის ბრწყინვალე, ძვირფასი ნივთი მოგებულმა კიბემ. მის დედას კი აქ გატარებული უზრუნველი ცხოვრება თვალწინ დაუყენა. ამ კიბიდან გზა მხოლოდ ეკლესიისკენ და აბანოსკენ მიდიოდა. მიუხედავად ამისა, სოცდაგრის ნებივრად გაზრდილი ქალი თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. ფანჯარაში ქლომა, ქუჩაში ვასვლა, გველა-გამოვლა და ადამიანების თვალღერება უყვარდა.

მერე ყველაფერი შეიცვალა.

ამავე კიბემ იმ საბედისწერტლამეს ცხოვრების ფართო შემარტყნაზე გაიყვანა.

შეშანიკი ხუთი წლის წინათ გავიდა ამ კარებიდან და ახლა ისევ აქ იდგა, უკვე გამოცდილი და ცხოვრებას ზიარებული, უღმობელად დასჯილი, ნაცემ-ნავგეში, შეურაცხყოფილი და დამცირებული.

კიბის ფოლორცზე მელქო ფერშანგოვი გამოჩნდა თავისი პირქუში, ნოკებით გავსებული სახით. საშინლად გამხდარი, გამოცვლილი და დაბერებული ქალი რომ დაინახა, შეტორტმანდა, გაოცება და სიბრაღული ერთდროულად გამოეხატა სახეზე. შეძრწუნდა. ცალი ფეხი ძლივს ჩამოუღვა ფოლორციდან კიბის საფეხურზე, თან ერთი ხელით კედელს მოეკიდა. კიბის საფეხურებზე ნელ-ნელა, მძიმე-მძიმედ ჩამოდიოდა, პირზე „შვილო შეშანიკ“ ეკერა და პირიდან არ ამოდიოდა, ხელებს მოსახვევად შლიდა და ისევ დაბლა უჯარდებოდა. დამრეშხული სახე სულ უფრო და უფრო უზბილდებოდა, ლმობიერი უხდებოდა, თვალზე ცრემლი ეკედებოდა. საშინლად აღელვებულს ქვედა ყბა ჩამოვარდნაზე ჰქონდა და თავს მთვრალივით ტრიალებდა. შეშანიკიც აღელვებული უყურებდა მას და რწმუნდებოდა, რომ სადაც იყო ისინი ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და ერთად აქვითინდებოდნენ. ყველაფერი პატარა კოსტამ გააფუჭა. ქერა და ლურჯთვალემა ბიჭუნამ ფერშანგოვს თავისი ნოქარი ფილიპე მოაგონა. ფილიპე თითქოს დაპატარაებულები და ცულღუტი, მზიარული ლერჯი თვალებით მოტყუებულ სოცდაგრას დასცინოდა. ფერშანგოვს სახე ისევ პირქუშ გაუხდა, დაუბნელდა, მის შავად ჩაღრმავებულ თვალეში რისხვამ გაიელვა, ქალს გაბოროტებული დაადგა თავზე და დაუყვარა:

— აქ რა გინდა? რისთვის მოსულხარ? დედ-მამის შემარცხენელს აქ რა საქმე გაქვს? წადი, წადი შენს საყვა-

რელთან. მეორედ ჩემმა თვალებმა აქ აღარ ვნახონ.

მსახურს განრისხებული მიუბრუნდა და გაათრთხილა:

— ეგენი ქუჩაში გაპყარე და თუ კიდევ შემოვიშვია, ჩემთან ვეჭნება საქმე. — ქალს ზურგი შეაქცია, კიბეს ხვნეშით აპყვა, წინა ოთახში ლანძღვაგინებით შევიდა.

ლოკინად ჩავარდნილმა ანუშამ სუსტი ხმით იკითხა:

— რა მოხდა? მელქეა რათა ჯავრობს?

დაუზოგველმა დედამთილმა იმწამსვე მიახალა:

— შენი პატიოსანი ქალი მობრძანდა თავისი იანგნებით და მელქეამ ყველანი კარში გაპყარა.

შუშანიკის ხსენებაზე ავადმყოფს ჩაცვივებული თვალები გამოუცოცხლდა, სასთუმლიდან წამოწევას შეეცადა, ხვეწნით იძახდა:

— ჩემი შუშანიკი აქ იყო... მომიყვანეთ... მაჩვენეთ... შუშანიკ... შუშანიკ... მის დასამშვიდებლად დედამთილმა ქილაში ხელი ჩაპყო და იქიდან წურბულა ამოიყვანა.

7. უფილი სკამრო

„როდესაც გადავხტი დროიკიდან, მე შემომესმა შემდგომი სიტყვები: „რა ახალგაზრდაა, რა ჭკვიანია, სახეზე გტყობა, რაც არის!“

ღაერენტი არდაზანი, „ხოლომონ ახაკი მჭედანუაშვილი“.

შუშანიკი დიდხამს გახევებული იდგა, თვალებზე შემშრალი ცრემლებით. უცხო მამაკაცის ყვირილით შეინებულ ქრისტიანე იჭაჭებოდა. დამფრთხალი კოსტა დედის კალთას ებლაუჭებოდა და ზედ ეკროდა. ამ საცოდაობის ყურებით მსახურს გული ეწოდა. ერთ ადგილზე უხერხულად გაჩერებული ხან თავს იფხანდა, ხან ცხვირს. მერე როგორც იყო მოახერხა, ქალს კარი გაუღო და ქუჩაში გასვლა ხელით ანიშნა.

ამ დროს ვიღაც ახალგაზრდა კაცმა კიბე სწრაფად ჩამოიბრინა და შუშანიკს აღერსიანად მიმართა:

— დამშვიდდი შუშანიკ, მამაშენი აღლვებულია და იმიტომ გავიწყვარდას. ნუ გეშინიან, მე დაგეხმარები. მხარბალია დამიწუნე, გულიც მატკინე, მაგრამ ეხლა ამას ნულარ მოვიგონებთ.

შუშანიკი მიხვდა, შერცხვა, წამოწითლდა, თავი დახარა.

მის წინ წითელქარებიანი ბებრის მაგიერ მოხდენილი ყმაწვილი კაცი იდგა. დიდვაქრის კაბაში გამოწყობილს, ყურთმჯეები მხრებზე მოხდენილად გადაეგდო და ისევე ახოვანი და ლამაზი იყო, როგორც მისი ქალწულობის სიზმრების ის ვაჟი, რომელიც მას, მარილიანი კვერბით დაპურებულს, ძილში ეცხადებოდა ხოლმე.

დაბნეული თვალებს არ უჭერებდა, რალენაირი სინანული იბყრობდა და თვისთვის ფიქრობდა: „ვარდისმონა მართალი იყო, მამაჩემს ფეხებში უნდა ჩავვარდნოდი და პატიება მეთხოვა. აი, თურმე როგორ საოცრად ლამაზ ყმაწვილს მრთავდნენ ჭმრად ჩემი შშობლები. იმათ ჩემთვის კარგი სდომებიათ, მე კი ეს არ ვიცილი“.

გრიგოლ ზანდაროვი სიბრალულით უყურებდა სოფდაგრის ქალის განაწამებ სახეს. თან გულის სიღრმეში ელიმებოდა, რომ ამ ნადრეველ დაბერებული, გამხდარი და გაყვითლებული ქალის ოთახის ფანჯრებს უწინ გულისტვერით შესცქეროდა და ხეზე პაულებულს იმ ფანჯრების ცქერაში ღამე თავზე ათენდებოდა.

ზანდაროვმა შუშანიკს ასიგნაციები გაუწოდა.

— ჯერჯერობით ეს იქმარე. ზარაფთან დაახურდავებ. ჩემი იმედი გქონდეს.

შუშანიკმა მადლობით შეხედა თავის ყოფილ საქმროს, მაგრამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— გმადლობთ, ბატონო. მე თქვენი ვინაობა გავიგე, მაგრამ არც თქვენი სახელი ვიცი, არც გვარა. ნუ გეწყინებთ. ღარიბად ვცხოვრობ, მაგრამ მოწყალებას არა ვთხოვლობ.

ფირუზა ზანდაროვის ნადახლიდარამა

და მექო ფერშანგოვას ახლანდელმა ოჩხუბმა გაკვირვებით შეათვალიერა მდიდარი სოფდაგრის ქალი, რომელსაც არც მამის სიტყვზე გამოჰყოლოდა და არც სიხარბე.

ვარდისმონა შორიდან მიეგება შუშანიკს, შორიდანვე მიამახა:

— რა ქენი, შუშანიკ?

— გამლანძლა, გამომაგლო.

ვარდისმონა აპილილდა, აენთო, ცეცხლი წაეკიდა.

— მაშ არ შეგიბრალა? არც ეს პატარები შეიცოდა? ქა, თათარი ხომ არ არის? — აღშფოთებით შლიდა ხელებს ვარდისმონა და თან ფერშანგოვს წყევლიდა, — მიწამ უყოს პირი და თან ჩაიტანოს ამისთანა მამა, აჰანდე! ჯიგარი ეგრე რამ გაუტრეცხა? ქა, ცხრა უცხოს შეიბრალებენ, გაიკითხავენ და ცრემლს შეუტრობენ, იმან საკეთარი სიყრმის შეილი არ უნდა შეიბრალოს? სათათრეთში ვართ? ალაშაშა მალხანობაა?!

— სხვამ შემიბრალა, იმან კი...

— ვინ სხვამ?

შუშანიკს სახე აუწითლდა.

— იმ კაცმა ფული მაძლია, მაგრამ მე უარი ვუთხარი.

— ვინ კაცმა, ვოგო, აღარ იტყვი!

შუშანიკმა თავის ყოფილ მოახლეს თვალი თვალში გაუყარა და საყვედურის კილოთი უთხრა:

— ავი ის კაცი წითელქარებიანი ბებერი იყო?!

— შენ გრიგოლ ზანდაროვი ნახე? — ჰკითხა შეცბუნებულმა ვარდისმონამ და მიხვდა, რომ მისი ყოფილი ქალბატონი მხოლოდ ახლა გეზულობდა სიშარბულეს. სინდისის ქენჯნამ ერთბაშად გაიღვიძა მასში, აწრიალდა, სიტყვი ველარ დასძრა.

— ოპ, ვარდისმონაე: — წამოიძახა შუშანიკმა, — ნეტავი იმ საღამოს ჩვენი სახლის კედლის საათიდან ვუგული არ გამოსულიყო.

— ქა, იქნება მოგეწონა?

შუშანიკი გაჩუმებული იდგა, სევდიანად იღიმებოდა. ვარდისმონამ სიცილი

ველარ შეიმაგრა, შუშანიკს გადაეხვია, გრძნობით გადაეკონა, თევსთ მსხველი თეთრი კბილები გამოაჩინა ღმარცხვლით უთხრა:

— აბა, მე რა ვიცოდი, თორემ იმ გუგულს, სანამ დაღამდებოდა, საათიდან გამოვიყვანდი!

სიცილი სწრაფად შეწყვიტა, ისევ სერიოზული სახე მიიღო, შუშანიკს ნიაზით ჰკითხა:

— ეხლა რა უნდა ექნათ, შუშანიკ?

— შენც კარგად იცი, ვარდისმონაე. მე მარტო ერთი ხელობა მაქვს.

— ისევ მრეცხავდ უნდა დადგე?

— ჰო, შენც მეტს აღარ შეგაწუხებ კენინა არ გაგიწყრეს, ძალიან ხშირად მორბიხარ ჩემთან. რომ დავიკითხოვოს, ვინ შეგინახავს?

ვარდისმონამ შეუბღვრა, გაუწყრა:

— შენ ჩემი დარდი ნუ გაქვს, იცოდე, რომ გვერდიდან აღარ მოგშორდები.

შუშანიკმა ისევ სარტყბის გობში ჩამყო ხელი.

სხვა გამოსავალი არ იყო.

ვარდისმონაც დარწმუნდა, რომ მხოლოდ კენინას სახლიდან მოტანილი ნასუფრალით ვერ შეინახავდა შუშანიკს და იმის შეილება. ფული, საჭირო იყო ქირის გადასახდელადაც, ნავთის საყიდლადაც, ნემსისთვისაც, ქაფისთვისაც და შემისთვისაც. უამისოდ ვერც სარდაფში იცხოვრებდნენ, ვერც ლამპარს აინთებდნენ, ვერც დახეულ ტანსაცმელს დაიკრებდნენ, ვერც ზამთარში გათბებოდნენ.

ერთგული და თავდადებული ვარდისმონა შუშანიკს ხშირად გვერდში ედგა, სარტყბის დარტყვაში შეელოდა. ვარტყბილი თეთრეული იმას გაქონდა ეზოში და თოკზე გასაშრობად ფენდა. ცხელი უთოც უფრო ხშირად იმას ეჭირა ხელში.

სარდაფის კიბის ფოლორცზე ისევ გამოჩნდა შეძლებული მეუღლის კომწი ცოლი. ვარდისმონას ნიშნისმოგებით გაღმოსძახა:

— ძალოჯანი! მრეცხავა ფერშანგოვის სახლიდან ისევ ბურნუთოვის სახლში

გადმოვიდა? გადმოსულან მამ, გადმოსულან! თანაც ერთის მაგიერ ორი დედაცა დაამდგარა მრეცხავად.

— შეილო! — სერიოზული სახით უთხრა მას ვარდისმონამ, — ბებერო დედაკაცების დაცინვა კაუზრდელმა ქალებმა იციან. — თქვა და ცალი თვლით გადახედა ტახტზე მჯდარ ქრისტიანს, რომელსაც ხელში ნაჭრებისაგან გაკეთებული დედოფალა ეჭირა და ისევ სერიოზული სახით განაგრძო, — ადგი, ქრისტიანეჯან, შენი ტოლი მოვიდა. მიდი, გენაცვალე, იმ პატარა გოგოს ეთამაშე.

მედუქნის კოპწია ცოლმა წარბები ასწია.

ვარდისმონამ ვიდაც ეჭირის ცოლის განიერი შეიდიში, წყალში ახლად ამოვლებულს დასაწურად რომ ახვევდა, პერში ღონივრად გაიქნია. იალქანივით გაშალა, მარდად დაბერტყა და წუნწკლები მედუქნის ცოლს შიგ სახეში შესახურა და გაწუწა.

შუშანიკმა თავი სარეცხს გობზე დახარა, რათა მისი სიცილი კოპწია ქალს არ დაენახა.

8. სინდისის ქენჯნა

გაქმდი, ვაქმდი, საბრალო გონება.

ა. ბესტუევი-მარლინსკი, „ის მოკლულ იქნა“.

ქალთან შეხვედრის შემდეგ ფერშანგოვი ერთ ადგილზე ველარ ჩერდებოდა. ხან ვარინდებული იჯდა, ხან მოუსვენრად ბოლთას სცემდა.

ფირუზა ზანდაროვი მას შეწუხებული და დაღონებული სახით შესცქეროდა.

სოვდაგარი ამას ვერ ამჩნევდა. ფიქრებით იყო ვართული. ცალკე ცოლის ჯავრი კლავდა, ცალკე ქალის.

ფირუზამ ოჩხებს დრო უხელთა, წინ დაუდგა და საყვედურით უთხრა:

— ეგ რა გიქნია, მეღჭოჯან? ეგ როგორ მოგივიდა? ქარვასლაში გრიგოლმა მიუთხრა. გავიგე თუ არა, შენთან გამოვიქეცი.

სოვდაგარი მას უაზრო თვლებით

უყურებდა. თანდათან გონზე მოდიოდა. ფიქრებისაგან გამორკვეულთ უფლებების ქიმუნჯების აზრს ნელ-ნელა ხედავდა.

ფირუზა ზანდაროვი თავს უქმაყოფილოდ აქნევდა, მოუვრიდებლად კიცხავდა და არცხვენდა:

— კაცო, ეგ როგორ იქნება? ვინა სთქვა? სად გაგონილა? კვიკიანი კაცი ხარ და მაგნაირი საქციელი არ გეკადრება. განა სიყრმის შეილს ეგრე მოექცევინა? ცალკე ქალს მეხი დაატეხე თავზე, ცალკე ცოლს გული გაუხეთქე ვრიპა! ეგ როგორ შეიძლება! ავია თუ კარგია, შენი შეილია, შენი სისხლა და ხორცია, ისევ შენ უნდა გაუწიო ჭომაგობა. ხალხს ლაპარაკის საბაბს რათ აძლე? იტყვიან მდიდარია, მაგრამ შეილსა და შეილიშვილებს შიმშილით ჰკლავსო! დიდძალი ქონების პატრონია, მაგრამ ქალი თავისი შეილებით ბურნუთოვის სახლში უპატრონოდ უგდიო. ხალხის ყბაში რათ ვარდები? თითით საჩვენებელი რაზე ხდები?

ფირუზას სახეზე პატიოსანი კაცის აღშფოთება ეხატებოდა და ოჩხებს ისეთი საყვედურით უყურებდა, რომ ფერშანგოვმა მის გამკიცხველ ყურებას ვერ გაუძლო, თვალი მოარიდა, შერცხვა, თავი დადუნა. ოთახში ისევ მოუსვენრად გაიარ-გამოიარო. ბაღდადი გაშალა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა თავის მართლებას მოჰყვა:

— ქვეყანამ იცის, რომ ჩემი ბრალი არ არის... დამნაშავე არა ვარ...

— მერე ვინ ოხერი გეუბნება დამნაშავე ხარო? განა მე არ ვიცი? — ეილო ფრთხილად შეაბრუნა ფირუზამ, — მაგრამ შე კაი კაცო და კაი კაცის შეილო ქვა ააგდე და თავი შეუშვირე! ნულარა გიუტობ. ეშმაკს მიაფურთხე. დრო არის შუშანიკას მიხედო, დაუყვავო, ხელა გაუმართო. მამა ხარ, მამა! იმ საწყალს ისიც ეყოფა, რომ უსინდისო ქმარმა მიატოვა და ჯანდაბაში ვადაიკარგა.

ფერშანგოვმა ქუდი დაიხურა. წასასვლელად მოემზადა.

შეშფოთებულმა ფირუზამ იმწაშვე მიამბა:

— სად მიდიხარ, კაცო?!

— ბურნუთოვთან. იმან იცის სადაც ცხოვრობს შუშანიკა. წავალ და დედას მოვეყვან.

— კაცო, რას ლაპარაკობ? შენ შენა კუთხეზე ხარ თუ არა? ეხლა იქ მიდი და იქ გაუხეთქე გული. გრიგოლმა სახლამდე მიაცილა, — იცრუა ფირუზამ, — ექიმი თავზე დააყენა. არ დააცილი. მოსულეიერდეს? აბა, ოჩხუბო, დაფიქრდი თუ მართალი არა ვარ.

ფერშანგოვმა ისევ მოიხადა ქუდა. თავის დიდ სავარძელში ჩაჯდა, ამოიოხრა, თავი ჩაქინდრა.

ფირუზა ზანდაროვი მას თვალს არ ამორებდა. ნირშეცვლილი, ჭანგატეხილი, დაბერებული სოვდაგრის ყურება ახარებდა. გულმოდგინედ დაკეცილ ტუჩებზე სიამოვნების ღამილი შეუმჩნევლად უკრთოდა, სახე კი ისევ დაღონებული ჰქონდა, ბაღდადიც ხელში ეჭირა ერთადერთი ცრემლის მოსაწმენდად. უყურებდა და გრძობდა, რომ მისი აღარ ეშინოდა. ოჩხუბობის საქმეში პირველი ის ხდებოდა, რადგან ამ დარდით და მწუხარებით გათავებულ კაცს რასაც მოისურვებდა, იმას გააკეთებინებდა.

ერთხანს სავარძელში გააპაჟვარებული იჯდა და თავჩაქინდრული სოვდაგრის ყურებით ტკებოდა. მერე ოჩხუბს გასეირნება შესთავაზა.

— სადმე გავიაროთ, მეღქოჯან, გავერთოთ. გულიდან ჭაერი ვადავიყაროთ. ეგრეც არ შეიძლება, შე კაი კაცო! ჭაერსა და დარდს გაძლება უნდა. ავადმყოფი ცოლი მოსავლელი გყავს. მობუცებული დედა შესანახი, უმწეო შვილი და პატარა შვილაშვილები საპატრონებელი.

არასოდეს არც ერთი ადამიანისათვის ფერშანგოვს ისეთი მადლიერათვალეებით არ შეუხედავს, როგორც მან მისი მდგომარეობით დაღონებულ და შეწუხებულ ფირუზა ზანდაროვს შეხედა. მისმა თანაგრძნობამ, ნუგუშის სატყვემ გული მოუფხანა, მალამოსა-

ვით მოედო მის აწეწილ ფიქრებს და გულის ტკივილი გაუყუჩა.

ფირუზამ სოვდაგარს ზღლის სათუთად მოკიდა, როგორც ოჩხუბსა და მეგობარს შეეფერებოდა, გარეთ სუფთა პაერზე გაიყვანა. ქუჩას ნელ-ნელა გაპყვნენ. ფირუზა განუწყვეტილად ლაპარაკობდა, მაგრამ გულჭაერთან ფერშანგოვს არაფერი ესმოდა. ვერც იმას ამჩნევდა, რომ ფირუზა ზანდაროვი ერთი ნაბიჯით მის წინ მიდიოდა, თვითონ კი მორჩილად უკან მისდევდა.

ფერშანგოვი მხოლოდ ცოლსა და ქალზე ფიქრობდა. აღარც ქარავსლა ახსოვდა, აღარც სოვდაგრობა, აღარც ოჩხუბი და ოჩხუბობის საქმე.

9. ნოვლის სარეველთან

— არა, არა... სისულელეა... არაფერი! ეს უბრალო თავბრუსხვევაა, ეს გულისწახვლა როდია. სადაური გულისწახვლა!

თ. ღოსტოვესკი, „ღანაშაული და ხახალი“.

ოდესღაც ფაშვამა ანუშასაგან ადამიანის ლანდილა იყო დარჩენილი. დღე და ღამე ქალს მისტიროდა. იმის ნახვა ენატრებოდა, მისთვის ვიშვიშებდა და მოთქვამდა, მაგრამ მის ხეწწასა და მუღარას ყურს არავიან უგდებდა.

ფერშანგოვის ოჯახში მხოლოდ სოვდაგრის დედა უყურებდა უდარდელად ყველაფერს, რაც კი მის გარშემო ხდებოდა. მაღალ იტალიურ სავარძელში იჯდა, კრიალოსანს არხეინად მარცულავდა და რძალს ერთხელ კარგ სიტყვას არ ეტყოდა გააყვებული დედაბერი. რძლისთვის თავს მხოლოდ ამით აწუხებდა, რომ მის სარეველზე მარჩიელების ავგაროზებს კიდებდა და ავადმყოფს ექიმბაშეების ბალახ-ბულახებზე ასმევდა. ავადმყოფის სანახავად მოსულ დედაკაცებთან მასლაათი უყვარდა. იტალიური სავარძელი რძლის სასთუმალთან დაადგმევინა და თუ მომსგულელთაგან არავინ გამოჩნდებოდა, საათობით ისევე მდუმარე და გამეშებული იყო, როგორც მის დამქნარ ხელზე ჩამოკიდებული გრძელი კრიალოსანი.

„იხი რი ღიზა თითქმის ყოველდღე ფერშანგოვების სახლში იჯდა. ან ნულს კვებდა ან გაუთავებლად ლაპარაკობდა.

— რა ბრძანებაა! — წარბის აწევით ამბობდა ზოლმე, — უწინ გასათხოვარი ქალი ქუჩაში უბრალოდ როგორ გავიდოდა? ეხლა არის! გოგოები ბიჭებს კბილებს ათლევინებენ. გენაცვათ, აღარაფრის აღარ რცხვენიათ.

— მაშ! მაშ! — კვერს უკრავდნენ დედაკაცები.

— ძუღლს დროში ქალი იქ არა, კარებიც პატრონსები ყოფილან. — განაგრძო თეთრმა ღიზამ. — მამაჩემმა თურმე მეცხრე კაკალზე გამაქცა.

დედაკაცებმა თეთრ ღიზას გაკვირვებით შეხედეს, მაგრამ მას სერიოზული სახე ჰქონდა, არც იღამებოდა, არც იცინოდა.

— როგორ თუ მეცხრეზე? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა დედაბერმა და განცვიფრებულმა კრიალოსნის მარცვლა შეწყვიტა.

თეთრმა ღიზამ პირში ნულლი ჩაიდო, ღეჭვა დაუწყო, მოუთმენლად მაცქერალ დედაკაცებს თვალი შემოაელო, თითოთ დამდნარი ნულლი კბილებში გაისწორა და პირის ცმაცუნით შეუდგა გამოუძღელი თერძის ამბის მოყოლას.

— მამაჩემი რომ უსტაბაშს ოსტატად დაულოცნია, მაშინვე ცოლი შეურთავთ. ქორწილის მეორე დღეს ბებიაჩემმა, ღმერთმა გაანათლოს სულით. კარგად მახსოვს, ღვთისნიერი და კეთილი ღიდაჯი იყო, დ. დ. ჩემს ოღრმე მოფერებით ჰკითხა „შვილო, წუხელ როგორ ისიამოვნეო?“ „მეზურნეზე კარგად უკრავდნენო“ — უპასუხნია საწყალ დედაჩემს. „არა, შვილო. მე მაგას არ გეკითხები, შენი ნუფის ოთახში რომ იყავი, იქ რა ამბავი იყო?“ „რა უნდა ყოფილიყო, დედიჩან, — უკითხნია პატარძალს, — მაშინვე ლამთა ჩავაქრეთ და დავიძინეთო, შეიძინე გაუხდელი დამრჩა, ცხელოდა და ცოტა აშან შემაწუხაო“ — მიაშიტად თურმე ეთქვია პატარძალს. „უი, დამიდგეს

თვალები! მაშ ქმარმა არ გავოცა“. „არა, დედილო, ორთავეს უტყუებდად გვეძინაო“. „არა სკოდნედას უტყუებდად ლის შემოკერით წამოუძახია სიდერს, მაშინვე სიძესთან გაქცეულა და დაურიგებო: „შვილო, ბალიშის ქვეშ კაკალებს დაგილაგებ, შენ ცოლს ჩაუწევი და რამდენჯერაც ბალიშ ქვეშოდან კაკალი გამოიღო, ინდენჯერ...“ „გოგო, მათიყო, — დაუტატანა თეთრმა ღიზამ ბავშვიან ქალს, რომელსაც სიცილი ახრჩობდა და თეთრ ღიზას შიგ პირში შესცქეროდა, — ეგ რანაირად ხითხითებ? თითქოს ყელში თევზის ფხები გქონდეს ვაჩრილი. ადექი, შვილო, დედაკაცებში რას ჩამყდარხარ? გარეთ გადი და მაგ ქორფას ძუძუ მოაწოვე. იპ, რანაირად ცხელა უჯესა!

მათიყო ადგილიდან არ დაიძრა, თუმცა დედაბერმა შეუბღვირა და თვალბიცი გადაუბრიალა.

— მერე, ღიზაჩან, მერე? — არ აცლიდნენ ერთმანეთს სახე დაწითლებული დედაკაცები და თეთრ ღიზას ამბის დამთავრებას ეხვეწებოდნენ.

თეთრმა ღიზამ კარგა ხანს ალოდინა ისინი. თითები პირში ჰქონდა ჩაყოფილი და ღრძილებიდან ზედ გავლესილ ნულლის ნაშთებს იშორებდა. თექვსმეტი წლის მათიყო მას ბაგეგაპობილი შესცქეროდა, პირზე წყალი ადგებოდა, თვალბეზე ვნების ბინდი ეკროდა, ქორფა ბიჭი დავიწყნოდა და აქოთქოთებულს ის ხან სწორად ეჭირა, ხან თავდაყირად. ქორფამ ტირილი მოართო. ავადმყოფმა დაიკვნესა. არავინ ყურადღება არ მიაქცია.

თეთრი ღიზა გაჩქმდა. ახალი ნულლი თითით გაასუფთავა, პირში ჩაიდო, მათიკოს გაუცინა.

— ქა, ეგვი იტყვის რალა! — ტუჩების ამბეებით თქვა ბაყლის ცოლმა, ბალიშიდან კაკლის გამოღება რომ შევლოდეს, ჩემი უხასიათო მზლის ცოლი დღესაც უშვილოდ კი არ ივლიდა.

თეთრმა ღიზამ და მათიკომ ერთად გაიციენს.

— რათა ჭავრობ, ეგვმია? — აღერ-

სიანი სახით მიუბრუნდა ბაყლის ცოლ-
თეთრი ლიზა, — თუ შენ ვერა ხელები,
მათიკოს ჰკითხე, ის გეტყვის. აი, კი-
დევე მაგალითი, ქალებო! რასაც ოც-
წლის გათხოვილი ქალი ვერა ხელები,
იმას ერთი წლის გათხოვილი ქალი მიხ-
ვდა. ეხლაც არა გკერათ, რომ ეხლანდე-
ლმა გოგოებმა ყველაფერი იციან? ქა,
ასეთნაირად გაქსუებული გოგოები
უწინდელ დროებაში ვისმეს გახსოვთ?

— გვითხარი, ლიზაჩან, ლოდინით
გული ნუ გაგვიწყალე — ისევე ბოლო-
დენ დედაკაცებს.

— ქა, აღარ იტყვი, შენ რაღა დაგე-
მართა? — ბრძანების კილოთი თქვა
ყურადღებულ გადაქცეულმა დედაბერ-
მა, რომელსაც მოთმინება აღარ ჰყოფ-
ნიდა და ამბის დასასრულის მოლოდინ-
ში კრიალოსანი ორივე ხელით ეჭირა.

— ცხონებულმა ბებიაჩემმა — სწრა-
ფად მოაბა ბოლო დაწყებულ ამბავს
თეთრმა ლიზამ, — თავის სიძეს თურ-
მე ასე უთხრა: „გაინძერი და ბალიში-
დან კაკალი გამოიღეო, გაინძერი და
ისევ ბალიშს ქვეშ ხელი შეჰყავიო. ნუ
გეშინიან, არც ხელი გატყინება, არც
თავიო“. გოგო, მათიკო, ეგრე რომ ხით-
ხითებ, ბიჭი მკლავიდან არ გადმოგი-
ვარდეს! ადექი, შვილო, ფანჯარასთან
მიდი, ხედავ, რამდენი მტრედები და-
ფრინავენ ზეცაში, მიდი გული გადა-
აყოლე.

მათიკო არც ახლა დაიძრა ადგილი-
დან, დედაბერმა მას ისევ შეუბღვირა
და საჩხუბრადაც მოეშალა. თეთრ ლი-
ზას არ უნდოდა მისი გაჯავრება, დე-
დაკაცებს წარბების აწვეით გადახედა
და ამბავი მოკლედ დაასრულა:

— მეტი რაღა გავაგრძელო, ქალებ-
ო, მეტხრე კაკალზე მოსახდენი თურ-
მე მოხდა.

დედაკაცებმა ერთხმად გადაიხარ-
ხარეს.

დედაბერი თავის მაღალ იტალიურ
საჯარძელში ისეთნაირად შეინძრა და
ხელები ისე გაშალა, რომ კრიალოსანი

გაუწყდა. დაბნეული მძივები მათიკომ
აუკრიაფა.

ავადმყოფმა ამოიოხჭრა: *სავერთის სი-
ცილ-ხარხარში მისი ოხვრა ვერავენ გა-
იგონა.*

თეთრმა ლიზამ ხელსახოცით პირი
მოიწმინდა, თვითონაც გაიციინა და მზ-
არულად დაუმატა:

— მაშ, მამაჩემი რომ გამოცდილი
ყოფილიყო, ხომ ესეთი დაღრეჯილიც
არ გამოვიდოდი!

ამ სიტყვებზე დედაკაცებს ისეთი
ხარხარი აუტყდათ, რომ ავადმყოფის
ოთახში ყურთასმენა აღარ იყო. მათს
ხარხარს, ღრიალს და ხორხოცს
თითქოს ყველაფერი ბანს აძლევდა და
თვით ფარდებჩამოფარებული ფანჯრე-
ბის მინებიც ზრიალებდნენ.

მოხარხარე დედაკაცებს შორის მო-
ხვედრილი მათიკოს ქორთა ბიჭი ჩაბ-
ეჩირდა. დედამ ის ჩქარ-ჩქარა გადაბ-
რუნ-გადმოაბრუნა, ლოყებზე სილა შე-
მოარტყა, მოაბრუნა და ისევ თეთრ
ლიზას მიატყერდა, სასაცილოს კიდევ
რამეს იტყვისო.

ავადმყოფმა დაიკვნესა, ამოილულ-
ლულა:

— მათიკო... შენს ვახარებას... ერთი
წყალი დამალევიჩე...

მათიკომ ავადმყოფს ტოლჩით წყა-
ლი მიუბრუნა, თავის ხელით დაალე-
ვინა.

დედამთილმა რძალს აღმაცერად გა-
დახედა და თავის ქნევით წარმოთქვა:

— თეთრი ლიზა მართალს ამბობს,
თქვენზე დიდი ვარ და კარგად მახსოვს,
წინათ კაცებიც და ქალებიც პატროს-
ნები იყვნენ. ეხლა რაცა ხდება, უწინ
როგორ მოხდებოდა. რაღა შორს წავი-
დეთ! ჩემი შვილიშვილი ფოსტლები-
ამარა არ გაიქცა საყდარში! განა ის
სახლში შემოსაშვებია!

— იპ, რა ბრძანებაა!

ისეთნაირად უკრავდა კვერს თეთრი
ლიზა, რომ გამტყნარებული ანუშა უკა-
ნასკნელ იმედს კარგავდა

საკარგემო

დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა თბილისი ახალციხის გმირს. ქალაქის დასაველეთით, საბურთალოს მინდორზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ომგადახდილი გენერლის ნახვა ყველას სურდა. ხელოსნებსა და ამქრებს, ვაჭრებს, ვილდიებს დროშები და საპატიო ნიშნები გამოეტანათ. მინდორი შორიდან მრავალფეროვანი ფიგურებით აჭრებულ უზარმაზარ ხალიჩას ჰგავდა. ხალხი ადრე დილიდან იცდიდა. რაც თბილისში ახალციხის ბრძოლის ცნობა მოვიდა, პირზე ყველას ანდრონიკაშვილი სახელი ეკერა.

ხალხი უკვე კარგა მოღლილი იყო ლოდინით, როცა მცხეთის გზაზე საზეიმო იერით მომავალი ეტლი გამოჩნდა. ეტლს უკან ასამდე მხედრისაგან შემდგარი ამაღა მოჰყვებოდა. რამდენადაც ეტლი ახლოვდებოდა, ხალხის მღვდვარება მატულობდა, ყველას უნდოდა ახლოს ენახა ნაომარი სარდალი. აი, ეტლი უკვე ხალხის შუაგულში ჩაიკარგა. ეტლში, სახეგაბადრული ანდრონიკაშვილის გვერდით, ადვილად საცნობი იყო. გორის თავადაზნაურთა

წინამძღოლის, მამაცი რაინდის ალექსანდრე ერისთავის ახოვანი ფიგურა.

შუაგულ მინდორში სარდლის შესახვედრად საგანგებო ამალგებული სადგომი გაეკეთებინათ, რომელიც ყვავილებითა და ქალაქის ამქართა ბაირაღებით მოერთოთ. აქ უცდიდა ხარდალს ქალაქის წარჩინებული საზოგადოებრიობა და მისასალმებელი სიტყვის სათქმელად მომზადებული ვიცა-გუბერნატორი.

ვიცე-გუბერნატორის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, მთელი პროცესია ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრა. გრძლად გაჭიმულ ეკიპაჟთა მწყირვე წინ ანდრონიკაშვილის ეტლი მიუძღოდა, მას მიჰყვებოდა ცხენოსანთა ამაღა და შემდეგ ქალაქის წარჩინებულთა ეტლები, ბოლოს კი ქვეითთა ჯგუფები მისდევდა. პროცესია გოლოვინის პროსპექტზე რომ მიდიოდა, სწორედ ვორონცოვის რეზიდენციის წინ გაჩერდა. მძიმე ავადმყოფი მეფისნაცვალ აივნიდან მიესალმა ახალციხის გმირს. ასეთი დიდი ტრიუმფით ქალაქში ჯერ არვის გაუვლიაო, იძახდა ხალხი.

განსაკუთრებული საზეიმო იერით

გამოიყურებოდა იმ საღამოს იტალიურ-რის ოპერის თეატრი. გაჩახჩახებულ დარბაზში არც ერთი ადგილი თავისუფალი არ იყო, ვარდა მეფისნაცვლის ლოჯისა. სპექტაკლის მომლოდინე ხალხი მალიმალ იყურებოდა ვორონცოვის ლოჯისკენ, რადგან ყველამ იცოდა, რომ წარმოდგენა მანამ არ დაიწყებოდა, ვიდრე ვორონცოვის ლოჯას არ დაიკაებდნენ. ამ საერთო მოლოდინეში უცებ გაიღო მეფისნაცვლის ლოჯის კარი და მთელი თავისი ბრწყინვალეობით შემოვიდა მიხეილ ვორონცოვის მეუღლე ვრაფინია ელისაბედ ქსავერის ასული. შემდეგ ლოჯაში სადღესასწაულოდ გამოწყობილი ივანე ანდრონიკაშვილი გამოჩნდა; ივანე ანდრონიკაშვილისათვის ხელი ჩაეკიდა ორ მანდილოსანს. ერთი მათგანი თბილისში გამოჩენილი ბანოვანი მანანა ორბელიანი იყო, მეორე კი — ანდრონიკაშვილის მეუღლე.

ომგადახდილი სარდალი რომ დინახა, ხალხი ერთბაშად ზეზე წამოიჭრა და ვაბშული ტაშისკრით დააჩილდოვა იგი. წამდაუწუმ გაისმოდა შეძახილები: „გაშა ახალციხის გმირს“, „დიდება მამაც გენერალს“. დიდხანს ვაგარძელდა ოვაციები. ვადამეტებული ყურადღებით გარემოსილი ანდრონიკაშვილი ბავშვივით იდგა და ხელის ქნევითა და თავის დაკვრით პასუხობდა ხალხის მხურვალე მისალმებას.

სოფელ ბაიანდურთან მომზადარი ბრძოლის შემდეგ ყველასათვის აშკარა ვახდა, რომ ამაზე ბევრად უფრო დიდი მასშტაბის ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო; თურქთა კორპუსი, ბაიანდურთან რომ ორბელიანის რაზმს თავს დაესხა, შორს არ წასულა. მართლაც, გენერალ ბებუთაშვილის განკარგულებით მოწყობილმა დაზვერვამ მალე მოიტანა ცნობა, რომ თურქთა მთელი ლაშქარი გამაგრებულია ბაშ-ყადიყლართან და საბრძოლო სამზადისს ვადის.

როგორც ალექსანდროპოლის მიმართულების ჯარების სარდალს, ვასილ

ბებუთაშვილს, ასე თითქმის ყველა გენერალსა და ოფიცერს მთელე ვულოფთა და სულთ სურდათ დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს მუხანათ მტერს, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულიად გარკვეული ვერ იყო. ოფიციალურად ომი რუსეთ-თურქეთს შორის ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული და საიერიშო ინიციატივის ნება არავის ჰქონდა; ჯარში ჯერ კიდევ არ იცოდნენ ნამდვილად გამოცხადდებოდა ომი თუ არა. იმპერატორი ომის გამოცხადებას აყოვნებდა და შეტევაზე გადასვლა ნაბრძანები არ იყო. მხოლოდ 6 ნოემბერს იქნა მიღებული ცნობა, რომ იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი ომის დაწყების თაობაზე. ამ ცნობამ ყველაფერი გამოარკვია.

ბებუთაშვილის კორპუსში მთელი ამ ხნის განმავლობაში შეესება შეესებაზე მოდიოდა. კორპუსი სწრაფად იზრდებოდა და ღონიერდებოდა; იგი ვადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მანიფესტს მალე მოჰყვა კავკასიის ჯარების სარდალს ბრძანებაც თურქთა ძალებზე დაუყოვნებლივი შეტევის მოწყობის შესახებ, რამაც ალექსანდროპოლის მიმართულებით მოქმედი ჯარების სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ვასილ ბებუთაშვილს მკაფიო პრაქტიკული სამოქმედო გეგმის შედგენის საშუალება მისცა. 14 ნოემბერს, დილით მან მორიგე ოფიცერი იბმო და უბრძანა:

— სამხედრო საბჭოზე მოიწვიეთ გენერლები: ბოგოვეტი, კიშინკი, ბაგრატიონ-მუხრანსკი და ჰავკავაძე, შტაბის უფროსს მოახსენეთ, მოემზადოს გენერლებთან თათბირისათვის.

ოფიცერი ბრძანების შესასრულებლად ვავიდა. მარტოდ დარჩენილი ბებუთაშვილი თავისდაუნებურად საკუთარ წარსულზე ფიქრებმა გაიტაცა. ბავშვობიდანვე მუყაითობასა და აღმსრულებლობას იყო შეჩვეული ვასილ ბებუთაშვილი. ნადვორნი სოვეტნიკის იოსებ ბებუთაშვილის ვაჟი ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, სიმკვირცხლისა და

ნათელი გონიერების გამო, მოსწონებია კავკასიის პირველ მთავარმართებელს, ინჟანტერიის გენერალს პავლე ციცი-შვილს და მამამისისათვის ურჩევია სამხედრო სასწავლებელში გაეშვა შვილი. ციციშვილისვე დახმარებით ეასილ ბებუთაშვილი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში მიიღეს, საიდანაც განათლებული ოფიცერი კავკასიის არმიაში მოავლინეს. ბებუთაშვილის მეხსიერებაში ერთიმეორის მიყოლებით გაიფლევს მხედართმთავრებმა, რომელთა ხელქვეითადაც მან მხედრული გეში მიიღო: ტორმასოვი, მარკიზ პაუ-ლიჩი, ერმოლოვი, პასკევიჩი, ბარონ როზენი, გოლოვინი, ნეიდგარტი და ბოლოს მიხეილ ვორონცოვი. ნიკოლოზ ანდრეას ძე რეადს ხეირიანად ვერც კი იცნობს, პირდაპირ ვორონცოვმა დანი-შნა ალექსანდროპოლის მიმართულებით მოქმედი კორპუსის მეთაურად ამ ბოლო ხანებში სამოქალაქო მოხელე, ამიერ-კავკასიის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარე ვასილ ბებუთაშვილი. გადატანილი ბრძოლებიდან ყველაზე მკაფიოდ დამახსოვრდა 1813 წელს ფრანგებთან ბრძოლებში მონაწილეობა, როცა იმ ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა, რომლებიც მარშალ მაკდონალდს დევნიდნენ. თვით ბებუთაშვილმა ქალაქ რიგიდან ქალაქ მემელამდე სდია ფრანგებს. მეორე დიდ განსაცდელად მას აგონდება, 1829 წელს დაკისრებული მისია, როცა ახლად აღებული ახალციხის გარნიზონი ებარა. ამ დროს ახალციხეს ალყა შემოარტყა ახმედ-ფაშა აჭარელმა და განიზრახა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ახალციხიდან რუსები გაერეკა. სასტიკ საფრთხეში ჩავარდა ახალციხის გარნიზონი იმ დროს; მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ახმედ-ფაშა აჭარელი ფიქრობდა, ან ახლა დამნებდება გარნიზონი, ან ახლავ, ბებუთაშვილმა უეცრად შეტევაზე გაიყვანა თავისი ჯარები, მძლავრი იერი-შით სძლია თურქებს და შორს გარეკა ისინი. არა, ბედს ვერ დაემდურება: რაც მართალია, მართალია, ყოველთვის

უმართლებდა, სამხედრო და ადმინის-ტრაციულ გრძელ კიბეზე ერთსა და იმავე თველობის პერიოდში კავკასიურ მასშვ მალა იშვიათად თუ ვინმე ასულა. მას უდიდეს ნდობას უტყბადებდნენ, თვით იმპერატორი იცნობდა პირადად და მთელს იმპერიაშიც ერთ-ერთი საბა-ტიო პიროვნება იყო. ახლა კი ნამდვი-ლად მძიმე მისია აქისრია; აღარ მოუწყე-ვდა უკვე გული საომრად, აგერ სამოც წელს მოუახლოვდა კაცი, მაგრამ, აბა, ვორონცოვის პირად დავალებას სად გაექცოდა! იცის მიხეილ სიმონის ძემ ვის, როდის და რა დაავალოს, ავი ახალ-ციხეშიც ანდრონიკაშვილი მოუფლენია, ძველების უფრო იმედი აქვს; მერე რა ბრწყინვალე, რა დიდებული გაცილება მოუწყვეს თბილისში, რა იმედით და პი-რუთვნელი კეთილმოსურნეობით იყო სავსე მათი სიტყვები; რა კარგად დაახ-სიათეს პლატონ იოსელიანმა და, განსა-კუთრებით, დიმიტრი ყიფიანმა. ეს სასიამოვნო შესახელობის ვაჟაკი, ფრიად განსწავლული და მეფისნაცვა-ლთან პატივდებით მიღებული, როგორი მოწიწებით მიმართავდა მას, ფრონტზე მიმავალ ბებუთაშვილს, რა შშობლიური და ახლობელი იყო დიმიტრი ყიფიანის მიმართვა, როცა ამბობდა: თბილისის მოქალაქეებს არ ძალუძთ დაფარონ თქვენდამი განსაკუთრებული გრძნო-ბები და საუკეთესო სურვილები; ისინი თქვენ ქაბუკობის დღეებიდანვე გიცნო-ბენ, თავადო. მათს თვალწინ გაიარა თქვენმა ბრწყინვალე კარიერამ და ამ წუთებში, თქვენივე განსაკუთრებული თვისებების გამო, ესოდენ მნიშვნელო-ვანი და სახიფათო მისიის შესასრუ-ლებლად გაცილებენ, თქვენ თან მიგ-ყვებათ მათი საუკეთესო სურვილები და გამოსთხოვენ ზენაარს, თქვენს მფარ-ველობას, რათა ამჯერადაც ისევე გვა-სახელოთ, როგორც არაერთჯგის გისახე-ლებივართ უწინ“. ამ სიტყვებს თითქოს ახლა ისმენდა ბებუთაშვილი, ისე ნათ-ლად შემორჩა ხსოვნაში და ისე აღიქვა, თითქოს მარტო ყიფიანი კი არა, მთელი

იქ დამსწრე საზოგადოება ერთხმად ამბობდა მათ.

— გენერლები თქვენი განკარგულებისამებრ მობრძანდნენ — მოახსენა მორიგე ოფიცერი. ბებუთაშვილი უცებ გამოერყვა მოგონებათა ბურუსიდან და ოფიცერს უბრძანა კაბინეტში ეხმო მოსულნი.

შტაბს უფროსის—გენერალ ინდრენიუსის გვერდით, ბებუთაშვილის მარცხნივ, ბოგოვეტმა დაიკავა ადგილი, მარჯვნივ კი — ბაგრატიონ-მუხრანსკიმ; შემდეგ თანმიმდევრობით ჩამოსხდნენ: კოშინსკი, ჭავჭავაძე და სამხედრო საბჭოზე გამოძახებული სხვა. შედარებით დაბალი ჩინის ოფიცერები.

გენერალ-მაიორი ალექსანდრე თედორეს ძე ბოგოვეტი ალექსანდროპოლის მიუკმედი კორპუსის მთელი კავალერიის მეთაურად ითვლებოდა. იგი ისეთი გენერლების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ღირსების უპირველეს ეტალონად სიმამაცე და უშიშროება მიჩნდათ; მას ჰქონიან და მოსაზრებული გენერლის სახელიც ჰქონდა გავარდნილი მთელს იმპერიაში. მრავალ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. ახლა უკვე ხანდაზმული კაცი იყო, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურებოდა და, ეტყობოდა, გულში ბრძოლის ეინის ცეცხლი ჯერ კიდევ არ გაქრობოდა. გრძელ, საოცრად ენერგიულ სახეზე ხშირი, უკვე გაქლარაგებული წვერი მოეშვა, სამაგიეროდ, თავი პირწმინდად ჰქონდა გაპარსული და ზედ შავი დობანდი ჰქონდა შემოხვეული. ოდესღაც, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოფიცერს, ერთ ბრძოლის დროს, შრანგელი მოხვედროდა კეფაში და ქალა შეჯვრია. სასწაულებრივ გადარჩენილა მაშინ ბოგოვეტი. კავალერიის ხელჩართულ ბრძოლის ქარცეცხლში იგი მკვდრად ჩათვალეს და მიატოვეს. მხოლოდ მისი ერთგული დენწიკი დაეშვებულა, ზურგიით უტარებია საყვარელი მეთაური და დიდი წვალებით ლაზარეთში მიუყვანია. ხელმადლიან დასტაქარს სასწრაფოდ გაუყვებია რაგრაცია. ბოგოვეტი სიკე-

დილს გადაურჩა, მაგრამ თავის ქალს დაზიანებული ადგილი დასტაქარაშინ ექიმა საგანგებოდ ზურცხლქსქსქსქსით დაბურა და დაამავრა. ასე შემორჩა გატეხილი კეფა ბოგოვეტს ბოლომდე და სწორედ ამიტომ ეკეთა თავზე უჩვეულო ფორმის დობანდი, რაიც პირველი შეხვედრისას ყველას ძალიან უევირდა. ახლაც მშვიდად იჯდა ბოგოვეტი თავის ადგილზე და ყურადღებადაძაბული ელოდა სარდლის ბრძანებას.

გენერალ-მაიორი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიც მამაცი გენერლის რეპუტაციით სარგებლობდა კავასიის მხედრობაში; მარტო დანიელბეგისა და ჰაჯი-მურატის რაზმებთან ბრძოლები რად ღირდა, მას რომ დაღესტანში გადახდენია. ახლა ისიც ელოდა სარდლის ბრძანებას და იმის ფიქრში იყო, რა მისიის შესრულება მოუწყვდა დღეს თუ ხვალ. ბებუთაშვილის კორპუსში ის ბრიგადის მეთაურად ითვლებოდა, ამასთან, ლეგიონის მეთაურობაც უნდა შეესრულებინა ფაქტიურად: თუ ბრძოლა მოხდებოდა, ერევის კარბინერთა ლეგიონი უნდა წაეყვანა იერიშზე. მაღალი და ტანწვრილი იყო ორმოცდაერთი წლის ვაჟკაცი; მოკრძო ქართული სახით საოცრად ლამაზი თვალებით, მოკლედ შეკრული უღვაშებითა და სქელი ქოჩრით უმაღვე აჯადოებდა მნახველს: მიუხედავად სიმამაცისა და გამბედაობისა, ნიჭიერ მხედართუფროსად არ ითვლებოდა ბაგრატიონ-მუხრანსკი. თუმცა გამოცდილი სარდლის ხელქვეით. როგორც ლეგიონის მეთაური, უდავოდ საიმედო იყო.

იასონ ჭავჭავაძე კი უკვე ხანდაზმული, ორმოცდაათ წელს მიღწეული გენერალი იყო. თავისი დღე და მოსწრება კავალერიაში გაატარა და თვითონ მასაც ძალიან გაუჭირდებოდა მოეგონებია ყველა ბრძოლა თუ განსაცდელი, რაც მას თავის ოცდაათი წლის მხედრული ცხოვრების გზაზე გამოეგლო. მისი სიმამაცე ლეგენდასავით იყო გავრცელებული მთელს კავასიაში. ვარგნუ-

ლი სილამაზითაც გამოირჩეოდა იგი კავკასიის არშიაში. ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი, რომელსაც იასონ ჰავეკავაძე მეთაურობდა, მისი აღმზრდელი ოჯახი იყო. ამ ლეგიონში დაიწყო მან ოცდაათი წლის წინათ პრაპორშჩიკად სამსახური და ახლა უკვე ათი წელია მისი უცვლელი მეთაური იყო. ნიჟეგოროდის დრაგუნთა ცხენოსან-ლეგიონი ერთ-ერთი უძველესი და სახელმწიფოებრივი პოლკი იყო მთელს იმპერიაში. მისი გამრუდი საბრძოლო გზა დიდების შარავანდედით იყო მოსილი და სრულიად კანონიერად ეჭირა უშაშავესი ლეგიონის სახელი. 1701 წელს, იმპერატორ პეტრე პირველის ბრძანებით, პეტრე აპრაქსინმა ნოვგოროდში ნარჩევი რეკრუტებისაგან ჩამოაყალიბა ცხენოსანი პოლკი, რომელსაც ნიჟეგოროდის დრაგუნთა 44-ე ლეგიონი ეწოდა. თავდაპირველად ლეგიონის საბრძოლო წრთობა პირადად პეტრე პირველის განსაკუთრებული მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. და პირველად პოლკმა თავი ისახელა პოტივას ბრძოლაში, სადაც იმპერატორის რჩეული კავალერიის შემადგენლობაში იბრძოდა.

1703 წელს ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოჰყავთ და იგი მაჰმადიან მთიელებთან შეტაკებების ვეტერანთა რიგებში დგება. 1709 წლის აპრილში კი პოლკი, დარიალის ხეობის გამოვლით, საქართველოში გადმოდის და ამ დროიდან კახეთის ხაზზე დგას ლეკთა თარეშის ასალაგმავად. მთავარი ბანაკი პოლკს სოფელ ყარაღაჯში ჰქონდა. მრავალ ქართველ ოფიცერს უსახელებია ამ ლეგიონში თავი, მაგრამ მათს შორის, ივანე ანდრონიკაშვილის და ალექსანდრე ჰავეკავაძის შემდეგ, ყველაზე დიდი ამაგი მას, იასონ ჰავეკავაძეს მიუძღოდა, რითაც მამაცი გენერალი კანონიერად ამყობდა. პოლკი ყოველ წამს მზად იყო ბრძოლაში ჩაბმულიყო და ახლაც, სამხედრო საბჭოზე, ჰავეკავაძემ იცოდა ერთ-ერთ უძველეს დავალებას

მიიღებდა, მშვიდად იჯდა და თავისი ლეგიონის ხედრს ელოდა.

ის-ის იყო თათბირი უნდა დაწვევებზე, რომ მორიგე ოფიცერმა ბებუთაშვილს მოახსენა, გენერალი ილია ორბელიანიც გამოცხადდაო. ყველა განაციფრა ამ ამბავმა. ბაიანდურის ბრძოლის შემდეგ, ახლო ხანებში საბრძოლო მოქმედებები გათვალისწინებული არ იყო და სწორედ თათბირის წინა დღით ილია ორბელიანი სარდალს დაეთხოვა, რათა თავისი ახლადმოლოგინებული მეუღლე და ტყუპი ვაჟი ენახა. იგი სასწრაფოდ გაეშურა თეთრიწყაროსაკენ, სადაც მისი ოჯახი იმყოფებოდა. ამიტომ ახლა, როცა მორიგე ოფიცერის კვალდაკვალ ოთახში შემოსული ილია ორბელიანი დაინახეს, ვერაინ დაფარა განციფრება და, ვიდრე მათ შორის ვინმე დუმილს დაარღვევდა, თვითონ ორბელიანმა დაასწრო და მოახსენა: — თქვენო აღმატებულებავ! გზად მიმავალმა რეადის პურთერისაგან შევიტყვე, რომ კორპუსი სალაშქროდ უნდა გავიდეს და, აბა, რა სინდისით წავიდოდი შინ, სწორედ შუა გზიდან გამოვბრუნდი და წამოვედი. ბებუთაშვილი გაბრწყინებული სახით მისჩერებოდა ორბელიანს. მას გულით უხაროდა, რომ კორპუსში ასეთი პატრიოტი გენერლები მეთაურობდნენ მებრძოლ ნაწილებს და განსაკუთრებული სიმხნევე იგრძნო.

თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ბებუთაშვილმა დამსწრეთ საქმის ვითარება გააცნო, განუმარტა რომ ზემდგომი სარდლობა და, კერძოდ კავკასიის ჯარების სარდალი მოითხოვს დაუყოვნებლივ თავდასხმას თურქებზე. ბებუთაშვილს მაგიდაზე ედო რეადის წერალი და მან სიტყვა-სიტყვით ჩაიკითხა წერილის ბოლო ტექსტი, სადაც ეწერა: „... თქვენო კეთილშობილებავ! უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში თურქები დიდძალ ჯარებს უყრიან თავს ახალ-ციხის ირგვლივ. თქმა არ უნდა, რომ ისინი ახალციხის აღებას ლაშობენ; შემდეგ კი, თავად განსაჯე, გზა

თითქმის გახსნილი აქვთ ქართლის შუაგულისაკენ. შენიშნულია, რომ არაჩაის მიდამოებში მყოფი თურქთა კორპუსიც აბდი-ფაშას მეთაურობით აპირებს სწორედ არდაგანის გზით ძირითადი ძალები წამოიყვანოს და ახალციხის შემტევ ფერია-ალი-ფაშას დაეხმაროს. ასეთ ვითარებაში თქვენი კორპუსი არაჩაი-ყარაჩაის ხრიოებში თითქმის უმოქმედოდ დარჩება და თქვენი წინსვლა, აბდი-ფაშა თუ იქიდან უომრად გაგეცალათ, ჩვენ ზიანის მეტს არაფერს მოგვეკრებს, რადგანაც ეს ორი კორპუსი თუ ახალციხის გზით წამოვიდა, უდავოდ სძლევენ ახალციხის გარნიზონს და თავისუფლად მოაღწევენ თბილისამდეც, მით უმეტეს, რომ ახალციხის დამცველი ძალები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ძალები, თქვენს ხელთ რომ იმყოფებოდნენ. გამომდინარე აქედან მოვითხოვ, და მეფისნაცვალად კატეგორიულად უჭერს ამ მოთხოვნას მხარს, დაუყოვნებლივ დაეხმაროს თავს აბდი-ფაშას და თუ სრულიად ვერ დაამარცხებთ, ხელი მიანიჭეთ შეუშალოთ მას ახალციხისაკენ, აღიფაშახ მოსაშველებლად წამოვიდეს“.

ბებუთაშვილის შეკითხვაზე, ხომ არავის სურს თავისი მოსაზრების თქმა, გენერლები დუმდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბებუთაშვილს სამხედრო საბჭოს სხდომაზე ყოველთვის მზად ჰქონდა კარგად მოფიჭრებული გეგმა. ამიტომ ყველამ აირჩია, დაე, თვით სარდალმა გაგვიმხილოსო ჭერ თავისი გეგმა.

რადგანაც აზრის თქმა არავინ ისურვებდა, ბებუთაშვილმაც მოკლედ ბრძანა: კორპუსი ამ დილითვე აიყაროსო და გადალახოსო მდინარე არაჩაი. ერთი დღის საეაღზე როცა დაებანაკდებით, უფრო დაწვრილებით გააცნობთო სამოქმედო გეგმას. შემდეგ სალაშქრო მწყობრში ნაწილებისა და ქვეგანაყოფების თანმიმდევრობა გააცნო საბჭოს,

14 ნოემბერს, დღის 12 საათზე, კორპუსმა დატოვა ალექსანდროპოლი, გადავიდა მდინარე არაჩაიზე და ბატალიონებისა და

ესკადრონების გრძელმა მწკრივებმა გეზი სოფელ კუფულისაკენ აიღეს.

სოფელი რომლის შემოგარენიც კორპუსის ქვეგანაყოფებმა დამის გასათევად დაიკავეს, არაერთგზის იყო აობრებული ხან ქურთებისგან ხანაც თურქთა რეგულარული ჯარებისგან და თითქმის მოწასთან იყო გასწორებული. სადამო საკმაოდ ცივი ჩამოდგა და ჯარისკაცებმაც დაუყოვნებლივ კოცონები გააჩაღეს. რადგან ახლოს ტყე არსად ჩანდა, მათ, ხელი მიპყვეს სოფელთა ღობეებს, ბოსლებს, საბძლებსა და სხვა ნაგებობებს. უკვე საკმაოდ შებინდებული იყო, როცა ბებუთაშვილის კარავს რამდენიმე სოფელი მიადგა და გუშაგებს სარდალთან შეშვება სთხოვეს. კარგად ვანათებულ, მოზრილ საველე კარავში პირველი გრძელწვერიანი სომეხი მღვდელი შელასლასდა. მას უკან ოთხიოდე დანაჩანაყებული, ტანისამოსშემოფლეთილი და თეთრად დაბანჯველული მოხუცი შემოჰყვა. მღვდელს რატომღაც თავზე თურქული ჩაღმა ეხურა, ტანზე კი ძალზე გახუნებული და ალაგ-ალაგ ჩარღვეული ხამის ანაფორა ჩამოკონწიალებოდა. მოძღვარს ხელში ძველი ფერგადამული საბარება ეჭირა.

მღვდელი შიშითა და მოწიწებით მიუახლოვდა ბებუთაშვილს და დამტვრეული რუსულით რაღაცის ლუღლუღი დაიწყო, მაგრამ ბებუთაშვილმა, რომელმაც კარგად იცოდა სომხური, თავად ჰკითხა რისთვის გარჯილხართო. ამით გახარებულმა მღვდელმა ახლა უფრო ამოიღგა ენა. იგი ეხვეწებოდა სარდალს აეკრძალა ჯარისკაცებისათვის სოფელთა ნაგებობების ნგრევა. თანშლები მოხუცებს ხელები მკერდზე გადაეჭვარედინებიათ და მოძღვრეს ნათქვამს ხანგამოშვებით თავის დაკვრით ამოწყებდნენ.

ბებუთაშვილმა საჩქაროდ იხმო გენერალი კიშინსკი და უბრძანა შემოეცლო ყველა ბატალიონი და ესკადრონი, რათა სასწრაფოდ შეეწყვიტათ სოფელთა ღობე-საბძლების ნგრევა. გახარე-

ბულო მოძღვარი, თავისი მოციქულე-ბით, კმაყოფილი გავიდა სარდლის კარვიდან. გზა-გზა დიდხანს ბუტბუტებდა სომეხი მღვდელი ბებუთაშვილის დასალოც სიტყვებს.

ახალ ადგილზე სამი დღე-ღამე დარჩა კორპუსი. მარჯვედ ჩატარებულმა დაზვერვამ შეტად საიმედო და სასიხარულო ცნობები მოუტანა ბებუთაშვილს: გამოირკვა, რომ თურქთა კორპუსის მეთაურს აბდი-ფაშას, ახალციხის ბრძოლის შედეგი რომ გავგო, გადაწყვიტა: ამ ზამთარს მეტი ბრძოლები არ მოხდება და თავის მთავარ რეზინდენციაში — ყარსის ციხეში დაბრუნებულიყო. კორპუსის მეთაურობა კი თავისი პირველი თანაშემწის რეის-ახმედ-ფაშასათვის ებრძანებინა, მისთვისვე დავეალებინა იმავე დღეებში ბანაკი აქშალა უგუზლსა და ბაშ-ყადიყლარში და ყარსიდან 12 ვერსზე მდებარე სოფელ ხაჯი-ვალასთან მიეყვანა. დაზვერვის მეშვეობით იმდენად ზუსტი ცნობები შეკრიბა მტრის განლაგებასა და ძალებზე ბებუთაშვილმა, რომ მან 18 ნოემბერს, ნაშუადღევს, იქვე მოაწყო სამხედრო საბჭოს სხდომა და ყველა მეთაურმა იქვე მიიღო სრულიად გარკვეული საბრძოლო დავალება.

შებინდებისას დატოვა კორპუსმა ქურთების მიერ არაერთგზის ანაოხრები უზადრუჯი სოფლის შემოგარენი და ყარს-ჩაისაცენ გასწია. 1853 წლის 19 ნოემბერს გამთენიისას ბებუთაშვილის კორპუსი ყარს-ჩაის მიადგა, სწრაფად გადალახა მდინარე და ბაშ-ყადიყლარსა და უგუზლის წინ გრძლად გავიშულ ტაფობზე ავიდა. მარჯვნივ, ტრამალის ბოლოს შავი ყორღანი ყარა-იალა ეყუდა, წინ კი უგუზლისა და ბაშ-ყადიყლარის მიმოფანტულ ქოხმახებს შორის პატარა მდინარე მავრისკ-ჩაის ვერცხლისფრად დაკლანჩილი ზოლი ჩანდა, ხოლო ამ სოფლებს იქეთ, სადღაც დასავლეთით, მიემართებოდა ალაგეზის ქედის თეთრად დაკბილული ზურგი; კიდევ უფრო შორს შუის პირველი სხივებით აბრჭ-

ყვიალებული არარატის ცინელოვანი წვერი იდგა ზვიადად. ^{არქონულს} პლატონე მოწინააღმდეგის ^{ქვეყნებს} გამოჩენა რომ მოახსენეს, ახმედ-ფაშა ჯერ შეცბუნდა, დაიბნა, მაგრამ მალე გონს მოეგო და გადაწყვიტა ბრძოლა მიეღო. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა საბრძოლო თადარიგს. მაგრამ თადარიგის დაქვრა დიდხანს არ დასცალდა ახმედ-ფაშას. ბებუთაშვილის წინასწარ შემუშავებული გეგმით, პოლკებმა სასწრაფოდ მიიღეს საბრძოლო განლაგება და იერიშიც დაიწყო. თურქთა ჯარების ცენტრალურ დაჯგუფებას, სოფელ უგუზლის წინ რომ ეკავა პოზიციები, ორმა ქვეითმა ლეგიონმა შეუტია. მარჯვნივ ილია ორბელიანის ქართველ გრენადერთა ლეგიონი გაიჭრა წინ, მარცხნივ კი — ერუენის კარაბინერთა ლეგიონი, რომელსაც ბაგრატიონ-მუხრანსკი მიუძღოდა. ამით უკან, ხელჩართული ბრძოლის დაწყების შემდეგ იერიშის უფრო გასაძლიერებლად უნდა მიჰყოლოდა გენერალ კიშინსკის ლეგიონი. როცა საქმე ხიშტზე მიდგებოდა და ბრძოლის ბედი სასწორზე დაიწყებდა ქანაობას, კიშინსკის ლეგიონს გრენადერთა და კარაბინერთა შუა უნდა დაერთებოდა, გაეზლინა მტრის ძალა და ამით ხელხართული ბრძოლის ბედ-იღბალიც გადაეწყვიტა. კავალერიის ძალებიც ორად გაყვეს: ნიეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი იასონ ჭავჭავაძემ მარჯვენა ფრთაზე, ყარა-იალას ძირას გაიყვანა. მას დავალა, ახალი მამული ძალების დარტყმა აღეკვეთა მარჯვენა ფრთიდან საიდანაც ასეთ საშიშროებას შეიძლება ეჩინა თავი. ბებუთაშვილმა ნახევრად სარწმუნო ცნობით იცოდა, რომ თურქებს ყარა-იალას მისადგომებთან კავალერია ჰყავდათ დაბანაკებული და თუ ეს ბრძოლისუნარიანი მხედრიონი იქნებოდა, უთუოდ მოინდომებდა ბრძოლაში ჩაბმას ასეთი შემთხვევისას ნიეგოროდელეები ამ საფრთხეს თავიდან ააცილებდნენ ბრძოლის მთავარ ღერძს. თუკი ეს ცნობა ტყუილი გამოდგებოდა, მაშინ ნიეგოროდის დრაგუნთა

ლეგიონი გაცხარებულ ბრძოლის ველს მარჯვნიდან მეხვიეთ დაეცემოდა და უკუძივულ მტერს მარჯვედ დაედგნებოდა. ულანთა ლეგიონი და კახათა ასეულები, ყოველ შემთხვევისათვის ერთად დააყენეს მარცხენა ფრთაზე. როდესაც კიშინის ლეგიონი ბრძოლაში ჩაებმებოდა, ამ კავალერაას, თუ მანამდე რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა, ბრძოლის ველზე მარცხნიდან უნდა დაერტყა უგუზლისთან გამაგრებული მტრისათვის და ხელნართულ ბრძოლაში დახმარებოდა ქვეით ლეგიონებს. მთელი არტილერია პლაცტოს ბოლოს, ზეგანზე განლაგდა ფარულად, რადგან თურქთა არტილერიის ადგილსამყოფელიც უცნობი იყო ჯერჯერობით. როგორც კი თურქთა არტილერია გამოჩნდებოდა, ბებუთაშვილის არტილერიაც მასთან დუელში ჩაებმებოდა.

საბრძოლო გეგმა ჩინებულად იყო შედგენილი, მაგრამ ასე ოსტატურად დაგეგმილი იერიში სინამდვილეში სულ სხვაგვარად წარიმართა. როგორც კი ორბელიანისა და ბაგრატიონ-მუხრანსკის ლეგიონები შეტევაზე გადავიდნენ, სოფელ უგუზლის სამხრეთით, მავრიკ-ჩაის ვაღმა ნაპირზე, წნორის ბუჩქებში მიმალულმა თურქთა ზარბაზნებმა ჩინეს თავი. თურქთა არტილერიის ხალხი იმდენად ზშირი და ძლიერი იყო, რომ იერიშზე გადასულ ლეგიონთა მეწინავე მწკრივებს შრატნელით სულ მუსრი გაავლო. აშკარა ვახდა, რომ უპირველეს ამოცანას ახლა თურქთა ბატარეების იერიშით აღება წარმოადგენდა. ამიტომ ორივე ლეგიონმა მარცხნივ გაიწია და სწორედ ცეცხლისმტრქვეველი წნორის ბუჩქებისაკენ გაეშურა. ბებუთაშვილის არტილერიამაც სწრაფად გასსნა ცეცხლი და მიძიმე ყუმბარები დააყარა თურქთა არტილერიის აწ უკვე აღმოჩენილ პოზიციებს, მაგრამ პირველ ხანებში თურქთა არტილერიის ცეცხლი ამით დიდად არ შემცირებულა. ორბელიანმა და ბაგრატიონ-მუხრანსკიმ გადაწყვიტეს, რაღაც არ

უნდა დაჯდომოდან, ქვეითი ბატალიონები თურქთა არტილერიის ბატარეებამდე მიეყვანათ და ხელნართული ბრძოლით წაერთმიათ ზარბაზნები თურქებისათვის რაიც მტერს დიდ უპირატესობას აძლევდა.

აი, კარგად დაწინაურდნენ ორბელიანის გრენადერები; ლეგიონის დროშა სულ უფრო და უფრო უახლოვდება მავრიკ-ჩაის. წინ გასულ ასეულებს ომახიანი ხმით იმედს აძლევს და აჩქარებს ჩამოქვეითებული და საიერიშო მწკრივში მიმავალი ილია ორბელიანა; მის შორიახლოს მდებარეობდა ჯგუფი მიიწვეს წინ. მალა ამართული დროშის ფრიალით. დროშას ხან ტარზე, ხანაც ფარშაზე წამდაუწუმ ხედება ტყვიება; აგერ მდებარე მწკრივს წაიქცა, მაგრამ სანამ დროშა ძირს დაეშობა, მას მალა იტაცებს მეორე მდებარე და კიდევ უფრო შეუდრეკლად მიაქანებს წინ. მეწინავე ასეულები მავრიკ-ჩაის თბელ დინებაში გადაცვიდნენ და მისი მეორე ნაპირის ციცაბო კალთას შეუყვინენ. უკვე მეთხე მდებარეებს გადააქვს ნახევრადდაფლეთილი გრენადერთა ლეგიონის დროშა მავრიკ-ჩაიზე და გზას განაგრძობს თურქთა არტილერიის პოზიციებისაკენ. ილია ორბელიანმაც გადატომა მავრიკ-ჩაი და ისიც საბრძოლო შეძახილებით მიჰყვა მეწინავეთ. ციცაბო ნაპირი სულ უფრო და უფრო მოკლდება, სადაც არის, სულ წინ გასულნი თურქთა ზარბაზნებთან მიიჭრებიან და ხიშტებით გარეკავენ მეზარბაზნეთ; ორბელიანი სულ უფრო და უფრო მხნედ გასძახის ასეულებს: არ ჩამორჩეთ, მამაცო გრენადერებო, თანაც მარჯვენა ხელს ქნევით მოიერიშეებს თურქთა ზარბაზნებისაკენ მიუთითებს. უცებ ხელი მოუდუნდა და ერთ წამს ისეთი გრძობა დაეუფლა, თითქოს მარჯვენა არასდროს ჰქონია. როცა დაიხედა, საველე მუნდირის სახელო მხრის სახსართან სისხლით ჰქონდა გაელენთილი. მკლავში დაეჭრილვარო — გაიფიქრა და მანცდამანც არაფრად ჩათვალა. ახლა ამაზე ფიქრი არც შეიძლებოდა;



ველავ წინ გაიჭრა. ყველაზე წინ მიმავალი ფენტეროფიცრები და ჯარისკაცები უკვე ზისტებით ეკვეთნენ თურქ მეზარბაზნეებს, ლეგიონის დროშაც ნაპირის თავზე ფრიალებს, მთელი ძალა მოიკრიფა და გრენადერებს ერთიანი „ურას“ ძაბილი უბრძანა, რომ მარცხენა ლავიწვეშ მოხვედრილმა შტუცერის ტყვიამ ერთბაშად მოცელა და იქვე, ციკაბოზე, ეკლიანი ბუჩქის ძირში მიესვენა სავსებით გონწართმეული.

გრენადერებმა სწრაფად ამოსწყვიტეს მეზარბაზნე თურქები. არტილერიის ცეცხლმა საგრძნობლად იცლო, მაგრამ მარცხენა ფლანგიდან ისევ წინანდებურად ისმოდა შეუწყვეტელი ზათქი, ბაგრატიონ-მუნხრანსკის კარაბინერებს უფრო გაუჭირდათ მდინარის გადალახვა და გაცილებით გვიან მიალწიეს თურქთა ქვემეხების პოზიციებამდე. მაჭოკ-ჩაის ნაპირებზე მოკლული ოფიცრებისა და ჯარისკაცების გვაგები ჭერებივით ეყარა. რამდენიმე მძაფრი იერიშის შემდეგ კარაბინერებიც დაეუფლნენ თურქთა არტილერიას და სწორედ ამ დროს უგუზლისთან ჩასაფრებულ თურქ ასკერთა ბატალიონებს შეუტრეს კიშინსკის ქვეითმა ლეგიონმა და ბოგოვეტის კავალერიამ. უგუზლისთან თავმოყრილმა თურქებმა იგრძნეს, რომ ამ მოწოლას ვერ გაუძლებდნენ და სწრაფად დაიხიეს უკან. ეს ახმედ-ფაშას ბრძანებით მოხდა. ახმედ-ფაშამ გადაწყვიტა, მთელი ძალები ბურთად შეეკრა ბაშ-ყადიყლართან და აქ მოეწყო მთავარი შერკინება. ამასთან, მან სასწრაფოდ აფრინა მოკავშირე და ყარა-იალას ძირთან ჩასაფრებულ კავალერიის მეთაურს უბრძანა, როგორც კი ბაშ-ყადიყლართან ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდებოდა, იერიშზე გადმოსულიყო, ფლანგიდან დაეკრა მტრისათვის და ამით საშუალება მიეცა ბაშ-ყადიყლართან მეტბრძოლ ასკერთა ბატალიონებისათვის იერიში უკუეგდოთ.

სოფელ ბაშ-ყადიყლართან მართლაც უმძაფრესი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ორივე მხარე მედგრად იბრძო-

და და დათმობას ჯერჯერობით არც ერთი ამირებდა. სწორედ რამდენიმე ყარა-იალას ყორღანის მხრამდნის მტერის ღრუბელი ავირდა ცაში ბებუთაშვილმა მაშინვე შენიშნა ეს და აცნობა იასონ ქავჭავაძეს, თურქთა მამველი კავალერიის წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადასულიყო. დრავუნთა ლეგიონი საბრძოლო მწყობრით დაიძრა და გზა გადაუჭრა იერიშზე გადმოსულ თურქთა კავალერიას. აქაც არნახული ჩეხვა გაიმართა. დრავუნები ისე მარჯვედ დახვდნენ, რომ თურქთა კავალერიამ ვერ შეასრულა თავისი მისია, პირიქით, მალე თავდაცვაზე გადავიდა და ნელ-ნელა უკან დახვევა დაიწყო, ისევ ყარა-იალას მთისკენ.

როდესაც ახმედ-ფაშა დარწმუნდა, რომ მაშველი კავალერია ბებუთაშვილის წინდახედულობამ მოსწყვიტა, მიხვდა, ბრძოლა წაგებულაო და გამაღებით ბარგის აკვრას შეუდგა. მას ნელ-ნელა სხვა მალალი რანგის მეთაურებმაც მიჰბაძეს, მიატოვეს ბრძოლის ველი და ყარსისაკენ მოუსვენეს. ამის დანახვაზე უცებ მთელმა კორპუსმა პირი იბრუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასავლეთისაკენ გაიქცა. ვინც გაასწრო, გაასწრო, ხანგრძლივი დევნა არ უბრძანებია ბებუთაშვილს, ბრძოლა, მართალია, ბრწყინვალედ იყო მოგებულნი, მაგრამ მსხვერპლიც დიდი იყო და ახალ მსხვერპლს მოერიდა სარდალი. დაჭრილთა მოვლა და მკვდრების დამარხვა დაუყოვნებლივ მოაწყეს. მძიმედ დაჭრილთა შორის ალექსანდროპოლის ლაზარეთისაკენ წაიყვანეს ილია ორბელიანიც, რომელიც უგრძნობლად იყო, მაგრამ მაჯის ცემა ჰქონდა და სუნთქავდა კიდევ.

ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადის სამუშაო ოთახში, საწერი მაგიდიდან მოშორებით მდგარ სავარძლებში ორნი ისხდნენ. მათი სახის მეტად სერიოზული გამომეტყველება მნახველს დაარწმუნებდა, რომ თავსატეხი საქმე რამ გასჩენოდათ და გადაწყვეტას ლამობდნენ.

— მტრის ჯარების გადაადგილებანი და ომის ამყარებელი მდგომარეობის სურათი გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები მოგველის. მოწინააღმდეგის სამხადისი მომავალი საბრძოლო მოქმედებისათვის ცხადყოფს, რომ მორიგი ამბები აჭარაშია მოსალოდნელი. თურქეთი და მისი დამხმარენი ამჯერად მთავარ იმედს სელიმ-ფაშაზე ამყარებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაზაფხულზე, როგორც კი აჭარის მთებზე და კოროხის ხეობაში ჯარების მიმოსვლა შესაძლებელი გახდება, თურქები მაშველ ძალებს მოუყრიან თავს და სელიმ-ფაშას გაუგზავნიან. თვით სელიმ-ფაშას კორპუსიც, რომელიც ამჟამად აჭარაშია მოკალათებული, დიდძალ ჯარს ითვის. ამ ძალებს ინგლისის მხედრობის ასულდგმულებს. ყოველივე ეს მარწმუნებს, რომ თურქები აპრილ-მაისში იერიშზე გადმოვლენ და გურია-იმერეთის აღებას შეეცდებიან. მე მიინტერესებს, თავად ივანე, თქვენი აზრი ადგილობრივ მოსახლეობაზე აჭარა-გურია-იმერეთში, რას შეიძლება იმათგან მოველოდეთ თურქთა შემოჭრის შემთხვევაში? — აუჩქარებლად, მისთვის ჩვეული დამაჯერებლობითა და გულწრფელობით ამბობდა გენერალი რეადი.

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენი ვარაუდი სრულიად სამართლიანი და საფუძვლიანია. რასაკვირველია, გურია-იმერეთში თურქთა გამოლაშქრების შემთხვევაში ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იქაური მოსახლეობის ყოფა-ქცევას. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გურიაშიც, იმერეთშიც და სამეგრელოშიც შევქმნით საიმედო სახალხო ლაშქარს; ჩვენს რეგულარულ ჯარებს დიდ შეღავათს მისცემს ეს ღონისძიება. აჭარაში კი მე ვიცი რამდენიმე თავადი, რომლებიც დიდი ხანია ოცნებობენ გურია-იმერეთში თარეშის საბაბზე, მეტადრე ქობულეთის სანჯაყის ბეგი ჰასან თავდგირიძე გამოიჩინოს თავს ახლა, თუ ნამდვილად მოხდა ბრძოლები გურიაში. ჩვენმა ხელისუ-

ფლებამ კარგად იცის მისი ზრახვები წარსულშიც არაერთხელ ცდნულა წყლის ამღვრევას. მაგალითად, 1841 წლის გურიის ამბებში ამ პიროვნებას დიდი როლი აქვს ნათამაშები

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ივანე, მალხაზის ძე! ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გაგარინიც ამგვარ ცნობებს იძლევა. გაგარინს ძალიან დიდი იმედი აქვს იმერეთის თავად-აზნაურობისა, განსაკუთრებით ქაიხოსრო მიქელაძისა და სიმონ წერეთელისა, სამეგრელოდან კი ძმების — გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებისა, გურიაშიც არაფერს ხედავს საგანგაშოს, აი, აჭარა კი მასაც აფიქრებს. ჩვენ დიდი თადარიგი გვმართებს, რომ გაზაფხულს მზად შევხვდეთ.

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა ბოლოს დაასკვნეს, რომ იმერეთში უნდა შემდგარიყო ორი სახალხო ლაშქარი, რომელთაც, მეტი საბრძოლო ერთეულისა მისაცემად, უმეთაურებდნენ მსკოვანი თავადები — ქაიხოსრო მიქელაძე და სიმონ წერეთელი; სამეგრელოდანაც მრავალრიცხოვანი რაზმი უნდა მოეყვანა გენერალ გრიგოლ დადიანს, გურიაში შეგროვილ რაზმს კი დათა გურიელი უმეთაურებდა. გურია-სამეგრელო-იმერეთის სახალხო ლაშქრის საერთო მეთაურობა გენერალ გაგარინს ევალებოდა.

— ეს ყველაფერი კარგია, — თქვა ბოლოს რეადმა, — მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოდან? აქედან არაფერი მივაშველოთ?

— ნიკოლოზ ანდრიას ძე, მე სწორედ ამის თაობაზე მინდოდა თქვენთან და. თუ საქირთობა იქნებოდა, მის ბრწყინვალეობასთანაც საუბარი, აღმოსავლეთ საქართველოს მახრებშიც უნდა შეეკრიბოთ მძლავრი მეომარი რაზმი, რომელიც დიდ როლს ითამაშებს გურია-იმერეთის დაცვაში, თუ ეს საქირო გახდება.

— მის ბრწყინვალეობასთან საუბარი ამ საქმეზე თქვენ არ მოგიწევთ, თავადო. უპირველესად ეს სწორედ ვორო-

ნცივის აზრია და მე ძლიერ მომწონს, რომ მისი მოსაზრება თქვენსას ემთხვევა. მხოლოდ, გეთაყვათ, ერთი ეს მიზრძანეთ, — განაგრძნო მცირე პაუზის შემდეგ რეაღმა, — იქნებთან მოხალისენი აღმოსავლეთ მხარეებში? ეს ხომ ლიხს იქითა დაცვის საქმეს ეხება და მე რამდენადაც ვიცი...

— თქვენი შიში ამ მხრივ სრულიად უსაფუძვლოა, ნიკოლოზ ანდრიას ძე, — წინადადება არ დამითავრებინა ანდრონიკაშვილმა, — საქართველო დასაბამიდან ერთიანი იყო და ერთი მიზნისათვის მებრძოლი, განსაკუთრებით თუ საქმე მაჰმადიანებისაგან ქვეყნის დაცვას ეხებოდა, ეს ერთიანი სულისკვეთება დღესაც შეურყეველია ამერიკეთში. მე მთლიანად ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ შევაგროვებთ ღირსეულ, ნამდვილად ბრძოლისუნარიან რაზმს.

— მაშ თუ ასეა, ეს საქმე გადაწყვეტილად ჩაეთვალოთ და მისი ხელმძღვანელობა მთლიანად გვეალებათ თქვენ. ახლა მხოლოდ ერთი რამეც გავარკვიოთ, რათა შემდგომ თქვენ მოქმედების სრული თავისუფლება მოგეცეთ: მე მინდოდა რაზმის მეთაურიც ბარემ შეგვერჩია, ხომ არ გიფიქრიათ ამის თაობაზე.

— დიან, მიფიქრია და თუ თქვენ ზემს მოსაზრებას ენდობით, ნიკოლოზ ანდრიას ძე, ამ საქმისათვის ყველას ვამოხიანებ პოდპოლკოვნიკ გიორგი ჯანდიერს. ეს ოფიცერი ამჟამად ორმოცდახუთი წლის კაცია, საბრძოლო წვრთნა ჯერ კიდევ ერმოლოვისა და პასკევიჩის ხელში აქვს მიღებული. 1827-1829 წლებში სპარსეთსა და თურქეთთან ომებში: განსაკუთრებით თავი ისახელა ახალციხის აღების დროს, მას უკანაც სულ ბრძოლებშია. შამილთან ომში დაეჯავადა. ვფიქრობ, ამაზე უკეთეს კანდიდატურას რაზმის მეთაურად ვერ ვიპოვით.

— ამჟამად საღ იმყოფება ეს გიორგი ჯანდიერი? — დაინტერესდა რეაღმა.

— ერთ-ერთ ქვეით ლეგიონში ათსულელის მეთაურად მსახურობს სულაყის ხაზზე, დაღესტანში მტრწმუნებდა, რომ ეს ოფიცერი ყველაზე უკეთ გაართმევს თავს რაზმეულის თავკაცობას, თანაც აქ ავტორიტეტის საქმეა. თქვენო აღმატებულებავ, გიორგი ჯანდიერი სრულიად უზადო სახელით სარგებლობს ქართველი მხედრობის თვალში.

— იყოს ისე, როგორც თქვენ გსურთ, თავადო, მაგრამ, გეთაყვათ, მოდიეთ, ერთი ვინმე კარგად განათლებული ახალგაზრდა ოფიცერიც შევარჩიოთ, რაზმეულის მეთაურის თანაშემწედ და სამხედრო საქმის ერთგვარი ინსტრუქტორის საქმიანობა დავაქისროთ.

— პორუჩიკი ივანე ამილახვარი, უკეთესს ნამდვილად ვერ შევარჩევთ. თანამედროვე კავალერიის საბრძოლო წვრთნისა და ტაქტიკური მანევრირების საქმეში ეს ოფიცერი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ბრწყინვალედაა მომზადებული: ბაშ-ყადიყლარის ბრძოლაშიც თავი უსახელებია, გაზეთში წერდნენ ამაზე.

— კეთილი, კეთილი, ასე იყოს, — ჩაილაპარაკა რეაღმა და ზარის ღილაკს დაკრა ხელი. ოთახში მორიგე ოფიცერი შემოვიდა და საწერი მაგიდის განაპირას მხედრულად გასწორდა.

— აიღეთ ქალაღი, ჩაიწერეთ და გადაეცით შტაბს: პოდპოლკოვნიკი გიორგი ჯანდიერი, სულაყის ხაზის ქვეითთა ლეგიონიდან, და პორუჩიკი ივანე ამილახვარი, ნიეგოროდის დრაგუნთა ლეგიონიდან, დაუყოვნებლივ გამოიხმონ და თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტ ივანე ანდრონიკაშვილის განკარგულებაში გადასცენ, შესრულების ვადა ერთი კვირა.

— შესრულებული იქნება, თქვენო აღმატებულებავ! — წარმოთქვა ოფიცერმა და ოთახიდან გავიდა.

ივანე ანდრონიკაშვილი ახალშემდგარი ქართველ ცხენოსანთა რაზმეულის დათვალეობებიდან გვიან ღამით დაბრუნდა თბილისში. კარგ ხასიათზე

იყო თბილისის სამხედრო გუბერნატორი. მისი აზრი გამართლდა. ექვსი ცხენოსანი ასეულისაგან შემდგარი რაზმეული შესანიშნავად გამოიყურებოდა და ჩინებულ საბრძოლო წრთობას ვადიოდა. განსაკუთრებით მარჯვედ მოუვიდა რაზმეულის მეთაურისა და მისი თანაშემწის არჩევანი. გიორგი ჯანდიერი, დინჯი და ავტორიტეტიანი ოფიცერი, რაზმეულში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. რაც შეეხება ივანე ამილახვარს, იგი რაზმეულის საბრძოლო წვრთნის საქმეში სწორედ რომ შეუცვლელი იყო ახლად შემდგარი რაზმეულისათვის. განსაკუთრებით მოეწონა ანდრონიკაშვილს ის, რომ ამილახვარი, რაზმეულის მეთაურთა საბრძოლო-ფიზიკურ გაწვრთნასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა მორალურ-ზნეობრივ აღზრდასაც.

ვახშმის შემდეგ ანდრონიკაშვილი თავის სამუშაო ოთახში გადავიდა. აქ თავისუფალ დროს იგი წიგნებისა და გაზეთების კითხვაში ატარებდა, ხანდახან მთხოვნელებსაც იღებდა. მაგიდაზე გაზეთების დასტა ეწყო. მოუცლულობის გამო კარგა ხანი იყო გაზეთი არ წაუკითხა. ნელ-ნელა დაიწყო გაზეთების თვალთვლება: ზოგ ვვერდს სწრაფად ჩააყოლებდა თვალს, ზოგსაც უფრო დიდხანს დააჩერებოდა.

ერთ-ერთი გაზეთის ვვერდს განსაკუთრებული ინტერესით დააკვირდა გენერალი. „როცა მტერი განდევნილ იქნა, მომავლადეი ალექსანდროპოლში ჩაიყვანეს, სადაც მისი ძლიერი ორგანიზმი თერამეტ დღეს ებრძოდა სიკვდილს. ამო იყო ეჭიმების დიდი მონღოშება, ვერც მისი საყვარელი უფროსი ძმის გენერალ-ლეიტენანტის გრიგოლ ორბელიანის ჩამოსვლამ და ყოველგვარმა ცდამ უშველა რამე. სიკვდილმა წაიღო თავისი მსხვერპლი. გრძნობდა რა მოახლოებულ აღსასრულს, მომავლადევი მოითხოვა ტყვიებით დაცხრილული დროშა და უკანასკნელად ჯარისკაცულად ეამბორა ლეგიონის წმინდათაწმინდას. შემდეგ გამოემშვიდობა ლეგი-

ონის ოფიცრებსა და გიორგის ჯვრის კავალრებს, გულმხუთვალედუ ეჭყარა, მოიგონა ყველა ანდრონიკაშვილისა და დეკემბერს, საღამოს, როგორც მეომარმა და ქრისტიანმა დალია სული“.

ანდრონიკაშვილმა დაღვრემილი სახე გაზეთს მოაშორა, სათვალე შეისწორა და ღრმად ამოიხრა. ილია ორბელიანის სიკვდილი მან იცოდა, მაგრამ ახლა, გაზეთში წაკითხულმა, განსაკუთრებით ატკინა გული. „ექს ვინ იცის, ვის როდის რა მოელის“ — მწუხარედ ჩაილაპარაკა და კვლავ განაგრძო გაზეთების თვალთვლება. აი, ერთი გაზეთის ფურცელმა კვლავ მიიპყრო ანდრონიკაშვილის ყურადღება. იგი გაფაციცებით კითხულობდა, ბოლომდე რომ ჩაათვა ერთ-ერთი საფრონტო ნარკვევი, თვალგაბრწყინებულმა წამოიძახა: „აი, ის მამაძალი. ისა, ჩვენ კი არაფერი მოგვეწერა ამაზე და, გადამრევს ეს ბიჭი, როგორ არ მოგვეწერა, ასეთი რამ თუ შეემთხვა?“ ხელმეორედ დაიწყო კითხვა. ნარკვევი ეწერა: „ჩვენი ჯარების ძლევა მოსილი ბრძოლისას ბაშყადიყლართან, ვერნადერთა ლეგიონის უნტეროფიცერი გაგნიევი მძიმედ დაიჭრა. გაგნიევი ადგილზევე მოცელა ტყვიამ და განძრევაკ კი არ შეეძლო. ამ დროს დაჭრილს თურქი ასკერები უახლოვდებოდნენ, მაგრამ დაჭრილი ამოდ ლამობდა ადგილიდან დაძვრას. მაშინ მან სასოწარკვეთით დაიყვირა: არჩილ, მიშველე! იმავე ლეგიონის პოდპრაპორშჩიკი თავადი არჩილ ადრონიკაშვილი მიუხედავად აშყარა საშიშროებისა, მყის მიიჭრა დაჭრილ გაგნიევთან, წამოიკიდა იგი ზურგზე და, რაც ღონე ჰქონდა, სამშვიდობოსკენ გააქანა. მათ გამოუდგა რამდენიმე თურქი, რომელთაც უნდოდათ ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში. ანდრონიკაშვილი განაგრძობდა დაჭრილის ზიდვას, თუმცა ეს ძალიან უჭირდა. ღონემიხდილი გაგნიევიც ხედავდა რა, რომ თურქები ჯიუტად მოსდევდნენ. ეხვეწებოდა ანდრონიკაშვილს, მიეტოვებინა იგი და თავისთვის ეშველა.

თურქებმა სროლაც აუტეხეს ანდრონიკაშვილს, მაგრამ, რალაც ბედად, არც ერთი ტყვია არ მოხვდა და ასე გადაატარა მდინარეზე დაჭრილი გავნიევი. აქ ანდრონიკაშვილს წინ შემოეგება მისივე ასეულის გოლიათი ჯარისკაცი ივანოვი, რომელიც შეენაცვლა დაჭრილის ზიდვაში. ახლა უფრო გამწვანდა წინსვლა, რადგანაც აღმართზე იყო ასასვლელი, თურქები კი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ და გავნიევი კვლავ ეხვეწებოდა ორ აღამიანს, მისი გულისთვის არ დაედუჰათ თავი და მიეტოვებინათ. მაგრამ ანდრონიკაშვილი და ივანოვი მარჯვედ მიიწვედნენ წინ და ამ დროს მათ წინ შემოეგებათ ვიღაც ცხენოსანი მეზობლი. დაჭრილი მყისვე ცხენის ზურგზე გადააწვიანს და ცხენოსანმაც სამშვიდობოსაყენ მოაქურცხლა. ტვირთისგან განთავისუფლებული ანდრონიკაშვილი და ივანოვიც, რაც შეეძლოთ, გაიქცნენ. მალე ხევში შეეფარნენ და თავს უშველეს. გაჯავრებულმა თურქმა ასკერებმა სეტყვასავეთ დააყარეს ტყვიები მხედარს, რომელსაც დაჭრილი წინ გადაედო და მთელი ძალით მიაჭენებდა. მალე ერთდროულად ოთხი ტყვიით განგმირული ცხენი ძირს ეცემა და მხედარსა და დაჭრილ გავნიევს მიწაზე ანარცებებს. მხედარი არ იბნევა. იგი ზურგზე იკიდებს გავნიევს და გაიყვანს სამშვიდობოს. გავნიევს, მართალია, მოსჭერს მარჯვენა ხელი, მაგრამ სიკვდილს კი გადაარჩინეს. ანდრონიკაშვილიც, ივანოვიც და მხედარიც გადარჩნენ. მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს ამ გმირების ვინაობა: პოდპრაპორშჩიკი თავადი არჩილ ანდრონიკაშვილი გენერალ-ლეიტენანტის, თავად ივანე შალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ერთადერთი ვაჟი-შვილია, ხოლო ცხენოსანი კი მამედ-ჯან-ტიხჯარ-ოღლი, მისი ყმა გლეხი.

როდესაც ბაშ-ყადიყლარის ბრძოლის შემდეგ თავგამოჩენილთა დაჭილდობა მოხდა, ზემოთაღნიშნული გმირობისათვის არჩილ ანდრონიკაშვილს წმინდა

გიორგის ჯვარი მიულოცეს თავისი ასეულის თანამოიარაღეებმა "არქანგელის"

ძალზე ნასიამოვნები დაიჩინეს ანდრონიკაშვილი თავისი პირშმოს ასეთი ვაჟაკობის გამო და მაშინვე ახარა შინაურებს. ვეიან ღამემდე ვერ დაიძინეს სიხარულისაგან გრძნობამორეულმა გმირის შობილებმა. ხუმრობა ხომ არ არის, ბიჭი გიორგის ჯვრის კავალერი გამხდარიყო.

ბაშ-ყადიყლარის ბრძოლის წაგების შემდეგ თურქთა სარდლობამ მთლიანად აიღო ხელი ალექსანდროპოლ-არ-დაგანის მიმართულებით შეტევით ბრძოლებზე. რუსთა ჯარების შემოტევისაგან თავდასაცავად თურქებმა საგულდაგულოდ გაამაგრეს ქირიუქ-დარის ზეგანი, რომელიც ყარსისაყენ გზას კეტავდა და, რასაკვირველია, გულდაგულ დაახშეს ყარსის ციხისაყენ მიმავალი ყველა მისასვლელი კარები, რადგან ყარსის ციხე თურქთა ძირითადი დასაყრდენი პუნქტი და სარდლების ადგილსამყოფელი იყო. ამავ დროს ინგლისის ელჩებმა დაარწმუნეს სულთანმა, 1854 წლის გაზაფხულ-ზაფხულში დიდ დახმარებას გაგვიწვეთო შავი ზღვის მხრიდან. სულთანმაც განიზრახა, ამჯერად ბედი ჭოროხის გზით ეცადა და გურია-იმერეთი აეღო, მართალია, ახალი ჯარების გადასროლა აჭარაში ცოტა ძნელი საქმე იყო და ზამთარში შეუძლებელიც, მაგრამ თვით აჭარაში თურქეთს საკმაო რაოდენობით ჰყავდა ჯარი და, ამასთანავე, სულთანი დიდ იმედს ამყარებდა თავის ერთგულ კაცებზე, რომელთაც შეეძლოთ ადგილობრივი ხალხი დაეხმარებინათ თურქთა რეგულარული ჯარების ნაწილებისათვის.

ახალი მისია სულთანმა განთქმულ სარდალს — სელიმ-ფაშას მიანდო. სელიმ-ფაშა წარმოშობით დაბალი წრიდან იყო. ღარიბი მთიელი თურქის შვილმა მხედრული ღიღებისაყენ გზა ხმლით გაიკაფა და ახლა მთელს თურ-

ქეთის არმიაში ერთ-ერთ უმამაცეს და საიმედო სარდლად ითვლებოდა.

როგორც კი აჭარის მთებში თოვლი შეთხვლდა, დაიწყო თურქთა ჭარბების დენა ბათუმისაკენ. მძიმე გადასვლების შემდეგ, თურქი ასკერების ბატალიონები ქობულეთისა და მუხაესტატეს მიდამოებში ბანაკდებოდნენ და, ამჟამად მოსალოდნელი ბრძოლების წინ, მუხლში ქარს იღებდნენ. სელიმ-ფაშაც ენერგიულად ტრიალებდა აჭარაში, იჭერდა სათანადო თადარიგს, რომ ახლად-მოსული ჭარბები აჭარაში მყოფ ქვეგანაყოფებს კარგად შერწყმოდნენ და ერთიან საბრძოლო ბირთვად ქცეულიყვნენ.

კავკასიის ჭარბების სარდლობას ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ გამოჰპარვია და მანაც სახელდახელოდ დაიწყო ჭარბების თავმოყრა იმერეთში. ქუთაისის გარნიზონში მანამდე მყოფ რეგულარულ ჭარბებს, ახალციხესთან უკვე ომგადახდილი, ფრეიტაგისა და ბრუნერის ლეგიონები მიამატეს. მამაცმა გენერლებმა მარჯვედ გადაიყვანეს ლეგიონები მესხეთის მთებში და ვარციხის გზით მდინარე რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან მიიყვანეს, სადაც, შემდგომი მოქმედებისათვის განკარგულების მოლოდინში, დაბანაკდნენ. ამვე დროს კორტოზი გადმოიარა ვიორგი ჭანდიერისა და ივანე ამილახერის მიერ ჩინებულად გაწვრთნილმა ქართველ მოხალისეთა ცხენოსანთა რაზმებულმა, რომელსაც არიერგარდში პოლკოვნიკ კონსტანტინე მამაცაშვილის მძიმე სარტალერიო დივიზიონი მიჰყვებოდა. მშენიერი შესახედავი იყო ჭანდიერის რაზმეული. აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იყვნენ აქ მეომრები. ექვსი ესკადრონისაგან შედგებოდა და ექვსივე ესკადრონს თავ-თავისი განმასხვავებელი ტანსაცმელი და აღჭურვილობა ჰქონდა. ყველაზე მიმზიდველი მაინც თუშ-ფშავ-ხევსურთა ესკადრონი იყო. მამაპაპური მოკლე, ფერადფერადი ჯუბები, ჭაჭვ-ჭაქსნით, მუხა-

რადებითა და ფარ-ხმლით, კოსტა მთიულურ ცხენებზე ამხედრებულნი, სწორედ თელსა სტაცებდნენ მხახველს.

ეს ძალები საგარძობ შეესებას წარმოადგენდა იმერეთში დაბანაკებულ ჭარისათვის, რომლის საერთო ხელმძღვანელობა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს — გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე ვაგარინს ევალებოდა.

არც იმერეთ-სამეგრელო-გურიის მოსახლეობა დარჩენილა უმოქმედოდ. იმერეთში სულ ნარჩევი ვაჟაკებისაგან შეადგინეს რაზმები და მოსალოდნელი ბრძოლების ადგილისაკენ მიამურეს უკვე ხანდაზმულმა ქაიხოსრო მიქელაძემ, სიმონ წერეთელმა და სიმონ წულუკიძემ. სამეგრელოდან წამოყვანილ მრავალიცხოვან რაზმს გენერალი გრიგოლ დადიანი მეთაურობდა; გურიაში კი რაზმს თავი მოუყარეს შეკვეთილის ციხესთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული ვიორგი გურიელის ბიძაშვილებმა — დათა და მალაქია გურიელებმა. ასე ნელ-ნელა იყრიდა თავს მებრძოლი ძალები რიონ-ცხენისწყლის ნაპირებზე და ემზადებოდა თურქთა საკადრისი შეხვედრისათვის.

გურია-აჭარის საზღვარზე მყოფი ჭარბების საბრძოლო ხალისი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა მათ საერთო სარდლად თბილისიდან ივანე ანდრონიკაშვილი ჩამოვიდა. ახალციხის ბრძოლის შემდეგ ანდრონიკაშვილის სახელი ისე მოედო მთელ საქართველოს, რომ მარტო მისი ხსენებაც კი იმედით ავსებდა ჭარბებს და მისი აქ გამოგზავნის მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ.

ქობულეთის სანჯაყის ყველაზე მძლავრი და გავლენიანი თავადის — ჰასან-ბეგ-თავდგირიძის სასახლეში დიდი ბჭობა იყო გამართული. ჰასან-ბეგმა მასთან მოწვეულ აზნაურებს და ორიოდე თავადს წაუკითხა სულთნის წერილი, რომელშიც ალაჰის ყურმოჭრილი მონა და პორტას დიდი მბრძანებელი თავის ერთგულ ქვეშევრდომს ბევრ სიკეთესა და ბედნიერებას უთვლიდა.

შემდეგ წერილში მოხსენიებული იყო, რომ ალაჰი არ დაიეწიებას ჰასან-ბეგის ერთგულებას და რომ ბოლოსდაბოლოს დადგა დრო, როცა ოსმალური ხმლის ძალა საბოლოოდ უნდა იგემონ გურჯებმა, რომლებმაც ვიარები კარზე მიყენეს მაჰმადის წმინდა სალოცავენს. გურჯისტანიდან სამუდამოდ უნდა ამოვკვეთინოთ ფეხი ჩრდილოელ ვიარებზო. ბევრი სხვა ნდომისაღმძვრელი მიზანი და დაპირებაც ეწერა წერილში ჰასან ბეგის მისამართით: სულთანი მას დასავლეთ გურჯისტანის გამგებლობას პირდებოდა. სამაგიეროდ ოტომანთა იმპერიის უფალი ჰასან-ბეგისაგან მოითხოვდა ქედზე კაცის გამოყვანას და სელიმ-ფაშას ჯარებისადმი დიდი დახმარების გაწევას.

რალაც სულისამომხდელი დუმილი გამეფდა მას შემდეგ, როცა ჰასანმა თავისი სათქმელი გაათავა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს ერთი მეტად დარბაისელი სახის, მთლად გათვთრებულ თმა-წვერიანი კაცი, რომელსაც ყველანი ასლან-ეფენდის ეძახდნენ, ზეზე წამოდგა და გაკვირვებულნი ტონით მიმართა ჰასან თავდგირიძეს:

— შენ ამ წერილისა გჯერა, ჰასან-ეფენდი, თუ ალაჰს ვფიცავ, ძლიერ მივირს შენგან ეს სიტყვები. ისეთ რამეს აინებებ ხოლმე, ჰკუთამყოფელი არ ივისრებს. გურიაში ორი თავადი არაა, შენი ნათესავი არ იყოს, და წინათაც როგორ აურიე თავ-გზა: როგორ აიმედებდით, რუსს ასე ვუზამთ, ისე ვუზამთ. ოზურგეთს ჩახვედი ჯარით და, როგორც კი არღუთინსკის ჯარი დაინახეთ, მგლის მიერ დაფეთებული თხებით გამოიქციეთ აქეთ. საწყალი გურული გლეხები კი, ვინც დაიხოცა, ზომ დაიხოცა, ვინც არა, ციმიბირში ვიარეკს რუსებმა ლალატისათვის. ჰასან-ბეგ ეფენდი, ღუთის წინაშე ყველა ერთია: ცოდვა-მადლის სასწორი როგორც ალაჰმა იცის, ისე იმათმა ღმერთმაც. ცოდვები ისეც ბევრი გაწევს კისერზე და გეყოფა, ნუ მოიხვევ ახალ ცოდვებს! გურიაში დღეს რუსეთის მთავრობაა,

მაგრამ გურულები ჩვენთან მკიცხვნი ბივით არიან. მე ჩემდათმად სულთნის ლებთან მშობა მიჩვევია სულთნის ვადამთიელ კაცებთან მოყვრობას. ჯერჯერობით ჰიირი და ლხინი ერთად გვაქვს და ვიჩვევ მოეშვა ამ განზრახვას; არ მოგიტანს ეს ხეირსა და ბერეკეთს. ხალხსაც ცუდად ნუ აცდენ, ნუ ჩადგები საწყალი ჯამათის ცოდვაში.

ვიდრე ასლან-ეფენდი ლაბარაკობდა, ჰასან-ბეგს სახის ფერი რამდენჯერმე ეცვალა. იგი ჯაჰვით დაბმული ქოფაკის თვალებით უმზერდა ასლან-ეფენდის — აი, ეს-ეს არის, აიწყვეტს და ნაკუწ-ნაკუწად აქცევსო საწყალ მოხუცს, მაგრამ ამას ახლა ვერ გაბედავდა ჰასან-ბეგი. ასლან-ეფენდი მთელს სანჯაყში განთქმული აზნაური იყო და მის უდიერად ხელყოფას არავის აპატიებდა ხალხი.

ასლან-ეფენდის გულახილობამ დიდი ყაყანი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეტყობოდა, რომ იქ მყოფთა უმრავლესობა თურმე იმასვე ფიქრობდა, რაიც ასე უშიშრად თქვა ასლან-ეფენდის, და ახლა გათამამდნენ. ერთიმეორის მიყოლებით განუცხადეს ჰასან-ბეგს, რომ აქარელ ხალხს სულთნის სამხედრო ბეგარა არ მართებს. დასაღვრელი სისხლი არა აქვს და სულთანს, თუ გულა ერჩის, საკუთარი ჯარებით გარეკოს ჩრდილოელი ვიარები. ამ ყელგამოჭრა ხენა-თესვის დროს ხალხი ვერ მოცდებოთ თავის ოჯახებს და სამუშაოს. ხალხი ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა და მეჯლისიდან გასასვლელად გაემზადა.

ჰასან-ბეგი, ციმიბირი, მაგრამ წინდახედულიც იყო. იგი მიხვდა, ძალით ამ ხალხთან ვერას გააწყობდა და, თუმცა გულში ჯოჯოხეთის გენია უტრიალებდა, თავს ძალა დაატანა და მოჩვენებითი გულდამშვიდებით მიმართა იქ მყოფთ:

— მით უარესი თქვენთვის. მე თქვენი სიკეთე და ქვეყანაზე გამოჩენა მინდა, თორემ სულთანს რა ვასჭირე-

ბია თქვენი სამთხოვრო, თქვე ღორის-
შვილებო, თვითონ ყრიხართ მათხოვ-
რები. ინანებთ, ნამეტნავად შენ, ას-
ლან, კარგად დაიხსომე დღევანდელი
დღე.

— იყოს ნება შენი, — მოკლედ მო-
უჭრა ასლან-ეფენდიმ, ამაყად გაი-
რა დარბაზი და პირეულმა დატოვა მე-
ჯლისი. ხალხი აჩქარებით მიჰყვა ასლან-
ეფენდის.

დარბაზიდან გამავალ სანჯაყის გამო-
ჩენილ კაცებს ჰასან-ბეგმა მაინც დაა-
წია: — არა მგონია ყველანი მოგალო-
როთ თავხედმა ასლანმა. კიდევ დაფიქ-
რდით. მე ხვალ დილით კინტრიშს გა-
დაღმა შეეეგებები სელიმ-ფაშას, თურ-
ქთა ძღვევამოსილ სარდალს, და ვისაც
გული გერჩით, იქ გამოცხადდით თქვე-
ნი კაცებით.

აჭარაში თავმოყრილი თურქთა მთე-
ლი ჯარების მეთაურს — სელიმ-ფაშას,
ბანაჟი მდინარე კინტრიშთან, ტრიალ
მინდორზე მოეწყო, აქ უნდა დაეგეგმა
გაზაფხულის შეტევა გურია-იმერეთის
მიმართულებით, რისთვისაც ავერ მთე-
ლი ზამთარი ეშადებოდა თურქთა სარ-
დლობა, აქვე მოეწყო თავიანთი რეზი-
დენციები ინგლისელ და ფრანგ დიპლო-
მატებსა და სამხედრო ატაშეებს, რო-
მელთა ნება-სურვილზე დიდად იყო და-
მოკიდებული სელიმ-ფაშას საომარ მო-
ქმედებათა ხასიათი.

ჰასან-ბეგ თავდგირიძე, მცირერიც-
ხოვანი ამალით, რომელიც მისი საყუ-
თარი, ყურმოქრილი მონებისაგან შედ-
გებოდა, დილით ადრე ეახლა თურქ
სარდალს და თავისი სამსახური მოწი-
წებით შესთავაზა. სელიმ-ფაშას ჯერ
ეამა, რომ ჰასან-ბეგი მის მორჩილებაში
გამოცხადდა, მაგრამ, როცა ჰასანმა და-
უფარავი აღშფოთებით ამცნო სანჯაყის
მოსახლეობის განდგომა, სელიმ-ფაშამ
მეტად მომღურავი გამომეტყველება მი-
იღო და ყოველგვარი ცერემონიების გა-
რეშე მიახალა ჰასან-ბეგს:

— მეტად საეჭვოა თქვენი საქციე-
ლი, ჰასან-ეფენდი. ყოველდღემოწყალე

სულთანს რამდენი იმედი გაუცუდეთ
აქი წერილით პირდებოდით მთელს
სანჯაყს ფეხზე დაჯაყუნებო. იცოდე.
სულთანი მრავალმოწყალეა, მაგრამ მო-
ლაღატეთათვის უღმობელიც. და შენ
ჯერ აღბათ არ გამძიმებს ეს თავი მხრე-
ბზე.

პირმოთნე ჰასან-ბეგი ფეხქვეშ ჩაუ-
ვარდა სელიმ-ფაშას; ნახევრად ტირი-
ლით აუწყა, ხალხი ამიმზობესო, მაგრამ
არ შევარჩენო ამ ღორებს ასეთ ლა-
ლატს, მომეციო ცოტაოდენი ჯარი, რომ
მოვახზრო და ცოლ-დედა ვუტიროო
ორგულ სანჯაყელებს.

სელიმ-ფაშამ ჰასანის ამ წინადადები-
საგან შორს დაიჭირა თავი. მე მაჰმადი-
ანი მოსახლეობის ასაოხრებლად არ მო-
ესულვარო, ამას მერეც მოვესწრები-
თო, ყოველივეს გავარკვევთო, თუ ვი-
ნაა მართალი და ვინ მტყუანი. შენ კი
ამ შენი ამალით გვერდიდან არ მომ-
ცილდეთ, თუ არ ვინდა სულთნის რი-
სხვა დაიმსახურო იმ წყალობის ნაცე-
ლად, რასაც ის გპირდებაო. ამაზე ჰა-
სან-ბეგმა — თქვენი ხმალი და ჩემი კი-
სტროი, მოახსენა.

შემდეგ სამხედრო ბჭობა გამართა
სელიმ-ფაშამ. მაღალი, ტოტებჩამოსხე-
პილი ჰადარივით წერწეტა ტანის ვაჟკა-
ცი იყო, გრძელ სახესა და მაღალ
შუბლს გრუხა შავი ქოჩორი უმშვენებ-
და, ზომიანე ოდნავ მოგრძო, ბოლოებ-
ჩამოშვებული უღვაშები ჰქონდა. სე-
ლიმ-ფაშამ ყველას გულდასმით მოუს-
მინა. ინგლისელი მრჩეველები ურჩევე-
დნენ გემებით გადაესხათ ჯარი და ფო-
თი-ყუღევის მიმართულებით შეეტიათ,
ხოლო ჰასან-ბეგი და სხვა სარდლები
გურიის გზით ამჯობინებდნენ მთავარი
ნალებით წასვლას.

სელიმ-ფაშა ხმელეთზე მეომარი სარ-
დალი იყო. ზღვისა არაფერი სჯეროდა
და, რამდენი არ არწმუნეს ინგლისელე-
ბმა, მათი რჩევისაგან თავი შორს დაი-
ჭირა. მაგრამ მთლად მაინც არ გააწბი-
ლა სელიმ-ფაშამ ინგლისელები: ასკერ-
თა ერთი ბატალიონი მართლა გაგზავნა
ინგლისურ სამხედრო გემებზე და ყუ-

ლევში გადასხმა და იქიდან ძალებს მოსინჯვა უბრძანა. სელიმ-ფაშა იმ ერთ ბატალიონსაც არ გაგზავნიდა ყულევში, მაგრამ ბოლოს კი მიხვდა, რომ თურქთა ჯარის ყულევში გამოჩენა რუსების მნიშვნელოვან ძალებს მიიზიდავდა აქეთ-იქ, რუსებს ეგონებოდათ, თურქები მთავარ შეტევას აქედან აპირებენო, და რიონ-ცხენისწყლის შესართავთან მათი ძალები შესუსტდებოდა. სწორედ მაშინ იმ მთავარი ძალებით, რომელთაც ჩოხბატურის გზით თვით სელიმ-ფაშა წაიყვანდა, თავს დააცხრებოდა შესუსტებულ ძალებს და მუსრს გაავლებდა. შემდეგ ქუთაისამდე ხელს არაფერი შეუშლიდა. მაგრამ ეშმაკმა სელიმ-ფაშამ ინგლისელები არ მიახვედრა, რომ მათ რჩევაში ამგვარ სიკეთეს ხედავდა. უბრალოდ ისეთი სახე მიიღო, აწაო და, ხათრს ვერ გიტეხთო და რა ექნაო, თორემ თქვენი რჩევის უსარგებლობას აქედანვე ვხედავო.

მას შემდეგ, რაც ინგლისელ მრჩეველებთან დავა დასრულდა, მოულოდნელად ფეხზე წამოდგა მანამდე შეშინებული, თხუნელასავით თავდახრილი ჰასან-ბეგი, წელში გაიშარათა, სელიმ ფაშას მდაბლად თავი დაუქრა და მიმართა: „სიამავეთ ლომის სადარო სელიმ, მართალია, ჩემზე გამწყრალი ბრძანდებით, სულთნის მზის ბრწყინვალეობამ, არ ვარ დამნაშავე, და თუ თქვენ დამეხმარებით, ღირსეულად მსურს გაეიშართლო პორტას დიდი მბრძანებლის წინაშე პირადად მაინც თავი. აჰ, ამ თქვენს ბრწყინვალე მეჯლისში, ბევრი განათლებული და ჰკვიანი სარდალი ბრძანდება, თქვენი სიამავეც და მხედრული მოსაზრებულობა ხომ მთელმა სამაჰმადიანომ იცის, მაგრამ ნუ გამიწყურებთ, თუ შემოგბედავთ და ვიტყვი, რომ გურია-იმერეთის ადგილებს და ხალხის თვისებას ჩემსავით აქ არავინ იცნობთ, ამიტომ ვთხოვთ, ერთი რჩევა ჩემიც მოასმინოთ“.

სელიმ-ფაშამ მცირე ყოყმანის შემდეგ მოკლედ უბრძანა, ეთქვა, რაც სურდა.

— ვთხოვთ, მზისსადარო სელიმ, ჯა-

რის ერთი ნაწილი მე გამაყოლოთ, მთელი ჩვენი ჯარი ოზურგეთსაყენ დაბრუნდება, რათა შემდეგ, ოზურგეთ-ჩოხბატურის გზით, ქორივით დავეცეთ რუსებს რიონზე, ჯარის ნაწილს მე სხვა გზით წაიყვან. აქაური გზები მშვენიერად ვიცი. მდინარე ნატანებზე რომ ერთად გადავალთ, იმ ჯარით, რომელსაც თქვენ გამოჰყოფთ, და ჩემი მცირე ამალით წავალ მარცხნივ. ლანჩხუთ-ნიგოითზე ვავლით სრულიად შეუშინებლად მივადგები რიონს. რიონზე უამრავი მეზობრნეა. თითქმის ყველას ვიცნობთ, როგორც მე, ისე ჩემი კაცები. მეზობრნეები ჩემს ბრძანებას ვერ დაარღვევენ. სულ რაღაც ერთ საათში მდინარის გადაღმა მეყოლება ჯარი. რიონისა და ნოლელას შესართავთან გადავიყვან და მცხებით დავეცემა სოფელ შარანთან დაბანაკებულ რუსებს. ამასობაში თქვენც ივლით და საჯავახოსთან გადახვალთ მდინარეზე ისე, რომ შეიძლება წინააღმდეგობა არც შეგხვდეთ, იმიტომ, რომ ჩვენგან დამინებული რუსები სოფელ მარნიდან რომ გაიქცევიან, მათ საჯავახოსა და მთისძირთან მოკალათებული ჯარებიც უკან მიჰყვებიან, და, მგონია, ქუთაისშიც აღარ გაჩერდნენ. თუ კი საღმე დაგვხვდნენ, მაშინვე ვაგემებთ ოტომანთა იმპერიის ხმლის ფხას და თქვენს რისხვას.

ერთი შეხედვით, ჰასან-ბეგის რჩევა იმდენად პრაქტიკული და დამაჯერებელი ჩანდა, სელიმ-ფაშას ძალიან მოეწონა და მაშინვე დათანხმდა თავდგირიძის წინადადებას, და რეშეთ-ბეგს იქვე უბრძანა: შენი ჯარი ვაჰყვებოა ჰასანს.

მეჯლისი ამით დამთავრდა და ჯარების შეუფროსენი თავ-თავის ბანაკებისკენ წავიდ-წამოვიდნენ, ადგილიდან დამდერის ბრძანება სელიმ-ფაშას არ გაუცია, ეტყობოდა, ამის თაობაზე ჭერჯერობით საიდუმლოს მტკიცედ ინახავდა.

სელიმ-ფაშას ბანაკში რომ ასეთი მზადება იყო, არც ანდრონიკაშვილი იჭდა გულხელდაკრეფილი. საერთოდ მთელი გაზაფხული დიდ საომარ მზადე-

ბაში გაატარეს იმერეთში მდგარმა ჯარებმა. განსაკუთრებით კირდა გახაფხულის წვიმებსა და ტალახში საომარი მასალების ადგილზე მიზიდვა. ძალიან დიდი ჯაფა ადგა იმერეთის გლეხობას. თითქმის ყველა, ვინც მებრძოლ რაზმებში არ იქნა ჩარიცხული, საბეგრო სამუშაოზე ჰყავდათ გაყვანილი ხარტრ-მითა თუ ცხენებით.

სოფელ ყულევთან რუსებს ადრიდანვე ჰქონდათ ხის სიმაგრეები გაწყობილი და ერთი ბატალიონი ჯარიც ეყენათ. ანდრონიკაშვილმა კარგად იცოდა, რომ ყულევის მიმართულებით დიდი შემოტევა შეუძლებელი იყო და ამიტომ ჯარი არ მიუმატებია, მხოლოდ ბატალიონის მეთაურს შეუთვალა, ყოველ შემთხვევისათვის ჩვეულებრივზე უფრო ფხიზლად ყოფილიყო. ლანჩხუთ-ნიგოთის გზით რომ ჯარის გამოგზავნა შეეძლო სელიმ-ფაშას, ეს კი დროზე ამოიცნო სარდალმა და ამ გზის ჩაკეტვა დროულად მოახდინა. იქ გაგზავნა საკმაოდ ძლიერი რაზმი, მამაცი პოდპოლკოვნიკის — ნიკო ერისთავის მეთაურობით.

ნიკო ერისთავს, ამ მამაცსა და უშიშარ ოფიცერს, მინდობილი საქმისათვის საოცრად თავდადებულს, ანდრონიკაშვილი თითქმის ყმაწვილობიდან იცნობდა. ჯერ კიდევ 1840 წელს ცხრაშეტი წლის ნიკო ივანე ანდრონიკაშვილს ახლდა ოსეთში გაგზავნილ სამხედრო ექსპედიციაში. ანდრონიკაშვილი მაშინ ყოველნაირად ცდილობდა საქმეები სისხლისდაუღვრელად მოეგვარებინა, მაგრამ აქა-იქ შეტაკებებს მაინც ხომ ვერ აცდებოდა ხოლმე, ასეთ დროს ნიკო ერისთავის თავგანწირულება ყველას ანცვიფრებდა. მაშინ ნიკო ერთ-ერთ შეტაკებაში მიიმედ დაიჭრა და მხოლოდ სამიოდე წლის შემდეგ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს და გენერალ ნეიდგარტის მიერ მოწყობილ დალესტნის ექსპედიციაში მონაწილეობდა. შემდეგ ბრძოლები ვორონცოვის ხელქვეით და აი უკვე ცნობილი პოდპოლკოვნიკი კვლავ თავისი ძველი მეთაურის, ივანე

ანდრონიკაშვილის ხელქვეით უნდა შეხედეს თურქებს შობლიურში შიშაწყლის დასაცავად. ნიკო ერისთავს თავისი რაზმი ლანჩხუთ-ნიგოთის გზების ჩასაქეტად იმ რწმენით მიჰყავდა, რომ პირველი უნდა შეტაკებოდა მტერს და ან უნდა გაემარჯვა, ან თავი დაედო ბრძოლის ველზე.

იმ დღეს დილიდანვე კოკისპირულად წვიმდა ყულევში. ზღვის მზრიდან სქელი ნისლი მოსწოლოდა სანაპიროზე გადაკვიმულ თხმელნარს, ნაშუადღევს წვიმა შეწყდა, ნისლი აიკრიფა, მზემაც გამოაქყიტა და ნელ-ნელა გამოჩნდა ზღვის მღვრიე ზედაპირი.

როგორც კი ზღვის მხარე მოიწმინდა, ყულევის საგუშაგოდან მაშინვე დაინახეს ნაპირთან ახლოს მომდგარი ორი დიდი გემი, რომელთაც კიჩოებიდან წამოშვერილი ზარბაზნების ლულები პირდაპირ რუსთა საგუშაგოსა და სიმაგრისათვის მიეშვირათ. ერთ-ერთი გემიდან ზღვაში პატარა ნაეი ჩაუშვეს, შიგ რამდენიმე კაცი ჩაჭდა და ნაპირისკენ გამოსწიეს. მალე ყულევის საგუშაგოს ბატალიონის მეთაურს კოხტად გამოწყვბილი ინგლისელი მეთაური წარუდგა, და დამტკრეული რუსულით მოლაპარაკება გაუმართა რუს ოფიცერს. ინგლისელი მოითხოვდა, რომ სიმაგრეში. მყოფი ჯარი უბრძოლველად დანებებოდა, იარაღი ჩაეხრებოდა და ხელი არ შეეშალა გემიდან ნაპირზე გადმოსხმული ჯარისათვის, რომელსაც ნაბრძანები აქვსო განავითაროს შეტევითი ფორსირებული მარში ქუთაისისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისელი გემზე მდგარი ზარბაზნების ამოქმედებით იმუქრებოდა, რითაც მისი სიტყვით, შეეძლო, რამდენიმე წუთში ნაყარტულად ექციათ სიმაგრე. ვერ შეთანხმდნენ. განაწყენებული ინგლისელი ბუტბუტით უკან გაბრუნდა, ხოლო ბატალიონის მეთაურმა სასწრაფოდ საბრძოლო განჯაში გამოაცხადა, ყოველგვარი იარაღსაშუაშველი თუ სხვა ქონება ზურგზე აჰკიდა ჯარს და სიმაგრე დაუ-

ყოვნებლივ დატოვა. მაგრამ შორს არ წასულა ბატალიონი. რამდენიმე ვერსზე მოხერხებული ადგილი შეარჩიეს და საბრძოლოდ განლაგდნენ. ბატალიონის მეთაურმა მტკიცე ბრძანება გასცა, კარგად ჩასანგრებელიყვნენ ასეულები და თუ თურქთა ან ინგლისელთა ქვეითი ჯარიც ამ ერთადერთი გზით წამოვიდოდა ქუთაისისკენ, ყველანი აქ დახოცილიყვნენ, მაგრამ მტერი შეეჩერებიათ და ერთი მტკაველითაც უკან არ დაეხიათ.

როგორც კი ინგლისელი პარლამენტის გეზუე დაბრუნდა, ორივე გემის ზარბაზნებმა ცეცხლგამჩენი ყუმბარები დაუშინა ყულევის სიმაგრეს. თხმელის მორებისაგან აშენებულ სიმაგრეს მართლაც მალე გაუჩნდა ხანძარი და რამდენიმე საათში ცეცხლმა ჩანთქა ყველა წაგებოდა. ნაპირზე გადმოსხმული თურქთა ქვეითი ბატალიონის მეთაური მიხვდა, რომ მისი უფრო წინსვლა დალუპავს უღრიდა. მან დროებით ნაცარტუტადქცულ ყულევის სიმაგრის შემოკარნთან გამაგრება გადაწყვიტა და იმის შესახებ, რაც მოხდა, პატაიი აფრინა სელიმ-ფაშასთან.

იმ დროს, როცა ყულევში ეს ამბები ზღებოდა, სულ სხვაგვარი ვითარება იყო ნიგოითთან: ეს დღე 1854 წლის 27 მაისი იყო. ორი დღის წინ სელიმ-ფაშამ მოულოდნელად ბრძანა მთელი ძალებით წინ დაძვრა. სელიმ-ფაშას დიდძალ ჯარს წინ ჰასან-ბეგის ამალა და რეშეთ-ბეგის მოზრდილი რაზმი მიუძღოდა. როდესაც მეწინავენი ოზურგეთს მიუახლოვდნენ, ჰასან-ბეგმა თავისი ამალა და რეშეთ-ბეგის რაზმი სოფელ ბაიალეთისაკენ გაიყვანა, სელიმ-ფაშას კი შეუთვალა: აქ ჩემი ძალებით გშორდები, შენ კი მთავარი ძალები მშვიდად ატარე ოზურგეთ-ჩოხატაურის გზით.

ვალავიდა რა მდინარე სუფსაზე, ჰასან და რეშეთ-ბეგის რაზმმა გეზი ლანჩხუთისაკენ აიღო. რაზმი სწრაფად და, რაც შეიძლება, უხმაუროდ მიიწვედა წინ. ჰასან-ბეგ თავდგირიძემ მართლა

კარგად იცოდა გურიის სოფლების დამაკავშირებელი გზები, რაც შეეხება რეშეთ-ბეგს, რომელსაც სიმამრის სელიმ-ფაშას დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული, ამ ადგილებში ყოფნა პირველად უხდებოდა. რეშეთ-ბეგი წარმოსობით იმერელი აზნაური იყო, მაკვაფარიანთა გვარისა. იგი ბავშვობაში მოუტაცნიათ და ოსმალეთში გაუყიდიათ. ახლა წარმოსადგევი გარეგნობის გულად ვაჟაკს ქართული მარტო შესახებდალა ჰქონდა. სხვაფრივ ის ფაშობის მძიებელი და ამაზე გადამყვდარი თურქი მეომარი იყო, რომელიც დიდ სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა და ეს ლაშქრობა თავისი მიზნების შესასრულებლად საუკეთესო შემთხვევად მიიჩნდა. მართალია, მას შემდეგ, რაც მტერთან შეტაკება მოხდებოდა, ბრძოლისათვის უშუალოდ მას, როგორც რაზმის მეთაურს, უნდა ეხელმძღვანელა და ამაში მოთავეობას რეშეთ-ბეგი ცოცხალი თავით არ დაუთმობდა ჰასან-ბეგს. მაგრამ ახლა, სანამ ამ მისთვის სრულიად უცნობ ადგილას იმყოფებოდა, გზის შერჩევასა და ჯარის წაყვანის საქმეში იგი ბრმად უნდა დამორჩილებოდა ჰასანს.

რაზმმა უვნებლად გაიარა ბაილეთი, ჭუმათი, აცანა, ზემოაკეთი და 27 მაისს დილით ლაშისღელეს მიადგა. მაგრამ შორს წასვლა არ ეწერა ჰასანისა და რეშეთის რაზმს. ნიკო ერისთავმა, რომელმაც თავისი ძალები ლანჩხუთ-ნიგოითის გზის გასწვრივ განალაგა აგერ რამდენიმე დღის წინ, სათანადო თადარიგიც დაიკირა. მან მხვერავეები გაგზავნა, როგორც ნიგვზიანის მხარეს, ისე ზემოაკეთისაკენ და, აი, ჯერ კიდევ 26 მაისს, საღამოთი, აკეთისაკენ გაგზავნილმა მხვერავეებმა ამბავი მოუტანეს ერისთავს, რომ თურქების დიდძალი ჯარი სწორედ აცანა-აკეთის გზით გვიახლოვდება. ნიკო ერისთავისათვის უკვე ცხადი იყო სამოქმედო გეგმა და ადგილიც. მან გრენადერთა და ეგერთა ორი ბატალიონი გზის გასწვრივ ისე განალაგა, რომ თვითუღლ მეომარს თითო გასროლით

თითო თურქი მოკლა, შემდეგ კი სიტყვას ხიშტი იტყოდა.

როგორც კი 27 მაისს, მზის ამოსვლისას, თურქთა ჯარი ლაშისღელიდან მომავალ გზაზე გამოჩნდა, ნიკო ერისთავმა შიკრიკების მეშვეობით უკანასკნელი განკარგულების გაცემაც დაამთავრა. კოლონა რომ დანიშნულ ადგილზე მივიდა, ერთბაშად გავარდა ორიათასამდე თოფი და ასკერთა არხეინად მომავალი შიკრიკი თითქმის ნახევრად ადგილზე მოიცილა. აუწერელი არეუ-ღარევა გამოიწვია ამ მოულოდნელობამ თურქთა ჯარში. წინა რიგები ჯერ უკან მიიწყდნენ, შემდეგ კი სცადეს გზის გაყოლებასზე მდებარე მინდორში მიმოფანტულიყვნენ, მაგრამ სროლა გრძელდებოდა და გრძელდებოდა თურქთა ულმობელი ხოცვაც. მინდორში გაფანტულ ასკერებს შრაპნელიანი ყუმბარები დააყარა ნიკო ერისთავის მიერ მარჯვე ადგილას წინასწარ დაყენებულმა ქვემეხებმა.

ცოფმორეული ჰასან-ბეგი ცდილობდა წესრიგის დაწყარებას; რაც ძალა შესწევდა, ყვიროდა, იმუქრებოდა: ვინც უკან გაიქცევა, ყველას ჩემი ხელით დაეაყრევიანებ თავებსო; აიშედებდა ჯარს: ნუ გეშინიათ, რალაც პატარა რაზმი და ახლავე გავაქცევთო, და სწორედ მაშინ, როცა ყველაზე თავგამოდებით ირჯებოდა ჯარის წესრიგში მოსაყვანად, პირდაპირ ყანყარატოში მოხვდა ბერდანის ტყვია და მუხლმოკვეთილი იქვე, კატაბარდებში, ჩაიჩხა.

ჰასან-ბეგი მოკლესო! ელვასავით მოედო მთელ ჯარს. პირველმა თვით ჰასანის ამაღის მეომრებმა მოკურცხლეს, უკან ერთმანეთში არეული თურქთა რეგულარული ჯარის ქვეგანაყოფები მიჰყვნენ. რეშეთ-ბეგმა, რომელმაც იგრძნო, რომ ერთადერთი ხსნა გაქცევაში იყო, ბრძანება გასცა: ვინც როგორ შესძლოთ, ისე უშველეთო თავს და პირველმა მიატოვა ნიგოითის მისადგომები, სადაც მას ბრძოლის დაწყებამ მოუხსრო. აყეთს რომ გასცდა, რეშეთ-ბეგმა შიკრიკი აფრინა სელიმ-ფაშასთან,

რათა დაუყოვნებლივ მოეხსენებინათ მომხდარი ამბები.

ჰასან-ბეგის რჩევა, მართალია, შეუძლია დაუჭდა სელიმ-ფაშას, მაგრამ ზუსტად არ შეასრულა იგი. მივიდა რა ოზურგეთს, მან გადაწყვიტა დალოდებოდა, თუ რა ამბები მოვიდოდა ყულევიდან და ჰასან-ბეგისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ განეგრძო გზა საჯავახოსაკენ. ამიტომ სელიმ-ფაშამ ოზურგეთში ჯარს კარვების გაშლა უბრძანა და თვითონაც ქალაქის განაპირას გააშლევინა თავისი მდიდრულად მორთული, აქლუბის ბეწვისაგან ნაქსოვი კარავი. სწორედ ამ კარავში ეძინა ტყბილად სელიმ-ფაშას, როცა ნაშუალამევს, 28 მაისს, რეშეთ-ბეგის შიკრიკმა საზარელი ამბავი ამცნო.

სელიმ-ფაშას სიბრაზით ქვედა ყბა აუკანკალდა, მომლორარო ძაღლის გაგდებულმა, დაიყვირა და მთელი რისხვა ჰასან-ბეგის მისამართით უნდა გადმოენთხია, მაგრამ, როცა შიკრიკმა ჰასან თავდგირიძის ბრძოლის ველზე გმირულად სიკვდილი ამცნო, იმ წუთსვე შეწყვიტა მისი გინება. სელიმ-ფაშამ მაშინვე დაიბარა ათასისთავები და უბრძანა დაუყოვნებლივ აეყარათ ჯარი და გაბრუნებულყვნენ უკან იმავე გზით, რა გზითაც აქეთ წამოვიდნენ: თანაც გააფრთხილა: რუსებმა შეიძლება ნიგეზიანის გზით ნატანებში გაგვასწრონ და გზა მოგვიქრანო, ამიტომ, რაც შეგეძლოთ, ჩქარაო, დაატანა ზედ. ჯარის გასამაგრებელ ზღუდედ სელიმ-ფაშამ მდინარე ჩოლოქს გაღმა ტყიანი ბეჭობები უჩვენა რუკაზე ათასისთავებს, თვითონ კი სასწრაფოდ შეჭდა ცხენზე და, თავისი ამაღით, ოზურგეთიდან ისე სასწრაფოდ მოკურცხლა, მდიდრული კარვის მოხსნაც კი არ უბრძანებია. იმ ღამით თურქებმა ოზურგეთი დატოვეს.

როგორც კი ნიგოითთან მომხდარი ბრძოლის შედეგი მოახსენეს, ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა, რაღა რიონზე გადმოეშვაო მტერი, უმჯობესია, სად-

მე გურიაშივე შევეტაკებო სელიმ-ფაშას. ამ აზრს ისიც განუმტკიცებდა, რომ სწრაფმავალმა მზევრავებმა ცნობა მოუტანეს, არც ნოლას ხეობაში, არც ჩოხატაურში თურქები არსად ქაქანებენო. სარდალმა ბრძანება გასცა, მთელი ჯარი ოზურგეთისაკენ დაძრულიყო. ნიკო ერისთავის რაზმს შევსებდად გიორგი ჭანდიერის ცხენოსანი რაზმეული გაუგზავნა და უბძანა, ნიგეზიან ჭუმათის გზით, ჩრდილოეთიდან მოსდგომოდნენ ოზურგეთს, თვითონ კი ჩოხატაურის გზით გაუძღვა მთავარ ძალებს.

მთავარი ძალები ორ კოლონად დაჰყვეს: ერთს გენერალი მაიდელი მეთაურობდა, მეორეს კი — ახალციხის გმირი — გენერალი ბრუნერი. მთავარ ძალებს თავის მხრივ საერთო უფროსიც დაენიშნათ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი იყო მათი საერთო მეთაური. რუსეთის იმპერიის რეგულარული ჯარების ნარჩევ ლეგიონებს ანდრონიკაშვილმა შიგადაშიგ მოხერხებულად ჩაურთო მეგრელთა მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელიც გრიგოლ დადიანს გამოაყრლა დედოფალმა ეკატერინემ, გურიის რაზმი — დათა და შალაქია გურიელების მეთაურობით, და იმერეთში შეკრებილი რაზმები, რომელთაც წინ მოუძღოდნენ მსკოვანი მამულიშვილები: ქაიხოსრო მიქელაძე, სიმონ წერეთელი და სიმონ წულუკიძე. ქვეითთა და ცხენოსანთა შეტად გრძელ კოლონებს სულ ბოლოს მოჰყვებოდა არტილერია, მამაცი და ჭკვიანი პოლკოვნიკის კონსტანტინე მამაცაშვილის მეთაურობით.

არც მთავარ ძალებს, არც ერისთავ-ჭანდიერის რაზმებს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, ისე მიადწიეს ოზურგეთს, რომელიც, დასახული გევმის მიხედვით, ანდრონიკაშვილის ხელთ მყოფი ძალების თავშესაყარად იყო დადგენილი.

ოზურგეთში რომ თურქები ვერ ნახა, ანდრონიკაშვილი დარწმუნდა, რომ ახლა სელიმ-ფაშას დევნა თვით

ბათუმამდე შეიძლებოდა. მან საჩქაროდ მოაწყო დაზვერვა და საუბრით შეზუსტად იცოდა თურქების განლაგების მთელი სქემა. ახლა საჭირო იყო ჯარების ადგილზე მიყვანა და გადამწყვეტი იერიშის მოწყობა. მართალია, თურქები ჩოლოქს გაღმა ტყიანი ბეჭობების სიღრმეში საიმედოდ იყვნენ ჩასანგრებულნი, მაგრამ მის ხელჭველთა მყოფი ძალების კარგად მოწყობილ იერიშს რომ ვერ გაუძლებდნენ, ამაში თითქმის სრულიად დარწმუნდა ანდრონიკაშვილი და ახლა განზრახულის აღსრულებას მხოლოდ კოკისპირული წვიმაღა აფერხებდა. სამი დღე გადაუღებლად წვიმდა. მდინარეები არაჩვეულებრივად ადიდდა და, სანამ მთებიდან მომსკდარი წყალი არ ჩაცხრებოდა, ჯარის წინსვლა შეუძლებელი იყო.

როგორც იყო, ეშველათ — მეოთხე დღეს დილიდანვე მოწმენდილ ცაზე ისეთი სიხალისითა და სიძლიერით აღმობრწყინდა მზე, რომ ნამდვილი ზაფხულის დადგომა მოულოცა ქვეყნიერებას. ამით გამხნეებულმა ანდრონიკაშვილმა ნაშუადღევს მთელი ძალები ჩოლოქისაკენ დაძრა. 3 ივნისს ღამით მიადწიეს ჩოლოქის მარჯვენა ნაპირებთან ანდრონიკაშვილის ჯარებმა. სარდალმა ბრძანა: ჯარები დაასვენეთო, მეთაურები კი სამხედრო საბჭოზე მოიხმო.

სამხედრო საბჭოზე გადაწყდა: გამთენიისას მთელმა ძალებმა ერთდროულად უნდა გადალახონ მდინარე ჩოლოქი და ჯიქურ შეუტეონ თურქთა სიმაგრეებს. ყველა ქვეგანაყოფს, თუ რაზმს თავისი ამოცანა მიეთითა. არტილერიის მეთაურს კი, პოლკოვნიკ მამაცაშვილს, ცალკე მოეთათბირა ანდრონიკაშვილი.

კონსტანტინე მამაცაშვილი ამ დროისათვის ბრძოლებში კარგად გამოიმძიმედილი მეთაური იყო. შამილის წინააღმდეგ არაერთ სასტიკ ბრძოლებში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ბევრ ნიჭიერ თუ უნიჭო სარდალთან ჰქო-

ნია საქმე მამაცაშვილს; ივანე ანდრონიკაშვილს ძალიან კარგად იცნობდა: მის მხედრულ ნიქსა და დიდ მამულიშვილობას თაყვანს სცემდა. ახლაც დონჯად მოუსმინა სარდალს: ზოგი რამ თავისიც თქვა. თითქმის ყველა მისი რჩევა უცვლელად მიიღო სარდალმა. საბოლოოდ დათქვეს, რომ მთელი არტილერია ღამით ისე მოეწყობოდა საცეცხლე პოზიციებზე, რომ დღით, სინათლის შემოსვლის ეამს, როგორც კი ქვეითთა და ცხენოსანთა კოლონები ჩოლოქზე გადავიდოდნენ, მთელი ძალით დაერტყა თურქთა სიმაგრეებისათვის, ყველა წინასწარ დანიშნულ წერტილში.

4 ივნისს, დილის ოთხ საათზე, ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, მათთვის წინასწარ დადგენილი მიმართულებით, მიადგნენ მდინარე ჩოლოქს და სწრაფად გადავიდნენ მასზე. ამავე დროს, ღამით წინასწარ დანიშნებულმა ყველა ქვემეხმა ცეცხლი გაუხსნა თურქთა სიმაგრეებს. დაიწყო დიდი ბრძოლა ჩოლოქზე. ბრძოლა შეადგმდე გაგრძელდა. სელიმ-ფაშამ თავანწირულად აბრძოლა თავისი ჯარი, მაგრამ ბოლოს, როცა სრულიად ცხადი გახდა, რომ საქმე წაგებული ჰქონდა და ბრძოლის გაგრძელება მარტო ზიანს მოუტანდა ოტომანთა იმპერიის შეიარაღებულ ძალებს, მან ათასისათვათა მეშვეობით ჯარს უბრძანა: თავისთავისათვის ეშველა, ვინც როგორ შესძლებდა, თვითონ კი, მცირე ამალით, ბათუმისაკენ გააჩქარა არაქათგამოლეული ცხენი.

გაქცეული თურქები ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ ბათუმისაკენ; უმეტესობამ კი ტყვეს მიაშურა და იქ შეაფარა თავი, მაგრამ რაზმელები ტყვეშიც შეჭყვენენ მათ. გაჩაღდა ცალკეული პატარ-პატარა რაზმების შეტაკებები ტყის სიღრმეში. აი, მამაცი მეომარი გიორგი ბექაური თავისი ათეულით მისდევს თურქთა მოზრდილ რაზმს. თურქები ტყვეში დაიფანტნენ. ერთმანეთს დამორდნენ ბექაურის მებრძო-

ლებიც და უცებ მარტოდ დარჩენილი გიორგი ბექაური პირესპირე წმინდანა ხეების კუნძებს ამოფანტულს მარტო თურქ ასკერთან.

ერთ-ერთი თურქის ნასროლმა ტყვიამ ყურთან გაუარა და თმა შეუტრუსა ბექაურს. სანამ მეორე ვაისროდა, ბექაურმა მოასწრო მიწაზე გაწოლა და ქვას ამოფარა. დაიწყო დუელი, მაგრამ საფარებს საიმედოდ ამოფარებულნი, ჯერჯერობით ორივე მხარე უცნებელი რჩებოდა. ბოლოს, როცა ბექაურს თოფში ორი ვაზნა-ლა დარჩა, გადაწყვიტა ეშმაკობით ეჯობნა მტრისათვის. მან სროლა შეწყვიტა და დაუწყო ლოდინი. დიდხანს ელოდნენ თურქები; ბოლოს დაასვენეს, გენებდებოთ მოწინააღმდეგე, და ერთი მათგანი საფარადან გამოვიდა. ის სირბილით გაეშურა ბექაურის საფარისაკენ. ბექაურის მარჯვე ნასროლმა შუა გზაზე მიაწვინა მომხდური. ახლა ბექაურს ერთადერთი ვაზნა-ლა დარჩა, მაგრამ უკვე საქმე მხოლოდ ერთ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა. ამჯერად სხვა ოინი იხმარა ბექაურმა: მოიხადა ქუდი და საფარიდან ნელ-ნელა ამოაჩინა. იმავე წამში თურქი ასკერის ტყვია მოხვდა ქუდს და ბექაური თავდაყირა გადატრიალდა. გახარებული თურქი, რომელსაც ეგონა მტერი მოკალიო, მის გასაძარცვავად გამოეშურა. იგი თამამად მორბოდა და სწორედ მაშინ, როცა ხუთიოდე ნაბიჯი უკლდა ბექაურამდე, ბექაური უცებ წამოხტა და ელდადაცემულ თურქს ერთადერთი ტყვია გულში დაახალა.

აი, ჩოლოქს გადაღმა, ერთ დაცემულ მინდორზე ქართველ მოხალისეთა ცხენოსანი რაზმი თურქთა მრავალრიცხოვან ქვეით ჯარში გარეულა და ხმლებით ჩხავს ასკერთა მწყრივებს. რაზმეულან მამაცი მეთაურის, გიორგი ჯანდიერის ახლოს ოქროსფერ ცხენზე მჭდომი მხედრის ხელში რაზმეულის დროშა ფრიალებს. დროშა რაზმეულის საკუთრებაა, გიორგი ჯანდიერისა და ივანე ამილახვრის მიერ საგანგებოდ შეკვეთილი და შეკერილი. გიორგი ჯანდიერა

სულ უფრო ღრმად და ღრმად იჭრება მტრის ქარში; დაუღალავია მისი მარჯვენა და არც ხმალი დალატობს. ერთ თურქს რომ მხარბილივ გადაჰკრა ხმალი, იქვე ჩააშხო, მაგრამ სანამ მეორედ მოიქნევდა, ქვეითმა თურქმა გრძელ მტუცერზე წამოგებულნი ხიშტი გაურჯო ბარძაყში. ტკივილისაგან ანთებულმა ჯანდიერმა ხმალი მოუქნია თურქს, მაგრამ ვერ მიაწვდინა, გაბრაზებულმა ხმალი სახეში ესროლა მოწინააღმდეგეს. თურქს ხმალი ასცადა და ღონივრად ნასროლი იქვე ჩაესო აყალოში. იმავე წამში ჯანდიერმა თვალი შეასწრო, რომ მეორე ხიშტიანი თურქი მარცხნიდან უახლოვდებოდა, რომ წელში გაეყარა ხიშტი. ჯანდიერმა მარცხენა ხელი უტაცა ხიშტზე და ღონიერი მკლავით გააკავა მტერი; მარჯვენათი კი ბარძაყში გარკობილი ხიშტის ბოლო ეჭირა, რათა თურქს ხელმეორედ არ ჩაეცა მისთვის ეს მომაკვდინებელი იარაღი. ასე კარგა ხანს აკავებდა ჯანდიერი ორ თურქს, რომლებიც აქეთ-იქეთ ეწეოდნენ და მის ცხენიდან გადმოგდებას ლამობდნენ. ბედად, ღროზე მოუსწრეს რაზმელებმა, ხმლებით აკუწეს ხიშტიანი თურქები და თავისი საყვარელი მეთაური იხსნეს აშკარა დალუპვისაგან.

ასეთი შეტაკებები საღამომდე გაგრძელდა. ანდრონიკაშვილმა მდინარე კინტრიშამდე სდია მტერს და იქ ზღუდეები გაამაგრა.

მზე უკვე სადღაც, შავი ზღვის სიღრმეში ჩასაყვინთავად ემზადებოდა, როცა ანდრონიკაშვილმა საბრძოლო განკარგულებათა გაცემა დაამთავრა და დაქრილთა შემოვლა დაიწყო. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე გაგარინი მძიმედ იყო დაქრილა მკლავში, მაგრამ ლაზარეთში წასვლა არ ისურვა; მკლავი საგულდაგულოდ შეახვევინა და ახლა ანდრონიკაშვილს დაჰყვებოდა დაქრილთა შემოვლანზე.

დაქრილებს საგანგებოდ უვლიდნენ; ისინი სახელდახელოდ გამართულ კარეებში მოეთავსებინათ და თავს სავე-

ლე ფერშლები დაჰფესფესებდნენ. ტყისპირა მდელიოზე დაქრეფდნენ ჯგუფს განსაკუთრებით ბევრნი იხსნებოდნენ ირგვლივ. ანდრონიკაშვილი და გაგარინი პირველად სწორედ ამ ჯგუფთან მივიდნენ. როცა გარს შემოხვეულნი მიმოდგნენ, მათ იცნეს ფერმიხდილი, ტკივილებისაგან გატანჯული, მაგრამ მაინც მხნე თავადი ქაიხოსრო მიქელაძე, მოხუცმა ანდრონიკაშვილისა და გაგარინის დანახვაზე წამოწევა სცადა, მაგრამ ვეღარ შესძლო და რაღაც სათქმელი რომ ჰქონდა, კვნესად გადაექცა. ანდრონიკაშვილმა გამხნევება დაუწყა:

— ნუ გეშინია; ჩემო ქაიხოსრო, შენი კრილობები არც თუ ისე საშიშია!

— ისე მტერი მოგიკვდეს, როგორც ჩემი სიკვდილი მოახლოვებულა, ჩემო ბატონო, — წაილულულა მოხუცმა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ვანაგრძო: — მაგრამ შიშით აბა რისი უნდა მეშინოდეს. მე ჩემი წილი უკვე ვიცხოვრე. მხოლოდ ერთისა მეშინოდა, რომ ჩემი სხეული მტერს არ წაებოლწა; ახლა კი, როცა მტერი გავაქციეთ, გავიმარჯვეთ და ვკვდები ჩემი მიწა-წყლისათვის ბრძოლაში, თავისიანების ხელზე ჩემთვის სიკვდილი საშიში არ არის.

ქაიხოსროს მეტი მართლა არაფერი წამოსცდენია, ისე დალია სული.

იქვე, ახლოს, ესვენა კაზაკთა ასეულების მეთაურის მამაცი პოლკოვნიკის ხარიტონოვის ცხედარი. ხარიტონოვი და მიქელაძე ერთ საზიდარზე მოათავსეს და ქუთაისისაკენ გაისტუმრეს.

ანდრონიკაშვილი სხვა დაქრილებს ამხნევებდა, რომ ერთ ნაბადში გახვეული ახალგაზრდა ოფიცერი მოიყვანეს საკაცით. როცა საკაცე ძირს დადგეს და დაქრილს შუბლიდან დოლბანდი გადახადეს, სარდალმა თავისი ბიძაშვილისშვილი — ზაქარია ანდრონიკაშვილი იცნო. სახე მოედრებოდა ივანეს. მან არაფერი იცოდა ზაქარიას დაქრის შესახებ. ზაქარიას ტკივილებისაგან სახე ემანჭებოდა, ხორბლისფერი ქოჩორი დაწვებზე ჩამოშლოდა და შუბლზე

ოფლის წვეთები ეკურა. ანდრონიკა-
შვილი ახლოს მიუჯდა და მიუალერსა
შვილის ტოლს: — აი, როგორ გულით
გინდოდა, ზაქრო, გიორგის ჯვარი და კი-
დევაც მიიღებ, ოღონდ ცოტა გაუძელი,
გეთაყვა — მამაშვილურად დაუყვავა;
მაგრამ ზაქარიას სასიკოცხლო იერი
ადარ ჰქონდა; ერთადერთი, რაც მან ან-
დრონიკაშვილს სთხოვა, ის იყო, მე-
უღლესა და ჩვილ ბავშვს მიმიხედეთო.

იმერეთის თავად-აზნაურთა წინამ-
ძღოლისა და ქუთაისის ქალაქისთავის
თაოსნობით დიდი შეხვედრა მოუწყვეს
ქუთაისში ჩოლოქის ბრძოლის გმირებს.
ამინდი კარგი იდგა და უამრავმა ხალ-
ხმა მოიყარა თავი ქალაქის პარკთან, სა-
დაც შეხვედრის ადგილი იყო დანიშნუ-
ლი. როცა საქმე სიტყვიერ მისალმება-
ზე მიდგა, თავად-აზნაურთა წინამძღო-
ლმა მისალმებისათვის სიტყვა ქუთაისის
საპატიო მოქალაქეს სტეფანე აყოფაშ-
ვილს მისცა. აყოფაშვილმა სანაქებო
მკვერმეტყველებით ქება-დიდება შეას-
ხა ომგადახდილთ, განსაკუთრებით კი
ბრძოლის საერთო მეთაურს ივანე ანდ-
რონიკაშვილს. ანდრონიკაშვილის ხოტ-
ბას აყოფაშვილმა ოსტატურად შეურ-
წყო ალექსანდრე გაგარინის ქებაც. მე-
ტად ენაწყლიანი იყო ორატორი და გა-
გარინის მისამართით საქებარი სიტყვე-
ბის თქმის უფლებაც ჰქონდა, მითუმე-
ტეს, გაგარინი მძიმედ იყო დაქრილი
და შეხვეული მკლავიც ამას ნათლად
ამტკიცებდა. შემდეგ რამდენიმე თავა-
დმა ილაპარაკა. ყველამ თავისებურად
შეაფასა ეს ბრწყინვალე გამარჯვება.
ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველას
სწამდა, რომ საშინელი განსაცდელი
ასცდათ.

მისალმებები დასრულებული ეგონა
ყველას, როცა ხალხის შუაგულში ვი-
ლაც მხედრულად ჩაცმული სამედიცინო
სამსახურის ოფიცრის-სამხრეებიანი, მა-
ლალი კაცი შემოიჭრა და ითხოვა, მის-
თვისაც მოესმინათ. ყველა გაჩუმდა.
ორატორმა უბიდან ქალაქის ფურ-

ცელი ამოიღო და ლექსად დაიწყო
მისალმება. ლექსი საკმაოდ გრძელი და
მონდომებით შეთხუთხული აღმოჩნდა.
როცა ივანე ანდრონიკაშვილის ქებამდე
მივიდა, ორატორმა განსაკუთრებულ
რიხით ჩაიკითხა:

„ძალით მოსილი მობრძანდა
სპასპეტი სახელოვანი,
ქიზიყის დიდი თავადი, მხნე,
მძლე და ძალგულოვანი,
მალხაზის ძეი, ივანე, გვარად
ანდრონიკოვანი.
ცეცხლი აწვიმა ოსმალზედ, მით
მისცა დიდი გლოვანი.
განგებ სამძღვარი დასტოვა,
აჰყარა თვისი ჯარია.
უკუაქცია მხედრობა, მტერთა
განუღო კარია,
ოსმალთ ეგონათ რუსები
იმერეთ განაპარია,
ოზურგეთ მათი მოწევნა
შეექმნათ გასახარია.
შავი ზღვა, ანუ ნაპირი რა
ნახეს დატოვებული,
ეს ჩვენი სრული ივერი
იგულვეს შეწირებული.
გურია გასცეს წყალობად
ღრამატით დამტკიცებული,
მადლი შესწირეს მაჰმადსა, აწ
ვართო გამარჯვებული.
სიბრძნე მოკლებულთ ვერა სცნეს,
მათთვის მახედა გებული,
წინ მიტყუება უნდოდათ მისთვის
ჰყვეს მიტოვებული.
სოფელს ნიგოთის მოვიდნენ, მუნ
იქმნენ ბანაკებულნი,
ფაშათ აცნობეს სულთანსა,
მრავალ გვაქეს დავაებული.
რიცხვით თორმეტი ათასი
რეგულის კაცი ქებული,
მმართველი მათი ფაშაი
შორით სხვათ პატივდებული,
მექონე წმინდა სჯულისა აწ
არის გათათრებული,
ტომობით მაჭავარიან,
რეშეთად სახელდებული.

მეორე ფაშა სხვა იყო
 გურიის თავად ძენია,
 თავდგირიძეთა წოდებულ
 ხასანი კაცი ბრძენია,
 სარწმუნოება მანცა ჰგმო,
 ტაძარს უფინა ბჭენია,
 სჯულის მგომბელმან ჯილდოთა
 ჰპოვა მუნ შენაძენია.
 ჩვენთ მილიციათ უფალი ეს
 არის უდიდესია,
 მენგრელთ მთავრის ძე გრიგოლი,
 ბრძანდება ჩვენი მწყემსია,
 არ ვაქებ ლენერლობითა,
 ჰკვათ ბევრზედ უკეთესია,
 უბრძანებს: „მხნენო ივერონო,
 სისხლთ ჰკვევა ძველი წესია;
 ძმანო და შეილნო გიბრძანებთ,
 ნუ გაქვთ სიკვდილის რიდია,
 დღეს არა ხვალე მიწა ვართ
 სოფელი ესე ბინდია,
 არა ერთგული ცხებულის
 ღვთისაგან განაკიდია,
 მამულისათვის ვიღვარეთ
 ყველამ სახელი დიდია“.
 ის ფაშა ნიგოთითთა
 განდევნეს მრავალყმიანი,
 ხასან ფაშაცა მუნ მოკვდა
 მოჰკვეთეს თავი თმიანი,
 წარვულეთ ზარბაზანები
 დააჩნდათ დიდი ზიანი,
 ვაქებდეთ ნიკო ერისთავს,
 ომი არ იცის გვიანი.
 ოცდაშვიდ იყო მაისის ოსმალთ
 დაეცათ ზარია,
 ოთხის საათის შტურმითა
 ორი ათასი მკვდარია,
 იარაღი და ცხენები
 ურიცხვი ნაშოვარია,
 გურულთა მათი მიზანი
 მოჰყვანდათ ვითა ხარია.
 კვალად ივნისის თვეშია
 რაბამი სისხლი დაიქცა,
 ოთხი ათასი ოსმალთ
 ჩვენის მახვილით წაიქცა,
 მტერთა ერევნა იმ დღესა
 მათ ზედან ცაი დაიქცა,
 ოცდათორმეტი ათასი
 ჩოლოყის გაღმა გაიქცა.

ლომნი, რუსეთის მხედრობა
 თავგანწირულად ომობდნენ,
 იმერთან ჩვენი თუშებიც
 თამამად ხმალდახმალობდნენ,
 მათ შორის კახთა თავადნიც
 ჩვეულებრივად ძალობდნენ,
 გარწმუნებთ ამის დამწერი იმ
 დღეს ოსმალნი ნანობდნენ“.¹

ლექსით მისალმებამ უჩვეულო მო-
 წონება დაიმსახურა ხალხში. ატყდა
 ტაში; წამდაუწყუმ გაისმოდა აღტა-
 ცების შეძახილები. როცა ყოველივე ეს
 ნელ-ნელა მიწყნარდა, ანდრონიკაშვილ-
 მა თავისთან მოახმო უცნობი პოეტი—
 ორატორი და ვინაობა ჰკითხა.

— ჭიზიყელი კაცი ვარ, შენი ჭირიმი,
 სიღნაღიდან; გვარად შაბურიშვილი, სა-
 ხელად კი გრიგოლი მქვია. დადიანთან
 ემსახურობ დოსტაქარად, ახლა მეგ-
 რულთა რაზმის ექიმი ვარ. ამ ჩვენს
 ბრძოლებზედა ლექსები შევთხზე და
 თუ ინებებთ, მოგართმევთ, კიდევ
 მაქვს; იქნებ დააბეჭდვინოთ კიდევაცა.

— ყოჩაღ შაბურიშვილო! კარგი მე-
 ლექსე ყოფალხარ, კაცო; ღმერთმა გი-
 ჟურთხოს კალამი. აბა მომეცი ეგ შენი
 ლექსები, ვნახოთ რა გამოვა. იმედია და-
 გიბეჭდავენ „კავკაზში“ — სიყვარუ-
 ლით მიმართა შაბურიშვილს სარდალმა
 და მოწოდებული ფურცლების დასტა
 გამოართვა. ხალხმა დაშლა დაიწყო. ან-
 დრონიკაშვილი, გაგარინი და სხვა წარ-
 ჩინებულნი ეტლებში ჩასხდნენ და მათს
 საპატივემულოდ გამართული ლხინის
 ადგილისაკენ გასწიეს.

ივნისის ერთი ცხელი დღის ნაშუად-
 ლევი იყო, თბილისში, ჟუკიის მინდორ-
 ზე, დიდძალი ხალხი შეყრილიყო. აქ,
 თბილისის მოქალაქეთა თაოსნობით,
 ათასი კაცის სუფრა გაეშალათ. თბილი-
 სის ვაჭრებსა და ხელოსნებს თავი გამო-
 ეჩინათ, რომ საპატიო სტუმრებს გუ-
 ლუხვად დახვედროდნენ. აქ უნდა მო-

ლექსი დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზში“,
 1854 წ.

ელხინათ ჩოქოლის ბრძოლიდან დაბრუნებულ ქართველ მოხალისეთა ცხენოსანი რაზმეულის მეომრებს.

რაზმეულის ექვსივე ესკადრონი ადგილზე იყო. ესკადრონებს, რასაკვირველია, ბევრი აკლდა, მათი უმრავლესობა გურიის მიწაში ესვენა, ხოლო ნაწილა ოზურგეთისა და ქუთაისის ლაზარეთებში იშუშებდა მძიმე კრილობას. რაზმეულის მეთაური, მამაცი პოდპოლკოვნიკი გიორგი ჯანდიერი საგანგებო ეტლით მოიყვანეს, წყალულები ჯერაც მთლიანად არ შეხორცებოდა და სიარული უჭირდა. ჯერ კიდევ საგრძნობლად სუსტად გრძნობდა თავს ჯანდიერი; ის ჩრდილში იჯდა, ფერმიხდილ სახეზე აშკარად აჩნდა მძაფრი ფიზიკური ტვირთების დაღი. ჯანდიერს ირგვლივ რაზმეულები და თბილისის სამოქალაქო წოდების წარჩინებულნი ეხვივნენ და შეუწყვეტლივ აყრიდნენ კითხვებს ჩოლოქის ბრძოლისა და რაზმეულის თავგამოდებულ მებრძოლთა გამირობაზე. შეკრებილნი ელოდნენ გენერლებს — რეადს და ანდრონიკაშვილს. მალე იმათი ეტლიც მოადგა გაშლილი სუფრების მწყრივებს.

ლხინის მოთადარიგენი მაშინვე შეუდგნენ საქმეს. ყველამ დაიკავა ადგილი. რაზმეულის მეომართა შორის ალაგ-ალაგ ქალაქის წარჩინებული პირები, ამქრებისა და გილდიების მეთაურნიც მოთავსდნენ. როცა ყველამ მონახა ადგილი და ლხინის დაწყებას არაფერი აფერხებდა, თაოსანთა მიერ წინასწარ ამორჩეულმა მოქალაქემ საკმაოდ დიდი ზომის მთლად ოქროთი დაფერილი აზარფეშა ღვინით გაავსო და მორიდებით მიუტანა გენერალ-ლეიტენანტ რეადს, თანაც მოწიწებით სთხოვა სუფრის საერთო ტოლუმბაშობა ეკისრა.

როგორც კი შენიშნა, რომ თასი მასთან მოჰქონდათ, ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადი ფეხზე წამოდგა და კმაყოფილი სახით გამოართვა სასმისი მასპინძელს. ერთ ხანს მღუმარედ ეჭირა გენერალაზნელში თასი, თითქოს ფიქრობდა

რითი ჯიბსო საუბრის დაწყება შემდეგ მისთვის ჩვეული დინჯე-ქაჯე-ქაჯიო სიტყვით მიმართა იქ შემოდილსაგადობებს: — ბატონებო! დღევანდელი ლხინი, რაც თქვენ ჩოლოქის გამირებს უძღვევით, კიდევ ერთხელ ნათლად გვაგრძნობინებს, თუ როგორ გიყვართ ქართველებს მამულის დამცველი ვაჟაკები, ამიტომ ბარაქალა თქვენს მამულიშვილობას. ქართველ მოხალისეთა ცხენოსან რაზმეული, რომელზედაც მე და ივანე მალხაზიჩი დიდ იმედს ვაწყარბდით, კეშმარიტად ღირსია უაღრესი პატივაცემისა. მე მითხრეს, რომ ამ გამირული რაზმის ასორმოდამედილი მეომარი დაცვა ჩოლოქთან ბრძოლის ველზე და მათ შორის არც ერთს ჰქრილობა ზურგში არ აღმოაჩნდა. ეს ფაქტი ბევრის მეტყველია და რადგანაც ამ გამირების მოსაგონარ დღევანდელ ლხინს ქართული გულით დალოცვა ეკუთვნის, მე ვთხოვ თავად ანდრონიკაშვილს, ეს მისია მან იკისროს. ვისურვებ წარმატებას, — ეს ბოლო სიტყვები რეადმა ანდრონიკაშვილის მისამართით თქვა და ისე დაბეჯითებით, რომ ამ უქანასკნელმა თასი უყოყმანოდ გამოართვა.

— ჩემო ძვირფასო თანამემამულენო: ბატონო ნიკოლოზ ანდრიას-ძე, ბატონებო! — დაიწყო ანდრონიკაშვილმა მცირეხნის დაფიქრების შემდეგ და მზის სხივებზე მობრჭყვიალე ოქროს თასი საზეიმოდ მაღლა ასწია. — ამ სასიხარულო წუთებში მე ერთი კარგი აზრი მომივიდა, რაიც იმეღია, თქვენც მოგეწონებათ: მოდით ამ პირველ სასმისს საკარგეშო თასი დავარქვათ და ვახსენოთ მამულისათვის თავგანწირულად მებრძოლნი, რომელთაც გამირულად დადეს თავი ამ ომში. მოგეხსენებათ, რომ ყველა, ვინც თუნდაც ერთხელ გასულა თოფ-ზარბაზნის გრიალსა და ტყვია-ფინთიხის წვიმაში იერიშზე, ვინც თუნდაც ერთხელ შეჭრილა ხმალამოწვდილი მტრის ქარში, კეშმარიტად გამირია, მაგრამ გამირებს შორისაც ძევს განმასხვავებელი ზღვარი. მე ახლა ამ გამირებზე მოგახსენებთ, რომელთაც ვერ

ნახეს საკუთარი თვალით მტერზე გამარჯვების სანატრელი წუთები, ვინც ვერ იგემა ამ წუთების სიტყვო, თუმცა სიციცხლე მსხვერპლად შესწირა ამ გამარჯვებას, ასეთნი ბევრი არიან და ყველა მათი სახელით რამდენიმეს დაგისახელებთ: ვახსენოთ ამ ომში პირველი შეტაკების გმირი, შეკვეთილის ციხის შეციხოვნეთა რაზმის მეთაურ გიორგი გურიელი. იგი უშიშრად ებრძოდა მოზღვაებულ მტერს და ბრძოლის ველიდან მისი გაყვანა მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როცა თურქი ასკერების ტყვიებმა მას ორივე ფეხი მოსტება. სიკვდილის წინ ამ თავდადებულმა მამულიშვილმა თავის ერთადერთ ვაჟშვილს ანდერძად საშობლოს უანგარო საყვარელი და მამულისათვის თავდადება დაუტოვა. ვახსენოთ ბაინდურისა და ბაშყადიყლარის გმირი, წარჩინებული წრისა და ოჯახის შვილი, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი ვაჟკაცი ილიკო ორბელიანი, რომლის ვაჟკატური შემართება თაობებს ეყოფა მაგალითად. ვახსენოთ ჩოლოქათან გვერ-

დი-გვერდ მებრძოლი და გვერდი-გვერდ წაქცეული მხტოვანი ქართველი მხარის დი ქაიხოსრო მიქელაძე და რუსთაველი, კოენიკი ხაჩიტონოვი, რომლებიც, როგორც ძმები, ერთად ჩამოასვენეს ქუთაისში და მიაბარეს იმერეთის მრავალტანჯულ მიწას. ვახსენოთ ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი, მამაცი ოფიცერი ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომელსაც ძალიან ბევრი რამ დარჩა ამ ქვეყნად და ყოველივე საშობლოს ანაცვალა. ისიც გმირულად დაეცა ჩოლოქის ნაპირთან ბრძოლაში და მისი უკანასკნელი ხვეწნა იყო, გმირად აღმიხარდეთო ერთადერთი ვაჟი. ვიმეორებ ასეთები ბევრნი არიან და იმ რამდენიმეს სახელით ყველას მოსაგონარი იყოს ეს სასმისი. მაშ ამ თასს დავარქვათ საყარგუმო, იგი იყოს მარადმოსაგონარი გმირი ვაჟკაცებისა!

— ვაშაა! ვაშაა! — იგრილა ხალხის ძალუმმა ხმამ — საყარგუმო იყოს, საყარგუმო! გაუმარჯოს საყარგუმო თასს, ვაშა მამულისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს; ვაშა ღირსეულ მამულიშვილებს!



თანამედროვე ბელორუსული პოეზიიდან



კატრუს მაკალი

ნ ბ მ ღ ა

დაჭიმულან ნერვები
და შუადღის ჩრდილში
მიპქრის —

შეუსვენებლივ
ჩამორჩენის შიში.
იმედებმა დაფარეს
გული —

კმაყოფილი,
ვერ დატოვებ ასპარეზს,
თუმცა იცნობ ფინიშს.
მზეც ფინიშთან მოვიდა,
ისმენს ნაცნობ ღრიალს,
გზაზე

ავტომობილთა

ნაშხვრევეები ყრია.
და ოცნება ხელახლა
მარცხნივ გადაუხვევს:
მზეზე მალლა ვერ ახვალ,
ვერ ასცდები მუსლებს...
მაგრამ ქარიყლაპია
ზევით იშვერს კისერს,
კისრისტეხით გარბიან
უფსკრულისკენ ისევ.
კმარა!

ღვენიის გიფებო,
სული გამიცოფდა,
მე გამოგეთიშებით,
ჩამოვრჩები ცოტა!

• • •

შე ვაღოცხლებ ახალ კერპებს
და ტიტულებს ვარიგებ,
ვისაც მინდა —

გავაღმერთებ,
მინდა —

გავაღარბებ.
არ გვეგონოთ —

ვაზვიადებ
სხვების დასანახავად:
ხელობით და ხასიათით
ჯადოქარი გახლავართ.
თუ გსურთ —

სწრაფად აირბინოთ
წოდებათა კიბეზე,



მოემზადეთ სალილინოდ:
მარშლის მუნდირს გიბოძებთ.
მეცხრე რიგის ლამაზმანო,
მე შენ დაგსევამ დედოფლად,
ყველამ თავი განაცვალოს,
ყველა გთხოვდეს შენდობას.
საზრუნავი მომემატა,
აბა,

კარგად შემხედეთ:
ისევ ვიღებ
ოცნებათა
და სურვილთა შეკვეთებს.
ერთს პერანგიც არ აცვია,
სხვამ ფარჩებში შეტოპა,
ვინ როგორი ვაჟკაცია,
ტანსაცმელზეც ეტყობა.
არჩევს ალღო იდუმალი
ამსოფლელს და იმსოფლელს,

შუბს ხალთაში ვერ დამალავ,
მღვდელს ჭილობშიც იცნობენ.
ბევრს შუბლზედაც აწერიან
თვალი სვამს და
თვალი ტვამს,
თეთრი ძაფით ნაკერია
ზოგი მუკი ხალიჩა.
თუკი უკრავ გიტარაზე,
მტერს ვერ შევბრძოლები, —
ყველამ უნდა ვითამაშოთ
საკუთარი როლები.
რომ მოიჭრას მეფე ათიც,
ვერ დაგვიპყრობს ვერავენ...
მე ვამტკიცებ,
მე — თეატრის
თერძი
ანუ მკერავი.

კ ა ზ ი მ ი რ კ ა მ ე ი შ ა

ქ ვ ი შ ა

ქვიშა კვლავ ქვიშას ეძებს,
მთებად გროვდება ჩვენთვის.
ათასფრად ბრწყინავს მზეზე
ქვიშა
და არა დენთი.
მოდის ბავშვობა ჩემი,
აშენებს ქვიშის სახლებს,
მიცურავს ქვიშის გემი, —
ყველას უბრწყინავს სახე.
...იღვრება თითებს შორის

ქვიშა —
წვრილი და სწრაფი,
ბიჭო,
მისდევ,
თორემ
ნაკადულივით გარბის.
ჯებირი უნდა ქვიშა,
რომ უცებ შეაგუბოს.
...ფრთხილად აყრიან ქვიშას
ბავშვის ხელები კუბოს.

ო ლ ა ზ ლ ო ი ა ა

ს ა ჟ ე რ ა ვ ი

ვინც საჭე შეატრიალა,
როცა სხვა ქარმა დააბერა, —
მასთან ვერ დაველი ფიალას,
მასთან ვერ დავლევ საფერავს.

ვინც არის სიტყვის პატრონი,
სიტყვა ხმალივით დაფერა
და რწმენა გააბატონა, —
მე მასთან დავლევ საფერავს.

სული ცას ებუბუნება
სხვა გზების გადასარბუნად,
შუეს თუ სისხლს მისცემს ბუნება,
ალბათ უბოძებს საფერავს.

მიწამ დოვლათი ბალისა
კვლავ ამრავლა და აბეჭრა,
და რაკი მოძმე მალრსა,
როგორ არ მომცემს საფერავს!..

პასილ ვიტაა

მ ა მ ა

ხატაში ზარმა ისე დარეკა
და დედა ისე შეაკრთო ზარმა,
შევხედე კარზე მომდგარ ჯარისკაცს
და უმალ მივხვდი:

დაბრუნდა მამა.

როდესაც მამის გვერდით დავდექი,
ძალიან ფრთხილად გასსნა ჩანთა და
ამოაცოცა შაქრის ნატეხი,
რომელსაც წყოს ფერი დაჰკრავდა.

რა მოხდა,
კარგად ვერ მივხვდი მაშინ,
როცა საწოლზე მოვიკალათე
და როცა მამის მრისხანე თვალში
მე ერთადერთი ცრემლი დავლანდე.
მძიმე ყოფილა ომის ავდარი,
რომ გადაურჩე ათას ქართველს
და ბრძოლის ცეცხლში გამოატარო
ერთი პატარა შაქრის ნატეხი.

ნ ა ვ ე ბ ი

ნაკადულის ნაპირთან
გვეკონდა საზრუნავი:
აქეთ ჩემი ნავი და
იქით — შენი ნავი.
მიქპროდნენ და მივდედვით
ყიფინით და შოთით,
გადავლახეთ მინდვრები
და მრავალი პორტი.

მალე ჩვენი ნავები
შევაცურეთ ზღვაში
და ჩვენც ერთად ჩავებით
ამ ფერხულში მაშინ.
იმ სიწმინდეს ვაღმერთებთ
საჭარმაგის დროსაც, —
ჩვენ ანძებზე აღემართეთ
ერთგულების დროშა.



ნ რ თ ო ბ ა

ყმაწვილს ალალი შრომა მწყუროდა,
მჭედელს ვუცქერდი პატივისცემით,
მინდოდა

ჩემი მძიმე უროთი
გამომეჭედა ცხოვრება ჩემი.
მეზობელ მჭედელს ერქვა ვოლოდიმ,
კოჭლი დღედაღამ იდგა ქურასთან,
მასთან ვსწავლობდი,
მასთან ვცხოვრობდი,
გარშემო ბევრი ხალხი ბრუნავდა.
ზოგი ჭაბუკი,
ზოგი ბებერი,
ვეღარ ვარჩევდი სანახევროდაც.
— აბა? — მეტყოდა მასწავლებელი
და საბერველი ტკბილად მღეროდა.
დასაჭედავად მოჰყავდათ ცხენი,
გახედნილი თუ ნამკურნალევი,
ხელში მეჭირა მარწუხი ცხელი
და გამომქონდა სწრაფად ნალები...
ამასობაში მკის დროც მოვიდა,
კვლავ ჯაფა გვადგა არანაკლები:
ზოგჯერ ახლოდან,
ზოგჯერ შორიდან
მოქქონდათ გლეხებს გრძელი ნამგლები.
რომ ცეცხლი უცებ არ ჩამქრალიყო,
არ მივდიოდი სახლში ღამითაც,
წაბრძანდებოდა ციდან მარიხი
და იწყებოდა შრომა თავიდან.
მე შევისწავლე კარგად ხელობა,
ერთ საიდუმლოს ვერ ჩაეწვიდი მხოლოდ...

ჯერ არ დამღლია გარჯით ხელები
და კვლავ მომავლის იმედით ვცხოვრობ.
წრთობა სულისა! — აი მთავარი,
რაც შემასწავლე,

ჩემო ოსტატო,
მე ვკავებოდი — ღამის მთევარი,
ასე თანდათან,
ასე დროდადრო.
შენ აწრთე სული ცეცხლში და წყალში,
შენ აწრთე იგი ჭირში და ლბინში,
შენს ხსოვნას აწი ვერავინ წაშლის,
ვერ შეაშინებს ვერასდროს შიში.
მასწავლებელი სხვა მყავს ამჟამად:
მაკაცრი ოსტატი —
თვითონ ცხოვრება.
წინ მელის გრძელზე გრძელი გზა-შარა,
და უფრო მეტი მომეთხოვება.
იგი მაწრთობს და
იგი მაკაეებს,
მივყვები ქვეყნის ერთგულ ვაჟაკებს,
წინ ჭაბუკივით მიმიზარია,
ავდარია თუ კარგი დარია.
შენი მოწაფე ვრჩები ბოლომდის,
ნეტავ კვლავ შენი თავი მაჩვენა, —
ჩემო ოსტატო,
ჩემო ვოლოდიმ,
დამილოცნია შენი მარჯვენა.

თარგმანი ვ. ჯაფარიძის



კარგე მუშაობა

მეფოლადის დღიური

მარტის ბოლოა, მაგრამ ჭერ ისევ სუსხავს. მხოლოდ დროდადრო გამოიხედავს მზე, მუქ-ლურჯ ღრუბლებს ზენაქარი ვაღარეყავს და სა-ამოდ ჩამოთბება. მერე ისევ იგივე ზენაქარი წამოუბერავს ცივგომობრიდან, სუსხსა და ნათოვლარს მოაფრქვევს ქალაქში. იგრძნობა, რომ მთებზე ისევ ზამთარია და ამინდი იწყინება. კიდევ ცოტაც და — გაზაფხული დასძლევს.

კვირტი უკვე გაიშალა. მალე ბაღები და სკვერები გაიფოთლებს.

დღემ საგრძნობლად იმატა, რვაზე უკვე ამოსულია მზე. მარტენის კიბეზე რომ ავლივარ, სახეში მიუურებს, თუშყა აქ სულაც არაა იგი საჭირო — ისევ საქმოდ ცხელა.

— თბარ, — მებუნება ცვლის უფროსი, — ცოტა გაგიკვირდება, მაგრამ ისევ შენ უნდა მოგანდო. ღუშეღი როგორაა?

— კარგად. ნახევარ საათში გაუშვებს. რა არის ასეთი?

— საგანგებო დავალება, — და ღებირებული ფოლადის ერთ მარკას ასახელებს.

ღუგირებული ფოლადი გამომიდნია, მაგრამ ეს მარკა არ შემხვედრია. იქნებ აღარც მახსოვს? არა, არ შემხვედრია. ყოველ შემთხვევაში, ვაფცაცობის საქმეა. ან საოკეანო ვეშწეა საჭირო, ან — კოსმოსურ ხომალდში, ან — საზღვარგარეთ. შეიძლება სხვაგანაც. ესე იგი შეწნეა დამოკიდებული თასების ზედი.. ბევრი რამ ხომ დახურული წესით იგზავნება — მიღები, ფოლადის ფურცელი, სორტული წავლინი.. და ვინ იცის — სად!

მეტალურგებს ისევ გვაქვს საგანგებო დავა-

ლება: ლითონის პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება!.. მაგრამ ეს საერთო მისიაა. ევგენი ვორონკოვმა ახალი მარკაც დამიმატა.

ევგენი საწდო კაცია. მეც მენდობა და იმიტომ დამაიხსრა. ოცდაერთი წელია ჩვენთან მუშაობს. სულ ახალგაზრდა ჩამოვიდა რუსეთიდან. მეფოლადის გამგები და შემწეა. არც გამბტუწნებს, ვერც უმტუწნებს.

— ისე მიიღე, თითქოს შენ წოსოვი ხარ, მე კი — სტალინი, — დიმილით მებუნება.

ომის პირველ ხანებში ჩვენი ჭავშანი ვერ უძლებდა მტრის უშმაბარას. ტანჯს უშალ ეკიდებოდა ციციხლი. მთავრობამ მაგნიტოგორსკს დაავალა გამოეშვა საჭავეშე ფოლადი, რომელიც გერმანულზე უფრო მტკიცე იქნებოდა. ისეთი მარკები აითვისებს, რომ მტრის ჭურჭი ვეღარაფერს აკლებდა. სტალინიმა დაიბარა დირექტორი და მალეობა უთხრა.

ცვლის უფროსს ეს ამბავი აქვს მხედველობაში.

სწორედ ნამუსზე შემაგდო.

კაი ბიჭი ხარ და უკან დაიხიე!

ვერც დავიხევი!

სადისპეტჩეროდან შეფიქრიაინებული გამოვდივარ. რა გუნებაზე არაან ბიჭები, როგორ ამიბამენ მხარს, რანაირი ზედმეწეულობა ვეექნება? ყოველი წერილმანი ვასათვალისწინებელია. და თუ ბევრ რამეში არ არსებობს წერილმანი, მთ უმეტეს იგი არაა მარტენში. თითქოს პატარა რამეს ვერ მოწოვამ, ფრჩხილისოდენს ვერ გა-

ქარიშხლ და — 200 ტონა ფოლადი შაბზე წა-
ან წუთისოდელს გამოახალმებ ვინმეს.

ახე რომ, მარტენი ყოველ წუთს ფრონტია —
ზებავს, ზელნართული ბრძოლაც, თავდაცვაც
ქრადროულად.

ლიანდაგზე ქართილ დატვირთული როფები
პირიალებს.

სატვირთვა იწყება მეექვსე დღემდე.

ფურსის ოსტატი თარიჰან ბარბაქაძე ქველს
დუღებს. აქვე ტრიალებს შალვა კუხალიაშვი-
ლიც — ყოფილი მეფოლადე, ახლა საამქროს
ფურსისის მოადგილე.

პირველ დღემდე ქართი ჩაუტვირთავს ამი-
ან ფანცალაიას, სოციალისტური შრომის
გარს, და ახლა თუჯს ასხამს. წისკვილის ბორ-
ბლს რომ ეხეთქება მჭუხარე ნაკადი, ისე ჩა-
ქრიალებს 1200 — გრადუხიანი ლითონი დუ-
ღელის ამაწანაში.

ჩემი დღემდე მეშვიდეა, კომკავშირულ-ახალ-
კარდელი.

ადრე მე ვყოფიე ამ დღემდის კომკავშირულ-
ახალკარდული ბრიგადის მეთაური. შირჩევედ-
ნენ დეღუგაბაძე, ცუკას წევრად. ახლა ამავე დუ-
ღელის მეფოლადის ზელემეწყობი იური მარგა-
ლაძეა კომკავშირის საკავშირო ცუკას წევრი.

ჩემს ბრიგადაში კი მხოლოდ ერთიდა კომ-
კავშირია — რეზო ოჩხაიძე, მეორე ზელ-
ემეწყობი. პირველია ტელმან ნოზაძე, რეზოს
სრულიად რომ არა მგავს: თუ რეზო ტანწირწე-
და და სუსტი აგებულებიანაა, ტელმანი საქმიად
საღესენილი, ბევრგანეირი, ძალისმიერი მეფო-
ლადე, როგორც სპორტსმენები იტყვიან.

სულ ესაა ბრიგადა: სამი კაცი. მეოთხეც ვაშ-
კოვინის, მაგრამ რამდენი ხანა არ გვეყოლია!

სადღაც შევდგომა დაშვებული ქალაქის პე-
რსპექტიულ დაგეგმვაში.

მეტალურგიის ბაზაზე რომ ქიმიური ქარხნები
იქნება, ეს ვასაგებია: მეთალურგია ქიმიას აწე-
ვის ზოგ წიდეღელს, ახვევა გამოყენებულ
ოქახის წვერი ქაღების შრომაც. მაგრამ ქალაქ-
შია ზოგი საწარმო, რომლებიც ხელს უშლიან
მეტალურგიას. საწყალი სოლომონ შარაძენიძე
რომ იტენერს მოკითხავდა, სად წავიდაო, ფო-
ლად-თუჯახსხელო ქარხანაში ნახულობდნენ.
ეს უყანასხეული თბილისის ცნობილი ქარხანის
მეორეებს, ადრემა კი მეთალურგებს წავებარ-
თვა აუცილებელი იყო მისი აგება? ალბათ —
არა. თავიდან საფიქრებელი პროფილი არ გა-
მოვიდაო, დუბლირება კი რა ხეირია! მართა-
ლი, ამბობენ, ზურაბ აბულაძემ ქარგად მო-
წყო, ვანსაუფრებობი საწარმოო ესთეტკაც აქ-
ველი ყურადღებას, მხატვარი კარლო გავიშვი-
ლი მოწვია და საამქროები მოაქარგვინა, მაგ-
რამ...

ან ლითონკონსტრუქციების ქარხანა აიღეთ.
პირბები შეუქმნეს, სახსრები გამოუყვეს და

ბინები აუშენეს. მერე ეს ბინები უმატიონსო
ადამიანებმა დაუადეს. მიიღი ზელმდეცნელობა
დააპატიარეს, ახლა მეთალურგი ავთანდილ
ნაძე ჩაუდგა სათავეში ქარხანას, მაგრამ ჯე-
რაც ვერ დაუშვარებია წესრიგი. მტწილად გა-
რე შეკვეთები აქვს. ვეგმებს სანახევროდაც ვერ
აბრულებს. კალბების უფროსი ბოგუნ სურგუ-
ლაძე მუშებნებოდა ამახ წინათ, არ ციციოთ, რა
ვეშვედებოა...

ვარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხანა? კაცი
რუსთაველი ცხოვრობს და სამუშაოდ იქ დადის.
თუ ვინმეს სჭირდებოდა, სხვაგან აეშენებინათ,
ჩვენ რომ წავგართვა მუშახელი... იოლი საქმეა,
თანაც — კარგი ანაზღაურება...

პერსპექტიული დაგეგმვის ნაყოფანებებით
ახსენება საწარმოო ფონდების უპირატესი წრდა
რესპუბლიკაში. ფონდუყოფება კი, პირიქით, ნა-
ლებია. არახწორადაა გამოყენებული შრომითი
რესურსები: მრწველობის უდიდესი ნაწილი
თავმოყრილია სამ ქალაქში — თბილისში, ქუ-
თაისში, რუსთაველა, სადაც დასაქმებულია სამ-
რწველო-საწარმოო პერსონალის 54 პროცენ-
ტი.

შემთხვევითი არაა რომ რესპუბლიკის თითქ-
მის ყოველი მეზღუდე მუშა იცვლის საქმიანობის
ადგილს. რუსთაველა და თბილისში ეს მარტვენ-
ბელი კიდევ უფრო უარესია. შიდარესპუბლი-
კურ მიგრაციას თან სდევს სეზონური ან მუდ-
მივი მიგრაცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ...
საქართველოდან ზალბა სხვაგან უნდა მიდიოდეს
სამუშაოდ!... საქმის ასე თვითდენებით მიგდე-
ბას არაიენ ვეაპტიებს... სოციალიზმის ერთ-
ერთი უპირატესობა გეგმანობაა და, თუ ეს
პრინციპი არ დავიცავთ, რა გამოვიდოდა!

ბეჭდი ჩემი ამხანაგი მუშაობს, მავალითად,
ვარდაბანში. ლეგირებული ფოლადის მავებრად
მუყაოს უშვებენ, ალბათ მუყაოც საჭიროა, მაგ-
რამ... სუ ვიქნებით გულბრუვილონი, თითქონ
გაიოლებული შრომა და ცხოვრება ადამიანის
მიწანი და იდეალი იყოს! სიამოვნება სიძნელის
გადაღლება, ადამიანი ვეცაკად უნდა იყოს და-
ბადებული და ბოლომდე ასე დარჩეს... კაცს
რაც შეგაძლია, ის უნდა აეთო. თუ მებო შე-
ვიძლია და ნაქლებს აუთებ, ღარიჩო ყოფილხარ,
დერეტიტარი ყოფილხარ!...

თავის დროზე არც მამანებს მოსწონდა ჩემი
ხელობა. მაგრამ მერე, როცა პრესა აღაპარადა,
გული ბუღევი ჩაუქდა და სამსახურში ამაყად
შეაბიჭა.

— ახლა მივალ სამუშაოზე და თანამშრომლებს
შევაშინებო, ასეთი ბიჭი მყავსო, — უთბრა დე-
ღარმეს.

სალამოს მეუღლე ეკობება:
— რა ქენი, შეაშინე თანამშრომლები?
— მე კი არ შევაშინე, იმათ შეაშინეს: წა-
კიბოსული პქონდაო...

არა, ასე მუშაობა არ შეიძლება! როგორღაც მეტი მოთხოვნებით საგვემო ორგანოებს. მათ აღმათ აღმინისტრაციული ორგანოებზე უნდა მივუმატოთ. მუშახელი რომ არ გვეოფნის, განა ხალხი არაა?! ახალგაზრდობის ვარკვეული ნაწილი არ მუშაობს, ნაწილი ან უშაღღესისთვის ემზადება თითქოს, ან ადგილიდან ადგილზე დადის. სხვები ბებოებისა და ბაბუების ხარჯზე არიან და მცონარობაში ატარებენ მთელ წელიწადს.

მეტი სიმკაცრე, მეტი მომხიბვრელობაა საჭირო.

მამინ მუშახელიც გვეოფნა, სახალხო დოვლიათი მეტი შეიქმნება.

თითქოს ეს არაა ჩემი საქმე.

მაგრამ უპაცრავად!

უველაფერზე უველას უნდა შეგვტაიოდეს გული!

ახლა, როგორც არ უნდა ვიმტვირო თავი ამანზე, სულ ერთია, სამი ვართ და სამი! ჩვენს გამართულ მუშაობაზე და მოყოლებული შეკვეთის შესრულებაც, საამქროს გეგმაც, ისიც, თუ ხალხის რომელ დაფაზე ვაქნებით — წითელზე თუ შავზე, კანტორის წინ რომაა გაკრული.

როცა ნიკოლოზ და თამარ წოწამებებს ბუხთუზა ბიჭი შეეძინათ, ქვეყანა არ შეუტრიათ, მაგრამ მერხობაზე კაი პური ქამეს. გოგო მუჯადოთ პირველი და ახლა ეს გამორჩეილივეთ იყო.

წოდარი დარქვეს, ასე ვთქვათ, ნათლასახელად. ისე ტელმანს ეძახიან. მამამ შეარქვა. ერნსტ ტელმანი უკვე ციხეში იყო და — მის პატრუსაცვამდა. რა იყოღა მამინ ნიკოლოზმა, თუ თავდაც ფაშისტებთან ბრძოლას შეეწირებოდა ტელმანივეთ!

ოში რომ აუტდა, ოქანში უკვე ოთხი ბავშვი იყო, სულ ერთმანეთზე მიწყობილები.

— თამარ, შენი იმედი მაქვს, შეიღებს არ მომიშვიო, — უთხრა მუჯადოს ნიკოლოზმა, როცა ფუთა გამოკრა და ბავშვები სათითაოდ ჩაიხუტა ცულში.

წავიდა და წავიდა.

ბოლო წერილი სევასტოპოლიდან იყო: ვიდრე ფაშისტებს არ მოვსახობთ, ვერ ჩამოვალთ: შენი იმედი მაქვსო, შეიღებს მოუტარეო, არ მომიშვიო...

ეს იყო და ეს. მის შემდეგ ადარაფერი ესმის. დარჩა თამარი ოთხი შვილით (დედათილიც მოსავლელი მუჯადო).

აიღო სახრე და ხარებს მოცივდა. მარჯვე იყო, გულადი. ნათლულში რომ ინახულა ქმარი, მიხი ფერი არ მოეწონა, უთხრა: რომ შეიძლებოდეს, მე წავალ და შენ დარჩიო... უველა საკაცო საქმეს აკეთებდა: ხნავდა, თესავდა, თიხნიდა... დღე და ღამეს ახწრებდა.

არცერთ მეზობელს არ უღებდა ტოლს. ბევრი შურითაც შეყურებდა.

შეშავე ქვართებში დადიოდა: უფროსებთან წვერის გზებიდან მოქონდა. წავიდოდა დამით, მთის ციცაბოზე მოქრიადა ხეებს, დაუღებდა ურემზე და მოაგლიჩინებდა. ახშულა ხეებს რომ ვერ ერეოდნენ სხვა ქალები, მის მიერ მონახებ ტოტებს უღებდნენ ურემზე.

ასე წვალებით დაზარდა შეიღებია — ლეილა, მევდა, წოდარი (წანი ორმოცდაათში გარდაიცვალა).

წოდარი ხაშურის რაიონის სოფელ აღის სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მერვე კლასი ქინძათაში დაამთავრა (დღედა მუჯადო იქ). მერვე რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელს მოაშურა და მუფოლაღეთა ქვეუფში ჩაირიცხა. ბეჯითობდა, მაგრამ საუვედურებსაც დებულობდა ზოგჯერ. ქარხნის ხაშვი დაკარგა ერთხელ — საუვედური მიიღო. მეროვად მარტოხელა დედას მიესპარა სათოსში. დღე გაუცდა და აქაც საუვედური დამისახურა.

მაინც კაი ბიჭი დედა, მარტენში მოვიდა და მუფოლაღის ხელშეწყობად დაიწყო მუშაობა.

მერვე კოლის შერთვა გადაწყვიტა.

მარტენში ქალი ცოტაა — თითო-ორიღა ლაბორანტი თუ კონტრალიორი. ამიტომ აქ იმის იმედად ვერ იქნება, ვინმეს შეიყვარებს. კიდევ იეროს, შეიძლება ცხრა წელიწადს უფრო და მერვე მიხვიდეთ, რომ შესაძლებელია დაქორწინება, როგორც ეს გააკეთეს ფოლადის ჩამოსხმულმა ბუნო ცოცვიემ და ლაბორანტმა ქეთო შოშიაშვილმა.

და შეიძლება ისეც მოიქცეთ, როგორც — წოდარი — ტელმანი.

ცნობილია, რომ ზველად მხოლოდ გარიგებით ირთოდნენ და თხოვდებოდნენ, თუმცა ოქანი უფრო მტკიცე იყო. საერთო საქმიანობაში მერვე სიყვარულიც იქებებოდა.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ არც გარიგება-მეთქი გამორიცხებული.

მოდა, ტელმანი შვებუღებიაში წავიდა. მარტენში დაიხარა, ცოლიანად უნდა დავბრუნდეთ. დაიხარა და კიდევ შესარულა.

სოფელ აღის ბაზარში იყო. შვებუღებია უკვე თავდებოდა. ამხანაგი შეტვდა, ბონდო ქართველიშვილი. ვეაში დაი მუჯეს და საქეფოდ წავიღეთო, შესთავაზა ბონდომ.

ტელმანი წაჰყვა.

ამხანაგის დიე ეუბნება: კაი ბიჭი ხარ, მეც კაი გოგო ვიცი, ნათესავია და უნდა გავიჩიოო. დედაშენსაც ვიცნობ, კაი ქალია, ცულ საქმეს ხელს არ მოცივდებო.

გაზგავენს მოციქულები. მოვიდნენ და თქვენს შინ არ არისო.



რაკი მართხა არ არის, მეორეა კი გოგო, იმას ვაჩვენებთო.

ნახეს, მოეწონა: საშუალო ტანის, ცქრილადა, პარნათელი, ალალი და კეკელი თვლები აქვს.

აღმათ გამოადგებაო, იფიქრა ბიჭმა. ნაცნობ-ნათესავეებმა კარგად დაუხასიათეს.

შერტვა გადაწყვიტა, მაგრამ უცერად აიბოა უველაფერი.

შუა პურიჭამაში რომ არიან, ორი ბიჭი შე-მოვიდა.

უღტიმატუმი წამოაუენეს: ვაფიგეთ, იზოლ-დას ვილაყ მეფოლადე თხოულობსო. მაგ გო-გოს თავი დაანებეთ, თორემ ჩვენთან ვეკნებო-თო საქმე.

აი ხათაბალი!

სული ყელში მომბეჭინაო, ჰყვებოდა მერე ტელმანი.

— გუყვართ იზოლდა? სერიოზული იყო რამე თქვენს შორის?

— არა, ისეთი არაფერი!

— თუ არაფერი, რაღა ხაზუთით მდებავებით?

— ახლა გადაწყვიტეთ და — უნდა ჩამოსცოდ-დეთ! თუ არა, ახე იოლად არ გათავდება ეს ამბავი.

— კიდევ მემუქრებით!

— არა, მაგრამ მოიფიქრეთ, როგორ სჯობია.

მეტოკე ცუდი ბიჭი არა ჩანს, თუმცა ქობნე-ბანე ვერაფერს ვიტყვი.

ახალგაზრდები წავიდნენ, მაგრამ ახლა მამა და ბიჭა გამოგზავნეს: რას ფიქრობთ, ხომ არ გადათქვიათო.

მასპინძლებიც უხერხულ მდგომარეობაში არიან, შუამავლებიც.

ისევ ჩავეჭიეთ:

— სერიოზული ხომ არაფერი უყოლია? ხომ არ ჰყვარებოდა ერთმანეთი? მშობლებმა იქნებ იციან რამე დამატებით?

— არა, არაფერი. მაგრამ ვაჟმა დღეს გადა-წყვიტა და ვერ დაგანებებთ, გოგო კარგად გვიცნობს, უარს არ ვებუტყვას. როცა ჩვენ გვინ-და, ვილაყას რატომ უნდა ვავტანოთ! მოვლ დაძებს არ მშინებია.

ბოლოს და ბოლოს ფულადმდნობელი ვარ, გავინია ცუცხლთან მაქვს საქმე და ვაყაში შევუ-შინდე ვილაყ მატრაკუცას?!

ერთხანს ექვემაც ვამკრა: იქნებ გოგოს ნათე-სავები არიან, შემომჩინებს, რომ ინტერესი აღ-მობრან, და ბედოვლათი ქალი მათხოვნიწონ?

ფიქრები შუამავლებს გადაუწიარე. თავში ხე-ლი იტიციებს: რას ამბობ, უხეიროს როგორ შე-მოგყადრებთო!

თუ ასეა, ადვილ-მეტვი წეზე, ვუთხარი მე-გობარს: მივიდეთ იზოსთან, გავარკვიოთ, რო-გორცაა საქმე, და ახლავე გადაწყვიტოთ — მეთქი უველაფერი.

გულსიჭია რომ დაგიწყებს ღრღინს, როგორ-და მოეშვები!

არქონესული

მამლის უვიღზე გადავივლები ტელმანი ტელმანი ღობეს (ქიშკარი არ გვიტანია). კინაღამ ნავაზმა დაგვითრია, ქიგო ვწუნუნდეთ და ძლივს მოვიგე-რიეთ.

დაფთობებულები წამოცვიდნენ წეზე: რა იყო, რომ გათენებამდე ვერ მოიცადეთო!

უველაფერი რომ ავუსხსნით, სასამართო ვა-დირია: ის სახედალი, ნათესავია, არც ერგება და ეს როგორ გამიბედაო, ახლავე წავალ და ხანქალზე წამოვავებო!

ძლივს დააწყნარეთ, დავიყოლიეთ.

ოქახის სახახავად წამოვიდნენ. დედაჩემმა იფიქრა: ტელმანს იცნობთ, ოქახს ნახულობთ, სარალოც მაჩვენეთო, მაგრამ ვერაფერი მადრა — ბიჭს თუ უნდა, ხელი რატომ უნდა შევეშა-ლოო.

უველაფერი კეთილად დამთავრდა.

იზოლდა მეწურნიშვილი გოგოც კარგი გა-მოდგა, დაახალისიც, ორი ქალი და ერთი ვაჟი მარინე, ქეთინო და კობა — შესძინა ნოდარსა და ქვეყანას.

ქალბატონი თამარი ჭერ ისევ ჭანზეა. წამოარს თოდრიას ქუჩაზე ატარებს, შვილიშვილებს ეგუ-ნგარავება. როგორც კი ვაწაფული მოაწევს, აიქრებს ვულანაბადს და სოფელს მიაშურებს: ბარავს, მარგლის, სხლავს, სარჩოს უმწადებს შვილიშვილებს.

მაღე ტელმანიც ვეგებულებაში წავა: დახანვს, დათხანვს. მერე ბავშვებიც ჩაედურტულდე-ბიან...

მართლაც, რომ მისწრება სოფელი, ვანსა-კუთრებით ჩვენთვის, მეფოლადეებისათვის... თვეში თუნდაც ორ-სამ დღეს რომ წაიშუშო სულთა პერზე, ყანაში, ფერ-ხორცი მოგემა-ტება...

თერთმეტ საათზე სამშროს უფროსი, გურამ ქაშავაშვილი, მოდის. დავალებებს ამოწმებს. მე-რე აღმათ სამ-ოთხ საათზე გამოივლის: შეს-რულებას შეამოწმებს.

ვერაფრით წილა ვერ დავაყენე: ან კაწის გა-ანგარიშებაში მოვტუყვედი, ან თუქი არ ვარგა.

ოფელი წურწურით ჩამომდის. ამ ოფლის ნა-წილი აღმათ იმისიცაა, დნობა რომ არ მიდის წესიტრად.

ახლა ტელმანმა გამიხეტია ვული: უხარისხო კიქტა მოიტანესო.

ვამოწმებ: მართალია.

როგორც ჩანს, არც სადაბლოს კარიერშია წესრიგი, არც კირისა და დოლომიტის სამშ-როში. რადიკალურ წომებს კი არაიან დეშუ-ლობს.

უფროსმა ოსტატმა, თარიმან ბარბაქაძემ,



ექვს საათში დადგულა ახალი ქველი. ღუმელის გახურებას მხოლოდ თვრამეტი საათი მოანდომა. ადრე სამი დღე-ღამე სჭირდებოდა. ეს პირველი შემთხვევაა მეტალურგიაში. მსგავსი რამ ჭრჭერობით ცნობილი არაა, მიდასტურებს შალვა კუხალიაშვილი. დაეჭვება.

თარიღან ბარბაქაძე ქვეშაირატად კარგი ოსტატია.

გუმინწინ ქიმიკოსთა კულტურის სახლში ვიყავი, სამხატვრო გამოფენა დავათვალიერე. ბევრი კარგი ნაწარმოებია, ზოგსაც ნაჭქარობა ეძუება.

საქართველოს მხატვართა კავშირმა დიდი ბრავადა გამოგვანა რუსთავში. შეისწავლეს ჩვენი ცხოვრება და პორტრეტები, პეიზაჟები შექმნეს.

თარიღანის დიდი ფერწერული სურათი ჰქიდა კედელზე. რაც კარგია, კარგია ასევე კარგია მეფოლადე ლადო ზალავაძე. მებრძმედ მირონ კიკვაძე, ქიმიური ბოქვოს ქარხნის მთავარი ინჟინერი ბევან ვოგუაძე. ამირან ფანცულაია მაინცდამაინც ვერ გამოვსვლიათ, უკეთესი პორტრეტი შეეფერება...

კულტურის სახლის დირექტორს შეეხვდი — ალიოშა რევაზიშვილს. წინათ მეფოლადე იყო და ჩემი ძველი მეგობარია. ბევრი კაი ვავიხსენებ.

ბათუმელია, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე. ორმოცდაორმეტში წამოვიდა რუსთავში და პარტიის ქადაკეობის მიღვანს მიაკეთა: ეს სიკეთე მაქვს, ეს ცოლდა მაწევსო; ძნელ საქმეზე გამოვიდო, თუ ვერ ვავაპირდო, პირადად თქვენს წინაშე ვაებო პასუხს.

მარტენში გამოგვანა. შალვა კუხალიაშვილის ბელშემწევით იყო პირველ ღუმელზე. ბელბა მალე აითვისა. მერე, ვანო მებრძველი რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ალიოშა მეოთხეზე გადაიყვანეს, მას სცვლიდა ხოლმე. როცა ბრძმედი გაუშვეს, მემიქტერის პროფესია შეისწავლა ქ. ქვანავში. ისევ მეფოლადე დაგვიბრდა და შეეძვეს ღუმელი ჩაბარეს.

მერე ქ. სვერდლოვსკში იყო, წარმოების პრაქტიკოსთა ტექნიკური სწავლების ინსტიტუტში. ექვსთვიანი პროგრამა სამ თვეში დაამთავრა ფრიალზე.

სწორედ აქ შეხვდა ფიდელ კასტროს.

ქარხანაში ხალხს არჩევდნენ, ფიდელ კასტროს უნდა შეეახვედროთო. რევაზიშვილს გამოუძახეს. ფიდელივით მაღალი, მოსული ვაჭკაცია. შავვარმანი, ვრუსთაშვიანი, არწიფული თვალბოთი. კასტრო ხშირად არის და არის, მაგრამ ალიოშაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

რაკი შეარჩიეს, მანაც ვაბედა; თუ შეიძლება, ესპანურად მივესალმებო. უარს ვინ ეტყუადა ბევრი ენა იცის. ესპანური რუსთავში ისწავლა. მესამე პროფტექნიკურ სასწავლებელში კუხუბლი

ახლავარდები იყვნენ, სულ მათთან სერინობდა, რუსულსა და ქართულს სჭყუდებდა.

ეს საუბარი მერე რადიოშიც მიტყუდა.

ფირფიტაზეა ჩაწერილი:

— ნება მიბოძეთ მოგესალმეთ საბჭოთა მეტალურგებს სახელით

— ოო, ესპანელი ხარო? — ფიდელს საზე გაუნათდა.

— არა, ქართველი.

— საიდან?

— რუსთავიდან. მეფოლადე ალიოშა რევაზიშვილი.

— ოო, იქ ჩემი ბიჭები სწავლობენ.

— დიხ, ვიცნობ. ესპანურიც მათ მასწავლებს.

— შეილება ვაგვო?

— ორი ვადი.

— ალბერტო, — შიშართა თანაშემწეს, — ალიოშას ჩემი სურათი ვაჩუქეთ.

სურათს ფიდელ კასტრომ წააწერა: „პარალის წინის დელ კომანიერო ალიოშა. ვივა კუბა!“ (ამხანაგ ალიოშას ვაუბნისათვის. გაუშარქოს კუბას!).

ნაშუევრები რომ დავთვალიერებო, ალიოშა ისევ მხატვრებს დაუბრუნდა.

გამოფენის გახსნაზე იყვნენ უნა ჭათარიძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან ჭაჭიშვილი და სხვები.

უნა ჭათარიძეს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში: ყველაზე რეალისტია რეალისტთა შორის.

ბუნებრივია, რომ ასეთი თავმჯდომარის ბელმდგანელობით მხატვრები ქართველი მეტალურგების ცხოვრების თემას ვატყუებთ ჰქიდეტენ ხელს.

— მეშვიდეზე — ამდენი ნახშირბადი, ამდენი მარვანეცი, ამდენი ფოსფორი... რადიოთი ვატყუებინებს ექსპრეტდობრატორია.

ესე იგო, დნობა სწორად არ მიდის. წიდა ვერ დავაყენე და ვერა!

ისევ ვუმატებ რკინის მადანს, კირქვას. ისევ ვაკულებ წიდას.

ახალს ვაყენებ.

კირქვა თუ ზომავთ არ იქნა, ნახშირბადი არ ამოიწვება. არც ვოგირდი მოსცოდებდა, არც ფოსფორი. თუ მეტი იქნა, გასქელდება და სულ არ ივარგებს.

ინსტრუქცია ითვალისწინებს: ჩატვირთვისას კირქვა არც მეტი მისცე, არც — ნაკლები; შევეე წიდა დროულად მოაყადე, რომ ზედმეტად არ გასქელდეს. მაშინ უფრო აქტიური და მოძრავი იქნება.

ამბობენ: წიდა ხარზე და ფოლადი თავისთავად მიიღებაო.

იგი დიდიწერი აბაზანის თავზე გროვდება და ერთდროულად არის ეანგბადისა და სიბოზს ვა-

დასუკვი ფოლადისათვის, თანაც წილის სითბო-
გამტარობა მშ-მშ-ჭერ ნაქლებია ლითონისაზე.
ამიტომ მისი ფენა თხლად უნდა იდოს ანაზანის
ზედაპირზე.

კარგი წიდაა — ფოლადიც კარგი გამოცა.
ამასთან წიდა მარტო წიდა როდია, იგი შეიძ-
ლება გადამუშავდეს სხვადასხვა პროდუქტად.
იაპონიაში წილისაგან ათი სახის პროდუქციას
იღებენ.

ამერიკაში ამუშავებენ წიდას და ისევე იყენე-
ბენ მარტინის, საბრძენდე და აგლომერაციულ
წარმოებაში.

ქ. ტლანოვის ქარხანა „აზოვსტალში“ წილისა-
გან ღებულობენ ფოსფორის სასუქს.

შეიძლება ცოტა დრო დახარჯოს და კაი ფო-
ლადი იყოს, შეიძლება დიდხანს გაატაროს დუ-
მელში და უხარისხო გამოვიდეს. უფროსად
წყვეტს მფოლადის ადლო, მიხვედრილობა, ნი-
ქი. ეს უკანასკნელი ალბათ ისე არხად არაა სა-
ჭირო, როგორც ფოლადმდინებელობაში. რა
თქმა უნდა, ზეღოვნებას არ ვგულისხმობ.

თითქოს მივაგენი!
ლაბორატორიაც მიდისტურებს, კარგიაო. შე-
იძლებაო ვაშევაო.

უკრონიკაცი შოლის. გულჯიბიდან სათვალეს
იღებს და ანაზანს შეიჭურებს. ალბათ დროაო,
მინიშნებს. მთავარი მაინც მე ვარ: მე უნდა ვა-
დავუწყუტო.

ქაშაქაშეილია გამოიარა, მაგრამ ჩემამდე არ
მოსულა. ამიტომ ფანცულაისთან შეჩერდა,
რადაც უთხრა და უწყვეტი ჩამოსხმის დანადგა-
რისაკენ ვაეშარათა.

კობები რომ ჩავთავე, მაშინ მოვიწმინდე
ოფლი.

არ ვიცი, როგორი შედეგით დამთავრდება
დღე. საბოლოოდ დასკვნას სამარკო ლაბორა-
ტორია გამოიტანს, წუნი არ უნდა იყოს. შეევე-
თალი თუ არ იქნა, შეიძლება სხვა მარკაში ვა-
დაიყვანოს.

მაგრამ საგანგებო დავლება?

დღეს არ მოვედება — ზეღო მოვედება. ზევ
მოვედება. არ შეიძლება არ მოვედლოს.. ფაქრი
არაა..

რატომ მაინცდამაინც ცუდი უნდა ვიფიქრო?!
ამიტომ, რომ დაუყაროფილებლობის ვრძნობა
მაქვს.

კაცი შესაძლებელს უნდა აეთებდე და
შეუძლებელზე ფიქრობდე.

საშეთა სარკმელთან ვედა ვივიბერიაას წამო-
ვეწიე. ქართველ მებტალურგთა პირველ თაობას
ეკუთვნის, საუცხოო ოსტატია.

საუბრით ვაფუყვეთ ვზას.

ერთი-ორი ანეკდოტი მიიხრა და გული ვადა-
მწმინდა. თითქოს არაფერი მაქვს სადარღებე-
ლი, მაგრამ მაინც...

აიტობისზე ვასელა არ დირს. ცვლა დამთავრ-

და და ბევრი ხალხი იქნება. შით უმეტეს, რომ
ქარხნის მოედანზე ტროლეებზე დგებდებო,
გზატყვილობს ორივე მხარე მწვანეშია ქვე-
ლული. საერთოდ, ქარხნის ტერიტორია ბადივით
გამოიყურება, პირდაპირ ტყეა გაშენებული —
წიწვოვანი. ფოთლოვანი, ბევრგან ხეხილიცაა.
ეტყობა, რომ კეთილმოწყობის საამქროს უფ-
როსი, დავით ლლაძე, მებტყვეთა, საქმიანი და
განათლებული კაცი.

სამსხველო საამქროს იქით სათბურებს აშე-
ნებენ ბოსტნეულისათვის. კარგი საქმეა, მაგრამ
ასევე შეუძლია ქალაქსაც: სითბოც გვაქვს, წუა-
ლიც. ხელის განაჩრევაა საჭირო. და მაშინ მთელ
წელიწადს გვექნება ბოსტნეული...

მოვლანზე არც იმდენი ხალხია, რომ გვეგონა.
ეს ბუნებრივია. ვინც ზუსტად ოთხზე ათა-
ვებს, უკვე წაივია. ჩვენ, ასე ვთქვათ, მძიმე წო-
ნის პროფესიის ადამიანებს. მოვეიანებით ვეიხ-
დება აგრეგატების დატოვება.

ტროლეიბუსში უსხდებით.

შინ არავინ დამხვედრია. ბავშვები ეწოში
არაიან, ალბათ, ლილიც სადღაც ვასულა.

რადა ეს მეტირებოდა! რომ იყოს ვინმე,
ვუღს ვადავაულებო. ახლა კი ისევე ჩემს ფიქ-
რებში უნდა ჩავიკეტო.

საბედნიეროდ, მთელ დღიერება ზარი: ნელი
ჩამოვიდა, ჩემი ძმისწული. ქიშიურ-მებტალურ-
გოულ ტექნიკუმში სწავლობს და სოფელში
იყო წასული. კაი გოგოა, მაგრამ ჩაჭრიაწობა
დაატყო: დედა პუჯას ავად კიბოთი. ვინ იცის,
მართლა კიბოა თუ არა! რასაც ვერ ზეღებთან,
ან ვერ არჩენენ, უველიფერს კიბოს ეძახიან.

დიდხანს არ უმხედდნენ. მოვრჩიბო, ეგონა.
ერთ პროფესორს უთქვამს ახლა, ნაწლავების
კიბო ვაქვსო: ვერ მოვარჩენ, მაგრამ სიცოცხ-
ლეს ცოტახანს ვაგოვრძელებო.

ვანა შეიძლება ასეთი რამ უთხრა ავადმყოფს?!
ამ პროფესორმა ვაუგვრძელა თუ შეუშოყლა
სიცოცხლეთ?

მე მგონია, რომ შეუშოყლა. მის შემდეგ ჩავ-
რით ვაშრა ქალი, ჩამოდნა.

ბზირად სწორედ ასეთი მყურნალები დუპა-
ვენ კაცს.

რუსთავის მთავარი თერაპევტი, დამსახურებუ-
ლი ექიმი პეტრე ახლამე ბევრს ელაპარაკება
პაციენტს, მრავალ ახსნა-განმარტებას აძლევს
სნეულებიან გარემოში, მაგრამ არასოდეს სა-
ზიანო არ ეტყვის. ცნობილია, რომ ექიმის კარ-
გი სიტყვა წამალზე უფროსია ზოჯერ.

აქამდე კიდევ მქონდა იმედი, ახლა სულ გა-
დაიწვიტათო, შეუზნება ნელი და უპეები უწყ-
ლიანდება. მეც მიჭირს მისი დანაშული ეუფუნა
თვალების ყურება. პირი ვიბრუნე და „უკა-
ნასკნელი ცნობები“ ჩავრთე.



წავიხსენო. მოღრუბლულ-მონაკრისფერო ცა. წყნარი, უქარო ამინდი. თითქოს სულ ასეთი სიმშვიდეა დღემიწაზე ოღრწობრო გორაკები. ვითომ გამოქვაბულისნაირიც.

რალაც სასაზღვო თუ შარავზის თალი, ვაწონებით შემოკაებულნი.

უფროდ გაისმა სროლა. ერთი, ორი წინ მტვრია. რა თქმა უნდა, გერმანელები.

არც უკან დასაბევი ვაქვს. ჩვენ არ ვისვართ რატომღაც. აღმათ ტუვია-წაშალს ვზოგავთ. მერე სულ მოქვდა ცეცხლი. ვარშემო მცველები დაყენეს. მაინც უნდა გავარდეთოთ ალუა. გავიქციეთ.

დაგვიწახებს და გვესროლებს. რალაც კედლისშავვარს ამოვეფარეთ. ახლა სხვა მხარეს ვცადეთ, მაგრამ ვერ ვავედით.

მერე ერთ გერმანულ ოქაზში მოვხვდით. ვუშინ რომ ვავეიშაპინქლდა. შუახანს მიტანებული ღაფღაფა ქალია. სიხარულით შევევებება. ჩვენთან თუ იქნებით, ვაღარჩებითო, ვეთხზა. მარტო არა ვარო, ვილაც უცხოებია, მაგრამ — ჩვენთანაა. სიკვდილს აქ ღარჩენა სჯობია აღმათ. მაინც არ გვინდა ვაჩერება. რალაც უნდა ვიღოთოთ...

გამომეღვაძა. რა კარგია, სიწმარო უფილას! აღმათ მოუსვენრად შეძინა: აქეთ — სამუშაო, იქით — რბალ!

მაინც რა არის ეს სიწმარო? ზოგი რას წერს და ზოგი — რას. დისერტაციები ისე ითხზება, როგორც სიწმარში ერთი ასეთიც უფილა: სიწმარის მიხედვით ვარკვევთო, როდის ვახლება ავად აღამაინი. რამდენი სიწმარო მინახავს, იმდენჯერ რომ ვუფილიუფი ავად!.. ზოგი ამბობს, რაზეც ფიქრობ, რაც გაწუხებს, ის დავესწმარებო ბუნდოვნად... მაგრამ ეს ქარი, ბრძოლა?..

საქმე ისაა, რომ არახოდეს არ ვუფილვარ სახმედროში, შაშხანაც კი არ მქვრია. რამდენჯერაც ვამომიძახებს, სულ ვადაწოვადებს მერე ასაკს ვადაეცილდი.

ერთხელ ვცადე ცოტა ხნით მაინც წავსულიუფი, ქარისცაცობა ვამომცედა. მივედი კომისარიატში და ვთხოვე კარგო, მითხრეს და შეტრებაზე ვამაქვს.

კადრების განუფილებში ვაფაფორმე, უფილი ავიდე. ვამოკარი ფუთა და მივედვარ. ლილიმ მიხზა, წადი, მაგრამ წერია მაინც ვამოგზავნე ხოლმეო (წერა მწმარებოდა მაშინ).

კომისარიატში მივედი. ბიჭები უკვე შეტრებოდნენ, ანეკდოტებს მუქვებან. მეც შევეტრებოდი და მიხარია, რომ ვავიფილი, თვალს წუალს დავა-

ღვივებ, არმიას ვავეცნობი, სამწმაროს დამცველთა რიგებს ვაწამაკცებ.

მაიორი ვამოდს და მუქვებდა: — ლომიც, შინ დაბარუნდები და სამუშაოზე წახვალ!

— როგორ?! — როგორ და ისე, როგორც დადიოდი.

— ამხანავო მაიორო, სამხედრო კომისარიატი სეროზული დაწესებულება მეგონა... რალაც მე აშილეთ სამახარაოდ?! — ხმა!.. ეგ შენს დირექტორს მკობხე: შარაქნიძემ დარეკა, მ-თანრიგიან შეფოლადეს რომ წავლეთ ზელი, სხვა ვერავინ ნახეთო!.. წაიყვანეთ, მაგრამ თქვენ მოდიეთ და ადნეთო ფოლადი!..

— მერე? — მერე ის, რომ მე არ ვიცი ფოლადის დნობა, ისევე შენ ადნი!

უურებამოკრილი დავბარუნდი შინ. ლილიმ სიცილი დამეარა: აღმათ ვაიგებს, რომ წერალებს არ ვამოგზავნიდი, და სამ თვეს რატომ უნდა მენერვიულაო.

მოდა, ახლა ეს საომარი სიწმარო საიდან ვაჩნდა! — მეც მოუსვენრად შეძინა, — მუქვებდა ლილი, — ვარა მეცოდება... მეც მეცოდება. ვარაც, მიშაც, ვავევებიც. მიშა ჩემზე უფროსია. სართიქალაში ცხოვრობს. ტრაქტორისტთა ბრიგადირია შეტრნეობაში. სამი გოგო მუქვს. უფროსმა საშუალო დამთავრა და ოქაზშია: სასწავლებელში ვერ წავადა დედის ავადმყოფობის გამო.

მეჭურჩის სახლაცო, არ დადიხარო. ამოდი, ღვიწო მაინც წადეო. თვითონაც უფლო ჩემთან საარულს: თუ შენ არ მოხვალ, არც მე მოვალე. მიშა მართალია. ერთი საათიც არ უნდა ვჯახ, მაგრამ მარტნეს ვარ ვადუოლილი.

არც ასე ვარგა!..

მეცოტა ქნა სამარყო ლაბორატორიამ? წუთი თუ არაა, არ დაეცემბ!.. მწელია, რომ თავიდანვე ათფისო ახალი ფოლადი: დრო და ვამოცდილება უნდა...

ერთი უცნაურობა დამჩნებდა: ვიდრე ქარახანში შევადოდე, უფოოდ უნდა ავხედო დირექტორის კაბინეტს. ახლა იქ ოთარ სულაძე ზის, მაგრამ დიდხანს იქდა სოლომონ შარაქნიძე, რომელიც წინა ხუთშაბათს მივაბარეთ საბურთალოს მიწას.

სოლომონ შარაქნიძე. ლამაზი სიცოცხლეო, წერდა ვაწეთი. მე დავუმატებდი: ვაფაფორიცი!

ნეკროლოგს ზელს აწერდნენ რესპუბლიკის ზელმძღვანელები, აგრეთვე შავი მეტალურგიის მინისტრი ივანე კახანეთი.

ბევრ სამეს ვაიგონებო მასზე — ავსაც და



კარგსაც. მე მხოლოდ კარგი მგერა. იმიტომ, რომ ასე ვიცნობდი თხოუმეტ წელიწადს.

უხვად ვაგებდა უნდა. ზოგჯერ, თუ კარგად ჩაუყვარდი, შეიძლება სიცოცხლე შემოხარუნდეს.

ძლიერი ღირებურობი იყო, მაყარი, მაგრამ — საქმიანი, ერთღირებულო. რა თქმა უნდა, ფულებს ტყუილად არ არიგებდა, ამასთან არც არავის აუღებდა.

მწიკველო, პატიოსანი, თანაც — თავისებური...

მეუა შედის თხოვნით, ბინა მინდაო. ის იღებს ქალაღს, ფანქარს, ხატავს ოთახებს და აქლევს. რასაკვირველია, მთხოვნელი ვანაწუენებულა. სხვა ღირებურობისთვის შეიძლება თავზეც ვადებოა ასეთი ფარატანი ქალაღი. მაგრამ მას ვინ ვაუბედვადა! სამწუხაროდ, იმ მუშაშ აღარ იციას, რომ სოლომონ შარაძენიემ დარეკა, სადაღ ჯერ არს, და ვიღაცას დავალა, აშა და ამ კაცს ბინის მიღებაში დაეხმარეთო.

ახალგაზრდა სპეციალისტი სობოვს, ცოლი შევირთე, პატარა ხელფასი მაქვს და შეტანზე ვადამიყვანეთო.

უვლას შეტი უნდა, ნაკლები არავის არ უნდა და და უვლათ რომ დავაქმყოფილო, ვინ მომცა ამის უფლებოაო, ეუბნება. როგორც კი ახალგაზრდა ვადის, კადრების ვანყოფილების უფროსს, აკავი სურავულამეს, ურტყავს: ესა და ეს კაცი ვამოიძახე, შეტხელფასიანი თანამდებობა შეურჩინე, მაგრამ არაფრით არ ავტანობინო, რომ მე დავავალეთო.

ერთი მუშა, პავლე კლანდაძე, ავარიასი მოჰყვა, ფეხი დაქარგა, პენსია დაინიშნა და ქარხნიდან წავიდა.

კარგა ხნის შემდეგ სოლომონი შეხვდა. ვამოკითხა, რას შერები, ცოლ-შვილი როგორა ვყავსო.

— ვმადლობთ, ბატონო სოლომონ, არა ვვიშავს, ვართ ღვითს წყალობით. მაგრამ მესამე ბავშვი შეგვეჩინა და სივარტეებს ვანიციდით.

— ღმერთს თავი დაანებე, ნუ აწუხებ. ჩემთან მოდი და ბინას მოგცემ.

ღამირდა და კიდევ შეუსრულა.

ხშირად ამბობდა: ათაქერ სქობია შეხირების ვარემე ვაუქოოს უფროსმა ხელქვეითს საქმე, ვიდრე მოატყუოსო.

მომთხოვნი იყო სხვებისადმიც, თავისთავისადმიც.

ერთი ინჟინერი დამიტტრა საამქროში, რაღაცას წამოღო ფეხი. სასწრაფოში დააწინეს. სოლომონმა იხანულა, წუგეში სცა, მაგრამ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევისათვის საუვედური ვამოუცხადა პრამენით. თვალები უნდა ვავებოლო.

ჰოდა, უველა მაღლიერი არ ეყოლებოდა. შეუძლებელიცაა, რომ ხელმძღვანელს უველა

მაღლიერი ჰყავდეს. მაშინ საერთო-საწაღბო საქმეს ზიანი მოუვა.

ბოლო ხანებში ვადიდალა, რაბა, რაბა — ექმე-ბოდა, ღღე და ღამე ვატხილს მჭონდა! მჭაჭონ იყოდა, ღამის რომელ საათზე ვადგებოდა საამქროებს...

გულს უჩიოდა. მაჭაზე წენვამოში ეკეთა. სავადამყოფოში დაწვენდენ, ის კი ქარხანაში აპარებოდა. ჩემი საქმე მე ვიციო, იტყოდა ხოლმე, როგორც ჩანს, არ იყოდა არ იყოდა, რომ უბედურება უკველ წუთს ევლოდა. ექიმი ვარ და ვტანობი, რაც შემეძლო, ვუფრთხილდებოდი, ვეუბნებოდა მერე სოლომონის შეუღლე ეთერ უჩიწვილი...

რუსთავში რომ ვადავედით და მარტენის საამქროს უფროსად დაიწყო მუშაობა, ვამადრთხილა: შეიძლება ვინმეს საქმე მქონდეს, რამე მოვტანოს და არ ვაბრიყვედ, არაფერი მიიღოო. ვასაკეთებელი თუა, მაინც ვავაკეთებო. თუ არ შეიძლება, მაინც ვერ ვავაკეთებო. კაცს თუ რამეში დაეხმარე, არცაა საქობო, რომ იყოღებსო. სქობია ჩემს საქმეში არ ჩაერთოო...

არც ვერეოდი. თუ რამე ვინდათ, თვითონ მოკითხეთ-მეთქი, ვეუბნებოდი უველას. მიმიხვდენ და აღარ მაწუხებდენ.

სულ პირველად კი ერთი ინჟინერი მოვიდა. ეკირა იყო და სოსო მეორე ოთახში ისვენებდა.

ინჟინერმა ბოთლი არაყი ამოიღო და მაგიდაზე დადგა, სოფელში ვიყავი, კარგი ჰაჭაა და სოლომონ ბატონმა ვასინჯოსო.

არაფრით არ ვიტოვებდი, მაგრამ პირდაპირ დადგა მაგიდაზე და წავიდა.

სოსოს მღვიმეშია, საუბარი ვაუკონია და ხმაზე უყვინა.

ვამოვიდა, დაავლო ხელი ბოთლს და ვაიტანა იყვანზე. კიდევ ჩაათავა ინჟინერმა კიბე, კიდევ დაეფუნა ბოთლი ფილაქანს: მაგან მუშაობა ჩამიშალა, მოსახხნელია და ახლა არაყიც მომარტავო!

როცა მარტენის რუსთავის ქალაქკომის პირველი მდივანი ზურაბ ჩხეიძე წესტაფონის ფეროშენაღობოა ქარხნის ღირებურობად მუშაობდა, გულის ინფარქტი დაემართა. ექიმებს რაღაც წამალი ვამოეწერათ და ვერ ეშოვა. სოსომ ვაიკო, მთავარ აფთაქს მოატანინა და ინჟინერი მისე კენამე ვაგზავნა წესტაფონში, იმდენად წამალშია კი არა, შენმა დანახვამ მომარჩინაო, ეთქვა ზურაბს...

ამ ფიტრებში ვიყავი, როცა მარტენის კიბეზე ავაბიჭე.

სადისპეტტეროდან ქაშაყაშვილი ვამოვიდა. შორიდანაც ადვილი საცნობია: წამთარ-წაფხულ ცინფერი კურტაკი აცვია და ექი ახურავა. გულისქრობი ფერადო სათავადე ეღვეს, ფულა

დის ფახფახს რომ შეხედოს უკვეღ წუთს. სა-
შუალოზე ცოტა დაბადა, სამაგიეროდ — ჩაფ-
სკენილ-ჩამკვრივებული.

მეორე ღუშელისკენ გაემართა, მაგრამ, თვა-
ლი რომ მომკრა, გადმოფიქრა და ლიანდაგი
გადმოსტკრა.

ნეტა როგორია გუშინდელი ნაღობი? რა
დაასკვნა სამარტო ლაბორატორიამ? გურამს
უკვე ეცოდინება. მან უველაფერი იცის. მახ-
სენდება მისივე სიტყვები, კრებაზე რომ
თქვა სამკროს უფროსად დანიშვნის მეორე
დღეს: სანამ შევძლებ, უნდა ვიმუშაოთ. კი-
დეც მუშაობს!.. ზორხს როდი ატანს ძალას.
ღამიღვასაც ერიდება. კაი სიტყვით მეტს
აუთებს.

თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, ჩვეუ-
ლებრივ შეხალდება. ასევე განაგრძობს:

— გუშინდელმა ნაღობმა არ იფარგა. იქნებ
დღეს მაინც იფარგაოთ! მახალბეზე ვიჭრუნე.
ახლა მოვიწერებს თუ არა, არ ვიცი. მაინც
სცადე!..

— წუწია? უშევეთო?

— არა, სხვა მარკაში გადაიყვანეს.

ამოვიხუნტე.

კიდევ კარგია!

შეძლება სულ უშევეთო უყოფილიყო. უცა-
დუ შერე, როდის მოვა იმ მარკის მოთხოვნა,
რომ ვინმეს მიაწოდო და გაასაღო კიდევ
ფარესი, თუ წუწი გამოვიდა: ორახი ტონა ფო-
ლადი ჭრთად უნდა დაქრა და ხელახლა ჩაბ-
რუნო ღუმელში... ოფლი, ჭაფა, ნერვულობა,
გეგმა — პრემია — ყველაფერი წვალში გა-
დაიყურება!..

მოდა, კიდევ კარგი, რომ ასე არ მოხდა!
ბიჭებს ეწყინათ, მაგრამ ურრები არ ჩამოუ-
ყრიათ. თავიანთ თავში დაჭერებულები
არაან. დღეს არა, ზვალ ავითვისებთ. არ შეი-
ლება არ ავითვისოთო, მეუბნებიან და მაგა-
ლითად მთვარეშავალი მოხუავთ: დახე, ის რას
შვრებაო, და ჩვენ ერთ ღუმელს ვერ მოვუ-
ვლითო!..

მაგრამ მეტალურგებმა ხომ ბევრი რამ თვა-
ლით, აღლოთი, გუშინით, ზელოთ უნდა ვაქე-
თოთი და აუბათ ასე გაგრძელება დიდხანს.
ავტომატიკა ძალიან ნელა იწერება, ისე ნელა,
რომ არავინ იცის, როდის შეეხება მარტონულ
პროცესს!

ეს კი არა, ქარხნის რეკონსტრუქციაც კი-
ნურდება. წარმოების წრდა იმდენად არაა
გათვალისწინებული. რეკონსტრუქციის გაკე-
ნურება, უკვე ახდენს გაფენას: ჩამორჩება სა-
მიქსერო განყოფილება, ასევე ვაწრო ადგილია
საკაშზე ეწო, რომლის გაფართოებას ბოლო არ
უჩანს.

ახლაც ერთდროულად დაიწყო ჩატვირთვა
რამდენიმე ღუმელზე და საკაშზე ეწომ ვერ

მოსწრო. ბრიგადირი აღიოწა ცუდადღე
ღაფა, ნერვიულობდა, მაგრამ რა გეგმა, მისი
ბრალი კი არ იყო... მთელს მარტონულს
ტუთილად დეკარავთ. არავინ იცის, როდის
მოიგებს ამ საათს, თუ კიდევ წააგებს სადმე!..

ბიჭებს ჭერ ის ეწყინათ, რომ გუშინდელმა
ნაღობმა გვიმტუნა. ახლა ჩატვირთვაც გა-
გრძელდა... ტელმან ნოხაზე ვეფხვივით დაბო-
ტებს ფართოტოტებიანი შარვლით, მაგრამ რა
ქნასი მას უკვე შეუძლია მეფოლადეობა, საკ-
შაო გამოცდილება დააგროვა... მეორე ხელ-
შეშწრობი რეზო ოჩხიკიძე უფრო ახალგაზრ-
დაა. ის კი არა, პარტიანი ბავშვია ჩვენთან შე-
დარებით, მაგრამ თავნატუნული ავითებს საქ-
შეს. არც არაფერი შეეშლება.

— ეს დღევ აუბათ კვიშათიანი იქნება! —
მეუბნება რეზო და ოფლს იწმენდს.

— ჩვენზეა დამოკიდებული, — უახილად ვა-
სუხობ, თორემ მეც კარგად ვიცი, რომ ასე
იოლად ვერ გავალთ.

უუფერებ რეზოს წვრილ წეღს, თოთო ხახე-
სა და ქაქლა უღვაშებს და სითბო — პარტი-
ვისციქითა და სიბრალულით შეზავებული
გრძნობა მეუფლება...

ისევ და ისევ არ გამოგვიდის.
ჩატვირთვაც დავაგვიანეთ, თუკიც ცივი მო-
იტანეს.

ფაქტიურად უთუჯო, ჭართული პროცესია.
ესე იგი სულ სხვა, ვიდრე ინსტრუქციით გვე-
ვალდა.

გუშინდელი კირქვის ამბავი გაირკვა. თურმე,
სადაზლოდან მოიტანეს ჩვეულებრივი ქანა, კი-
რისა და დოლომიტის სამკროშიც გა-
მოწვეს და მოგვაროდეს! თეთრი კი იყო!..
საკვირველია, სულაყო კალანდაზე, სამკროს
უფროსი, გამოცდილი კაცია და ასეთი ღაფესუ-
სი როგორ მოუვიდა ეტუობა, კარიერს ენდო.
მაგრამ კონტრაქტია საჭირო. უნდა ვიცოდეთ,
ხად და ვის ვენდოთ. ხომ ნათქვამია, ენდო,
მაგრამ შეამოწმო...

დიმიტრი ბარათაშვილი მოდის, პარტიუ-
რის მდივანი. მდგომარეობა აინტერესებს. არა,
ყველა ღუმელზე როდია ცუდად საქმე, მაგრამ
უყუთისაა საჭირო.

ჩემი ღუმელი როგორააო, გვეყოფება და
მართალიცაა: ადრე დიმა ბარათაშვილი იყო
ბორის შენაძის სახელობის კომპაენირულ-
ახალგაზრდული მეშვიდე ღუმელის ერთ-ერთი
მეფოლადე.

ღუმელზე ოთხი ბრიგადაა, ოთხივე — კომ-
პაენირულ-ახალგაზრდული, მაგრამ ერთი უ-
ველოვის საგარეოა, რომელსაც ბელმძღვანე-
ლობს მოწინავე კომპაენირული ან პარტიის
ახალგაზრდა წევრი. ჭერ მე ვიყავი ასეთი მე-
ფოლადე. მერე ეს მისი დიმიტრი ბარათაშ-

ვიღს გადაჯანსაღებ, კარგა სახელებისაც იყო. უფროსს პირზე ეყვრა მისი ვარი... საჩუქრის რაიონის სოფელ ორგულშია დაბადებული, მაგრამ საქმის ერთგულია მუდამ... მოდა, ვაღმობდილი გადავიდა პარტიულ სამუშაოზე, ღირსეულად უღვახ სათავეში შემართენ კომუნისტებს...

ახლა იური მარგალიტაძეა ჩვენი წარმომადგენელი. მეფოლადები იური გურგენიძე, ერთა მუშაობა, თენგიზ სარკისოვი, ასე ვთქვათ, ასაკგადაცდობული ახალგაზრდები არიან. ასევე ვარ მეც. მაგრამ ეს „ასაკგადაცდობული“ ცუდს კი არაფერს ნიშნავს. იურის გურგენიძე, მავალითად, კომუნისტური შრომის დამკვირვებია, ოცი წელი მარტენში მუშაობს, ცოცხლთვის გააქვარბებით ასრულებს დავალებებს. ასევე წარმომბენ სხვებიც. მაგრამ კომპაგნიორული ასაკი კარგა ხანია გაუფიქრა. ამიტომ ხელშემწყობს ერთად ზედმიწევნით იურს ახალგაზრდა მეფოლადები წარმომადგენელი უფროსად — ყრილოპაბეჭუც, კონსტანტინოვიც, კომპაგნიორის ცეკაშვილი... კარგად ადუთებს ამას იური მარგალიტაძე და სახელიც დაუშვადლებელი აქვს.

მეტადურგათა უფროს თაობას, ოცდაექვსეში დაბადებულს, კადრს რომ ვეძებოთ, სიბერე შეეპარა, ახალ თაობას გამოცდილება აქვია. ჩემი ტოლები მათ შუაში არიან. ამ სამი თაობის შეხამება საჭირო, მაგრამ ეს არც ისე იოლია.

ღამა უკმაყოფილოდ აქნებს თავს. გვემას ვასრულებთ, მაგრამ მაინცდამაინც რიტმულად ვერ ვმუშაობთ. კომპაგნიორული დუმების ვალდებულება კი საკმაოდ სოლიდურია მიმდინარე წელს მიეცეთ თანობით ტონა უოლადა გვემის გადამეტებით, გამოუფუშვით მხოლოდ შევეყოთ, დუმების მდგარადობა ავიყვანოთ 400 დანამადე, წინა შევამცაროთ ოცდახუთი პარტიუტით, ტონაზე ვაწყოთ კოლოგრაში პირიბითი სათაობის ეკონომია, ვიმუშაოთ შახათობებსა და კვარაობებზე წამ კაცსათით.

სამუშაოს შემდეგ გამოვიარეთ, უწყისზე ხელი მოაწერეთ. მეუბნება ღამა, გუშინწინ საწერეთ გადავიხადე, მაგრამ ვერ მოვიცადე პარტიუტოში მივსულიყავი, დუმელთან მივიდა ფული.

ძნელია ჩვენი პრობლემა, ძნელი, მაგრამ სწორედ ძნელ საქმეს მოსდევს სახელიც, დიდებაც, კაცობაც. კაცობასთვის ბრძოლა კი ადამიანობის მოთავსი ნიშნითვისება.

კადრების ავორ კურჩატოვს, სამუშაო ატომურა ენერჯის მანას, კვიტებს, რა უწყობსო ხელს მეტნიერს აღმოჩენაში. სიძნელეებია, უხასუხია...

მწვეთა აშობს. ერთი უფროსა ჩავიდა რაიონში, გზაზე გლენს წამოუწრათ. ჩაბნათ, რაიმე სიბრძნეს გვეჩვენოს. თქვა უფროსმა, „მნათობი“, № 3.

ცოტა რომ ვიარებს, მაქანამ ქუჩაზე დიწყო, გაფუჭებული იყო გზა.

— ნეტა ამ რაიონს პატარა რაიონი ვთქვამს? — გაუფრებით იყიანა უფროსი.

— როგორ არაო, შენვეს რაიონის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე... — უხასუხა გლენსა.

— შერე მათ თავი არა აქვთ, ამ გზას ვერ გააკეთებენო! — თავი, ბატონო, ლერსმანსაც აქვს, მაგრამ, თუ ჩაქუჩი არ დეკარი, არ ჩავთ... ეს მწვეთია გინდა?

არის ასეთი ბიჭი მარტენში.

როცა პირველად მოვიდა, დუმელთან მივიყვანეთ. ვითომ ივაყავა და ცოტა წედმეტად მეთაბლოვდა. კინაღამ სახე დავწვია: იყვია, ეს რა მზე უოფილაო. ახლა მწვეთიას ვეძებოთ. მგზობელ დუმელზე, მართალი და პირში მთქმელი. არც შეიწვეს რამეს, არც შევაწვეს. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რიდი არავის აქვსო. მაგრამ, როცა დასკირდება, ისე ლამაზად გამოვალთავს განაკილავს, თქვენი მოწონებულის.. ზოგჯერ კრებარეც მისი იმედი გვაქვს. არც ჩვენ ვართ სუსტნარგებიანი, მაგრამ მაინც... არის ზოგჯერ ასეთი რამ... უფელადურზე იქნებ ვერ მახადე კაცს პირში სიტყვა იმას უყუთ ვამოუფიქრებ.

კინოთეატრ „რუსთაველის“ გვერდით ვცხოვრობ — ხალხთა შეგობრობის პროსექტი, 10. ძველი აშენებული სახლია, ჰერმადელი. არც ისე დიდი ფართობის ორთაბიანი ბინა მაქვს. ოთხი სული ვართ, წელი მესუთია.

შეაძლება, გაფართობა მოვითხოვო, მაგრამ ვანცხადებაც არ შემიძლია.

ჭერჭერაბით არც შევიტან...

— მანანა, გაუფიქრებოთ მოაწადე? — ვაკითხები მეოთხეკლასელ ქალიშვილს.

— დიას... მასხიობს და წიგნებს მიოვლებს მუხლისთავზე: თვალი ადევნე და მოუყვებო.

ეცოვინება, რომ არ იცოდებს, მეტყობდა, კოდვს გაივიტორებო. აღარცაა საჭირო შეწონებმა, მაგრამ, რაკი ვუთხარი, უნდა მოვუწმინო.

ქართულში აქვს „კოსმოსში გაფრენა“, იბტორაში — „გმირი ქალაქები“.

მანანამ გაუფიქრებო იცის.

უნდა ივარგოს, თუმცა ფოკუსარად ცოტა სუსტია. უკვ სთვალეს ატარებს, არც გული აქვს საღი, რა ეწვით, არაფერს ვაკლებთ — ქაშას, ჩაცმა-დახურვას, მაინც არის ერთი ვარემობა: გადატვირთულია — სკოლა, საშინაო დავალებები, მუსიკა...

მართალი არიან პოლონელი ექიმები, როცა მოსწავლეს მძიმე ფიზიკური შრომის ადამიანს ეძიებან.

შოელი დღე რეკლამენტობულია. დილით, გამოძინებული არაა, წამოავდებს ზეზე, სწრა-

ფად ეწოდება, საუწმესაც ვერ უნახს, მადა არა აქვს. მიდის სკოლაში. მერე — მუსიკა, ხანა-ნათი დაუღლებები... პირადი ცხოვრებისათვის დრო აღარ რჩება. რამდენიმე საათი მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ გამოიყენონ სათამაშოდ. განსართობად.

ჩვენ შედეგზე გრძელი სასწავლო წელი გვაქვს მსოფლიოში — 210-დან (დაბალ კლასებში) 230 დღემდე (მაღალ კლასებში). მაშინ, როცა პოლონეთშია 204 დღე, ბულგარეთში — 198, საფრანგეთში — 180, ამერიკაში — 175.

აღმათ საქართველო სართიკლასში ავიყვანო ზოდუნე ბავშვები. მაინც შემდურებს სახლკაცო, არ დიდხანსო. მანანას დამრიგებლის, ვენერა გიორგაძის, შენიშვნაც უფრადსაღებია. ოთახში წუ ჩაკეტავო, უფრო მეტად პაერზე იყო. სო, აივანზე იმეცადინოსო.

ლილი მოდის, ბავშვები თუ შეამოწმეო.
— გოგო შევამოწმე, ასლა აღიკოს გერია.
აღიკო იგივე აღეკანდრეო. მამაჩემის სახელი დაეარქვა.
თითქოს კლასში იყო, ხამაღლა, რიხით იყვებ:

— დიდი მებაღე. მოსკოვის ახლოს, ქ. კოვლოვის განაპირა უბანში, ცხოვრობდა თვრამეტა წლის ბიჭო, ჩემზე ათი წლით უფროსი. ივანე მიჩურინი... ვაშენა ბაღი, გამოიყვანა მშობლები გიში და გაეარცელა... ქვეყანა ააუყვანა... 80 წლამდე იცოცხლა...

ზოგი რამ გამოჩნა, კიდევ გაიშეოროს. ლილიმ ისევ მოიტანა სასწორბედი. პოლიტმოსკოვის კედლის ვაჭრის რეცეპტების წერია, სამჭერ უშვებენ თვეში. რა მენაღვლებო, გამოიყვანა... მარამ... სწორედ, რომ მენაღვლებო: წერილებს მასწორებინებენ.

„...თავდაპირველად წელთაღრიცხვა და დასაწილება მთვარის მოქცევასა და სხვაზე იყო დაფუძნებული, ამიტომ მრავალ ენებში „თინის და მთმარის აღსანიშნავად ერთიდაიგივე სიტყვა, სახელდობრ მთვარის სახელი იხმარებოდა. მეგრულსა და ქანურში ამნიარსვე მოკლენის არსებობა... უფლებას აძლევს შეკლევას დასკვნას, რომ თავდაპირველად სამწარლობო ქართულსაც მთმარის და თინის აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვა „თთთა“ უნდა ჰქონოდა... შემდეგში, როდესაც მთმარის სისტემის წელთაღრიცხვის (ე. ი. კალენდრის, რ. პ.) მამირი მისი სისტემის აღრიცხვა შემოვიდა და თვე და მთვარის მოქცევა უკვე ერთმანეთს აღარ უფლებდნენ, თვისა და მთვარის ცნებათა დიფერენციაციის გამო მოსთხოვილენა წარმოიშვა, რომ თვისა და მთვარის ცალკეულ აღნიშვნად სახელები ჰქონოდა, რადგან „თთთა“ დროთა განმავლობაში უკვე „თთთა“-დ ქცეულა, თვის ცნებას დაუფუძნებდა. მთათვის აღსანიშნავად ენის მიმდგობა „მთმარის“ გამოუყენებია. ამგვარად მთმარის პირველად სახელად ქართულში „თთთა“ უნდა ყოფილიყო.“

„აღსანიშნავია, რომ ძველი ეგვიპტელებიც მთვარის დეოთებას და თვის „თთთა“-ს, ან „თთთა“-ს უწოდებდნენ.“

ამგვარად, მთვარისა და თვის ცნებათა დიფერენციაცია, ივანე ჯავახიშვილის აზრით, უნდა გარჩეულიყო საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემიდან მის კალენდარულ სისტემებზე გადასვლისას. ე. ი., ივანე ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში თავდაპირველად მთვარის კალენდარული სისტემით სარგებლობდნენ, ხოლო გარკვეული დროიდან ქართველები მის კალენდარულ აღრიცხვაზე გადასულან. მაგრამ როდის შეიცვალა მთვარის კალენდარული სისტემა მის კალენდარულ სისტემით საქართველოში? ამ საკითხს ივანე ჯავახიშვილი არ ეხება. ეს საკითხი კორნელი კეკელიძემ განიხილა და საკუთარი საფუძვლით თვალსაზრისი გამოთქვა (ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი).

როგორც უკვე ცნობილია, თვის ხანგრძლი-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი 1928 წ., გვ. 121, 122, 124; იხ. ივ. კეკელიძე: ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950 წ., გვ. 167-168.

ვობა შპის კალენდარული სისტემით ან 80 დღიანია (ძველი ეგვიპტური და „ალექსანდრიული“ კალენდრით), ან 80 და 81-დღიანია (იულიუსის კალენდარით); დროის ეს სიდიდეები არ შეესაბამებოან მთავარის თვის რეალურ ხანგრძლივობას, რადგან თვის ხანგრძლივობის სიდიდე მთავარის სრბოლაზეა დაფუძნებული.

დედამიწის ირგვლივ მთავარის ერთი ვარშემოქცევის დროის შუალედი ერთი თვეა. მთავარ ერთ ვარშემოვლას დედამიწის ირგვლივ 27,32 დღე-ღამეს ანდომებს (ანუ დაახლოებით 27 დღე-ღამეს, 7 საათსა და 43 წუთს, დროის ამ შუალედს სიმძარალი ტიპი ეწოდება. ეს, შეიძლება ითქვას, თვის აბტრონომიული სიდიდეა. მაგრამ მთავარის კალენდარული სისტემა სარგებლობს თვის არა აბტრონომიული, არამედ კალენდარული სიდიდით.

მთავარის ცაზე მოძრაობის ხილული სრული ერთი ცკლი, ანუ დროის შუალედი ახალ-მთვარეობიდან ახალმთვარეობამდე, ან ხანგე-მთვარეობიდან ხანგე-მთვარეობამდე 29, 53 დღე-ღამეა (29 დღე-ღამე, 12 სათი, 43 წუთი). დროის ამ შუალედს სინოდური ტიპი ეწოდება.

სინოდური თვე დროის ძირითადი კალენდარული ერთეულია მთავარის კალენდარული სისტემაში. რადგან თვე დღე-ღამეთა მთელ რიცხვს უნდა შეიცავდეს, ამის გამო მთავარის კალენდარულ სისტემებში თვის ხანგრძლივობა 29 და 30 დღე-ღამეა თანმიმდევრულად. მთავარის წელიწადი ექვსი თვე 20-დღიანია, ხოლო ექვსი თვე 30-დღიანი. შპის წელიწადით კი, როგორც უკვე ითქვა, თვის ხანგრძლივობა ან 30, ან 31 დღე-ღამეა. ამრიგად, მთავარის წელიწადის ხანგრძლივობა $(6 \times 29) + (6 \times 30) = 354$ დღე-ღამეა. ფაქტურად მთავარის წელიწადის ხანგრძლივობა $29,53 \times 12 = 354,36$ დღე-ღამეა.

ცხადია, მთავარის წელიწადის ხანგრძლივობა (354,36 დღე-ღამე), რეალურ ანუ ტროპიკულ წელიწადზე (365,2422 დღე-ღამე) ვაცილებით ხანმოკლეა.

მოუხედავად ამისა, უძველესი დროიდან, დროის აღრიცხვა მთვარით ხდებოდა. აღმოჩნდა (ნინეთი, ინდოეთი, შუამდინარეთი და სხვ) და დასავლეთის (საბერძნეთი, რომი და სხვ.) ძველი ცივილიზაციის ხალხები მთავარის კალენდარული სისტემებით სარგებლობდნენ. ამის გამო, რომ მთავარის წელიწადი შპის წელიწადზე ხანმოკლე იყო, დროადარო, მთავარის წელიწადის 12 თვეს უმატებდნენ მე-13 თვეს. ბაბილონში მე-13 თვედ მინიჭებული იყო მეორე ულუწი ან მეორე ადარი; ებრაულ კალენდარში მე-13 თვედ ვიადარი ითვლებოდა; ინდოეთში ადკამასა; საბერძნეთში მეორე პოსეიდონი ან მეორე სკირაფორიონი; რეტორმაშედელ რომში მერცედონიუსი და ა. შ. ე. წ. მთავარის კალენდრით წელიწადში ხან 15 მთავარის თვეს ანგარიშობდნენ (ასეთ

შემთხვევაში მთავარის წელიწადი 354 დღე-ღამეა), ხან კი 18 მთავარის თვეს (ასეთ შემთხვევაში მთავარის წელიწადი $18 \times 30 = 540$ დღე-ღამეა). ამგვარად, დროადარო მთავარის წელიწადი ნაკიანია და 354 დღე-ღამეს ითვლის. რამდენადმე განსხვავებული იყო მხოლოდ რომაული მთავარის კალენდარი, რის შესახებ უნდა ვთქვათ.

ცხადია, ნაკიანი წელიწადის მეშვეობით, მთავარის წელიწადს წელიწადის რეალურ ხანგრძლივობას უფარდებდნენ. თავდაპირველად ეს შეფარდება: ხდებოდა მთავარის 3-წლიანი ცკლით: ორ წელიწადს იანგარიშებოდა მთავარის 12 თვე (354 დღე-ღამე), ხოლო მესამე წელიწადს (მთავარის 13 თვე $(354 + 30 = 384$ დღე-ღამე). სულ ხამ წელიწადს 37 მთავარის თვეს ანგარიშობდნენ $(12 + 12 + 13)$, ე. ი. $354 + 354 + 384 = 1092$ დღე-ღამეს.

მთავარის წელიწადის 3-წლიანი ცკლით წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა $1092:3 = 364$ დღე-ღამეა. თქმა არ უნდა, მთავარისა და შპის წელიწადის ეს შეფარდება ზუსტი არ იყო.

ძვ. წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ბაბილონსა და საბერძნეთში შემოდებულ იქნა მთავარისა და შპის წელიწადის 5-წლიანი ცკლი. ამ ცკლით 5 მთავარის წელი 12-თვიანია, ხოლო 3 მთავარის წელი 13-თვიანი. ამიტომ 5 წელიწადს უნდა ვიანგარიშოთ $12 \times 5 = 60$ მთავარის თვე, ხოლო 3 წელიწადს $13 \times 3 = 39$ მთავარის თვე. სულ ტროპიკული ანუ შპის წელიწადის 8 წელი $60 + 39 = 99$ მთავარის თვის ტოლია. 8 ტროპიკული წელიწადისა და 99 მთავარის თვის ტოლების სიზუსტე ვაცილებით უკეთესია, ვიდრე 3-წლიანი მთავარის ცკლი. მოუხედავად ამისა, ეს ტოლობაც ხანგებით ზუსტი არ არის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 8-წლიანი ცკლით ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობა 365,25 დღე-ღამეა, ხოლო სინოდური თვის ხანგრძლივობა 29,535 დღე-ღამეს შეადგენს. მაგრამ, იმის გამო, რომ სინოდური თვის ხანგრძლივობა ფაქტურად მეტია და 29,53 დღე-ღამეს შეადგენს, ამიტომ 8 წლიანი ცკლის ტოლობაც ხანგებით ზუსტი არ არის. 8 წლის მანძილზე სხვაობა ტროპიკულ წელიწადსა და მთავარის წელიწადს შორის 1,58 დღე-ღამეს შეადგენს; ორი 8-წლიანი ცკლის შემდეგ სხვაობა 3-დღე-ღამეს მიაღწევს.

შპისა და მთავარის კალენდარულ სისტემებში ვაცილებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა 19-წლიანმა ცკლიმა ანუ შპისა და მთავარის კალენდარულმა 19-წლიანმა ტოლიანმა. ეს ტოლობა მტრონის ცკლის სახელითაა ცნობილი.

საბერძნეთში ამ დროს ხმარებაში იყო მთავარის კალენდარი. ძველი ბერძნები თვეებს მთვარით ანგარიშობდნენ, მაგრამ წლის ხანგრძლივობას ვიანგარიშებდა მთით ხდებოდა. აი-

ტომ საქრო ეო დროის მთვარით ანგარიში წლის რეალურ ხანგრძლივობასთან შესაბამისობაში უოფილიყო.

432 წ. ძველი წელთაღრიცხვით, 87 ოლიმპიადაზე (86×4=344; 776—344=432 წ., ძვ. წ.) ბერძენმა ასტრონომმა და მათემატიკოსმა მეტონმა ათენში გამოაქვეყნა მთვარისა და მზის წელიწადის 19-წლიანი ციკლის ტოლობა. მეტონის ციკლით მზის წელიწადის ხანგრძლივობა დაახლოებით 365,25 დღე-ღამე შეადგენს. ამ ვარემოებას, ცხადია, მნიშვნელობა ენიჭება ამ თვალსაზრისით, რომ მეტონის 19-წლიან ტოლობაში წელიწადის ხანგრძლივობა მზის არა მშობრავი წელიწადის არამედ მზის შტრახვი წელიწადის ხანგრძლივობის ტოლია.

ქვემოთ ვაჩვენებ, რომ ქართულ წარმართულ კალენდარში დასტურდება მზისა და მთვარის 19-წლიანი მეტონის ციკლის კალენდარული ტოლობა. ეს ვარემოება, თავის მხრივ, იმის მნიშვნელობაა, რომ ქართული მზის კალენდარი მზის შტრახვი წელიწადის კალენდარული სისტემაა. მაგრამ, ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

დავუბრუნდეთ მეტონის ციკლის ტოლობას. არითმეტიკული რიცხვებით მეტონის ციკლის ტოლობის აღნიშვნა მეტად მარტივია. ამ ტოლობას სამი არითმეტიკული რიცხვი გამოხატავს: 19, 12 და ცხრამეტისა და თორმეტის სხვაობა — 19—12=7. მეტონის ციკლის ტოლობის რიცხვებია: 19, 12, და 7.

მეტონის ციკლის ტოლობა: 19=12+7.

მეტონის ციკლის ტოლობაში რიცხვი 19 მზის რიცხვშია და მზის კალენდარულ 19 წელიწადს აღნიშნავს. ტოლობის მარჯვენა ნაწილის რიცხვები 12 და 7 მთვარის წელიწადის რიცხვებია. მაგრამ იმის გამო, რომ მთვარის წელიწადში ხან 12 მთვარის თვეა, ხან კი 13 მთვარის თვე. ამიტომ მთვარის წელიწადის რიცხვები ორი რიცხვის—12-სა და 7-ის ქაშის სახით არის გამოხატული. რიცხვი 12 მთვარის წველურებიცაა 12 წელიწადის აღნიშვნელია (როცა მთვარის წელიწადით 12 მთვარის თვე იანგარიშება). რიცხვი 7 მთვარის ნაკიანი 7 წელიწადის აღნიშვნელია (როცა მთვარის წელიწადით 13 მთვარის თვე იანგარიშება).

ამგვარად, მეტონის ციკლის ტოლობაში — 19=12+7, რიცხვი 19 მზის წელიწადის კალენდარული ციკლის რიცხვია, ხოლო 12 და 7 მთვარის წელიწადის კალენდარული ციკლის რიცხვებია.

მეტონის ციკლის ტოლობის მნიშვნელობა ასეთია: 19 მზის წელიწადი 12 წველურები, 3ი 12-თვიანი მთვარის წელიწადისა და 7 ნაკიანი 13-თვიანი მთვარის წელიწადის ჯამის ტოლია.

მეტონის ციკლის ფორმული ინიც ცხადი ზედა, თუ რამდენი მთვარის თვე უნდა იქნას გარისმთ 19 წელიწადში. მზის წელიწადით გველ წელს 12 თვეს ვანგარიშობთ. ამიტომ 19 წელიწადში 19×12=228 მზის თვე იქნება. მეტონის ციკლის ფორმულაში 19=12+7, მზის 19 წელიწადი თვეებში რომ გამოვხატოთ, ვეყენება 19 მზის წელიწადი 228 მზის თვის ტოლია: იმავე 19 წელიწადში მეტონის ციკლით (19×12)+7 მთვარის თვე იქნება.

19 მზის წელიწადი 19×12=228 მზის თვეს; 19 მზის წელიწადი (19×12)+7=235 მთვარის თვეს. ცხადია, მზის 19 წელიწადში 228 მზის თვე და 235 მთვარის თვეა. მთვარის თვეთა რაოდენობა 19 წლიან ციკლში მზის თვეთა რაოდენობაზე 7-ით მეტია, ამიტომ 19 მზის წელიწადი=228 მთვარის თვეს. შევამოწმოთ ეს ტოლობა. მზის წელიწადის ხანგრძლივობა მეტონის ციკლით დაახლოებით 365,25 დღე-ღამეა. ამიტომ 365,25×19=6940 დღე-ღამეს. ამგვარად, 19 მზის წელიწადი დაახლოებით 6940 დღე-ღამეს შეიცავს.

მთვარის სინოდური თვის ხანგრძლივობა 29,5306 დღე-ღამეა. 29,5306×235=6940 დღე-ღამეს. ამგვარად, 235 მთვარის თვეც დაახლოებით 6940 დღე-ღამეა.

უნდა დავასკვნათ: მზის 19 წელიწადისა და მთვარის 235 თვის ხანგრძლივობა ერთმანეთის ტოლია, ერთად და მეორედ დღე-ღამეთა თანაბარ რაოდენობას, დაახლოებით 6940 დღე-ღამეს შეიცავს.

ამგვარად, მეტონის 19-წლიანი ციკლის ფორმულა — 19=12+7 ზუსტად პასუხობს მზისა და მთვარის წელიწადების 19-წლიან ტოლობის აჩსს: 19 მზის წელიწადი 12-თვიანი მთვარის 12 წელიწადისა და 13-თვიანი მთვარის 7 წელიწადის ჯამის ტოლია. მეტონის 19-წლიანი ციკლის ტოლობა სავსებით ზუსტი არ არის, მაგრამ სხვაობა მზისა და მთვარის 19-წლიან პერიოდებს შორის შეტად მცირეა და 19 წელიწადში დღე-ღამის ერთ მეათედზე ნაკლებია. ამ უზუსტობამ მხოლოდ საუკუნეების შემდგომ იჩინა თავი.

ძვ. წელთაღრიცხვის 330 წელს ძველბერძენმა ასტრონომმა კალიპოსმა რამდენადმე სრულყო მეტონის ციკლი: 19-წლიანი ციკლის გამოხეცვებით (4×19=76), ე. ი. 76-წლიანი ციკლის შემოღებით, რამდენადმე შეამცირა მეტონის ციკლის უზუსტობა, ხოლო ძვ. წელთაღრიცხვის 125 წელს მიპარქმა კიდევ უფრო დააზუსტა როგორც ტროიკული წელიწადისა და სინოდური თვის ხანგრძლივობა, ასევე კალიპოსის ციკლიც. მაგრამ არც კალიპოსისა და არც მიპარქის ციკლის კალენდარული მნიშვნელობა არ მოუპოვებია.

მეტონის 19-წლიანი ციკლი ძველ საბერძენოში დაიწყო 432 წლის 16 ივლისს, სერ-

თელ, ძველებერძული მთვარის კალენდრით ეგრძოდ კი უფრო კარგად ცნობილი აიქნის მთვარის კალენდრით, წლის დასაწყისად მიჩნეული იყო პირველი ამაღლ-მთვარეობა (საფხულის მზებუდობის შემდეგ (საფხულის მზებუდობის დღე იმ ხანებში ივლისის თვეზე მოდიოდა). წელიწადში 12, ხოლო ნაკიან წელიწადს 13 მთვარის თვეს ანგარიშობდნენ, თვე ან საცხე იყო—30-დღიანი, ან ნაკლები — 29-დღიანი. ყოველი თვე დაყოფილი იყო სამ ნაწილად — სამ დეკადად, ათათი დღით თვითნებური; ნაკლები თვის მე-3 დეკადა კი მხოლოდ ცხრა დღე იყო.

მეტონის 19-წლიანი ციკლი ოჯახისწინებს საცხე და ნაკლები თვეების რაოდენობასაც. მეტონის 19-წლიანი ციკლის 285 მთვარის თვიდან 125 თვე საცხად, ხოლო 110 თვე ნაკლები. შევამოწმოთ ეს ტოლობა: $125 \times 30 = 3750$ დღე-ღამე; $110 \times 29 = 3190$ დღე-ღამე; $3750 + 3190 = 6940$ დღე-ღამე. მზის 19 კალენდარულ წელიწადშიც, როგორც ცნობილია, 6940 დღე-ღამეა.

მეტონის 19-წლიანი ციკლის მიკნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კალენდრის ისტორიაში. ამ ციკლის მეშვეობით დადგინდა იქნა მთვარის მოძრაობის პერიოდულობა. ყოველი 19 წლის შემდეგ მთვარის ნებისმიერი ფაზა წინა 19-წლიანი პერიოდის თანამიმდევრობით მეორდება, ე. ი. წლის იმავე დღეს მოდის. თუ, მაგალითად, მთვარის საცხეა ერთ რომელიმე 19-წლიან პერიოდში მე-5 წლის 9 მარტს მოხდა, იგივე განმეორდება მომდევნო 19-წლიანი პერიოდის მე-5 წლის 8 მარტს. მეტონმა მთვარის 19-წლიანი ციკლური მოძრაობის კანონზომიერება დაადგინა. ცხადია, საკმარისია შევისწავლოთ მთვარის მოძრაობა და მისი ფაზები ერთ 19-წლიან პერიოდში, რომ ყოველი მომდევნო 19-წლიანი პერიოდის ყოველი წლის მთვარის ფაზები წინასწარ ვიცოდეთ.

მეტონის ციკლს არა მხოლოდ კალენდარული, არამედ რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. როგორც ძველ აღმოსავლეთში, აგრეთვე სამხრეთში ზოგი რელიგიური დღესასწაული დაკავშირებული იყო მთვარის კულტთან ან რელიგიური დღესასწაული უნდა შესრულებულიყო მთვარის რომელიმე ფაზის დროს. სადღესასწაულო დღეების წინასწარი გამოთვლა დიდ კალენდარულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე მეტონმა 19-წლიანი კალენდარული ციკლის კანონზომიერება არ აღმოაჩინა.

როგორც ითქვა, ბერძნები თვეებს მთვარით ანგარიშობდნენ, წლებს კი—მზით. მეტონის ციკლით კი ნებისმიერი მთვარის ფაზა ერთ-ზედ 19 წელიწადში მზის წელიწადის ერთსა და იმავე დღეს მოდის. მთვარის 19-წლიანი ციკ-

ლური მოძრაობის გამო ბერძნებმა მეტონის ციკლს მუდმივი კალენდარი უწოდეს. ხოლო 19-წლიანი ციკლის ყოველი წელიწადის რიცხვი, ამ დროიდან, ოქროს რიცხვის სახელით არის ცნობილი.

ეგრძოდ, საყობის სპეციალისტი მ. ლალოში წერს:

«По принятии этого цикла, вошло в обыкновение в Афинах, при начале гражданского года, означать золотыми буквами, на выставляемых всенародно досках, число лет протекших от начала текущего 19-ти летнего периода. По этой причине, число это и до сих пор называется златым»¹.

ამ საკითხის შესახებ საბჭოთა მეცნიერი ა. ული წერს:

«Порядковый номер каждого года по циклу называли «золотым числом» или лунным кругом этого года»².

ხოლო ს. ა. სელეშნიკოვი წერს:

«Само порядковое число года в 19-летнем цикле получило название золотого числа»³.

მეტონის 19-წლიანი ციკლმა ფართო გავრცელება პოვა, როგორც ძველი წინააზიის მთვარის კალენდარულ სისტემებში, აგრეთვე უფრო გვიან, დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც აღდგომის დღესასწაულის გამოთვლა მეტონის ციკლის მეშვეობით ხდებოდა.

ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში ძველი წელიწადრიცხვით, ბერძნებზე საუკუნუნახევრით ადრე, ჩინელებმა უკვე იცოდნენ მთვარის 19-წლიანი ციკლის კანონზომიერება და თვეებდნენ კიდევ მას მთვარის კალენდარულ სისტემაში. მეტონის ციკლის სახარებლობა უნდა ითქვას, რომ იგი უფრო ზუსტი იყო, ვიდრე ჩინური 19-წლიანი ციკლი. გარდა ამისა ამ ციკლს ჩინეთიდან გავრცელება არ მოუპოვებია.

ვარაუდობენ, რომ ამერიკის მიას ცივილიზაციამ აგრეთვე იცოდა 19-წლიანი ციკლის კალენდარული კანონზომიერება⁴.

¹ М. Лалаш. Времячисление христианского и языческого мира, СПб., 1867, 46, 47.

² Я. И. Шур, Рассказы о календаре, М., 1958, 95.

³ С. И. Селешников, История календаря и хронология, М., 1972, 100.

⁴ Ю. В. Кнорозов. Письменность и: дейшев Майя, М.-Л., 1963 წ. ეგრძოდ ეტორი წერს: «Судя по стеле А. в Колане, астрономы Майя знали цикл «Метона», 35-33.

ძვ. წელთაღრიცხვის 380 წელს მეტონის ციკლი შემოღებულ იქნა ბაბილონში, კიდევ უფრო გვიან იუდეაში და ა. შ. აღსანიშნავია, რომ სელევკიდების სახელმწიფოს ელინისტურ სამეაროში, სადაც წელთაღრიცხვის საყოფარ „სელევკიდურა ერა“ მოქმედებდა, კალენდარული აღრიცხვის საფუძვლად მიღებული იყო მეტონის 19-წლიანი ციკლი.

არსებობდა თუ არა ძველ საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემა? უფოოდ არსებობდა. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართული რელიგიური დღესასწაულების გადმოწმებით ცხადყოფენ, რომ მთვარის ქართული კალენდარული სისტემა ენათესავება არა დასავლურ, არამედ მთვარის აღმოსავლურ, წინააღიურ კალენდარულ სისტემას. შინ კალენდარული სისტემის შემოღებამდე, საქართველოში, როგორც ჩანს, ხმარებანი უნდა ყოფილიყო მთვარის წინააღიური კალენდარული სისტემა. ამ თვალსაზრისით, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ მთვარის კალენდარის 7-დღიანი ციკრების არსებობას საქართველოში.

როგორც ითქვა, 7-დღიანი კვირა დასავლურმა კალენდარულმა სისტემამ არ იცოდა. აღსანიშნავია, რომ არც ჩინეთში, არც ინდოეთში მთვარის კალენდრით 7-დღიანი კვირა არ არსებობდა. კერძოდ ა. შური წერს:

«В древнем Китае не было семидневной недели, месяц делили на 3 десятидневки»¹.

ძველი ინდოეთის მთვარის კალენდრით მთვარის თვის უოფდენნ ორ ნაწილად: თვის ორივე ნახევარში დღეებს პირველიდან თხუთმეტამდე ითვლიდნენ. ამის შესახებ ს. სელემსკოვი წერს:

«Каждый лунный месяц делится на две половины: первая начинается на другой день после наступления полнолуния и называется «темнеющей половиной», а вторая начинается с новолуния и называется «светлеющей половиной». В пределах каждой половины счет дней ведется от 1 до 15»².

როგორც ირკვევა, შეიდეღიანი კვირა შუაღნიანეთის უძველესი კალენდარული ერთეულია. დღე-ღამეთა შედეღეულებს ბაბილონელები შემერბებს დაესხსნენ. საერთოდ, შედეღღიანი კვირა და წმინდა რიცხვი შედეღი დაკავშირებულია ძველი შუამდინარეთის მთვარის დღეების კუთხსა და ძველი შუამდინარეთის მთვარის კალენდარულ სისტემასთან.

ბაბილონიდან შედეღღიანი კვირა ებრალდ

კალენდარში გადაიდა, ხოლო აქედან მთელ ქრისტიანულ სამეაროში გავრცელდა.

ივანე ჭავჭავიძელი წერს: „ცნობილია, რომ ქრისტიანებმა პირველად შედეღეულის დღეთა სახელები ებრაელთაგან შეითვისეს და შედეღეულის დღეთა აღსანიშნავად ხმარობდნენ“.

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად, როგორც ცნობილია გაბატონდა შაბათის სისტემის დღეების სახელები, რომელნიც შედეღეულის ებრაელთა სახელებს წარმოადგენენ. როგორც ივანე ჭავჭავიძელმა გამოაკვია, შაბათის სისტემის შედეღეულის დღის სახელები ქართულში უკვე ახ. წ. IV-V საუკუნეებში გაბატონებული ყოფილა.

დასავლურ-ქართულ ენებში დღემდე შემორჩენილია შედეღეულის დღეების წმინდა ქართული სახელები. ივანე ჭავჭავიძელის აზრით შედეღეულის ქართული სახელება წარმართობისდროინდელი უნდა იყოს და, შესაბამისად, შაბათის სისტემის სახელებზე აღჩინდელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედეღეულის დღეების ძველი ქართული წარმართული სახელების რაობა, სამწუხაროდ, დღემდე საბოლოოდ ამოცნობილი არ არის. სასურველია ეს საკითხი გაიკვეს. ენათმეცნიერება კი ივ. ჭავჭავიძელის შემდეგ დღემდე დღეს.

შედეღეულის დღეების ძველი ქართული წარმართული სახელები, ვფიქრობ, იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ წარმართულ საქართველოში დროის აღრიცხვა შედეღეულებით, შედეღღეობით ხდებოდა. ეს გარემოება, თავის მხრივ, იმას უნდა მოასწავებდეს, რომ წარმართულ საქართველოში დროის აღრიცხვა მთვარის წინააღიური კალენდარული სისტემით ხდებოდა.

ძველ საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემის არსებობის დამადატურებელია მთვარის ხატობის რელიგიური დღესასწაულები. როგორც ივანე ჭავჭავიძელმა გამოაკვია, ეს დღესასწაულები იმართებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მთვარის ხატობის რელიგიურ დღესასწაულთაგან აღსანიშნავია „ვერისობა“, რომელსაც ქართლში უქმობენ და „ნაიხურობა“, რომელსაც დასავლეთ საქართველოში უქმობენ.

„ვერისობამ“ სამი უქმე იცის: თავი გერისობისა, სწორისა და მეორე სწორისა. ივანე ჭავჭავიძელის აზრით ეს უქმეები მთვარის 7-დღიან ფაზებზეა დაფუძნებული.

„ნაიხურობამ“, თავი ნაიხურობის ვარდა, კიდევ სამი სწორი იცის. ივანე ჭავჭავიძელის აზრით სამი სწორისა და თავი ნაიხურობის უქმობაც მთვარის მეოთხედების თავანისცემაზეა დამყარებული.

¹ Я. И. Шур. Рассказы о календаре, М., 1958 г. 56.

² С. И. Селешников. История календаря и хронология, М., 1972 г., 134.

¹ ივ. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1926 წ., გვ. 110

ივანე ჯავახიშვილი წერს: „გერისობას მხოლოდ ორი სწორი იცის, ნაციურობას სამივე შენახული; მამასადაჟე, თავი ნაციურობა — ახალ მთვარის თაყვანისცემის ნაშთი იქნება; პირველი, მეორე და მესამე სწორი კიდევ — პირველი, მეორე და უკანასკნელი მეოთხედის უქმენ უდრის. განსაკუთრებით უწრადღების ღირსია ის გარემოება, რომ ნაციურობა, თავიცა და სამივე სწორიც, მხოლოდ კვირა ღამესა და ორშაბათობით იცის ზოღმე. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ „ნაციურობა“ მთვარის ძველი თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთია, იმიტომ რომ წარმართობის დროს ორშაბათის ქართულად მთვარის დღე უნდა ჰქმეოდა“¹.

ამგვარად, მთვარის ზატობაც იმის მომასწავებელია, რომ წარმართულ საქართველოში უფოოდ არსებობდა დროის აღრიცხვის მთვარის კალენდარული სისტემა, რომელიც მთვარის შედღღიან ფაზებზე იყო დაფუძნებული, ე. ი. დროის აღრიცხვას ასტრონომიული საფუძველი ჰქონდა.

ძველ საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემის არსებობის შესახებ კ. კეკელიძე წერს:

„ეკვი არ არის, თავდაპირველად ქართულია მოდგმის ტომები, მსგავსად სხვებისა, წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ, ამიტომ უძველესი ქართული წელიწადი უნდა უფოილიყო მთვარის წელიწადი. ეს იქიდან ჩანს, რომ მთვარე უძველეს ხანაში მთვარის ღვთაება უფოილა ქართველებისა, რომელთაც მისი სახელით (თუთა) თვეც (თთუე) აღუნიშნავთ... მთვარის წელიწადი ძირითადად ჩვენშიც იმავე ბაბილონურ-სემიტური სისტემისა უნდა უფოილიყო. ის შემოსული უნდა იყოს ჩვენი მთვარის კულტთან ერთად, პარბნდინან (ძველი ცენტრი მთვარის კულტისა), ამას გვაფიქრებინებს ცნობალი დღეობა „გერისობა“, რომელიც სამი სწორისა და თავ-უქმობით გამოიხატება. ქარანელები მთვარის თვის მე-27 დღეს დღესასწაულობდნენ ახალმთვარის დღეობას, როდესაც იხინი მთვარეს მსხვერპლსა სწირავდნენ;

გარდა ამისა, აქ დამოწმებულია 27-დღიანი მთვარის დღესასწაული. 27-28-დღიანი დღესასწაულის გამომახილა ჩვენი ოთხსწორიანი (4x7) მთვარის დღესასწაული, გერისობაზე ცნობილია“².

ამგვარად, ქართული რელიგიური დღესასწაულების გაღმონაშთები ცხადყოფა, რომ

ძველ საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემა მთვარის ფაზებითა და, შესაბამისად, შედღღებით კვირებით იანგარიშებოდა. მთვარის კალენდარული სისტემის შემქმნელმა საქართველოში უდავოა; მთვარის თვის შედღღული კვირებით ანგარიში აგრეთვე ექვს გარეშეა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, უძველესი დროიდანვე მთვარის წელიწადს წელიწადის რეალურ ხანგრძლივობას უფარდებდნენ. ეს შეფარდება დროდადრო მთვარის ნაკიანი წელიწადით ხდებოდა. როგორც უკვე ვიცით, არსებობდა მთვარის წელიწადისა და წელიწადის ხანგრძლივობის შეფარდების 3-წლიანი, 8-წლიანი და 11-წლიანი მეტონის ციკლი.

საკითხავია, მთვარის კალენდარული სისტემის რომელი ციკლით სარგებლობდნენ ქართველები? ან შემოღებულ იქმნა თუ არა საქართველოში მეტონის 11-წლიანი ციკლი? ან როდის უნდა შემოღებულიყო საქართველოში მეტონის 11-წლიანი ციკლი?

ქვემოთ შევიცდები ვეველა ეს საკითხი გავარკვიო. ეს რაც შეეხება მთვარის კალენდარულ სისტემას.

შემდეგი საკითხი: როდის უნდა შემოღებულიყო საქართველოში შშის კალენდარული სისტემა? ამ საკითხის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ვარკვეული თვალსაზრისია გამოთქმული: კ. კეკელიძის შეხედულებით, შშის ეგვიპტური კალენდარული სისტემა საქართველოში უნდა შემოღებულიყო იმ დროს, როცა იგი შემოღებულ იქნა ირანსა, სომხეთსა, კაბადოკიასა და საერთოდ მთელ წინააზიაში.

საქართველოში შშის კალენდარული სისტემის შემოღების შესახებ კ. კეკელიძე წერს: „მთვარის წელიწადი შეუცვლია ჩვენი შშის წელიწადს, ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ის მოხდა საერთოდ წინააზიაში, განსკუთრებით კი ირანსა და სომხეთში“³.

მაგრამ როდის შემოიღეს შშის წელიწადი ირანსა და სომხეთში და საერთოდ წინააზიაში? ამის შესახებ კ. კეკელიძე არაფერს ამბობს, ოღონდ მივვაითიბებს, რომ ამ საკითხის თაობაზე ორი სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. კ. კეკელიძე წერს: „ერთი შეხედულებით, წინააზიაში ეს მოხდა მეხუთე ძუღუნის გასულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ფ. გინცელი), მეორე შეხედულებით კი, რომელიც პროფესორ ვ. ბოლოტოვის ვეუთენის, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში“⁴.

უკად. კორნელი კეკელიძის მითითების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში შშის წელიწადი შემოუღიათ ან ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დასას-

¹ ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I; თბილისი, 1928 წ., გვ. 50.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VIII, თბილისი, 1941 წ., გვ. 2.

³ კ. კეკელიძე, დასაბ. ნაშრომი, გვ. 2.
⁴ იქვე, გვ. 2.

რულს, ან ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

საქართველოში შემოღებული შვის კალენდარული სისტემის შესახებ კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ძველ ირანს, სომხეთსა და კაადლო-სოში, აგრეთვე ეგვიპტეშიც, მიღებული იყო შიმბრპი წელიწადი, ე. წ. annus vagus მუდამ და უკველათის 365-დღიანი. ეგვი არ არის, ქართველთა შორისაც ამავე ბუნებისა და ხასიათის უნდა უფილიყო შვის წელიწადი კ. კეკელიძემ დაცვენის საბით ამბობს: „მთვარის წელიწადი შეუსვლია ჩვენს შვის შიმბრპი წელიწადს, დაახლოებთ იმავე ხანებში, როდესაც ეს მოხდა ირანს, სომხეთს, კაადლოსასა და სავროდ მთელ წინააზიაში“.

თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და სავროდ მთელ წინააზიაში მთვარის კალენდარი შვის კალენდარით შეიცვალა, თუ ეს საუკუნეთაო წინააზიური მოვლენა, ცხადია, საქართველოში შვის წელიწადის შემოღება ამ, ზოგადი წინააზიური ვითარებით უნდა აიხსნებოდეს.

მაგრამ, როგორც სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, არაფერია ამის მსგავსი წინააზიაში არ მოხდარა. მოკლედ შეიძლება ითქვას: მთელ წინააზიაში (მცირე-აზიის ბერძნულ ქალაქებში, სირია-პალესტინაში, იუდეაში) სარგებლობდნენ ბერძნულ ან ბაბილონური მთვარის კალენდარული სისტემებით. აღსანიშნავია, რომ ხელეკიდების ელინისტურ სამუაროში სარგებლობდნენ მთვარის კალენდარული სისტემით და მთვარის კალენდარული სისტემის 19-წლიანი ციკლით.

რაც შეეხება ირანს, აქემენიდურ ხანაში (ძვ. წ. 700-331 წწ.) ბაბილონური მთვარის კალენდარი იყო ოფიციალური სახელმწიფო კალენდარი სპარსეთის იმპერიისა.

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რაც განსაკუთრებით საკულისხმოა, რომ შვის მოძრავი წელიწადის კალენდარული სისტემა იშვიათად მიღებული უფილა ზორასტრიანების რელიგიურ სექტაში. როგორც ვარაუდობენ, ეს სექტა და მასთან ერთად ზორასტრიული კალენდარი აღმოცენდა აღმოსავლეთ სპარსეთში ან შუა აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში, დაახლოებით ადრეულ აქემენიდურ ხანაში. ჭერ კიდევ აქემენიდების დროს ზორასტრიული კალენდარი, როგორც ვარაუდობენ, ირანის დასავლეთ ოლქებშიც გავრცელდა. ბოლო ხანების მეცნიერული გამოკვლევების შედეგად ვარაუდობენ, რომ ზორასტრიული კალენდარი ზორასტრიანების ოფიციალურ კალენდარად დაახლოებით ირანში ძვ. წ. 441 წელს უნდა შემოღებული-

ყო. როგორც ჩანს, თანდათანობით, ზორასტრიული რელიგიის გავრცელებასთან ერთად, ძლიერდებოდა ზორასტრიული კალენდარის მნიშვნელობაც. მაგრამ აქემენიდურ ხანაში ამ რელიგიის ოფიციალური სახელმწიფო რელიგიის მნიშვნელობა არ მოუპოვებია. აქემენიდური ხანის მრავალრიცხოვან დოკუმენტებსა და წარწერებში ზორასტრიული კალენდარი დადასტურებული არ არის. უფილაზე ადრეულ ცნობას ზორასტრიული კალენდარის შესახებ გვაწვდის კვირტუს კურციუსი. მისი გადმოცემით, ძვ. წ. 338 წელს, სადღესასწაულო ზეიმის დღეს, დარიოს III-ის წინაშე თავფლია მოგვების პროცესიას 365 უმწვილის თანხლებით, ნიშნად იმისა, რომ ზორასტრიული კალენდრით წელიწადში $12 \times 30 + 5 = 365$ დღეა.

შვის შიმბრპი წელიწადის ზორასტრიული კალენდარი ხმარებაში იყო პართიაში, არშაკიდების დროს და სასანიდურ ირანში (III-VII სს. ახ. წ.). სასანიდების დროს ზორასტრიული კალენდარი ოფიციალური სახელმწიფო კალენდარია სპარსეთში.

ამგვარად, ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, საქართველოში მეზობელ ირანში შვის შიმბრპი წელიწადის კალენდარი ზორასტრიანების რელიგიური კალენდარია.

ზორასტრიული კალენდარის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შესხედულება, რომ იგი ეგვიპტური წარმოშობისა არ უნდა იყოს, არამედ წელიწადის ხანგრძლივობის ძველ ინდოიანულ შეხედულებაზე მეტად აკვიდრება. ვ. ა. ლივშიცო ამ საკითხის შესახებ წერს:

«Календарные схемы, основанные на солнечном годе из 360 и 365 дней ($12 \times 30 + 5$), встречаются у разных народов почти на всех континентах; следы таких представлений можно найти и в древнеиндийских Ведах, ближайшим образом связанных с Яштами Авесты, так что зороастрийский календарь может рассматриваться как развитие нидиранского наследия». (В. А. Лившиц, «Зороастрийский» календарь Хронология древнего мира, М., 1975 г., стр. 325).

შეიძლება დავასკვნათ: ირანის ისტორიის აქემენიდურ ხანაში (ძვ. წ. 700-331 წწ.) ბაბილონური მთვარის კალენდარი სპარსეთის სახელმწიფოს ოფიციალური კალენდარია. ძვ. წ. მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან შვის შიმბრპი წელიწადის ზორასტრიული კალენდარი ამ რელიგიის ოფიციალური კალენდარია სპარსეთის იმპერიაში, ამგვარად, შვის მოძრავი წელიწადის კალენდარი ირანში უფილაო კემარშია ზორასტრიულ რელიგიასთან.

1 იქვე, გვ. 11.

2 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

იგივე ვითარებაა პართიაში არშაკიდების დროს (ძვ. წ. 248- ახ. წ. 327 წწ.).

ძვ. წ. 312/311 წლიდან სელევკიდების სახელმწიფოს ელინისტურ საწყაროში, როგორც შემოთ უკვე ითქვა, მოქმედებამა ერთიანი სახელმწიფო კალენდარი და წელთაღრიცხვა. სელევკიდურა კალენდარი იგივე ბაბილონურა მთვარის კალენდარია, 19 წლიანი ციკლით.

მცირე-აზიის ბერძნულ ქალაქებში, როგორც ითქვა, სარგებლობდნენ ან ბაბილონურა, ან ბერძნულ მთვარის კალენდრით.

ახლა რაც შეეხება კაბადოციას. აქმენიდურა და სელევკიდურა ხანის კაბადოკური კალენდრის შესახებ ცნობები არ შენახულა. ოღონდ არსებობს თვალსაზრისი, რომ გვიან, აქმენიდურ ხანაში (ძვ. წ. V-IV სს) შესაძლოა ზოროასტრიული კალენდარი კაბადოკიაშიც გავრცელდა. თითქოს ამ თვალსაზრისის სახარგებლოდ უნდა დააბარკობდნენ კაბადოკური კალენდრის თვითა სახელები, რომლებშიც ზოროასტრიული კალენდრის გავლენას ხედავენ.

ამგვარად, თუკი აქმენიდურა დროიდან კაბადოკიაში მზის მოძრავე წელიწადის კალენდრით სარგებლობდნენ, ეს გარეშობა ზოროასტრიული რელიგიისა და ზოროასტრიული კალენდრის შემოქმედებათა და გავლენით უნდა აიხსნებოდნენ. რაც შეეხება გვიანი ხანის კაბადოკურ კალენდრას, ამის შესახებ ცნობები სტრავოლასტი ე. ბეერმანი წერს:

«Схематический год из 12×30+5 дней, вероятно основанный на вавилонском годе из 12×30 дней, стал официальной системой исчисления времени в Перени при Сасанидах, а также в Армении и Каппадокии»¹.

ახლა რაც შეეხება სომხეთს. სომხეთში მზის მოძრავე წელიწადის შემოღებას სომეხი მეცნიერები დაახლოებით ძვ. წ. მე-5 საუკუნით ათარიღებენ. კერძოდ, მ. თუმანიანის თვალსაზრისით მზის მოძრავე კალენდარი სომხეთში ძვ. წ. 460 წლის მახლობლად მიუღიათ, რაშიც დიდი როლი სომხეთის სპარსეთისაგან დაპყრობას უთავაზუნია². რამდენად შესაძლებია ეს თვალსაზრისი, ძნელი სთქმევია. უკველ შემთხვევაში, თუ სომხეთში, სპარსელთა მმართველობის გამო, ზოროასტრიული რელიგია გავრცელდა, ცხადია, ზოროასტრიული კალენდარიც უნდა გავრცელდებოდა.

ერთი რამ უდავოა: სომხეთში მზის მოძრავე წელიწადის კალენდარულმა სისტემამ და-

ლიან დიდხანს, ახ. წ. მე-5 ს.-მდე იარსება. ამგვარად, კ. კეკელიძის თვალსაზრისით იმის შესახებ, რომ „მთვარის წელიწადი შეესაბამება ჩვენს მზის მოძრავე წელიწადს, დაახლოებით იმავე ხანებში, როგვსაც ეს მოხდა ირანს, სომხეთს, კაბადოკიასა და საერთოდ მთელ წინააზიაში“, მიუღებელია.

როგორც ქვემოთ ვაირკვა, საქართველოში მზის მოძრავე წელიწადის კალენდარული სისტემა საერთოდ არ შემოღებულა, არამედ მზის წელიწადი ჩვენში შემოღებისთანავე მზის უძრავი წლის კალენდარული სისტემა იყო.

საქართველოში მზის უძრავი წელიწადის შემოღების შესახებ კ. კეკელიძე წერს: „როდის დაშორდა ჩვენში უძრავი წელიწადი, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. იმ მასალებში, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, უკვე უძრავი წელიწადია მოცემული. ვფიქრობ კი, რომ ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა რომელიღაც კულტურულ-პოლიტიკური გავლენის ზღვარში მოხვდა“³.

კ. კეკელიძე დასძლავს სახით ამბობს: „რომოდნა პოლიტიკურ-კულტურული გავლენის დაშორების შემდეგ ჩვენში მზის მოძრავე წელიწადი შეიცვალა უძრავით“⁴.

რაც საქართველოში მზის მოძრავე კალენდარული სისტემა საერთოდ არ არსებობდა, ამიტომ, ცხადია, კ. კეკელიძის ეს უთავსენელია თვალსაზრისიც მიუღებელია.

საქართველოში მზის მოძრავე კალენდარული სისტემა შემოღებულ იქნა გაკლებით ადრე, ვიდრე რომში. უძრავი წელიწადის მზის ქართული კალენდარული სისტემა წინ უსწრებს იულიუსის ძვ. წ. 46 წლის კალენდარულ რეფორმას და ევტრეპტის ძვ. წ. 288 წლის კანონის დეკრეტს.

უძრავი წელიწადის მზის ქართულ კალენდარსა და მოძრავე წლის ზოროასტრიულ კალენდარს შორის არაფერია საერთო. ქართული მზის კალენდარი შემუშავებულია ევკლიტური მზის კალენდრის საფუძველზე.

ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის დასასრულს, როგორც ხანს, საქართველოში წატარებულა დიდი კალენდარული რეფორმა. ეს რეფორმა შეხებია, ერთა მხრივ, არსებულ მთვარის კალენდარულ სისტემას. მეორე მხრივ, შემოღებულია მზის კალენდარული სისტემა.

საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემის რეფორმისა და მზის კალენდარული სისტემის შემოღების ფაქტი დადასტურებულა ძვ. წ. მე-5 საუკუნის დასასრულს ქართულ ორიგინალურ ძეგლში. ეს ძეგლია ქართული ასომთავრული აზნანის.

¹ Э. Бикерман. Хронология древнего мира. М., 1975 г., 38.

² В. Б. Туманян. История армянской астрономии. Автореферат докторской диссертации, Ер., 1969 г., 8.

³ კ. კეკელიძე. დასაბ. ნაშრომი, გვ. 12.
⁴ იქვე, გვ. 26.

მონობრაფიული ნაშრომი ქართული ლექსიკის საკითხებზე

ყოველი ენის სიმდიდრისა და განვითარების ერთ-ერთი არსებითი ნიშანი არის ლექსიკური ფონდის სიმდიდრე, რაც თანამედროვე ქართულ ენას, ვითარცა პოლივალენტოვან ენას, უხეად აქვს მომადლებული. ცხადია, ეს სიმდიდრე თავისთავად არ დაგროვდება. იგი შედეგია ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი ენობრივი შემოქმედებისა, ასევე თაობათა გონებრივი შრომისა, ზრუნვისა და რედაქციებისა. მაგრამ არასოდეს ამ ზრუნვას არ ჰქონია ისეთი ორგანიზებული ხასიათი და მასშტაბები, როგორც აქვს დღეს, ჩვენს ეპოქაში. ამ ზრუნვის ერთ-ერთი ნიშანია ფართო ლექსიკოგრაფიული მუშაობა, რასაც შედეგად მოჰყვა რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი, სხვადასხვა თარგმნითი ლექსიკონები, მრავალი დარვის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ორთოგრაფიული, დიალექტური, ინვერსიული, სინონიმთა, ხატოვან თქმათა, უცხო სიტყვათა ლექსიკონები, ძველი ქართული ენის ლექსიკონი და ცალკეულ უმნიშვნელოვანეს ძეგლთა სიმთონია-ლექსიკონები, ძველ ქართულ ლექსიკოგრაფთა ნაშრომების შესწავლა-გამოცემა და ა. შ.

ბუნებრივია, ასეთი ფართო მასშტაბის ლექსიკოგრაფიულ მუშაობას მყარი თეორიული საფუძვლები ესაჭიროება, მეორე მხრივ კი დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება ბიძგს იძლევა ახალი თეორიული განზოგადებისათვის, ენათმეცნიერული კვლევა-ძიების უფრო ფართოდ გაშლისათვის. ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებასთან ერთად დიდად წინ წავიდა ლექსიკოლოგიური კვლევაც. გარდა ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისა, ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში გამოქვეყნდა მიმოხილვითი ხასიათის რამდენიმე სპეციალური ნაშრომიც ქართული ლექსიკის შედგენილობისა და ისტო-

რიის ძირითად საკითხებზე. მაგრამ ამ დარგში კვლევა-ძიების უახლესი შედეგების ამსახველი განმარტადებელი ნაშრომის საჭიროება დღემდე მინც იგრანობოდა. ცნობილი პოლონელი ენათმეცნიერის ეიტოლდ დოროშევიცის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეცნიერება ვერ განვითარდებოდა, წინ ვერ წაიწეოდა, რომ შესაძლებელი არ ყოფილიყო მუშაობის შედეგების ფორმულირება მოკლე დასკვნების სახით, რომლებიც ვადმოგვცემენ მიღებული შედეგების არსს და მოქმედებენ როგორც იმპულსები შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. ასეთ დასკვნებს უნდა შეიცავდეს წიგნი, რომელიც ვარკვეულ პრობლემას ეძღვნება“.

სწორედ ასეთი განმარტადებელი, შემავამებელი სახის მონოგრაფიული გამოკვლევაა ბიძინა ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგია“, გამოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1974 წელს. ეს არის სოლიდური, ოთხსაგვერდიანი წიგნი, მიძღვნილი სპეციალურად ქართული ლექსიკის შედგენილობისა და ისტორიის საკითხებისადმი.

წიგნის შესავალ ნაწილში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია ლექსიკოლოგიის საგანი და ადგენილ სხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის, აქვეა ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელთაც ემყარება ავტორი ლექსიკოლოგიური კვლევა-ძიების დროს. ამასთან დაკავშირებით იგი ეტება ზოგადი ენათმეცნიერების არსებით საკითხებს, მოკლედ, მაგრამ შეათვლი და თანმიმდევრულად წარმოგვიდგენს თავის მოსაზრებებს ამ საკითხებზე.

ავტორის განსაზღვრის თანახმად, ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას, მის შინაარსებულ მხარეს, აგრეთვე სიტყვათა კლასიფიკაციას მნიშვნელობის მიხედვით. რაც შეეხება სიტყვაწარმოებას, ის ლექსიკოლოგიის ფარგლებს სცილდება რამდენიმე მიზეზის გამო. ავტორის თვალსაზრის ამ საკითხზე წიგნში მოკლედ, მაგრამ მყა-

ფიოდ არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული.

სიტყვის, როგორც ენობრივი ნიშნის რაობის შესახებ მსჯელობისას ავტორი ემყარება იმ უდავოდ სწორსა და ფართოდ ვაერცვლებულ დეპულბას, რომ ენობრივი ნიშანი ნებისმიერია. იმისათვის, რომ სიტყვა და საზოგადოდ ლექსიკა სათანადო სისრული იქნეს დახასიათებული, საჭიროა წმინდა „სემანტიკური ასპექტის“ ფარგლებს გაცდეთ და განვიხილოთ იგი სხვა ენობრივ და არაენობრივ მოვლენებთან მიმართებით. წიგნის ძირითად თავებში ავტორი განიხილავს ქართულ ლექსიკას სწორად ასეთი სხვადასხვაგვარი ასპექტით. სახელდობრ, ჯერ განხილულია ქართული სიტყვის ბეგრადობა და მნიშვნელობა, შემდეგ — აგებულება და მნიშვნელობა, სავნობრივი მიმართება, ენობრივ კოლექტივთან მიმართება, სიტყვათა ურთიერთდაშორებულება. დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ყველა ეს ასპექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიტყვის სემანტიკური შინაარსის განსაზღვრისათვის. ნაშრომის უკანასკნელ თავში განხილულია საერთო და შეთვისებული მასალა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.

ქართული ლექსიკოლოგიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი წიგნში პირველად არის აღბრუნებული, ან ახლებურად გამოქვეყნებული, ან კიდევ ახალი მასალის მოშველიებით დასაბუთებული. სიახლითა და ორიგინალობით გამოირჩევა წიგნის მთელი რიგი პარაგრაფები, რომელთაგან ზოგი ცალკე გამოკვლევის ტოლფარდია. ასეთია მაგალითად: „ფონემათა ხმაების სიხშირე და ფუნქციური დატვირთულობა“ (გვ. 70-75), „ბეგრითი ვესტი“ (გვ. 79-82), „სიტყვის მნიშვნელობა და მოტივაცია“ (გვ. 109-118), „სემანტიკური ჯგუფები ნაწარმოებ სიტყვებში“ (გვ. 135-146), „ლექსიკური ფონდის თემატურა და ნაწარმოებობა“ (გვ. 146-158), „სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში“ (გვ. 215-222), „ლექსიკური ფონდის დინამიკა და დარგობლივი სიტყვები“ (გვ. 444-430) და ბევრი სხვა.

ამა თუ იმ საკითხთან დავკავშირებით ავტორის უხვად მოქმედ მრავალფეროვანი და საინტერესო, კარგად შერჩეული მასალა ლექსიკის ყველა სფეროდან. ბუნებრივია, ყველაზე ხშირად საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია მხატვრული ლიტერატურის ენიდან. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია პარაგრაფი „ლექსიკური ფონდის და დიალექტიზმები“ (გვ. 186-206), სადაც ლექსიკური დიალექტიზმების შემოჭრა სალიტერატურო ქართულში განხილულია ავადი წერეთლის ენის მიხედვით. არანაკლებ საინტერესოა პარაგრაფი „სინონიმი და ენობრივი კოლექტივი“ (გვ. 233-244), სადაც სპეციალური კუთხითაა განხილული აღ. სიმბა-

თაშვილის „დაღატის“ ქართული თარგმანები, შესრულებული გრ. უნდუმინაძის ხელისა. წერეთლისა დამტ. შენსისა მძევსა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში გარედან შემოსული მასალის განხილვისას ავტორს სარწმუნოდ მაგალითები მოაქვს იმის საილუსტრაციოდ, რომ შეთვისებული მასალის ვადრეტყვება და გაქართულება ხდება საერთოდ ქართულ სიტყვათა ბეგრითი უკლების მიხედვით. „ის ათასობით უცხოური ფიქტი, რომელიც ქართულმა ენამ შეითვისა საუკუნეთა განმავლობაში, ამგვარად წარმოადგენილია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ათათასობით ქართული სიტყვის სახით, ქართულ ლექსიკურ ფონდს ამ სიტყვათა სესხებით თავისი მონოლითერობა არ დაუკარგავს, ქართული სემანტიკური სისტემა არ დარღვეულა, ბეგრითს მოიღებს სახე არ უცვლია, სიტყვაწარმოებითი უკლებების განვითარების გზა არ გამრღვებულა, ქართულ სიტყვაზე მოქმედების ძალა არ შემცირებია“, — ასეთია წიგნის დასკვნითი დებულება, რომელიც საესებით დამაჯერებელი და მართებულია.

საერთოდ, ბ. ფონხუას წიგნი „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე. მის ღირსებებს შეადგენს საკვლევი საკითხების ღრმა და საფუძვლიანი განხილვა, საილუსტრაციო მასალის მრავალფეროვნება და სიხვე, მიღებული დასკვნების დამაჯერებლობა, ვადმოცემის პოპულარული და ადვილად გასაგები ფორმა ბუნებრივია, რომ ასეთ ვრცელსა და მრავალწახანკოვან ნაშრომში ყველაფერი არ არის ერთნაირი სიღრმითა და სისრულით დამუშავებული, ზოგი რამ შემდგომ შესწავლასა და დახუსტებას მოითხოვს, გვეხდება ზოგიერთი სადავო დებულება.

უპირველს უკვლისა, შენიშვნას იწვევს აღ. ფაქტორი, რომ ქართული ლექსიკოლოგიის დამკვიდრებელს ასეთ ვრცელსა და სპეციალურ ნაშრომში სრულიად ავლილი აქვს გვერდი საერთო სახელებს, ამის თიობაზე ავტორი შემდეგი შენიშვნით კმაყოფილდება: „არსებით სახელებთან ერთად განხილდება საერთო სახელები... თუ მათ მნიშვნელობის სქოვნობა სიტყვებში მივიჩნევთ. მაგრამ საერთო სახელთა ამგვარი დახასიათება (მნიშვნელობის სქონება) არ არის საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება. საერთო სახელი ინივინდუალური ეტიკეტია, იარლიყია ცალკე საგნის ამიტომ ფაქტულად შედგეს არ იძლევა მისი შესწავლა საერთო ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით (ე. ი. მნიშვნელობის — სავნობრივი მიმართების — მიხედვით, გამოყენების სფეროთა მიხედვით და ურთიერთშეხამებადობის თვალსაზრისით დახასიათება). სამაგვიროდ საერთო სახელთა შესწავლა ფრად დაყო-

ფიერი ჩანს ენის ისტორიული გრამატიკისათვის" (გვ. 131-132).

ჩვენი აზრით, არ არის სწორი საკუთარი სახელის გამოცხადება მნიშვნელობის ამჟღავნებელიად. ყოველი საკუთარი სახელი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, ატარებს გარკვეულ მნიშვნელობას და აქვს გამოყენების განსაზღვრული სფერო. ამიტომ არის, რომ ვაქვს არაინ დარჩემეს ლიას, ისევე როგორც ქალს არაინ დარჩემეს გიას. თუმცა ამ სახელებს შორის არავითარი ფორმალური განსხვავება არაა. ყოველი ქართველი კაცისათვის ნიშა ხარის სახელია და არა ძაღლისა. ყურშია კი ძაღლის სახელია და არა ხარისა. ვიორკი პატივისცემის გამოხატველია, გოგილა — უპატივცემლობისა. მამ როგორღა შეიძლება იმის თქმა, რომ ეს სახელები არავითარ მნიშვნელობას არ შეიცავენ და მხოლოდ ინდივიდუალური იარაღიყვია? არსებობს გარკვეული კანონზომიერება საკუთარ სახელთა ერთიერთმხამხამდობის მხრივაც. შავალითად, ცნობილია, რომ იქ, სადაც ვერაუბი ცოტაა, სახელთა რაოდენობა მრავალფეროვანია და პირიქით.

საზოგადო და საკუთარი სახელები ჩინური ენლით რიდი არიან გამოიყენებულნი. როგორც ცნობილია, საზოგადო სახელი ხშირად იქცევა საკუთარ სახელად, საკუთარი კი — საზოგადოდ.

საერთოდ, საკუთარი სახელები ყოველ ენაში შეადგენენ ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს და სად უნდა იქნეს განხილული ლექსიკის ეს სფერო, თუკი მის შესწავლას ადვილს არ დაუთმობს სპეციალური დისციპლინა — ლექსიკოლოგია? ონიმატოლოგია ლექსიკოლოგიის დარგია და არა ცალკე სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ლექსიკოლოგიას ამოედგება გვერდში. ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით საინტერესოა როგორც საკუთარი სახელები, ისე საზოგადოდ, მაგრამ ეს არცერთ მათგანს არ უარგავს ადვილს ლექსიკოლოგიის კერძში.

ასე რომ, საკუთარ სახელთათვის გვერდის ავლა და მათი უუურადღებოდ დატოვება „ქართული ენის ლექსიკოლოგიის“ მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომელიც მომავალში უფთოდ უნდა შეივისოს.

წიგნში მკრთალად არის გამოქვეყნებული არქაიზმების საკითხი. ეს მით უფრო თვალში საცემია, რომ არქაიზმების გამოყენებას ქართულ სალიტერატურო ენაში ბოლო დროს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მისცა ზოგიერთმა ახალგაზრდა მთარგმნელმა, რა-

საც საგანგებოდ დისკუსიად მოჰყვა. ასე რომ, საკითხი შეტად აქტუალურია *„ქართული ენის მას საჩუკენიო ნაწილში“* (ქსეფლემ) ფართო ადვილი დასიმობოდა, როგორც ლექსიკური დიალექტიზმების განხილვას დაეთმო.

მოსაგვარებელი საკითხია „უცხოა“ და „ნასესხებია“ გარჩევა სხვა ენებიდან შეთვისებულ ლექსიკაში. ავტორის აზრით, „შეთვისებული მასალის დაყოფა „უცხო“ და „ნასესხებ“ სიტყვებად არ ხერხდება ობიექტურად. ხოლო „შეტყველის გრძნობა“ აქაც არ არის საიმედო კრიტერიუმი“ (გვ. 268). მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ზოგი სიტყვის უცხო წარმომავლობა ენის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის სრულიად აშკარაა, თუმცა ამ სიტყვის ხმარებას არაინ ვაუთბის, სხვა ენებიდან შეთვისებული ლექსიკის მეორე ნაწილი კი მშობლიური ენის უაღიბშია მოცუელი და მისი უცხო წარმომავლობა მხოლოდ სპეციალისტებისათვის არის ცნობილი. ამ ფაქტს არ შეიძლება ანგარიში არ გავწიოს.

როგორც აღნიშნეთ, საილუსტრაციო მალას სადისერტიკიო ნაშრომში კარგად არის შერჩეული და უხვად არის მოტანილი, მაგრამ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება და საკვირც იყო ზოგიერთი დამატებითი ფაქტის გათვალისწინება, რაც დისერტანტის დებულებებს კიდევ უფრო განმტკიცებდა და გამაგრებდა. მავალითად, საერთო-ქართველური ლექსიკის ნიმუშებში (გვ. 314-323) ზოგ სიტყვასთან აღნიშნულია მხოლოდ მეგრულ-ქანური შესატყვისი, აქლია სვანური (მაგ.: სურთ-სთან შეიძლება და გვესახელებინა სვანური სვიჯ „კატაბარა“, ქვა-სთან—სვან. ჩველ „მეწვერი“, შდრ. ბან „ქვა“ და სხვა). ქართულში სხვა ქართველური ენებიდან შემოსულ სიტყვათა შორის დასახელებული უნდა ყოფილიყო აშკარად მეგრული წარმომავლობის სიტყვა ლაყური ლაყუჯი (ფ. ერთელიშვილი), სვანური წარმომავლობის შილი „ჩაალი ჩალისთვის“ (ა. შანიძე). ფონეტიკური დიფერენციაციის საფუძველზე წარმოქმნილი სემანტიკური დიფერენციაციის ფაქტებს (გვ. 283: ფურცელი — ფოთოლი, მრთელი — მთელი) შეიძლება დამატებოდა ცნობილი მავალითები: სული — სუნი, ჩანლი — ჩანყი. (ა. შანიძე). ასევე ურ სეფიქსით ნაწარმოებ ადამიანთა წარმომავლობის სახელებს (გვ. 141: გურული, ქუთათურები) შეიძლება დამატებოდა აჭური, იქუბი, შანდაური, სადაური და სხვანი.

მი. და მო- ზმნისწინთა დისტრიბუციასთან დაკავშირებით ავტორს უნდა აღეწინა, რომ მო-ზმნისწინის ხმარება მეორე პირობის ძველ ქართულში სისტემატურ ხასიათს ატარებს და ერთეული შემთხვევებით არ განისაზღვრება (გვ. 185).

ეს შენიშვნები სრულიად არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის მნიშვნელობას. ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ წარმოადგენს ვრცელსა და საფუძვლიან გამოკვლევას, რომელშიც გამოხილულია ქართული ლექსიკოლოგიის ძირითადი და საყვანძო სა-

კითხვები, შეყამებულია ამ დარგში ნაგრობლივი კვლევების შედეგები, წარმოდგენილია მრავალი საინტერესო და ორიგინალური დაკვირვება. საილუსტრაციო მასალა უხვია და მოზღვნილად არის შერჩეული, ავტორის მიერ მოპოვებული შედეგები და ძირითადი დასკვნები გასაზიარებელია, ნაშრომის ენა სანიშნუა, ამ წიგნის გამოცემით როგორც სტუდენტებმა, ისე სპეციალისტებმა კარგი სახელმძღვანელო ნაშრომი მიიღეს.

პ. ზუზუარია



62/56

8300 80 333.


ИНДЕКС
76128
საქართველოს
საქართველოს

„МНАТӨБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ